აფხაზურ-ქართული და ოსურ-ქართული ურთიერთობები წარსულსა და თანამედროვეობაში

გიორგი ანჩაბაძე
ივანე აბრამაშვილი
მალხაზ თორია
ნუკრი (ნოდარ) შოშიაშვილი
ოთარ ჯანელიძე
რევაზ ქოიავა
სალომე ბახია-ოქრუაშვილი

აფხაზურ-ქართული და ოსურ-ქართული ურთიერთობები წარსულსა და თანამედროვეობაში

გიორგი ანჩაბაძე
ივანე აბრამაშვილი
მალხაზ თორია
ნუკრი (ნოდარ) შოშიაშვილი
ოთარ ჯანელიძე
რევაზ ქოიავა
სალომე ბახია-ოქრუაშვილი

კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი
კავკასიური სახლი
THE CENTRE FOR CULTURAL RELATIONS
CAUCASIAN HOUSE

თბილისი
2021

UDC (უაკ) 94(479.22)(075.3)
ა-726

წიგნი მომზადდა გერმანიის საგარეო ურთიერთობათა ინსტიტუტის (IFA) მხარდაჭერითა და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახსრებით.

წიგნში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა, არ გამოხატავდეს გერმანიის საგარეო ურთიერთობათა ინსტიტუტისა და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსაზრებებს.

The book is written with the financial support of IFA with means of the German Foreign Federal Office.

The content of this book is the sole responsibility of Caucasian House and may not reflect the position of IFA and German Foreign Federal Office.

სამეცნიერო რედაქტორი და მეთოდისტი
თეა ქარჩავა

რედაქტორი
მანანა ბალიაშვილი

გამოცემის რედაქტორი
ლეილა სიხარულიძე

პროექტის კოორდინატორი
მარიამ გაჩეჩილაძე

კრებულში გამოყენებულია
გიორგი ანჩაბაძისა და მანანა შეყილაძის საავტორო რუკები

დამკაბადონებელი და დიზაინერი
ალექსი კახნიაშვილი

კრებულის ილუსტრატორები
მანანა შეყილაძე და გიორგი ანჩაბაძე

ყდის დიზაინერი
დარეჯან ქურციკიძე

© კავკასიური სახლი
© Caucasian House

ISBN 978-9941-480-92-8

„კავკასიური სახლი“ არის კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაცია, რომლის მიზანია საქართველოსა და კავკასიის რეგიონის მშვიდობიანი განვითარებისთვის იდეოლოგიური და ინტელექტუალური ბაზისის შექმნა. ამ მიზნის მისაღწევად „კავკასიური სახლი“ წლების მანძილზე ახორციელებს სამშვიდობო პროექტებს როგორც რეგიონული მშვიდობის, ისე ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების ტრანსფორმაციის მიმართულებით. ორგანიზაციის მიერ განხორციელებული პროექტები ძირითადად მოიცავს როგორც საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობას, ისე კონფლიქტურ საზოგადოებებს შორის ნდობის აღდგენასა და დიალოგზე მიმართულ აქტივობებს. ორგანიზაციის საქმიანობის ფარგლებში გამოიცა რამდენიმე ათეული სხვადასხვა ტიპის პუბლიკაცია, რომელთა თემატიკა ეხება საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებს, ქართულ-რუსულ ურთიერთობებს, ჩრდილოეთ კავკასიას, რუსულ-უკრაინულ კონფლიქტს, ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პრობლემატიკასა და სხვა საკითხებს.

ბოლო რამდენიმე წელია, ჩვენი გუნდი აქტიურად მუშაობს ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანი ტრანსფორმაციის პროცესში ისტორიული განათლების, ისტორიისა და წარსული მეხსიერების კრიტიკული ანალიზის წინ წამოწევაზე. სწორედ ამ მიმართულებით მუშაობის შედეგია წინამდებარე პუბლიკაციაც.

პროექტის კოორდინატორისგან

აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონთან შეიარაღებული დაპირისპირების შემდეგ თითქმის 30 წელი გავიდა. 90-იანებში წარმოქმნილი ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები დღეს უკვე გაყინულ კონფლიქტებად ითვლება. სამწუხაროდ, 30 წლის მანძილზე ისტორიის მწყობრი შეფასება, გააზრება და გადააზრება არ მომხდარა, რაც შესაძლოა აიხსნას, როგორც პოლიტიკური ნების არქონით, ისე იმითაც, რომ 30 წელი ისტორიისთვის არცთუ ისე დიდი დროა და ობიექტური შეფასებებისთვის მზაობა ჯერ არ დამდგარა.

შეფასებები განსხვავებულია და დროთა განმავლობაშიც განიცდის სახეცვლილებას, საზოგადოებრივი კონსენსუსი მოვლენებთან მიმართებაში არ არსებობს. დღეს მედიასა და პოლიტიკურ ველზე არსებული დომინანტური საჯარო დისკურსი წინააღმდეგობრივია. სახელმწიფოს გაცხადებული პოლიტიკა, ერთი მხრივ, ქართველი, აფხაზი და ოსი ხალხების შერიგების და ერთ სახელმწიფოში ჰარმონიული თანაცხოვრების იდეისკენაა მიმართული, მეორე მხრივ კი – იგივე დომინანტი პოლიტიკური დისკურსი სულ უფრო მეტად იხრება იქითკენ, რომ აღნიშნული კონფლიქტები მოაქციოს ერთი საფუძვლის მქონე კონფლიქტის – ქართულ-რუსული დაპირისპირების კონტექსტში. ეთნოპოლიტიკური ასპექტების უგულებელყოფით იქმნება რეალობა, სადაც რთულდება კონფლიქტის მიზეზებზე საუბარი, კონფლიქტური მხარეების განსხვავებული პოზიციების წარმოჩენა და კონფლიქტების რეტროსპექტული ანალიზი. ლოგიკა, რომელიც საუბრობს არა კონფლიქტებზე, არამედ ერთ დიდ კონფლიქტზე რუსეთთან, პოლიტიკური ველიდან რიყავს აფხაზი და ოსი ხალხის პოზიციას და კონფლიქტის წყაროდ მხოლოდ რუსულ მხარეს წარმოაჩენს. გარდა ამისა, თითქმის არ წარმოებს შედარებით მასშტაბური და სიღრმისეული აკადემიური და ისტორიული კვლევები, კონფლიქტების შესწავლისა და ანალიზის აკადემიური მიმართულება სუსტადაა წარმოდგენილი. ახალი თაობა, რომელიც კონფლიქტების შემდგომ პერიოდში დაიბადა, ნაკლებად იცნობს აფხაზი და ოსი ხალხის ისტორიას, მათ კულტურას, გენეზისს, თანამედროვეობას. საზოგადოებამ ცოტა რამ თუ იცის აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში არსებული ვითარების შესახებ, იქ მცხოვრებ საზოგადოებებზე, მათ პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ თავისებურებებზე. ამ მდგომარეობას ხელს უწყობს ის ფაქტიც, რომ გარდა ცალკეული სამოქალაქო დიალოგის ფორმატებისა, ქართულ საზოგადოებას თითქმის აღარანაირი კავშირი არ აქვს აფხაზ და ოს თანამოქალაქეებთან.

ზემოთ აღწერილ ვითარებას გარკვეულწილად აირეკლავს სასკოლო განათლებაც. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ ისწავლება სკოლებში და როგორაა გადმოცემული ისტორიის სახელმძღვანელოებში უახლესი ისტორიის ეს ეპიზოდები, რადგან განათლებას და სახელმძღვანელოებს შეუძლიათ როგორც დააახლოონ, ისე დააშორონ ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური საზოგადოებები ერთმანეთს. ამ მიმართულებით „კავკასიურმა სახლმა“ 2019 წელს განახორციელა კვლევა, შეისწავლა სკოლის VIII–XII კლასის სახელმძღვანელოები დისკურსის კრიტიკული ანალიზის მეთოდოლოგიის გამოყენებით, ამასთან, ჩატარდა ჯგუფური ინტერვიუები სკოლის ისტორიის პედაგოგებთან სწავლებისას მათი გამოცდილებისა და თვალსაზრისთა შესასწავლად. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ:

- სახელმძღვანელოებში კონფლიქტების შესახებ შინაარსი საკმაოდ მწირი და ფრაგმენტულია;
- ფრაგმენტები, რომლებიც კონფლიქტებს მოიცავს, ვერ იძლევა კონფლიქტების შესახებ სრულყოფილ წარმოდგენას, უფრო მეტად იხრება კონფლიქტის ცალმხრივი შეფასებისკენ;
- ნაკლებადაა საუბარი კონფლიქტის წარმოქმნის მიზეზებზე, ნაკლებად ხდება კონფლიქტის ანალიზის წახალისება;
- ნაკლებადაა საუბარი კონფლიქტის სოციალურ და ეკონომიკურ ასპექტებზე;
- კონფლიქტის ეთნიკური წახნაგი, ძირითადად, წარმოდგენილია იმდენად, რამდენადაც მას ენიჭება მესამე ძალის, რუსეთის მიერ გამოყენებული იარაღის ფუნქცია;
- მიუხედავად იმისა, რომ სახელმძღვანელოები ანალიტიკური აზროვნებისა და კრიტიკული გააზრების ხელშეწყობისკენ უბიძგებს მოსწავლეს, თითქოს, მაინც წინასწარ შემოსაზღვრავს აზრის ჩამოყალიბების პროცესს.
- პედაგოგი სწავლებისას საკმარისად ვერ ეყრდნობა სახელმძღვანელოებში არსებულ მწირ შინაარსს, შესაბამისად, რჩება ფართო არეალი შინაარსის სუბიექტური ინტერპრეტაციებისთვის.

ზემოთ მოყვანილი კვლევის შედეგების საფუძველზე, „კავკასიური სახლის“ გუნდმა გადაწყვიტა, რომ შეექმნა სასკოლო განათლებისთვის დამატებითი რესურსი, რომელიც სასკოლო განათლების გამოყენების გზით ხელს შეუწყობს კონფლიქტების მშვიდობიან ტრანსფორმაციას.

ცხადია, ამ რთული ამოცანის შესრულება არაა მარტივი იმდენად, რამდენადაც ისტორიული განათლების ე.წ. „შემრიგებლური“ როლი წესით უნდა ეფუძნებოდეს იმ სამშვიდობო და შერიგებაზე მიმართულ პოლიტიკას, რომელიც აქტიური ტრანსფორმაციის, საზოგადოებებს შორის ნდობის აღდგენის მასშტაბური პროცესის ნაწილია. გაყინული კონფლიქტების პირობებში, სადაც არ არსებობს მხარეებს (მხარეების წარმომადგენლებს, დიპლომატებსა და სხვა მაღალი დონის ფიგურებს) შორის დიალოგი, სადაც არ მიდის აქტიური დებატები წარსულზე, იქ რთულია ვისაუბროთ სასკოლო განათლებაში ფუნდამენტურად ახალი ტიპის სწავლების დანერგვაზე, რომელიც კონფლიქტის გააზრებას და გადააზრებას შეუწყობდა ხელს ახალ თაობაში. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, რომ დამატებითი სახელმძღვანელოს შექმნის პირველადი მცდელობა, რომელიც პედაგოგსა და მოსწავლეს შეუქმნის მეტ-ნაკლებად ნათელ წარმოდგენას ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური საერთო ისტორიის შესახებ, წინ გადადგმული ნაბიჯია იმ ტრანსფორმაციული პროცესისთვის, რომელიც ადრე თუ გვიან გარდაუვლად დადგება ქართული, აფხაზური და ოსური საზოგადოებების წინაშე.

პროექტის გუნდი მადლობას უხდის მათ მიერ გაწეული დაუღალავი შრომისა და ნებისყოფისთვის თითოეულ ავტორს, აგრეთვე სამეცნიერო რედაქტორს, გამოცემის რედაქტორს, ილუსტრატორსა და ყველა იმ ადამიანს, რომელმაც მცირედით მაინც მიიღო ამ სახელმძღვანელოს შექმნაში მონაწილეობა. აგრეთვე მადლიერებას გამოვხატავთ გერმანიის მთავრობის, გერმანიის საგარეო ურთიერთობათა ინსტიტუტისა (IFA) და მისი გუნდის მიმართ, რომლის მხარდაჭერისა და ნდობის გარეშე წინამდებარე პედაგოგთა დამხმარე სახელმძღვანელო ვერ იხილავდა დღის შუქს.

From the project coordinator

It has been almost 30 years since the armed confrontation with Abkhazia and Tskhinvali regions. The ethnopolitical conflicts that emerged in the 1990s are now viewed as frozen. Unfortunately, history has not been properly assessed, analyzed and re-evaluated for the past 30 years. It may be explained by the lack of political will or the fact that 30 years is not a long time from the historical perspective, therefore there is still no readiness to establish objective facts.

The views differ and they are susceptible to changes over time, as there is no public consensus about the events. Nowadays, the dominant public discourse in the media and politics proves to be contradictory. On the one hand, the declared state policy implies the idea of reconciliation of Georgian, Abkhaz and Ossetian people and their harmonious coexistence in a single state, but, on the on the other hand, the same dominant political discourse is increasingly shaping these conflicts around the core Russia-Georgian conflict. Disregard of the ethnopolitical aspects translates into difficulties in terms of pinning down the causes of the conflict, demonstrating diverging positions of the parties of the conflict, as well as, retrospective analysis of the conflicts. Based on the logic of dealing with one overarching conflict with Russia, the position of the Abkhaz and Ossetian people are removed from the political arena and there is only Russia viewed as the source of the conflict. Moreover, there is almost no relatively in-depth academic or historical research and the academic realm of conflict research and analysis is poorly covered. The new generation, born in the post-conflict period, knows very little of the history of the Abkhaz and Ossetian people, culture, genesis or their present state. The society is unfamiliar with the situation in Abkhazia and Tskhinvali regions, the way communities live there, as well as their political, social and cultural features. The fact that aside from few civil dialogue formats, Georgian society has almost no connection with its Abkhaz and Ossetian compatriots, further consolidates the current state of affairs.

The above can also be viewed as a reflection of the school education. The way these episodes of recent history are taught in schools and how they are conveyed in history textbooks is crucial, because education and textbooks can either bring Georgian-Abkhaz and Georgian-Ossetian communities closer together or pull them apart. In 2019 "Caucasus House" launched a study and reviewed school textbooks for grades from 7 to 12. It used the methodology of critical discourse analysis and there were group interviews conducted with school history teachers in order to learn about their teaching experiences and perspectives. The study revealed the following:

- The conflict related content in the textbooks is rather limited and fragmented;
- Those fragments related to conflicts do not provide a complete picture of the conflicts and they are more inclined to show only one-sided perspective of the conflict;
- There is limited overview of the causes of the conflict and little incentive for conflict analysis;

- The social and economic aspects of the conflict are not adequately covered;
- The ethnic aspected of the conflict is mainly viewed as a tool used by the third force – Russia.
- While encouraging analytical thinking and critical understanding, textbooks still push the student towards the predetermined thinking process.
- The teacher cannot fully rely on the meager content of the textbooks, therefore it leaves a lot of space for subjective interpretations of the content.

Based on the results of the aforementioned research, "Caucasus House" team decided to create additional resources for school education that would facilitate peaceful transformation of conflicts through the use of school education.

The task is complex since the "conciliatory" role of historical education should be based on a policy of peace and reconciliation as part of the large processes of active transformation and confidence-building between the communities. In the reality of frozen conflicts, where there is no dialogue between the parties (representatives of the parties, diplomats and other high-ranking officials) or active debates about the past, it is hard to introduce a fundamentally new method of teaching on the level of school education which would facilitate understanding and re-evaluation of the conflicts among the new generation.

Nevertheless, we believe that the initial attempt to create an additional textbook providing the teacher and the student with a somewhat clear idea about the common Georgian-Abkhaz and Georgian-Ossetian history, is a step forward in the transformation process that Georgian, Abkhaz and Ossetian communities will eventually embark upon.

The project team would like to express gratitude to each and every author for their tremendous work and willpower, as well as the Research Editor, the Editor-in-Chief, the Illustrator, and all of those who contributed to the creation of this handbook. We are also grateful to the German government, the German Institute for Foreign Affairs (IFA) and its team. If it were not for their support and trust this handbook for teachers would never see the light of day.

სამეცნიერო რედაქტორისა და მეთოდისტისგან

მასწავლებლებისთვის განკუთვნილი დამხმარე სახელმძღვანელო ინოვაციურია რამდენიმე ფაქტორის გამო. პირველ რიგში, ეს არის მცდელობა, დარგის სპეციალისტებმა პედაგოგებსა და მოსწავლეებს შესთავაზონ აკადემიური კუთხით, შინაარსობრივ დონეზე სასკოლო განათლებაში არსებული ხარვეზების ამოვსება, რომელიც ა) ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ისტორიულ პერსპექტივაში გააზრებისა და ბ) ზოგადად, აფხაზი და ოსი ხალხების კულტურულ-მსოფლმხედველობრივი, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების მწყობრი, რეტროსპექტული აღქმის მიმართულებით არსებობს.

რესურსის შემქმნელი ჯგუფი გარკვეულ ხარვეზად მიიჩნევდა საზოგადოებრივ დისკურსში, სამეცნიერო წრეებსა და სასკოლო სახელმძღვანელოებში ქართულ-აფხაზურ-ოსური თანაცხოვრებისა და კონფლიქტის წინააღმდეგობრივ გააზრებასა და ცალმხრივ შეფასებებს. თუმცა რესურსის შექმნისას წინააღმდეგობრივ ინტერპრეტაციებს ვერც ჩვენ ავუარეთ გვერდი. მიუხედავად ამისა, საჭიროდ მივიჩნევთ, რომ წარმოდგენილ პუბლიკაციაში ასახული იყოს მრავალპერსპექტიული და კონფლიქტ-სენსიტიური მიდგომა, რაც ქართული საზოგადოებისთვის მგრძნობიარე ზოგიერთი საკითხის ირგვლივ თავად ავტორების განსხვავებულ პოზიციებსა და სამეცნიერო შეფასებებში იკითხება.

საგულისხმოა და დამატებით ღირებულებას სძენს დამხმარე სახელმძღვანელოს ისიც, რომ მისი შინაარსი იძლევა არჩევითი კურსების ფორმირების საშუალებასაც, რომელიც დიფერენცირებული სწავლების შემთხვევაში, მოსწავლეთა ინტერესების შესაბამის, კონკრეტულ სფეროს/საკითხს/მოვლენას დაეფუძნება.

სახელმძღვანელოს ინოვაციურობას განაპირობებს მეთოდოლოგიური ქარგაც, კერძოდ ის, რომ თანამედროვე აკადემიური ინფორმაციის შემცველი რესურსი დაფუძნებულია და შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის ზოგად და საგნობრივ ფუნდამენტურ პრინციპებთან; შინაარსითა და ფორმატით ორიენტირებულია კონფლიქტების მშვიდობიან ტრანსფორმაციაზე სასკოლო განათლების გამოყენების გზით; ასევე შეესაბამება თანამედროვე სასკოლო პრაქტიკისთვის მნიშვნელოვან ცნებებზე დაფუძნებულ პედაგოგიკას; შეიცავს საგნის სწავლების აუცილებელ კომპონენტებსა და მეთოდიკურ ინსტრუმენტებს, რაც პედაგოგებისთვის (ისტორიის, სამოქალაქო განათლების) აკადემიური ცოდნის სასკოლო პრაქტიკაში ეფექტურად გადმოტანის წინაპირობაა. შესაბამისად, ვიმედოვნებთ, რომ წარმოდგენილი სამეცნიერო ღირებულების შემცველი შინაარსი, მკვიდრი წარმოდგენები და საკვანძო შეკითხვები (სასკოლო პრაქტიკაში: გრძელვადიანი სასწავლო მიზანი და ინტერესის გამომწვევი ორიენტირი) ეფექტურად შეიძლება გამოიყენოს სკოლის პედაგოგმა, რათა ცოდნის გადაცემის პროცესში შეძლოს მოსწავლეს შეუქმნას შედარებით სრულყოფილი წარმოდგენა საუკუნეების მანძილზე ქართულ-აფხაზურ თუ ქართულ-ოსურ ურთიერთობებსა და დღეს არსებულ ეთნოპოლიტიკურ კონფლიქტებზე, მათ მიზეზებსა და გადაჭრის სამომავლო გზებზე.

თავი 1.

ნაციონალიზმი, როგორც პოლიტიკური დოქტრინა და იდეოლოგია

ნუკრი (ნოდარ) შოშიაშვილი

საკვანძო შეკითხვები:

- რაც ვიცით, საიდან ვიცით ნაციონალიზმის შესახებ?
- რატომ არის სხვადასხვა ეტაპზე ნაციონალიზმის სხვადასხვა ტიპი მისაღები ამა თუ იმ ქვეყნისათვის?
- როგორი სახელმწიფოსთვის არის სამოქალაქო ნაციონალიზმის იდეა უფრო მისაღები, ვიდრე ეთნიკური ნაციონალიზმის?
- რატომ გაჩნდა იდეოლოგიური საზოგადოება?
- რატომ უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისგან ნაციონალიზმისა და პატრიოტიზმის გაგება?

§1. როგორ ყალიბდებოდა თანამედროვე საზოგადოება

ადამიანებისა და საზოგადოების ცხოვრებას განსაზღვრავს მთელი რიგი ისტორიული პროცესებისა, მათ შორის ისიც, თუ როგორ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ სისტემებში უწევთ ცხოვრება. შესაბამისად, ხშირად სხვადასხვა სოციალურ და პოლიტიკურ სისტემაში მცხოვრები ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავებულნი არიან; მაგალითად, საზოგადოება, რომელიც ცხოვრობს ფეოდალურ სისტემაში, განსხვავებულია ქალაქ-სახელმწიფოში მცხოვრები საზოგადოებისგან, ქალაქ-სახელმწიფოში მცხოვრები საზოგადოება კი განსხვავებულია მომთაბარე ურდოებისგან. შორეულ წარსულში რომ არ წავიდეთ, თანამედროვე კორეის მაგალითზეც ვხედავთ, განსხვავებულმა პოლიტიკურმა სისტემებმა ერთ ერში როგორ შეიძლება ჩამოაყალიბოს ორი განსხვავებული საზოგადოება: ჩრდილოეთ კორეაში – ტოტალიტარული და მილიტარიზებული, ხოლო სამხრეთ კორეაში – სამოქალაქო საზოგადოება. შესაბამისად, ერთი და იგივე ხალხი ან ერი ისტორიის განმავლობაში შეიძლება მრავალჯერ შეიცვალოს.

ნაციონალიზმის აღიარებული მკვლევარი **ერნესტ გელნერი** მიიჩნევს, რომ საზოგადოება, განვითარების მიხედვით, ტიპოლოგიურად სამ პერიოდად იყოფა:

1) **პრეაგრარული** – საზოგადოება, რომელმაც ჯერ არ იცის მიწათმოქმედება, ცხოვრობს ნადირობითა და შემგროვებლობით;
2) **აგრარული** – საზოგადოება, რომელმაც დაიწყო მიწათმოქმედება;
3) **ინდუსტრიული** – საზოგადოება, რომელიც მაღალორგანიზებულია, აქვს წარმოებისა და ტექნოლოგიის მაღალი დონე.



ერნესტ გელნერი
1925-1995
ბრიტანელ-ჩეხი ფილოსოფოსი და სოციოლოგიის ანთროპოლოგი

ე. გელნერის აზრით, ნაციონალიზმი ჩნდება ინდუსტრიულ საზოგადოებაში, რადგან ინდუსტრიული საზოგადოება შლის ჩაკეტილ, ტრადიციულ აგრარულ საზოგადოებას, რომელიც, მაგალითად, ტიპური იყო შუა საუკუნეების ევროპისთვის. აგრარულ საზოგადოებაში ადამიანები თაობებით ერთსა და იმავე ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, მისდევდნენ ერთსა და იმავე პროფესიას და, რაც მთავარია, ხშირად მათი ლოიალობა და იდენტობა დამოკიდებული იყო არა მთლიანად სამეფოზე ან „ერზე“, არამედ მათ ფეოდალსა და მათ კუთხეზე, რადგან შუა საუკუნეებში ადამიანი აღიქმებოდა არა როგორც კონკრეტული ერის შვილი ან მოქალაქე, არამედ როგორც კონკრეტული ფეოდალის ქვეშევრდომი. სწორედ ამით აიხსნება, რატომ იყო ესოდენ ძლიერი ფეოდალური სეპარატიზმი.

გვიანი შუა საუკუნეებიდან მოყოლებული და შემდეგ პერიოდებში, როდესაც მოსახლეობის რაოდენობა იზრდება და ტექნოლოგიებიც ვითარდება, გაზრდილი მოსახლეობის საჭიროებების დაკმაყოფილება აგრარულ ეკონომიკას სოფლად უკვე აღარ შეუძლია. იწყება ურბანიზაცია და ინდუსტრიალიზაცია, ქალაქებში თავს იყრის სხვადასხვა რეგიონის ხალხი; თავის სარჩენად და უკეთესი ცხოვრების საძებნელად ისინი იძულებულნი არიან ქალაქს მიაშურონ; ეს ადამიანები უკვე მოწყვეტილნი არიან საკუთარი წინაპრების საცხოვრებელს და ბუნებრივ, საგვარეულო-სანათესაო იდენტობას. ქალაქში თავმოყრილი ადამიანები უცხონი არიან ერთმანეთისთვის, სხვადასხვა დიალექტზე საუბრობენ, სხვადასხვა ტრადიცია და წარმოდგენები აქვთ, მაგრამ იძულებულნი არიან ერთად, ერთ ქალაქში იცხოვრონ და უჩნდებათ მოთხოვნილება საერთო ღირებულებებისა და იდენტობის შექმნისა. პარალელურად, რენესანსის პერიოდიდან მოყოლებული, მთელი ახალი დროის განმავლობაში, განუხრელად იზრდება საერო განათლების მქონე ადამიანთა რიცხვი,

რადგან ინდუსტრიასა და მაღალ ტექნოლოგიებთან ურთიერთობა მოითხოვს ცოდნის მაღალ დონეს. ამისი უზრუნველყოფა კი განათლების ძველ სისტემას, რომელიც განსხვავებული იყო სხვადასხვა სოციალური ფენებისთვის, აღარ შეუძლია.



ბენედიქტ ანდერსონი

1936-2015

ინგლისელი პოლიტოლოგი და სოციოლოგი

ნაციონალიზმის მეორე მკვლევარი – **ბენედიქტ ანდერსონი** მიიჩნევს, რომ ნაციონალიზმისა და ეროვნული იდენტობის შექმნაში გადამწყვეტი როლი ითამაშა **იოჰან გუტენბერგის** მიერ შექმნილმა სტამბამ, რადგან გუტენბერგის ამ გამოგონების შემდეგ ადამიანებს ერთნაირი, სტანდარტული ინფორმაცია მიეწოდებოდათ; საყოველთაო განათლებამ კი გამოიწვია ის, რომ სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ადამიანებს გაუჩნდათ ერთნაირი წარმოდგენები და ერთმანეთის მიმართ ლოიალობის განცდა. ამას გარდა, გაჩნდა მასობრივი პრესა; ერთნაირი ინფორმაციის მიღებამ კი საზოგადოების სხვადასხვა ფენის ღირებულებების, აზროვნების ფორმებისა და ა. შ. მეტ-ნაკლებად გაერთგვაროვნება გამოიწვია. თუკი, მაგალითად, ფეოდალურ ეპოქაში არისტოკრატიას გლეხობისა და ვაჭართა ფენისაგან აბსოლუტურად განსხვავებული ღირებულებები, ფასეულობები და, ხშირად, სხვა სალაპარაკო ენაც კი ჰქონდა, ინდუსტრიულ პერიოდში მოქალაქეებს უკვე მეტ-ნაკლებად ერთნაირი განათლება, ღირებულებები და სტანდარტული ენა უნდა ჰქონოდათ. ამისათვის კი საჭირო იყო გარკვეული წინა პირობები, რომელიც რენესანსმა და აბსოლუტიზმის ეპოქებმა შექმნეს, კერძოდ, ენის სტანდარტიზაცია, რაც, მაგალითად, აბსოლუტიზმის ბიუროკრატიისთვის იყო დამახასიათებელი და მეტწილად ეროვნულმა სახელმწიფომ. სწორედ ამიტომ, ჯერ კიდევ XVI საუკუნიდან ევროპულ ქვეყნებში მასობრივად იწყება „გრამატიკების“ შექმნა; პარალელურად იქმნება საერთო ეროვნული ისტორია. თუკი აქამდე, შუა საუკუნეებში, მემატიანენი, ძირითადად, მეფე-მთავრების ცხოვრებისა და ომების ამბებს აღწერდნენ, ამიერიდან დაიწყეს ერის ისტორიის თხრობა. ამ პროცესმა გამოიწვია ის, რომ თუ უწინ ადამიანი ისტორიას აღიქვამდა, როგორც თავისი გვარის, თემის ან მხარის შესახებ არსებულ ამბებს, ამჯერად მისთვის ისტორია გახდა საერთო ეროვნული თავგადასავალი. ამ პროცესების შედეგად გაჩნდა ახალი ტიპის, „მოდერნული“ ანუ თანამედროვე საზოგადოება, რომელიც ახალი დროის – XVI-XIX საუკუნეების პროდუქტია.



იოჰან გუტენბერგი

1406-1468

გერმანელი გამომგონებელი, ევროპის პირველი მესტამბე

§ 2. მოდერნული საზოგადოება

თანამედროვე საზოგადოება, რომელსაც მეცნიერები ხშირად **„მოდერნულ“** საზოგადოებას უწოდებენ, რადიკალურად განსხვავდება წინამორბედი საზოგადოებებისგან. მოდერნული საზოგადოება იდეოლოგიზირებული საზოგადოებაა. საზოგადოება ყოველთვის როდი იყო ამგვარი. იდეოლოგიის მკვლევრის, **კარლ მანჰეიმის** თანახმად, შუა საუკუნეების ეპოქაში საზოგადოების იდეოლოგიზაცია შეუძლებელი იყო; მართალია, არსებობდა ერთიანი რელიგიური რწმენა, მაგრამ ეს რწმენა, ხშირ შემთხვევაში, ვერ ქმნიდა სამყაროს ერთიან იდეოლოგიურ აღქმას, რადგან ერთი და იგივე რელიგია სხვადასხვაგვარად აღიქმებოდა გლეხების, ხელოვანების, ვაჭრების, დიდებულებისა და ინტელიგენციის მიერ. საზოგადოებაში, სადაც ჩაკეტილი კასტები ან წოდებებია, სადაც ერთი სოციალური ფენიდან მეორეში გადასვლა პრაქტიკულად შეუძლებელია, სამყაროს შესახებ ერთმანეთისგან იზოლირებული წარმოდგენები იქმნება; ან კიდევ, თუ ეს კასტები იმავე რელიგიას აღიარებენ, მათი რწმენა მაინც სხვადასხვანაირად ინტერპრეტირდება კასტების ან წოდებების ცხოვრებისეული გამოცდილებიდან; მსგავსი „კასტური“ აზროვნება არ აერთიანებს მათ საერთო ინტელექტით, საერთო იდეოლოგიით.

კარლ მანჰეიმი
1893-1947
გერმანელი სოციოლოგი და ფილოსოფოსი

იდეოლოგიის ცნება საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ პერიოდში შეიქმნა. ვინაიდან საფრანგეთის რევოლუციამ ეკლესია სახელმწიფოსგან გამოყო და უარყო პოლიტიკის რელიგიურ იდეებზე დამყარების ტრადიცია; საჭირო გახდა რელიგიური მსოფლმხედველობა შეცვლილიყო რაღაც სხვა მოძღვრებით, რომელიც იმავე ფუნქციას შეასრულებდა, ოღონდ, ახალი დროის შესაბამისად, და ორიენტირება ექნებოდა რაციონალიზმსა და მეცნიერებაზე.

XVIII-XIX საუკუნეებში, როდესაც იწყება საზოგადოების გაერთგვაროვნება ანუ ჰომოგენიზაცია და დემოკრატიზაციის პროცესი, ამგვარი საზოგადოება იწყებს პოლიტიკურ ბრძოლას, რევოლუციებს, ახალი სოციალურ-პოლიტიკური სისტემების შექმნისთვის და უკვე აქტიურად ჩნდება იდეოლოგიზირებული მასობრივი საზოგადოებებიც.

იდეოლოგიების ჩამოყალიბება XVIII-XIX საუკუნეებიდან დაიწყო, რის შედეგადაც სამი ტიპის იდეოლოგია მივიღეთ:

- ყველაზე ადრე ყალიბდება **ლიბერალიზმი,** რომელიც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მიმდინარეობაა მთელი თავისი მრავალფეროვნებით;
- მეორე იდეოლოგია არის **სოციალიზმი.** მისი მიმდინარეობებია: უტოპიური სოციალიზმი, მარქსიზმი, კომუნიზმი, სოციალ-დემოკრატია; სოციალიზმი, ძირითადად, მუშებისა და მშრომელების იდეოლოგია გახდა;
- მესამე იდეოლოგიაა **ნაციონალიზმი** – დაწყებული ე.წ. „მესამე გზით“ და დამთავრებული ნაციონალ-სოციალიზმითა და ფაშიზმით.

თითოეული ამ მიმდინარეობის შიგნით არსებობს მრავალი ქვემიმდინარეობა და ხშირად ვხვდებით შერეულ იდეოლოგიებსაც. როგორც არაერთი მკვლევარი მიიჩნევს [6, 42], იდეოლოგია არ არის მეცნიერება, რომლითაც ადამიანები შეძლებენ სამყაროს ობიექტურ აღქმას. **იდეოლოგია** – ესაა ამა თუ იმ სოციალური ფენის ცნობიერებისა და პოლიტიკური პროექტების გამომხატველ შეხედულებათა სისტემა. მაგალითად, მუშები საკუთარ პოლიტიკურ ინტერესებს სოციალიზმის რომელიმე მიმდინარეობის მეშვეობით გამოხატავდნენ; სავაჭრო-საფინანსო კაპიტალის ან არტისტული წრეების წარმომადგენლები – ხშირად ლიბერალიზმის მეშვეობით; ხოლო სხვადასხვა

ტრადიციისა და ტრადიციული სოციალური წესრიგის მიმდევარი ხალხი – ხშირად ნაციონალიზმის ან კონსერვატიზმის იდეოლოგიით.

მთელი XIX-XX საუკუნეების ისტორია სხვადასხვა იდეოლოგიის მასობრივი საზოგადოებების ასპარეზის ავანსცენა იყო. ყველა მათგანი ცდილობდა, საკუთარი პოლიტიკური პროექტი განეხორციელებინა.

§ 3. რა არის ნაციონალიზმი?

ამ შეკითხვაზე სხვადასხვა პასუხი არსებობს, თუმცა ყველა თანხმდება იმაზე, რომ ნაციონალიზმი, პირველ რიგში, პოლიტიკურ-იდეოლოგიური მოვლენაა. **ნაციონალიზმის იდეოლოგია** – ესაა შეხედულებათა სისტემა, რომელიც დაფუძნებულია იდეაზე, რომ ეროვნული და სახელმწიფოებრივი პოლიტიკა ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს. შესაბამისად, ნაციონალიზმი არის პოლიტიკური იდეოლოგია, რადგან მიზანი, რომელსაც ის ემსახურება, ატარებს პოლიტიკურ ხასიათს. თუმცა პოლიტიკურის გარდა, ნაციონალიზმს კიდევ ერთი – ფსიქო-ემოციური განზომილება აქვს.*

თუკი ისეთი იდეოლოგიები, როგორიცაა ლიბერალიზმი, სოციალიზმი ან კონსერვატიზმი, წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული იდეებისა და ღირებულებების კომპლექსს, ნაციონალიზმი შეიძლება, სულაც არ იყოს დაფუძნებული თეორიულ კონცეფციაზე, არამედ, შესაძლებელია, ემყარებოდეს საკუთარი ერისადმი გამძაფრებული ლოიალობის შეგრძნებას, ან კიდევ – სხვა ერის ან ერების სიძულვილს. შესაბამისად, ის ერთ თეორიულ ჩარჩოში არ თავსდება, რადგან ყველა სახისა და ყველა ერის ნაციონალიზმი რაღაცით განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაგალითად, 1930-იანი წლების გერმანული ნაციონალიზმისათვის დამახასიათებელი იყო **რასიზმი**[**]; ხოლო, მაგალითად, 1840-60-იანი წლების იტალიური ნაციონალიზმი, რომელსაც არ ახასიათებდა რასიზმი, დაფუძნებული იყო ერთ სახელმწიფოდ საკუთარი ერის გაერთიანების იდეაზე. შესაბამისად, ნაციონალიზმი ხშირ შემთხვევაში უფრო პოლიტიკური დოქტრინაა, ვიდრე მკაფიოდ ჩამოყალიბებული იდეებისა და ღირებულებების ერთობლიობა. სწორედ ამიტომ, ხშირად დაბნეულობას იწვევს, ვთქვათ, „ამერიკული ნაციონალიზმის“, „რუსული ნაციონალიზმის“, „იუგოსლავიური ნაციონალიზმისა“ თუ „ქართული ნაციონალიზმის“ განსხვავებულობა. თუკი გამოვყოფთ ნაციონალიზმის სხვადასხვა ფორმას, შეგვიძლია, ვისაუბროთ ნაციონალიზმის ოთხ ძირითად მიმართულებაზე [5, 44-65]:

1) ნაციონალიზმი, როგორც **იდეოლოგია სახელმწიფოს შექმნისა** (state-building); ნაციონალიზმი აქ ახალი სახელმწიფოს შემქმნელ როლს ასრულებს. ასეთი მოძრაობა იყო იტალიაში „რისორჯიმენტო“, რომელიც 1861 წელს იტალიის შექმნით დასრულდა, და პრუსიის მიერ გერმანიის გაერთიანება – 1871 წელს;

2) ნაციონალიზმი, როგორც **იდეოლოგია სოციალური ინტეგრაციისა** (nation-building); ამ შემთხვევაში სახელმწიფო არსებობს, მაგრამ ჯერ არ არსებობს ერთიანი ნაციონალური ბირთვი და იწყება ჰომოგენური კულტურის შექმნა, ერთ ერად ჩამოყალიბება და ერი-სახელმწიფოს ფორმირება. ნაციონალიზმის ამ ფორმის გამოვლინება იყო იაპონია XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, თურქეთი მუსტაფა ქემალის დროს, ასევე ეგვიპტე, ირანი, ჩინეთი 1920-30-იან წლებში;

3) ნაციონალიზმი, როგორც **ანტიკოლონიალური იდეოლოგია**; ამ შემთხვევაში ნაციონალიზმი წარმოჩინდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სახით, რის

---

* მაგალითად, შეგვიძლია, მივიჩნიოთ სხვადასხვა სპორტულ ტურნირებში მთელი გულით როგორ ვგულშემატკივრობთ საკუთარ ეროვნულ ნაკრებს – როგორ გვიხარია, როდესაც ფეხბურთში ჩვენი ეროვნული ნაკრები იმარჯვებს და როგორ გვწყდება გული, როდესაც მარცხდება. ეს განცდა დაკავშირებულია ნაციონალიზმთან.

** წარმოდგენა, რომ ერთი რასის წარმომადგენლები აღმატებულნი არიან მეორე რასის წარმომადგენლებზე.

მაგალითადაც გამოდგება თერგდალეულთა მოძრაობა და პოლონელთა წინააღმდეგობა XIX საუკუნის რუსეთის იმპერიაში. თავის დროზე ვ. ლენინმა გამოყო ნაციონალიზმის ორი ფორმა: ე.წ. „შოვინისტურ-დერჟავული“ და პროგრესულ-განმათავისუფლებელი. ამ უკანასკნელთან ასოცირდება აზიისა და აფრიკის კონტინენტზე უამრავი მემარცხენე-განმათავისუფლებელი მოძრაობა ევროპული იმპერიალიზმის წინააღმდეგ; თუმცა, რა თქმა უნდა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა არ არის მხოლოდ მემარცხენე მოძრაობა, ის მემარჯვენე მოძრაობებშიც გვხვდება, როგორც, მაგალითად, პოლონეთში იყო 1920-იან წლებში. ამ იდეოლოგიის მთავარი მიზანია ბრძოლა დამპყრობლის წინააღმდეგ და მისგან დამოუკიდებლობის მოპოვება.

4) ნაციონალიზმი, როგორც **ეთნიკური სეპარატიზმის** იდეოლოგია (სეცესიონიზმი); ასეთი იდეოლოგიები მრავლადაა როგორც კავკასიაში (აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მაგალითზე), ისე მსოფლიოს სხვა კუთხეებში, მაგალითად, ესპანეთში, კატალონიის სახით.

ნაციონალიზმის ზემოჩამოთვლილი მიმართულებების გარდა, არსებობს აგრეთვე, მართალია, პოლიტიკურად ჯერ კიდევ არარეალიზებული, მაგრამ **პანეთნიკური*** მოძრაობები, როგორიცაა, მაგალითად, პანსლავიზმი, პანთურქიზმი, პანარაბიზმი, სიონიზმი და ა.შ.

როგორც ვნახეთ, ტერმინი „ნაციონალიზმი“ თავისი არსით საკმაოდ მრავალგვარი შინაარსის შემცველია და მისი ხსენებისას ხშირ შემთხვევაში ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ მოვლენებთან გვაქვს საქმე, მაგრამ ყველა სახის ნაციონალიზმს აქვს ერთი საერთო რამ – რა ფორმითაც არ უნდა გვხვდებოდეს, ის არის პოლიტიკური იდეოლოგია, რომლის მთავარი ქვაკუთხედი „ერია“.

§ 4. ერი

თითოეული ჩვენგანი თავს ვთვლით რომელიმე კონკრეტული ერის წარმომადგენლად და ასეთად განვიხილავთ ნებისმიერ სხვა ადამიანსაც. ჩვენთვის, თანამედროვე ადამიანებისთვის, ეს საკმაოდ ბუნებრივი მდგომარეობაა. თუმცა კაცობრიობის ისტორია ერთობ ცვალებადი და საინტერესო რამ არის – ბევრი რამ, რაც დღეს ბუნებრივად გვეჩვენება, ადრე სრულიად განსხვავებულად აღიქმებოდა. მათ შორის, ეს ეხება „ერზე“ წარმოდგენებსაც.

ა) „ერის“ გააზრება ანტიკურ ეპოქასა და შუა საუკუნეებში

ერთან დაკავშირებული ტერმინები უძველესი დროიდანვე გვხვდება. მაგალითად, ძველ საბერძნეთში იყენებდნენ ტერმინს – ethne – **ეთნოსი**, ხოლო რომში – natio – **ნაციას**. თუმცა ამ სიტყვებს ძველ საბერძნეთსა და რომში აბსოლუტურად განსხვავებული შინაარსი ჰქონდა, ვიდრე დღეს აქვს. ძველმა ბერძენმა ფილოსოფოსმა არისტოტელემ თავის წიგნში „პოლიტიკა“ დასვა შეკითხვა – რა ქმნიდა **პოლისს** (ქალაქ-სახელმწიფოს), რაზედაც თავადვე გასცა პასუხი. არისტოტელეს აზრით, პოლისს ქმნიდა საზოგადოება, რომელიც შედგებოდა ცივილიზებული მოქალაქეებისგან და არა – ეთნოსისგან. პოლისს ქმნიან მაღალი კულტურის მატარებელი თავისუფალი ადამიანები, რომელთაც გააჩნიათ საერთო პასუხისმგებლობა. ეთნოსზე აგებული საზოგადოებები კი, ძველი ბერძნების აზრით, იყო ბარბაროსული საზოგადოებები, რომლებსაც ჯერ არ გააჩნდათ სამართალი, თავისუფლება და საერთო პასუხისმგებლობა, რაც ცივილიზებული ადამიანისთვის იყო საჭირო. ძველ რომაელებს ჰქონდათ ტერმინი – civitas (კივიტას) – **სამოქალაქო საზოგადოება** ანუ ცივილიზებული ადამიანი, ხოლო სიტყვას – natio (ნაცია) – ისინი, ისევე როგორც ბერძნები, უკავშირებდნენ ბარბაროსებს. ნაციასა და ეთნოსს ძველი ბერძნები და რომაელები უპირისპირებდნენ **დემოსისა**

* მისი მიზანია სხვადასხვა სახელმწიფოში მცხოვრები ერთი და იგივე წარმომავლობის ხალხების გაერთიანება.

(აქედან – სიტყვა „დემოკრატია“) და **პოპულუსის** ცნებებს, რაც ნიშნავდა ხალხს, რომლებიც ცივილიზაციური ღირებულებებით იყვნენ გაერთიანებულნი და არა – წარმომავლობით. ანტიკურობაში მიიჩნეოდა, რომ Ethne (ეთნოსი) და Natio (ნაცია) არის ჯერ დაუმუშავებელი მასალა, რომლის გაცივილურება შესაძლებელია [12].

მოგვიანებით, უკვე ადრეულ ქრისტიანულ ეპოქაში, რომაული წარმოდგენების გავლენით, მაგალითად, ნეტარი ავგუსტინეს მიხედვით, ქრისტიანებს უწოდებდნენ „Populus christianus“ (ქრისტეს ხალხი) და „Populus Deis“ (ღვთის ხალხი), ხოლო Natio-თი (ნაცია) მოიხსენიებდნენ წარმართებს, არაქრისტიანებს. ქრისტიანული სწავლების მიხედვით, ქრისტიანები, განურჩევლად მათი წარმომავლობისა, იყვნენ სულიერი ძმები და დები. თუმცა მოგვიანებით, როდესაც ქრისტიანულ სამყაროში ჩნდება სხვადასხვა ერესი: არიანელობა, მანიქევლობა, ნესტორიანელობა, მონოფიზიტობა და ა.შ., ამავე დროს, იქმნება სხვადასხვა ავტოკეფალიური ეკლესია, იწყება რელიგიური ცნობიერებისა და ერის ერთმანეთთან დაკავშირება. სანამ ქრისტიანობაში ჯერ არ იყო გაჩენილი ისეთი ბზარი, როგორიც მოგვიანებით გაჩნდა, კავკასიაში ქრისტიანებს საერთო ქრისტიანული ცნობიერება ჰქონდათ. მაგრამ, როდესაც 604-609 წლებში რელიგიურ საფუძველზე აქ ქალკედონიანებსა და მონოფიზიტებს შორის განხეთქილების შემდეგ, ქართული ეკლესია ქალკედონიტური (დიოფიზიტური), ხოლო სომხური ეკლესია მონოფიზიტური ხდება. შედეგად, იწყება საერთო ქრისტიანული ძმობისა და მგვანობის მოშლა და ჩამოყალიბებას იწყებს ეროვნული იდენტობები. ყველა ავტოკეფალიური ეკლესია ხელს უწყობდა ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებას, ამ პროცესს კიდევ უფრო აძლიერებდა ეროვნულ ენებზე საღმრთო წერილის თარგმნა.

ამას გარდა, მაგალითად, საქართველოში, X საუკუნეში, ქართველმა მწერალმა, მწიგნობარმა და სასულიერო მოღვაწემ გიორგი მერჩულემ თავის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ ჩამოაყალიბა ქართველთა ეროვნული მთლიანობის იდეა: „ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“ [1, 43], ანუ მოხდა ქართული ავტოკეფალური ეკლესიის მრევლისა და ქართველობის გაიგივება. ეს ცნობიერება მოგვიანებით უფრო გამყარდა, როდესაც მართლმადიდებლობა და ქართველობა თითქმის სინონიმურ ცნებებად აღიქმებოდა, ხოლო სხვა რელიგიის წარმომადგენელს, თუნდაც ის ეთნიკურად ქართველი ყოფილიყო, არ მიიჩნევდნენ ქართველად*; XV-XVIII საუკუნეების საქართველოში რელიგიური იდენტობა უფრო მნიშვნელოვანი ხდება, ვიდრე სხვა, თუნდაც ეთნიკური იდენტობა.

საერთო ქრისტიანული იდენტობის პარალელურად, შუა საუკუნეებში ეთნიკური იდენტობები მაინც არ კარგავდა მნიშვნელობას. მაგალითად, V-VI საუკუნეების ფრანკულ სამართლის ძეგლში, „სალიკურ სამართალში“, ნახსენებია, რომ ფრანკები განსაკუთრებული ხალხია და ისინი აღემატებიან სხვებს. მსგავსი „ეთნიკური შოვინიზმი“, რა თქმა უნდა, დამახასიათებელი იყო სხვადასხვა ხალხისთვის, მაგრამ იმ პერიოდში ის ითრგუნებოდა რელიგიური იდენტობებით. მაგალითად, ანგლოსაქსური სამეფოს – უესექსის მეფე ალფრედ დიდი (849-899 წწ.), რომელმაც თარგმნა ბიბლია ძველინგლისურ ენაზე, თავის კანონთა კრებულში გარკვეულწილად ეყრდნობოდა „ბიბლიურ ნაციონალიზმს“, და ამ იდეით დაუპირისპირდა წარმართ ნორმანებს. ამას გარდა, ცნობილი ფაქტია, რომ შუა საუკუნეების ევროპულ უნივერსიტეტებში გამოიყენებოდა ტერმინი natio (ნაცია); მაგალითად, პარიზის უნივერსიტეტში ამა თუ იმ ნაციის წარმომადგენლებად მოიხსენიებდნენ იმ კონკრეტულ pays-ში (ქვეყანაში) დაბადებულ სტუდენტებს, რომლებიც იმ ქვეყნის (პროვინციის) ენაზე საუბრობდნენ – იქ გვხვდებოდა ბრეტონელი, ლოთარინგიელი, ბურგუნდიელი „ნაციების“ წარმომადგენლები. ამ გაგებით, ნაცია ანუ ერი წარმოადგენდა არა თანამედროვე გაგებით ერს, არამედ აღნიშნავდა წარმომავლობას ამა თუ იმ პროვინციიდან, სადაც დამკვიდრებული იყო ესა თუ ის

* მაგალითად, მუსლიმ ქართველებს თათრებს უწოდებდნენ, ხოლო კათოლიკეებს – ფრანგებად მოიხსენიებდნენ.

დიალექტი და ამ პროვინციას გააჩნდა საკუთარი, განსხვავებული კანონები; ესე იგი, ნაცია ემთხვეოდა ეთნიკურობისა და კუთხურობის ცნებას.

XV-XVI საუკუნეებში აღმოსავლეთ ევროპაში „ერი“ ეწოდებოდა კონკრეტულ სოციალურ კლასს – ეს კლასი იყო მეომარი არისტოკრატია. „ერის“ ცნებაში არ მოიაზრებოდა გლეხობა ან ვაჭართა ფენა. როდესაც საუბრობდნენ, ვთქვათ, პოლონელ ერზე, იგულისხმებოდა პოლონელი მეომრები. საქართველოშიც მსგავსი ტენდენციები იყო. ქართული ენაში სიტყვა „ერი“ გამოიყენებოდა ლაშქრის აღსანიშნავად. შესაბამისად, ამ პერიოდიდან ტერმინმა „ერი“ შეიძინა პოლიტიკური წოდების შინაარსი – მხოლოდ მეომარ არისტოკრატიას შეეძლო, ეწოდებინა საკუთარი თავისთვის „ერი“.

ბ) „ერის“ თანამედროვე გააზრებები

საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციის დროს საზოგადოება სამ ძირითად წოდებად იყო დაყოფილი: სასულიერო პირები (პირველი წოდება), არისტოკრატია (მეორე წოდება) და მესამე წოდება, რომელიც შედგებოდა საშუალო შემოსავლების ან მდიდარი არაარისტოკრატიული წარმომავლობის ხალხისგან*, რომელსაც განათლება და პოლიტიკური ამბიციები ჰქონდა. საფრანგეთის რევოლუციის დროს სწორედ მესამე წოდებამ უწოდა საკუთარ თავს „ფრანგი ერი“, და სწორედ მესამე წოდება ანუ ფრანგი ერი იწყებს პოლიტიკის განხორციელებას **საზოგადოებრივი ნების – მოქალაქის ინტერესის** – იდეით. განმანათლებლობის ცნობილი თეორეტიკოსი აბატი სიესი ერს განსაზღვრავს შემდეგნაირად: „ერი – ესაა ყველა მოქალაქის ნება, რომელიც კანონის კონტროლითაა გამყარებული“. გლობალურად სწორედ საფრანგეთის რევოლუციიდან იღებს სათავეს კონსტიტუციის, როგორც ერის ნების გამოხატვისა და დემოკრატიის მთავარი პრინციპები. თუმცა უნდა ითქვას, რომ ყველას არ ჰქონდა სრული მოქალაქეობის უფლება. არჩევნებში მონაწილეობა განისაზღვრებოდა ქონებრივი ცენზით; ანუ ადამიანების დიდ ნაწილს, რომელსაც არ გააჩნდა საკმარისი შემოსავალი, ეს სამოქალაქო უფლება წართმეული ჰქონდა; საარჩევნო უფლება არც ქალებს ჰქონდათ. ცნობილი ფრანგი თეორეტიკოსი **ერნესტ რენანი** თავის ნაშრომში „რა არის ერი?“ წერდა, რომ **ერი არის „ყოველდღიური პლებისციტი“.** მან ჩამოაყალიბა ერის სამოქალაქო კონცეფცია. აქედან გაჩნდა ნაციონალიზმის ფრანგული მოდელი, რომლის მიხედვითაც, ერი არ არის საერთო წარმომავლობით გაერთიანებული ხალხის ერთობა, ერი არის საერთო სამოქალაქო ზრუნვა და პოლიტიკური ჩართულობა. ამ მოდელს უწოდებენ **სამოქალაქო ნაციონალიზმს.**

ერნესტ რენანი
1823-1892
ფრანგი ფილოსოფოსი და მწერალი, რელიგიის ისტორიკოსი და აღმოსავლეთმცოდნე

საფრანგეთის პარალელურად, გერმანიაში ჩნდება „ერის“ სულ სხვა გააზრება. მთავარი განსხვავება გერმანიასა და საფრანგეთს შორის მდგომარეობდა იმაში, რომ საფრანგეთის სახელმწიფო და ეთნიკურ-კულტურული საზღვრები ემთხვეოდა ერთმანეთს. საფრანგეთში, რომელმაც ჯერ კიდევ შუა საუკუნეების მიწურულს მოახერხა ერთიანი ფრანგული სახელმწიფოს შექმნა, შემდგომ პერიოდში ნაციონალური საკითხის განხილვისას პრიორიტეტული იყო უკვე სამოქალაქო-პოლიტიკური და არა ეთნიკურ-კულტურული საკითხები; მაშინ, როდესაც გერმანიაში, სანამ გერმანია გაერთიანდებოდა (1871 წ.), არსებობდა უამრავი საგრაფო, საჰერცოგო, ქალაქი-სახელმწიფო და ა.შ.; ანუ გერმანიაში ეთნიკური და კულტურული საზღვრები არ ემთხვეოდა სახელმწიფო საზღვრებს. ამიტომ გერმანიაში ერის კონცეფცია აბსოლუტურად განსხვავებულად გაიაზრეს. XIX საუკუნის გერმანელი მოაზროვნის **იოჰან გოტფრიდ ჰერდერის** მიხედვით, გერმანელი ერი არის კულტურული

* ვაჭრები, იურისტები, საბანკო-სავახშო კაპიტალის წარმომადგენლები, ინტელიგენციის გარკვეული ნაწილი და სხვა.

ერი ანუ ის ხალხი, ვისაც საერთო კულტურა და საერთო ენა აქვს. ამ კონცეფციით, თუკი ადამიანი ლაპარაკობდა, აზროვნებდა გერმანულად და იყო გერმანული კულტურის მატარებელი, ის ავტომატურად გერმანელი ერის წარმომადგენლად ითვლებოდა, მიუხედავად იმისა, რომელ სახელმწიფოში ცხოვრობდა. გერმანიაში სწორედ ამ კონცეფციაზე ჩამოყალიბდა **კულტურული ნაციონალიზმის** მოდელი.



იოჰან გოტფრიდ ჰერდერი

1744-1803

გერმანელი მოაზროვნე და ღვთისმეტყველი, კულტურის ისტორიკოსი და პოეტი, რელიგიის ისტორიკოსი და აღმოსავლეთმცოდნე

XIX საუკუნის შუა ხანებიდან რომანტიზმის გავლენით იწყება „ერის“ ცნების ხელახალი გააზრება და ამ პროცესში აქტიურად შემოდის ხალხურობის იდეა. თუკი აქამდე ფრანგებისთვის ერი იყო მესამე წოდება, ხოლო გერმანელებისთვის – გერმანული კულტურის მატარებელი ხალხი, რომანტიკოსებისთვის ერი არის ხალხი თავისი „შეურყეველი კულტურით“ – საკუთარი ლეგენდებით, ფოლკლორით, მითებით და ა.შ.; თუკი აქამდე მიჩნეული იყო, რომ კულტურა ელიტური საზოგადოების კუთვნილებაა, რომელთანაც დაბალი ფენების წარმომადგენლებს არაფერი ესაქმებათ, რომანტიკოსების გავლენით, სწორედ ხალხი ხდება კულტურისა და განსაკუთრებული სულიერი მდგომარეობის მატარებელი და მის ნაწილს წარმოადგენს ინტელექტუალიც და ყველა, ვინც მაღალ კულტურას ქმნის. შესაბამისად, ყოველი ინდივიდი, ამ თვალსაზრისით, გამოდის არა თავისი ინდივიდუალური ნიჭის გამომხატველი, არამედ საერთო-ხალხური, კოლექტიური სულის მატარებელი. რომანტიზმის აღორძინების პარალელურად, ინგლისელი ბუნებისმეტყველი **ჩარლზ დარვინი** 1859 წელს აქვეყნებს თავის ცნობილ ნაშრომს „სახეობათა წარმოშობა ბუნებრივი გადარჩევის გზით ანუ უკეთ შეგუებული ჯიშების გადარჩენა სიცოცხლისთვის ბრძოლაში“, სადაც მან ჩამოაყალიბა ევოლუციის თეორია. ევოლუციის თეორიისა და რომანტიზმის გავლენით კი ყალიბდება ახალი პოლიტიკური დოქტრინა – **პრიმორდიალიზმი**. პრიმორდიალისტები ერს აღიქვამენ ბუნებრივ, ბიოლოგიურ-ტერიტორიულ ფაქტორად. პრიმორდიალისტების მიხედვით, ეთნიკურობას საფუძვლად უდევს ადამიანთა პირველყოფილი სულიერი ერთობა, ხოლო ეთნიკურობა ადამიანის პიროვნების საწყისი, ფუნდამენტური თვისებაა, რომელიც არის უპირობო და არაა დამოკიდებული ისტორიულ, სოციალურ და ეკონომიკურ ფაქტორებზე. ერის პრიმორდიალისტურმა განმარტებამ ჩამოაყალიბა ეთნიკური ნაციონალიზმის პრინციპი; **ეთნიკური ნაციონალიზმის** იდეოლოგიაზე კი დაფუძნდა XX საუკუნის ორი პოლიტიკური რეჟიმი: გერმანიაში – ნაციონალ-სოციალიზმი და იტალიაში – ფაშიზმი.



ჩარლზ დარვინი

1809-1882

ინგლისელი ბუნებისმეტყველი და მოგზაური

XIX საუკუნის შუა ხანებიდან მოყოლებული, XX საუკუნეში ყალიბდება **ერის ფორმაციული მოდელი**, რომლის მიხედვით, ერი არის სოციალური ევოლუციის ერთ-ერთ ეტაპზე შექმნილი სოციალური ერთობა. ფორმაციული თეორიის შექმნაში უმნიშვნელოვანესი წვლილი მიუძღვის გერმანელ ფილოსოფოსს, **გეორგ ჰეგელს**. ამ კონცეფციის მიხედვით, საზოგადოება ვითარდება ევოლუციურად: ოჯახიდან – თემამდე, თემიდან – ტომამდე, ტომიდან – ხალხამდე, ხალხიდან – ერამდე; შესაბამისად, ერს აქვს ევოლუციური განვითარების გზა, რომელიც რაღაც ეტაპზე უნდა გარდაიქმნას უფრო განვითარებულ მოდელად – აქედან გაჩნდა

გეორგ ჰეგელი
1770-1831
გერმანელი ფილოსოფოსი

კოსმოპოლიტიზმისა* და **ინტერნაციონალიზმის**** იდეები. ეს იდეები საკმაოდ გავრცელებულია როგორც სოციალისტურ, ისე ლიბერალურ მიმდინარეობებში. შესაბამისად, ერის ფორმაციული იდეა ერს განიხილავს ისტორიული განვითარების ერთ-ერთ საფეხურად. ამიტომაც, მაგალითად, საბჭოთა კავშირში მიჩნეული იყო, რომ ხალხებს (ეთნოსებს) უნდა დახმარებოდნენ, რომ ერად ჩამოყალიბებულიყვნენ, რათა შემდეგ ისინი ევოლუციურად შეერთებოდნენ კოსმოპოლიტურ საზოგადოებას. აღნიშნული მოდელის მიხედვით, ერები შეიქმნა XIX საუკუნეში. მთელი XIX და XX საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა ცხარე დისკუსიები იმის შესახებ, თუ როდის შეიქმნა ერი. ეს დისკუსია საქართველოსაც შეეხო. მაგალითად, მარქსისტული ისტორიოგრაფია (სტალინი, ს. სოლოვიევი და სხვ.) მიიჩნევდა, რომ ქართველი ერი შეიქმნა XIX საუკუნეში, ხოლო ისტორიკოსთა მეორე ნაწილის (ივ. ჯავახიშვილი, შ. მესხია და სხვ.) აზრით, ქართველი ერის შექმნა დაკავშირებული იყო შორეულ წარსულთან.

ერის, როგორც ფენომენის, სხვადასხვა განსაზღვრებამ და ერთან მიმართებაში განსხვავებულმა წარმოდგენებმა აბსოლუტურად განსხვავებული პოლიტიკური დოქტრინები წარმოქმნა.

§ 5. ნაციონალიზმის პოლიტიკური დოქტრინები

ნაციონალიზმის სხვადასხვა სახის დოქტრინა ერთმანეთისგან განსხვავდება როგორც შინაარსით, ისე პოლიტიკური მიზნებით. ისეთ სახელმწიფოებში, როგორიცაა აშშ, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, კანადა და ბევრ სხვა დასავლეთევროპულ ქვეყანაში დღეს უაღრესად აქტუალურია სამოქალაქო ნაციონალიზმი. **სამოქალაქო ნაციონალიზმის** იდეა სხვადასხვა რასის, ეთნიკური წარმომავლობისა თუ რელიგიური მრწამსის ადამიანების ერთ ერად ინტეგრაციას ემსახურება. ამისათვის ამ ადამიანს მოეთხოვება, გაიზიაროს და პატივი სცეს იმ პოლიტიკურ და საბაზისო ღირებულებებს, რაც ამ კონკრეტულ ქვეყანაშია. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ასეთი ღირებულებებია ამერიკის კონსტიტუცია, ისტორია და ამერიკული დემოკრატიის იდეალები. სამოქალაქო ნაციონალიზმს სხვანაირად **„ინტეგრირებად ნაციონალიზმს“** უწოდებენ, რადგან ის ცდილობს, სხვადასხვა საზოგადოების, რაც შეიძლება ბევრი წევრი გააერთიანოს ერთ ერში, დაძლიოს ის წინააღმდეგობები, რაც ამ განსხვავებულ ჯგუფებს შეიძლება ჰქონდეთ. შესაბამისად, სამოქალაქო ნაციონალიზმი დემოკრატიის პოლიტიკურ პროექტთანაა დაკავშირებული და ცდილობს, ყველა ადამიანი ჩართოს კანონისა და სახელმწიფოს ფუნქციონირებაში, სამაგიეროდ, სახელმწიფოსადმი ერთგულებასა და კონსტიტუციის პატივისცემას მოითხოვს. მსგავსი სახის ქართული საზოგადოების ინტეგრაციული პროექტი საქართველოს ისტორიისთვისაც არის დამახასიათებელი: **თერგდალეულები და ილია ჭავჭავაძე** ცდილობდნენ ქართულ საზოგადოებაში სამოქალაქო შეგნების ჩამოყალიბებასა და სამოქალაქო ნაციონალიზმის შექმნას. მაგალითად, მაშინ, როდესაც ქართველ მუსლიმებსა და ქრისტიანებს შორის ისედაც არსებულ კონფლიქტს რუსულ-ოსმალური ომები აღრმავებდა, ილია ჭავჭავაძე თავისი მოღვაწეობითა და პუბლიკაციებით მუდმივად ცდილობდა ამ

* კოსმოპოლიტიზმი არის მსოფლიო მოქალაქეობის იდეა, რომელიც კაცობრიობის ინტერესებს ცალკეული ერის ინტერესებზე მაღლა აყენებს და უგულებელყოფს ეროვნულ თვითმყოფადობას და უარყოფს ერი-სახელმწიფოს კონცეფციას.

** ინტერნაციონალიზმი არის ყველა ხალხის თავისუფლებისა და თანასწორობის დაცვისა და შოვინიზმის წინააღმდეგ ბრძოლის იდეა.

წინააღმდეგობის გადალახვას: „არ გვაშინებს-მეთქი ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენ ძმებს ოსმალოს საქართველოში მცხოვრებთა, დღეს მაჰმადიანი სარწმუნოება უჭირავთ, ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ, ქართველი, ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანას, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინდისს, დიდი ხნის განშორებულს ძმას ძმურადვე შეითვისებს“ [5].

ილია ჭავჭავაძე

1837-1907

ქართველი მწერალი, საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი და პოლიტიკოსი

მართლაც, ამ პოლიტიკამ დიდი გავლენა იქონია ქართველ მუსლიმთა ცნობიერებაზე. როდესაც ოსმალებმა ბათუმის ოლქის ოკუპაცია მოახდინეს, ქართველმა მუსლიმებმა 1918 წელს შექმნეს „სამუსულმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“, რომლის თავმჯდომარეც **მემედ აბაშიძე** გახდა. მისი ძალისხმევით, 1919 წლის 31 აგვისტოს ბათუმში გამართულ სამუსულმანო წარმომადგენლების ყრილობაზე მიიღეს უმნიშვნელოვანესი დადგენილება, რომ ბათუმის ოლქი (აჭარა) საქართველოსთან სამარადისოდ შეერთებულიყო. სწორედ ეს იყო სამოქალაქო ნაციონალიზმის მნიშვნელოვანი გამოვლინება.

თუმცა ნაციონალიზმის სხვა დოქტრინებიც არსებობს, რომლებიც სრულიად განსხვავებულ პოლიტიკურ მიზნებთანაა დაკავშირებული. ნაციონალიზმის ყველაზე გავრცელებული ფორმაა **ეთნიკური ნაციონალიზმი,** როდესაც, ინტეგრაციის ნაცვლად, იწყება საზოგადოების დეზინტეგრაცია ეთნიკური ნიშნით. ეთნიკური ნაციონალიზმის პოლიტიკური იდეა არის ეთნოცენტრიზმის იდეა – რომ სახელმწიფო უნდა ემსახურებოდეს ერთი კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის ინტერესს, ხოლო სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები ან მეორეხარისხოვანი მოქალაქეები არიან, ან – არასასურველი სტუმრები. ეთნიკური ნაციონალიზმის საბოლოო მიზანია, სახელმწიფოში დამყარდეს ეთნიკური ერთფეროვნება. ასეთი ნაციონალიზმისთვის ხშირად დამახასიათებელია ქსენოფობიური პოლიტიკა ანუ უცხოს მიუღებლობა და ზიზღი*.

თუმცა, მეორე მხრივ, ეთნიკურ ნაციონალიზმს შეიძლება კულტურული ნაციონალიზმის სახეც ჰქონდეს, რომლის მთავარი ამოცანაც სხვების კულტურული ასიმილაციაა – ადგილობრივი კულტურის, ენის ან რელიგიის აკრძალვა-შევიწროებისა და საკუთარი იდენტობის თავზე მოხვევის გზით. მსგავს პოლიტიკას პრაქტიკულად ყველა იმპერია ატარებდა დაპყრობილ ხალხებში. ასიმილაციური პოლიტიკის შედეგად ისტორიაში უამრავი ეთნიკური ჯგუფია განადგურებული, მაგალითად, უბიხები, ჩრდილო ამერიკის მკვიდრი მოსახლეობის დიდი ნაწილი და სხვ.

მემედ აბაშიძე

1873-1937

ქართველი საზოგადო მოღვაწე, მწერალი და პუბლიცისტი

არსებობს ასევე ნაციონალიზმის კიდევ ერთი სახის – **რელიგიური ნაციონალიზმის** დოქტრინა. რელიგიური ნაციონალიზმი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სახით იჩენს თავს. მაგალითად, ირანში, 1979 წლის ისლამური რევოლუციის შემდეგ, რელიგიურმა ნაციონალიზმმა გარკვეულწილად დაძლია ქვეყნის შიგნით არსებული ეთნიკური პრობლემები; შემოტანილ იქნა რელიგიური იდენტობის განსაზღვრება, რომლის მიხედვითაც,

* მსგავსი მაგალითები ისტორიიდან გვხვდება ოსმალეთის იმპერიაში 1915 წელს, სომხებთან მიმართებაში; ყოფილ იუგოსლავიაში,როდესაც სერბებმა,ბოსნიელებმა და ხორვატებმა დაიწყეს ეთნოკონფლიქტი, და აფრიკის არაერთ სახელმწიფოში.

ირანელად ავტომატურად ითვლებოდა ყველა შიიტი, მიუხედავად იმისა, იქნებოდა ის ეთნიკურად აზერბაიჯანელი, სპარსი, ქურთი თუ სხვა; ამის საპირისპიროდ, ყოფილ იუგოსლავიაში რელიგიურმა ნაციონალიზმმა ერთი საზოგადოება, რომლის წევრებიც ეთნიკურადაც და ენობრივადაც მსგავსნი იყვნენ და წლების განმავლობაში ერთ სახელმწიფოში ცხოვრობდნენ, რამდენიმე ნაწილად დაშალა, განსხვავებული რელიგიური კუთვნილების გამო. კათოლიკე ხორვატებმა, მუსლიმმა ბოსნიელებმა და მართლმადიდებელმა სერბებმა ერთმანეთთან სასტიკი და დაუნდობელი ომი გააჩაღეს. რელიგიური ნაციონალიზმის არსი მდგომარეობს იმაში, რომ საზოგადოება მხოლოდ ერთ რელიგიას აღიარებდეს უპირატესად და რელიგია იყოს ეროვნების განმსაზღვრელი უმთავრესი ელემენტი. მკვლევრები რელიგიურ ნაციონალიზმს ხშირად ეთნიკურ ნაციონალიზმად განიხილავენ, რადგან ორივე შემთხვევაში ეთნიკურობა უკავშირდება ან წარმომავლობას, ან რელიგიას, ორივე მათგანი მოითხოვს საზოგადოების **ჰომოგენიზაციას** – გაერთგვაროვნებას [5, 32]; ეს კი მრავალფეროვან საზოგადოებაში მთელ რიგ კონფლიქტებს იწვევს.

§ 6. ნაციონალიზმი და კონფლიქტები

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებს ეთნოკონფლიქტების არაერთმა ტალღამ გადაუარა. არადა, საბჭოთა კავშირში ამტკიცებდნენ, რომ ნაციონალიზმი წარსულს ჩაბარდა და ამიერიდან ყველა სოციალისტური ერი ერთი დიდი, მეგობრული ოჯახის წევრი იყო, თუმცა ეს არ აღმოჩნდა მართალი. მეტიც, სწორედ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში აგორდა ეთნიკური ნაციონალიზმის ტალღა, რომელიც **ეთნოკონფლიქტებში** გადაიზარდა. პირველი ასეთი კონფლიქტი დაიწყო აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის ყარაბახში; შემდეგ, მაშინვე, 1991 წელს კონფლიქტი დაიწყო ქართველებსა და ოსებს შორის, ხოლო 1992 წელს – ქართველებსა და აფხაზებს შორის. პარალელურად, ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარეობდა კონფლიქტი ოსებსა და ინგუშებს შორის, მალე იგივე დაიწყო ჩეჩნეთშიც. თუმცა ეთნოკონფლიქტები მარტო კავკასიას არ შეხებია – ანალოგიურად განვითარდა მოვლენები მოლდოვაში, დნესტრისპირეთში. იმავდროულად, ეთნოკონფლიქტი, რომელიც **გენოციდში*** გადაიზარდა, დაიწყო ყოფილ იუგოსლავიაში – ხორვატებს, ბოსნიელებსა და სერბებს შორის, მოგვიანებით კი – კოსოვოში, სერბებსა და ალბანელებს შორის.

ამ კონფლიქტებმა საკმაოდ დაასუსტა ეს ხალხები, მათი ახალშექმნილი სახელმწიფოები მოიცვა მწვავე ეკონომიკურმა კრიზისმა, გაიზარდა კრიმინალი, გამარჯვებული მხარეებიც კი უამრავ პრობლემას წააწყდნენ მთელ რიგ სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებში.

ამ მოვლენების შემდეგ დაიწყო კვლევა აღნიშნული კონფლიქტების მიზეზების დასადგენად. როგორც აღმოჩნდა, ეთნონაციონალიზმის გაძლიერებისა და ეთნოკონფლიქტების გამომწვევი გახდა მთელი რიგი პოლიტიკური კონცეფციები; მათ შორის, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, მაგალითად, ქართველებსა და აფხაზებს, აგრეთვე, ქართველებსა და ოსებს შორის კონფლიქტისა, აღმოჩნდა საბჭოთა კავშირის „ეროვნული პოლიტიკა“ – ე.წ. „კორენიზაცია“. როგორც ქვევით ვნახავთ (დაწვრილებით იხ. თავი 5), ამ პრინციპის მიხედვით, ამა თუ იმ ტერიტორიაზე მხოლოდ იმ ერს ჰქონდა პოლიტიკური ლეგიტიმაცია ავტონომიის ან რესპუბლიკის სახით, რომელიც წარმოადგენდა ამ ტერიტორიის უძველეს მკვიდრ მოსახლეობას.

საქართველოში, იმის ნაცვლად, რომ ილია ჭავჭავაძისეული სამოქალაქო ნაციონალიზმის პრინციპები ყოფილიყო წამყვანი, რომელიც საერთო კეთილდღეობასა და საერთო სამოქალაქო ერის შექმნაზე იქნებოდა ორიენტირებული, ეთნიკური ნაციონალიზმის პოლიტიკამ გამოიწვია უკიდურესი პოლარიზება ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს შორის, რაც მოგვიანებით უკვე შეიარაღებულ

* რასობრივი, ეროვნული თუ რელიგიური მოტივებით მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების ფიზიკური მოსპობა.

დაპირისპირებაში გადაიზარდა, რასაც კვებავდა მეხსიერების ომი, სადაც ყველა მხარე საკუთარ თავს აღიქვამდა „მსხვერპლად“: ქართველებს მიაჩნდათ, რომ თავიანთ ისტორიულ ტერიტორიაზე მათ ავიწროებდა ჩამოსახლებული ხალხი, აფხაზებსა და ოსებს კი მიაჩნდათ, რომ ქართველები ისტორიულად ჩაგრავდნენ მათ. ამ მენტალიტეტმა ურთიერთბრალდებები გამოიწვია. ერთმანეთის პრეტენზიები არალეგიტიმურად მიიჩნეოდა და პრობლემის გადაწყვეტა ხისტი პოზიციებით, ისტორიაზე აპელირებითა და სამოქალაქო საკითხების უგულებელყოფით ხდებოდა. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ამ ხალხების მსგავს მენტალიტეტთან, როდესაც ყველა მხარეს ნაციონალურ ემოციებთან დაკავშირებით იმგვარი ერთნაირი დამოკიდებულება აქვს, რომელიც გამორიცხავს ალტერნატიული პოლიტიკური სისტემისა და აზროვნების ძიებას.

იმისათვის, რომ არ განმეორდეს 90-იანი წლების ეთნონაციონალიზმის ტალღა და კვლავ განმსაზღვრელი არ გახდეს ხალხთა შორის ურთიერთობაში, რამაც ახალი კონფლიქტები შეიძლება გამოიწვიოს, საჭიროა ნაციონალიზმის ახალი პარადიგმების ძიება.

§ 7. არის თუ არა ნაციონალიზმი და პატრიოტიზმი სხვადასხვა რამ?

ნაციონალიზმი დაკავშირებულია პატრიოტიზმის ცნებასთან, თუმცა ეს არ ეხება ყველა ფორმის პატრიოტიზმს. თავად ტერმინი **პატრიოტიზმი** მოდის ბერძნული სიტყვიდან „პატრიოტეს“ (**πατριώτης**), რაც თანამემამულეს ნიშნავს, ხოლო თავად „პატრიოტესი“ მომდინარეობს სიტყვიდან **„პატრის“**-იდან (**πατρίς**), რაც მამათა მიწას, მამულეთს ნიშნავს. ძველი ბერძნებისთვის პოლისი იყო კოლექტიური საკუთრება, რომელიც ეკუთვნოდათ პოლისის დამაარსებლების შთამომავლებს. აქედან გამომდინარე, ბერძნებისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მამათა მიწის საკითხს. ბერძნულ პოლისებში ძირითადად სამი კატეგორიის ხალხი ცხოვრობდა: სრულუფლებიანი მოქალაქეები, რომლებიც პოლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში იყვნენ ჩართული; თავისუფალი არამოქალაქეები, რომლებიც, ჩვეულებრივ, ეკონომიკურ და სამრეწველო საქმიანობას მისდევდნენ, ყველანი იმ უფლებებით სარგებლობდნენ, რაც მოქალაქეებს ჰქონდათ, ოღონდ არ შეეძლოთ პოლიტიკაში მონაწილეობა; მესამე კატეგორიას წარმოადგენდნენ მონები. ანტიკური ეპოქის ბერძნული სამყაროდან არაერთი ფაქტის მოხმობა შეიძლება, როდესაც მონა გამხდარა თავისუფალი ადამიანი, მაგრამ საკმაოდ იშვიათია მოვლენა, როდესაც თავისუფალი არამოქალაქე იყო პოლისის სრულუფლებიანი მოქალაქე. შესაბამისად, ძველი ბერძნებისთვის სამშობლო დაკავშირებული იყო პოლისთან და პოლისურ ცხოვრებასთან. ამგვარ პატრიოტიზმს ხშირად უწოდებენ **პოლისურ პატრიოტიზმს**. ყველაზე თვალში საცემი ნიშანი პოლისური პატრიოტიზმისა გვხვდება ძველი ბერძენი ისტორიკოსის – ჰეროდოტეს (დაახლ. ძვ. წ. 484-425 წწ.) ტექსტში. კერძოდ, ელინებისა და ბარბაროსების (სპარსელების) ერთმანეთთან შედარებისას ჰეროდოტე ამბობს, რომ ელინებში ყველა თავისუფალია, ხოლო სპარსელებში მხოლოდ ერთია თავისუფალი და ის მეფეა. აქ ჰეროდოტე აქცენტს აკეთებს პოლისური ცხოვრების უპირატესობაზე.* პოლისური პატრიოტიზმი კონკრეტულ ვალდებულებებსაც აკისრებდა პოლისის მოქალაქეს. მაგალითად, როდესაც შენდებოდა ქალაქის კედელი, მის მშენებლობაში ყველა მოქალაქეს უნდა მიეღო მონაწილეობა, თავისი სოციალური მდგომარეობის მიუხედავად. პოლისის დაცვაც ყველა მოქალაქეს ევალებოდა, ვინაიდან პოლისი ყველა მოქალაქის ერთობლიობას ნიშნავდა. შესაბამისად, პოლისურ სამყაროში პატრიოტიზმი კონკრეტულ,

* ამ თვალსაზრისით, მეორე მნიშვნელოვანი ტექსტია ათენელი სტრატეგოსისა და მმართველის, პერიკლეს (დაახლ. ძვ. წ. 494-429 წწ.) სიტყვა ათენელი ჯარისკაცის დაკრძალვაზე, სადაც ის, საკუთრივ ბერძნულ სივრცეში, ერთმანეთს ადარებს ათენისა და სპარტანული ცხოვრების წესებს და ხაზს უსვამს მთელ იმ უპირატესობებს, რაც ათენური ცხოვრების წესს გააჩნია.

დიოგენე, ძველი ბერძენი ფილოსოფოსი

დაახლ. ძვ. წ. 412-323 წწ. ანტიკური ხანის ბიუსტი

ხელშესახებ ინსტიტუტებთან და პირდაპირი დემოკრატიის* პრინციპებთან იყო დაკავშირებული.

მოგვიანებით, როდესაც იმპერიული მოდელი მძლავრობს პოლისურ მოდელზე, სიტუაცია იცვლება. ჯერ მაკედონური სახელმწიფოს აღზევებით ფილიპე II-ის დროს, ხოლო შემდეგ უკვე ალექსანდრე მაკედონელის პერიოდში იწყება საერთო ელინური ცნობიერების ჩამოყალიბება. ეს პერიოდი ემთხვევა **უნივერსალიზმის** იდეის აღზევებას, რომლის მიხედვითაც ადამიანი დაკავშირებულია დანარჩენ კაცობრიობასთან. ამგვარი ეთიკური შეხედულება საკმაოდ გავრცელებული იყო ძველ ბერძენ ფილოსოფოსებში. პირველი ადამიანი, რომელიც თავს „მსოფლიო მოქალაქედ“ ანუ კოსმოპოლიტად თვლიდა, იყო ცნობილი ბერძენი ფილოსოფოსი **დიოგენე**.

ერთიანი მსოფლიოს შექმნის იდეა **იმპერიული პატრიოტიზმის** ერთ-ერთი საფუძველი გახდა. **ალექსანდრე მაკედონელის** მიერ შექმნილ ელინისტურ იმპერიაში დაიწყო სხვადასხვა ხალხის ინტეგრაციის პროცესი. თუმცა ალექსანდრე მაკედონელის სიკვდილის შემდეგ მისი იმპერია მაშინვე დაიშალა და ელინისტურმა სახელმწიფოებმა ეს იდეა ბოლომდე ვერ განახორციელეს. თითოეულ ამ სამეფოში ბერძნები (ელინები) სარგებლობდნენ პრივილეგიებით: ისინი არ იხდიდნენ გადასახადებს და მისი მთელი სიმძიმე ადგილობრივ არაელინ მოსახლეობას ჰქონდა დაკისრებული. ამას გარდა, ელინისტურ სახელმწიფოებში გავრცელებული იყო მოქირავე ჯარი – რადგან მათი მმართველები არ ენდობოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, ცდილობდნენ, მათგან არ შეექმნათ სამხედრო ძალები, დაქირავებულთა ძირითადი კონტინგენტი კი ბერძენ-მაკედონელებისაგან დაეკომპლექტებინათ. ამ უნდობლობამ ხელი შეუშალა იმპერიული პატრიოტიზმის ჩამოყალიბებას. სამაგიეროდ, განვითარების განსხვავებული გზით წავიდნენ რომაელები. მათ ბერძნული პოლისური პატრიოტიზმის მოდელით დაიწყეს სამშობლოს ცნებისა და ისტორიის გააზრება. რომში **პატრიციებს** (patricii – მოდის სიტყვიდან Pater – მამა) – რომის მკვიდრი საგვარეულოების წარმომადგენელ წარჩინებულ პირებს უკავშირდებოდა ცნება „პატრია“ (Patria) – სამშობლო. პატრიციები ადგენდნენ მმართველ კლასს და ფლობდნენ საზოგადოებრივ მიწებს. სანამ რომი ქალაქ-სახელმწიფოდ რჩებოდა, ეს მოდელი ბერძნული პოლისის ანალოგი იყო. შესაბამისად, რომაელებიც პოლისური პატრიოტიზმით იყვნენ გამსჭვალულნი. მაგრამ დროთა განმავლობაში, მას შემდეგ, რაც რომი ხმელთაშუაზღვისპირეთის გამაერთიანებელ სახელმწიფოდ იქცა, რომაელების ცნობიერებაც ტრანსფორმირდა და პოლისური პატრიოტიზმი იმპერიული პატრიოტიზმით შეიცვალა. ამ მოდელში უმნიშვნელოვანესი ხდება **რომის მოქალაქის** იდეა, რომი ითვლება სამყაროში არსებულ ერთადერთ სინათლედ, ხოლო მისი ყველა მოქალაქე, განურჩევლად წარმომავლობისა, ხდება რომის პატრიოტი. თავის მხრივ, პატრიოტიზმის გააზრება თავდაპირველად მაშინ გასცდა „მამულეთის“ ცნებას,

ალექსანდრე დიდი, მაკედონელი

ძვ. წ. 336-323 წწ.

* მმართველობის ისეთი ფორმა, სადაც პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება ხდება პირდაპირი წესით, მოქალაქეთა მთელი ერთობლიობის მიერ; ტიპური მაგალითი არის ათენის დემოკრატია.

როცა რომში პატრიციების გვერდით **პლებეები*** გაჩნდნენ, პოლიტიკური უფლებები მოიპოვეს და რომის დაპყრობითი პოლიტიკის წარმოებაშიც ჩაერთნენ. მაგალითად, **გნეუს პომპეუსმა**, რომელიც გამდიდრებული პლებეური ოჯახიდან იყო, ჯერ კონსულის თანამდებობა დაიკავა, მოგვიანებით კი პირველი ტრიუმვირატის** წევრიც გახდა. ხოლო უკვე იმპერატორების პერიოდში, რომის უმაღლეს ხელისუფლებას სხვადასხვა, არარომაული წარმომავლობის ადამიანებიც იკავებენ; მათ შორის, სირიული და გერმანული წარმომავლობის იმპერატორებიც კი გვხვდებიან. **იმპერიული პატრიოტიზმი** დაკავშირებული იყო რომის მოქალაქის სტატუსთან და რომის იმპერიის მიმართ ლოიალობასთან. აი, რას წერდა **გაიუს პლინიუს უფროსი** რომზე: „ყველა მიწათა მარჩენალი და მშობელი, რომელიც აირჩია ღვთაებრივმა განგებამ, რათა კიდევ უფრო მეტად განადიდოს თვით ზეცა, რათა გააერთიანოს დაქუცმაცებული სახელმწიფოები და შეარბილოს ზნე-ჩვეულებანი, ერთიანი სალაპარაკო ენის საშუალებით გააერთიანოს უხეში და კეთილხმოვნებას მოკლებული მრავალი ხალხის სხვადასხვა ენა, რათა შესძინოს კაცობრიობას ცივილიზება და დედამიწაზე მცხოვრები ყველა ხალხისთვის იქცეს ერთიან სამშობლოდ“.

გნეუს პომპეუს მაგნუსი
ძვ. წ. 106-48 წწ.
რომაელი მხედართმთავარი და პოლიტიკური მოღვაწე

ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად იცვლება პატრიოტიზმის, როგორც ფენომენის, აღქმა. ახალი მსოფლიო რელიგიის გარიჟრაჟზე პავლე მოციქული თავის ეპისტოლეში კოლასელთა მიმართ ასე განმარტავს ქრისტიანობის არსს: „სადაც არ არის ბერძენი და იუდაველი, წინდაცვეთილობა თუ წინდაუცვეთელობა, ბარბაროსი, სკვითი, მონა თუ თავისუფალი, არამედ ქრისტეა ყველაფერი და ყველაფერში“ (კოლასელთა მიმართ, 3:11). თუმცა მოგვიანებით იცვლება ქრისტიანთა დამოკიდებულება სამშობლოს მიმართ. ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული მღვდელმთავარი ამბროსი მედიოლანელი უკვე IV საუკუნეში სამშობლოსთან დაკავშირებით ამბობდა: „სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, გვიყვარს უფალი, შემდეგ სამშობლო, შემდეგ ახლობლები და ბოლოს სხვა დანარჩენი ადამიანები“. ხოლო გრიგოლ ღვთისმეტყველი*** ამბობდა: „დედის პატივიცემა – წმინდა საქმეა. მაგრამ ყველას საკუთარი დედა ჰყავს, ხოლო ყველას საერთო დედა – სამშობლოა“. შესაბამისად, ქრისტიანობამ, რომელიც, ერთი შეხედვით, უნივერსალიზმის იდეითა და მორალით მოდიოდა, მაშინვე შეისისხლხორცა სამშობლოსა და პატრიოტიზმის ცნებებიც.

გაიუს პლინიუს უფროსი
ახ. წ. 23-79 წწ.
რომაელი ფილოსოფოსი და ბუნებისმეტყველი, „ბუნების ისტორიის“ ავტორი

შუა საუკუნეებში, მას შემდეგ, რაც რომის იმპერია დაეცა და ახალმა სოციალურმა სისტემამ – ფეოდალიზმმა – დაიწყო ჩამოყალიბება, პატრიოტიზმის იმპერიული და პოლისური მოდელები ვასალიტეტის სისტემამ ჩაანაცვლა. ამიერიდან მნიშვნელოვანი გახდა სიუზერენსა და ვასალს (მაგ., მეფესა და ფეოდალს) შორის ლოიალური ურთიერთობები, რომელზედაც იგებოდა პოლიტიკური

---

* ძველ რომში – მოსახლეობის დაბალი ფენებიდან გამოსული თავისუფალი, მაგრამ პოლიტიკურ უფლებებს მოკლებული ადამიანი, თუმცა მოგვიანებით რომის იმპერიაში პლებეების წარმომადგენლებმაც შეძლეს უმაღლესი თანამდებობების დაკავება.

** ძველ რომში – სახელმწიფოს მმართველობის ფორმა, დამყარებული სამი პირის შეთანხმებაზე.

*** იგივე გრიგოლ ნაზიანზელი, IV საუკუნის ბერძენი საეკლესიო მოღვაწე და მოაზროვნე.


Done in Convention by the Unanimous Consent of the States present the Seventeenth Day of September in the Year of our Lord one thousand seven hundred and Eighty seven and of the Independance of the United States of America the Twelfth In Witness whereof We have hereunto subscribed our Names,

აშშ-ის კონსტიტუცია

1787 წლის 17 სექტემბერს დაიწერა და ძალაში შევიდა 1789 წელს. დღეს მსოფლიოში მოქმედ კონსტიტუციებს შორის ყველაზე ძველია


A C T E

CONSTITUTIONNEL

DU

PEUPLE FRANÇAIS,

AVEC

Le RAPPORT, la DÉCLARATION DES DROITS, et le PROCÈS-VERBAL d'inauguration.

ARCHIVES-NATIONALES, Reg: C. Fol.° 27. N.° 315.

A PARIS,

DE L'IMPRIMERIE DE DIDOT JEUNE.

L'AN DEUXIÈME.

საფრანგეთის 1793 წლის კონსტიტუცია

სისტემა. თუმცა მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში არც ისე იშვიათი იყო მეფესა და ფეოდალს შორის არათუ მხოლოდ არალოიალური, არამედ ანტაგონისტური დამოკიდებულებებიც კი. ამის თვალსაჩინო მაგალითია XI საუკუნეში საქართველოს მეფე ბაგრატ IV-ისა და ძლიერი ფეოდალის ლიპარიტ ბაღვაშის ურთიერთობა. ლიპარიტ ბაღვაშმა საერო საქმიანობა დაიწყო, როგორც ბაგრატის ვასალმა, და დაამთავრა, როგორც საქართველოს მეფისგან განდგომილმა ფეოდალმა და ბიზანტიის ვასალმა. შესაბამისად, ფეოდალურ სამყაროში მეფისადმი ვასალური დამოკიდებულება და მის მიმართ ლოიალობა შეიძლება, გამხდარიყო ქვეყნის ისტორიული ბედ-იღბლის არცთუ უკანასკნელი განმსაზღვრელი.

საუკუნეების განმავლობაში მსოფლიო ისტორია სავსე იყო რელიგიურ საფუძველზე წარმოებული ომებით. ჯერ კიდევ ისლამის წარმოქმნამდე, სპარსეთსა და ბიზანტიას შორის ომებს მაზდეანობასა და ქრისტიანობას შორის დაპირისპირება ამძაფრებდა. ისლამის შექმნისა და არაბთა ექსპანსიის შემდეგ კი რელიგიურმა დაპირისპირებამ მეტი სიმძაფრე შეიძინა და ცივილიზაციათა

შორის ანტაგონიზმად ტრანსფორმირდა. ამიტომ შუა საუკუნეებში, ვასალური პატრიოტიზმის პარალელურად, ჩამოყალიბდა **ე.წ. რელიგიური პატრიოტიზმი.** მაგალითად, ქართველებისთვის მუსლიმები „სარკინოზები“ იყვნენ (ისევე, როგორც მუსლიმებისთვის ქრისტიანები იყვნენ „გიაურები“). შუა საუკუნეებში, როდესაც რელიგიათშორისი დაპირისპირებები მიმდინარეობდა, ვიწრო ეთნიკური ან ვასალური შუღლი მეორე პლანზე ინაცვლებდა და მთავარი ფაქტორი ხდებოდა საერთო რელიგიური იდენტობა. მაგალითად, ჯვაროსნული ლაშქრობების დროს, იმის მიუხედავად, რომ ახლო აღმოსავლეთის მუსლიმურ სახელმწიფოებს სხვადასხვა ეთნოსის ევროპელი ხალხები ებრძოდნენ, ისინი, ყველანი, „ფრანკებად“ იწოდებოდნენ. თუმცა ისეთ სახელმწიფოებში, რომლებიც დიდად არ შეუწუხებია მუსლიმთაგან მომდინარე საფრთხეს, კერძოდ, ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპაში, ჩამოყალიბებას იწყებს ახალი ტიპის პატრიოტიზმი, რაც ევროპაში ცენტრალიზებული ნაციონალური სახელმწიფოების გაჩენის წინა პირობა ხდება. ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი კონფლიქტი, რომელიც დაიწყო, როგორც ჩვეულებრივი ფეოდალური დაპირისპირება ინგლისურ და ფრანგულ სამეფო გვირგვინებს შორის და საერთო-სახალხო დაპირისპირებაში გადაიზარდა, ასწლიანი ომი იყო. ომმა, რომელიც საფრანგეთის მიწაზე წარმოებდა, ფრანგული გვირგვინის გარშემო დარაზმა საფრანგეთის ყველა მხარე (მათ შორის, ინგლისური გვირგვინის ვასალებიც) და მოსახლეობის ყველა სოციალური ფენა. ამ ომმა საერთო იდეით გააერთიანა საფრანგეთის მეფე და ხალხი და გააღვიძა საერთო ფრანგული პატრიოტიზმი. უკვე XV საუკუნის მიწურულიდან შეუქცევადი ხდება ფეოდალური სამეფოების ეტაპობრივი გარდაქმნა ნაციონალურ სახელმწიფოებად, რაც XX საუკუნემდე გაგრძელდა. **სწორედ ერი-სახელმწიფოების შექმნის პროცესში მოხდა ნაციონალიზმისა და პატრიოტიზმის ურთიერთდაკავშირება.**

თავის მხრივ, ახალი და უახლესი პერიოდის კომპლექსურმა საზოგადოებრივმა პროცესებმა განაპირობა, რომ პატრიოტიზმის ფენომენი დივერსიფიცირდა და სხვადასხვა ფორმებით იჩინა თავი. ესენია: 1. **სახელმწიფო** (ეტატისტური) **პატრიოტიზმი**, რომელიც, თავის მხრივ, რამდენიმე ნაწილად იყოფა:

ა) კონსტიტუციური პატრიოტიზმი – ის ჩნდება აშშ-ის დამოუკიდებლობის შემდეგ, როდესაც სამოქალაქო ნაციონალიზმი დაეყრდნო დემოკრატიას, დამოუკიდებლობის დეკლარაციასა და კონსტიტუციის უზენაესობას. კონსტიტუციური პატრიოტიზმი რევოლუციური საფრანგეთისთვისაც იყო დამახასიათებელი, და ადამიანის უფლებების, რესპუბლიკანიზმისა და კონსტიტუციის იდეას ეყრდნობოდა. თანამედროვეობაში, 1990 წელს, როდესაც გერმანია გაერთიანდა, გერმანელმა სოციოლოგმა, პოლიტოლოგმა და ფილოსოფოსმა იურგენ ჰაბერმანსმა წამოაყენა „კონსტიტუციური პატრიოტიზმის“ დებულება – მისი თქმით, იმისთვის, რომ გერმანელებს არ გაემეორებინათ ეთნიკურ-შოვინისტური პატრიოტიზმი. ახალი გერმანული პატრიოტიზმი უნდა ყოფილიყო დამყარებული ლიბერალურ-დემოკრატიულ პრინციპებზე აგებული კონსტიტუციის უზენაესობაზე. ამ სახის პატრიოტიზმი იმ პოლიტიკური ინსტიტუტების პატივისცემას ეფუძნება, რომლებიც უზრუნველყოფენ თავისუფალი ერის არსებობას.

ბ) იდეოლოგიური პატრიოტიზმი – პატრიოტიზმის იმგვარი ფორმაა, როდესაც ქვეყანას მკაფიოდ დეკლარირებული იდეოლოგია გააჩნია. ამის თვალსაჩინო მაგალითებია საბჭოთა კავშირი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. ამ სახის პატრიოტიზმი იმ იდეოლოგიური პრინციპებისადმი სიყვარულს გამოხატავს, რომელიც სახელმწიფოს დეკლარირებული აქვს თავისი სიმბოლოებითა და ლიდერებით. ამ ფენომენს კარგად ხსნის მეორე მსოფლიო ომის დროს არაერთხელ მომხდარი ფაქტი, როდესაც მეომრები შეტევაზე მიდიოდნენ ან თავს სწირავდნენ შეძახილებით: „სამშობლოსათვის, სტალინისათვის!“ («**За Родину, за Сталина!**»). ამ სახის პატრიოტიზმში, პოლიტიკურ-იდეოლოგიური წყობა და სამშობლოს ცნება ერთმანეთთან არის დაკავშირებული.

პლაკატი „სამშობლოსათვის, სტალინისათვის“
მხატვარი ირაკლი თოიძე, 1941 წ.

სურათზე გამოსახულია სამხრეთაფრიკელი პოლიტიკოსი და მეწარმე, ბრიტანული კოლონიალიზმის წარმომადგენელი ***სესილი როუდსი*** *(1853-1902).*

მას განზრახული ჰქონდა ტელეგრაფის ხაზის გაყვანა სამხრეთ აფრიკიდან (კეიპტაუნი) ეგვიპტემდე (კაირო) და ამით აფრიკის კონტინენტის სატელეგრაფო ქსელში ჩართვა.

გ) იმპერიულ-კოლონიალური პატრიოტიზმი – ეს ფორმა კოლონიალიზმის ეპოქაში გავრცელებული იყო ევროპულ კოლონიალურ სახელმწიფოებში. ამ სახის პატრიოტიზმი დაფუძნებულია იმპერიის შექმნის იდეასთან, მაგრამ, ანტიკური იმპერიული პატრიოტიზმისგან განსხვავებით, მას არა უნივერსალისტური, არამედ ნაციონალისტური მიზნები გააჩნია. ამოსავალი იდეა იყო ევროპული სახელმწიფოების მიერ აფრიკის, აზიისა და ამერიკის კონტინენტის გადანაწილება საკუთარი ნაციონალური სახელმწიფოს განდიდების მოტივით. ხშირად ეს იდეოლოგიურად მართლდებოდა, როგორც „ცივილიზიაციის შეტანა“ ჩამორჩენილ ხალხებში. ამ სახის პატრიოტიზმი ჰეროიზირებული და ავანტიურისტული სულისკვეთების კულტივიზებას ახდენდა და მასში რთავდა მასებს.

2. ნაციონალური პატრიოტიზმი – აქცენტს აკეთებს არა იმდენად სახელმწიფოზე, რამდენადაც ერზე. ნაციონალური პატრიოტიზმი იყოფა რამდენიმე ნაწილად:

ა) კულტურული პატრიოტიზმი – თავის მხრივ, აქცენტს აკეთებს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ენის, ისტორიისა და ეროვნული კულტურის განსაკუთრებული მნიშვნელობა და დაცვა. კულტურული პატრიოტიზმი დამახასიათებელი იყო პატარა და ხშირად დაპყრობილი ხალხებისთვის, რომლებსაც საკუთარი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის წარმოების საშუალება არ ჰქონდათ. თერგდალეულების ბრძოლა ქართული ენის, ისტორიის, კულტურული ავტონომიისთვის და ა.შ. კულტურული პატრიოტიზმის ნათელი მაგალითია.

საქართველოს
ძველი
1863
№ II თებერვალი
წელიწადი პირველი
ტფილისი

თერგდალეულების ჟურნალი. *გამოდიოდა 1863 წელს თბილისში. სულ 12 ნომერი გამოვიდა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.*

ბ) ეთნიკური პატრიოტიზმისთვის დამახასიათებელია ეთნოსისადმი ლოიალობა. ის შეიძლება ორ ნაწილად დაიყოს: პირველი, როგორც პირადი დამოკიდებულება საკუთარი ეთნოსისადმი, რომელიც ჩართულია სამოქალაქო ნაციონალიზმის შექმნაში. ამ შემთხვევაში ეთნიკურობას არ გააჩნია პოლიტიკური მიზნები, ის დემოკრატიულ პროცესებშია ჩართული, თუმცა ადამიანებს საკუთარი ეთნოსისადმი სიყვარული და განსაკუთრებული ლოიალობის გრძნობა აქვთ. ასეთი პატრიოტიზმი გვხვდება, მაგალითად, ამერიკელ ირლანდიელებს, იტალიელებს, აფროამერიკელებს შორის, როდესაც ადამიანები, ეთნიკური იდენტობის შენარჩუნებისა და მკვეთრად გამოხატვის პარალელურად, აშშ-ის პატრიოტი მოქალაქეები არიან. ამ შემთხვევაში ეთნიკური პატრიოტიზმი გვევლინება კერძო პირების დამოკიდებულებად. მეორე სახის ეთნიკური პატრიოტიზმი დაკავშირებულია პოლიტიკურ პროექტსა და ეთნიკურ ნაციონალიზმთან. ამგვარი პატრიოტიზმი აქცენტს აკეთებს მონოეთნიკური სახელმწიფოს შექმნაზე და მისთვის ხშირად დამახასიათებელია სხვისი მიუღებლობა. თანამედროვეობაში მაგალითად გამოდგება რუანდა, როდესაც ჰუტუს ტომმა 1994 წელს გენოციდი მოუწყო ტუტსის ტომს, რის შედეგადაც დაახლოებით 1 071 000 ადამიანი დაიღუპა; ასევე, ყოფილი იუგოსლავია, განსაკუთრებით, ბოსნიის ომში სერბებს, ხორვატებსა და ბოსნიელებს შორის დაპირისპირება. ამ ომების მიზეზი იყო მონოეთნიკური სახელმწიფოს შექმნა, სადაც სხვა ეთნიკური ჯგუფის მიმღებლობა საერთოდ არ არსებობდა. **3.** არსებობს პატრიოტიზმის უკიდურესი ფორმებიც – ულტრაპატრიოტიზმის სახით. **ულტრაპატრიოტიზმი** არის იდეოლოგია და პოლიტიკა, რომელიც მომდინარეობს ნაციონალური უპირატესობის იდეიდან და საკუთარ ერს უპირისპირებს სხვა ერებს. მისთვის საერთო-საკაცობრიობო ინტერესზე მაღლა საკუთარი ნაციონალური ინტერესები დგას. ულტრაპატრიოტიზმის ყველაზე მკაფიო გამოვლინებაა 1933-1945 წლების გერმანია, როდესაც საკუთარი ერის უპირატესობისა და სამყაროზე ბატონობის

სამუსლიმანო საქართველოს მუსლიმანთა ორგანო.
ხუთშაბათი 13 იანვარი № 500 1337-1921 წელი ფასი 40 მან.
სამუსლიმანო საქართველო
მემედ ბეგ-აბაშიძის რედაქტორობით.
მისამართი: ბათომი, შერემეტიევის ქუჩა № 16.
ხელის მოწერა ღირს: ბათომის ოლქში:
3 თვით . . 3000 მან.
2 თვით . . 2000 მან.
განცხადების ფასი მხოლოდ მეორე გვერდზე პეტიტით 1 სტრიქ. 30 მ. და მესამე გვერდზე 20 მ.
აღმოსავლეთის კონფერენცია.
საფრანგეთში.

„სამუსლიმანო საქართველო“ *— ყოველდღიური გაზეთი. გამოდიოდა ბათუმში 1919-21 წლებში.*

იდეით შეპყრობილმა ნაცისტებმა მეორე მსოფლიო ომი წამოიწყეს. ასეთი სახის პატრიოტიზმი, როგორც წესი, მილიტარისტულ პოლიტიკასთანაა დაკავშირებული. ხშირად ულტრაპატრიოტიზმის ერთ-ერთი ფორმაა ე.წ **ურაპატრიოტიზმი**, როდესაც ადამიანი პატრიოტიზმის ეგიდით მიმართავს აგრესიულ რიტორიკას, იმისდა მიუხედავად, არის თუ არა ის რეალურ პოლიტიკურ სიკეთეებსა და მიზნებთან დაკავშირებული.

4. რეგიონალური პატრიოტიზმი – ეს არის კონკრეტული კუთხის, რეგიონის განსაკუთრებული სიყვარული. ასეთი სახის პატრიოტიზმს ვხედავთ უამრავ სახელმწიფოში; მაგალითად, გერმანიაში, ბავარიის მიწაზე, ამ მიწის მკვიდრთ ბავარიული დიალექტისა და ადათებისადმი განსაკუთრებული მოწიწება გააჩნიათ. საქართველოშიც ხშირად გვხვდება რეგიონალური პატრიოტიზმი, სხვადასხვა კუთხის განსაკუთრებული სიყვარულის სახით. რეგიონალური პატრიოტიზმის ყველაზე უკიდურესი და რადიკალური ფორმაა **სეპარატიზმი** – რეგიონის გამოყოფის სურვილი სახელმწიფოსგან. ასეთი ტენდენციები გვხვდება ესპანეთში – კატალონიისა და ბასკეთის სახით, საფრანგეთში – კორსიკის სახით და ა.შ. რეგიონალურ პატრიოტიზმის ერთ-ერთი ფორმაა **საქალაქო პატრიოტიზმიც** – კონკრეტული ქალაქის, როგორც მნიშვნელოვანი სუბკულტურის მატარებელი ფენომენის განსაკუთრებული სიყვარული. თბილისური სუბკულტურა, რასაც, ქართველებთან ერთად, არაერთი სხვა ეთნოსიც ქმნიდა, საქართველოს შიგნით საქალაქო პატრიოტიზმის მკაფიო მაგალითია.*

თანამედროვეობაში საჭიროა, კარგად გვესმოდეს სხვადასხვა ისტორიული ეპოქიდან მომდინარე და სხვადასხვა მიზეზით განპირობებული სოციო-პოლიტიკური და იდეოლოგიური სისტემების არსი, რათა თანამედროვე სახელმწიფოს მშენებლობისთვის შერჩეული იყოს საუკეთესო მოდელი ისე, რომ ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესები თანხვედრაში იყოს ერთმანეთთან.

მკვიდრი წარმოდგენები:

- საზოგადოების სისტემურმა ცვლილებებმა ახალ დროში იდენტობის ახალი ფორმატი მოითხოვა, რის გამოხატულებადაც იქცა ნაციონალიზმი;
- ნაციონალიზმი სხვადასხვა ფორმით არსებობს: ეთნონაციონალიზმის, სამოქალაქო ნაციონალიზმისა და რელიგიური ნაციონალიზმის სახით;
- ერი-სახელმწიფოს იდეა თავის თავში აერთიანებს „ერთა თვითგამორკვევის პრინციპს“, სეპარატიზმის ტენდენციებსა და ნაციონალურ-გამათავისუფლებელ მოძრაობას;
- თანამედროვე ქართული სახელმწიფოსთვის სამოქალაქო ნაციონალიზმის იდეა უფრო მისაღებია, ვიდრე ეთნიკური ნაციონალიზმისა;
- პატრიოტიზმი სახელმწიფოებრივ აზროვნებას გულისხმობს.

* საქალაქო პატრიოტიზმისათვის ასევე დამახასიათებელია სნობიზმი; მაგალითად, ცნობილია პარიზელების დამოკიდებულება ქვეყნის სხვა რეგიონებში მცხოვრები მოქალაქეებისადმი, ვენეციელების დამოკიდებულება ყველა დანარჩენი იტალიელისადმი და ა.შ..

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გიორგი მერჩულე, ცხოვრებაი წმინდა გრიგოლისი, თბილისი, 1999.
2. ერნესტ გელნერი, ნაციები და ნაციონალიზმი, თბილისი, „ნეკერი“, 2003.
3. ენტონი დ. სმიტი, ნაციონალური იდენტობა, თბილისი, „ლოგოს პრესი“, 2008.
4. ერიკ ჰობსბაუმი, ერები და ნაციონალიზმი 1780 წლიდან, პროგრამა, მითი, რეალობა. თბილისი, ილიაუნის გამომცემლობა, 2012.
5. ოსმალოს საქართველო (ლივანა და კლარჯეთი), პ.უ., გაზეთი „ივერია“ # 21, 1877 წ. 21 ივლისი
6. C. Hirschi, The Origins of Nationalism. Cambridge University Press, 2012.
7. G.Schopfiln, Nationsm, Identity, Power The New Politics of Europe, London, 2000.
8. A.Wimmer, Nationalist Exclusion and Rthinc Conflict, Cambridge University Press, 2002.
9. Бернард Як, Национализм и моральная психология сообщества, Москва, 2017.
10. К. Калхун, Национализм, Москва, 2006.
11. Эли Кедури, Национализм, Санкт-Петербург, 2010.
12. Курт Хюбнер, Нация, Москва, 2001.

თავი 2.

აფხაზური და ოსური ეთნიკური ჯგუფების ეთნოგრაფიული ექსკურსი

სალომე ბახია-ოქრუაშვილი

საკვანძო შეკითხვები:

- რაც ვიცით, საიდან ვიცით აფხაზური და ოსური ეთნიკური ჯგუფების შესახებ?
- როგორ ცხოვრობდნენ აფხაზური და ოსური ეთნიკური ჯგუფები, როგორი იყო მათი საზოგადოება?
- როგორი იყო აფხაზებისა და ოსების ყოველდღიურობა; რატომ ჰგავს მათი ყოფითი ელემენტები საერთო ქართულს?
- რატომ მოახდინა გავლენა აფხაზი და ოსი ხალხების ენასა და კულტურაზე ქართულმა ეთნოსმა?

§ 1. აფხაზური საზოგადოება

ა) აფხაზები უცხოურ და ქართულ საისტორიო წყაროებში (უძველესი პერიოდიდან XV საუკუნემდე)

აფხაზეთი საქართველოს უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი რეგიონია*. დღეისათვის თანამედროვე აფხაზეთს ძირითადად კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ-დასავლეთი ფერდობი, მისი განშტოებები და მთისწინეთის გორაკ-ბორცვიანი ზონა უკავია, ნაწილობრივ კი – შავი ზღვის სანაპირო დაბლობი. სილამაზით განთქმული მხარის გეოგრაფიულმა მრავალფეროვნებამ, ზღვისა და მთის სიახლოვემ, ორგანულმა კავშირმა როგორც ჩრდილო-დასავლეთ, ისე სამხრეთ კავკასიასთან, განაპირობა აქ მცხოვრები ხალხების ეთნოგრაფიული იერსახე.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა

აფხაზეთის (სადაც ქართველებისა და აფხაზების წინაპარი ტომები ძველთაგან ცხოვრობდნენ) ეთნოლოგიის შესწავლას ხანგრძლივი ისტორია აქვს და ის მატერიალურ, ნივთიერ წყაროებთან ერთად წერილობით წყაროებსაც იყენებს. საკუთრივ, აფხაზების ვინაობის, მათი ყოფა-ცხოვრების მნიშვნელოვანი მომენტები თავდაპირველად ძველ ბერძნულსა და ქართულ წყაროებში, მოგვიანებით, XVII საუკუნიდან – თურქულ-არაბულ, ხოლო XVIII-XIX საუკუნეებიდან უკვე რუსულ და

* საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისოდ აღიარებული ფორმატით (დე-იურე), ის საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკაა. საქართველოს კონსტიტუციითვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართულთან ერთად სახელმწიფო ენა არის აფხაზური. დე-ფაქტო მოცემულობით აფხაზეთი თავს არ მიიჩნევს საქართველოს სახელმწიფოს ნაწილად.

ევროპულ ლიტერატურაშიცაა წარმოჩენილი. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მეცნიერთა დამოკიდებულება არც აფხაზეთის ერთიანი ეთნოლოგიური სურათისა და, კონკრეტულად, არც აფხაზური ეთნოსის შესახებ ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად არაა შეფასებული. ერთმანეთისგან განსხვავებული ხედვები აქვთ არა მხოლოდ აფხაზ და ქართველ მკვლევრებს, რაც შეიძლება თანამედროვე პოლიტიკური ვითარების გამოძახილით აგვეხსნა, თავად ქართველ მკვლევრებს შორისაც არ არსებობს ამ საკითხისადმი ერთგვაროვანი მიდგომა.

ქართველი ისტორიკოსები, ბერძნულ წყაროებზე დაყრდნობით, ვარაუდობენ, რომ ძვ. წ. VIII საუკუნიდან ახ. წ. II საუკუნის დასაწყისის ჩათვლით, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს გასწვრივ „ოდითგანვე მხოლოდ ქართველური ტომები (მეგრელები, ლაზები, სვანები) იყვნენ გავრცელებულნი [23, 56-93; 67, 62; 19, 2-95; 12: 24-48, 396-437; 13, 13-53...]. ამის საშუალებას მკვლევრებს წყაროთა მონაცემები, ტოპონიმიკური და არქეოლოგიური მასალები აძლევს. ამ მოსაზრებას მეტი დამაჯერებლობა შესძინა მ. ინაძის ნაშრომმა „სატაძრო ცენტრები ძველ კოლხეთში“ [12, 31-158], რომლის თანახმად, დასავლეთ საქართველოს სატაძრო საქალაქო ცენტრები ჯერ კიდევ ძვ.წ. VII-VI საუკუნეებში წარმოქმნილა, განვითარების უმაღლესი მწვერვალისთვის კი ძვ.წ. VI საუკუნის მეორე ნახევრისთვის მიუღწევია.

მიუხედავად ზემოთქმულისა, დღემდე საკამათოდაა მიჩნეული მოსაზრება იმის შესახებ თუ რა პერიოდიდან ცხოვრობდნენ აფხაზთა წინაპრები (ძვ. ბერძნული და ბიზანტიური ლიტერატურის **„აბაზგები“,** ქართ. **„აფხაზიდან“**) საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე.* ზოგი მკვლევრის აზრით, ისინი აქ უძველესი დროიდან მოსახლეობდნენ, მაგრამ კოლხურ ისტორიულ-ეთნიკურ სამყაროში გაითქვიფნენ და ასიმილაცია განიცადეს; ნაწილი მკვლევრების მოსაზრებით (უმეტესად, აფხაზი მეცნიერების), აფხაზები აქ მუდმივად ცხოვრობდნენ და სახელმწიფოებრიობა გააჩნდათ, თუმცა, ამ სახელმწიფოში საქმიანი მიმოწერისა და საკომუნიკაციო ენის შესახებ არ საუბრობენ; მკვლევართა უმეტესი ნაწილი კი ვარაუდობს, რომ აფხაზები აქ მაშინ ჩნდებიან, როდესაც მოგვიანებით ჩრდილო კავკასიიდან ეთნიკურად ჩამოუყალიბებელი მოსახლეობის დაქსაქსული წარმომადგენლები სახლდებიან, რომლებიც ბევრად უფრო დაბალ დონეზე იდგნენ, როგორც სოციალურ-ეკონომიკური, ისე კულტურული თვალსაზრისით, ვიდრე ქართველური მოსახლეობა**.

ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებიდან დასავლეთ საქართველოში (კოლხეთში) რკინის ფართო ათვისების ხანა იწყება. ჩნდება პირველი რკინის იარაღები – ცული, თოხი, სახნისი და სხვ. არქეოლოგიურ ძეგლთა სხვადასხვა ფენაში მრავლად აღმოჩნდა ხელსაფქვავები, ქვასანაყები, სასრესები, კაჟის ნამგლისპირები და ა.შ. გარდა ამისა, ამ მხარეში ხორბლეული კულტურის **ენდემური***** მარცვლეულის ჯიშები დადასტურდა [13, 10-15]. ე.ი., თანამედროვე დასავლეთ საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ მხარეში ამ დროს მიწათმოქმედება უკვე გავრცელებული ჩანს.

წყაროებში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ეთნონიმ **„აბაზგების“** გამოჩენა პირველად ახ. წ. II საუკუნეში, 131 წელს ხდება. რომაელი დიდმოხელე და მემატიანე, ბერძენი

---

* მკვლევრებს შორის იყო მოსაზრება, რომ რიგი ტოპონიმებისა (მაგ.: აჭყვა, ბოღვა, დვაბზუ, ფიჩორა...) დასავლურ-ჩრდილოკავკასიური ენობრივი დანატოვარი შეიძლება იყოს, თუმცა, ენათმეცნიერებმა (მაგ.: თ. გვანცელაძე, მ.ჩუხუა) დაადასტურეს, რომ ყვა-დაბოლოება ქართულ ენაშიც არსებობდა, ხოლო ფიჩორა მეგრული სიტყვაა და ნიშნავს ადგილს, სადაც მდინარე შესართავში იშლება. შესაბამისად, ისინი აფხაზურ-ადიღეური ენობრივი კონსტრუქტებით ვერ აიხსნება.

** საქართველოს ძველი საზოგადოებების სოციალურ-ეკონომიკური და სახელმწიფო მოწყობის საკითხებს ივ. ჯავახიშვილი იკვლევდა, რომლის მიერ უძველესი ქართულად ნათარგმნი ორიგინალური ძეგლებიდან ამოკრეფილ და შესწავლილ იქნა ძველი ქართული საზოგადოების სოციალური ცხოვრების ამსახველი ტერმინები – „თესლი“, „ნათესავი“, „ტოჰმი“, „ერი“, „სახლი“ (რომელიც გვარის აღმნიშვნელი თავდაპირველი ტერმინი უნდა ყოფილიყო), „მამასახლისი“ და სხვ. [40].

*** ადგილობრივი მხარისათვის დამახასიათებელი.

ისტორიკოსი ფლავიუს არიანე (დაახლ. 95-175 წწ.) თავის ნაწარმოებში „პერიპლუსი“ პირველად მოიხსენიებს აბაზგებს „აბასკოი“ ფორმით. ამავე სახელწოდების მდინარეს (აბასკოს) იგი ქალაქ პიტიუნტის ჩრდილოეთით ასახელებს. როგორც ჩანს, ეს მდინარე ბზიფი უნდა იყოს. ფლავიუს არიანეს ამ ცნობაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახ. წ. II საუკუნეში აბაზგები თანამედროვე აფხაზეთის მთიან რეგიონში, ბზიფის ხეობაში უკვე უნდა ყოფილიყვნენ დასახლებულნი (იხ. რუკა ზევით). ახ. წ. II საუკუნეზე ადრინდელ წყაროებში აბაზგთა ტომი არსად არ არის მოხსენიებული, თუმცა, სტრაბონის მიერ საერთოკრებით სახელში –კავკასიელები – შესაძლებელია აბაზგებიც მოიაზრებოდნენ, ამიტომ არ არის გამორიცხული ამ ტერიტორიაზე მათი უფრო ადრე არსებობაც. როგორც ჩანს, II საუკუნემდე აღნიშნული ტომი რაიმე ღირსშესანიშნავ როლს პოლიტიკურ თუ კულტურულ ასპარეზზე არ ასრულებდა [12, 427].

ახ. წ. V საუკუნეში ჩრდილო-დასავლეთ კავკასიიდან აბაზგების ახალი ტალღის ჩამოსახლება ფიქსირდება. მანმადე აფხაზეთის მთიან რეგიონებში მცხოვრები აბაზგები დასავლეთისკენ, ბარში ინაცვლებენ. ამდენად, ახ.წ. VI საუკუნეში აბაზგების ორი ტომობრივი პოლიტიკური ერთეული იკვეთება, რომელიც ორი არქონტით (ბერძნ. მმართველი) იმართება. ეს ორი გაერთიანება ერთნაირი არ ყოფილა – აბაზგები, რომლებიც დასავლეთ დაბლობში გადასახლდნენ, უფრო განვითარებული და უკვე გაქრისტიანებულნი ჩანან, ხოლო აღმოსავლეთის აბაზგების ხელში ძირითადად სამხედრო ძალა ყოფილა თავმოყრილი [62, 78-82; 12, 427]. ამ ახალი მიგრაციული ტალღის შესახებ ეთნოგრაფიულ მასალას პირველად ბიზანტიელი ჟამთააღმწერელი, ისტორიკოსი და დიპლომატი პროკოპი კესარიელი (ახ. წ. 490-504 წწ.) იძლევა. მისი ცნობით, აბაზგები ჯგუფურად ყოფილან დასახლებულნი. მათი საცხოვრებლები, წნული ნაგებობები, წრიულად მდგარა და ფასადით შუა მოედნისაკენ ყოფილა მიმართული, სადაც დაცვის მიზნით საქონელი ჰყოლიათ განთავსებული. საცხოვრებლები გარშემო, ყოველი მხრიდან, ხის წნული მაღალი ღობით ყოფილა შემოზღუდული*. მოსახლეობა „თაყვანს სცემდა ჭალებსა და ტყეებს, ხეები... რაღაც გულუბრყვილობის გამო... ღმერთებად მიაჩნდათ... მათი მთავარი თავის ხალხს ჩაგრავდა. ტომში კარგი გარეგნობის, ლამაზი ტანის ყმაწვილებს მშობლებს ართმევდა, ასაჭურისებდა და რომაელთა ქვეყანაში, ძირითადად, მეფის სასახლეში გზავნიდა. ზოგიერთი აბაზგი მამები თავიანთ შვილებს დიდ ფულზე ჰყიდდნენ“. აბაზგებში ეს ჩვეულება ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანემ აკრძალა და მათ „აბაზგიის საღვთო ჭალაში ღვთის ტაძარი აუშენა“, სადაც „დადგენილ იქნენ მღვდელ-მსახურნი და, ამგვარად, უაღრესად ბარბაროსული ტომი ქრისტიანად იქცა“ [33: 133-135, 160; 35, 229-230].

დასახლების ზემოთ აღწერილ მომთაბარულ ფორმას აბაზგები დიდხანს ვერ შეინარჩუნებდნენ, რადგან დასავლეთ საქართველოში ჩრდილო კავკასიის სტეპებისგან განსხვავებული გეოგრაფიული და კლიმატური პირობები იყო. როგორც აქ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი უძველესი **სამაროვნების** (სამარხი) შესწავლით დგინდება, ქართველური მოდგმის კოლხები, რომლებიც იმავე ტერიტორიაზე მოსახლეობდნენ, ძვ. წ. II ათასწლეულსა და I ათასწლეულის პირველ ნახევარში წნული ფაცხების ნაცვლად უკვე უფრო განვითარებულ ხის სახლებში, ე.წ. ჯარგვალურ (მეგრ. ძელ-მრგვალი) ნაგებობებში ცხოვრობდნენ, თიხატკეპნილი იატაკებით. რაც შეეხება დასახლების ფორმას, ისიც განსხვავებული იყო – მეგრელ-ლაზები ბორცვებზე, „ზვინურ საყრდენებზე“ (მეგრ. „ნაოხვამუ“ – ნასაყდრალზე და „დიხაგუძუბა“ – ბორცვებზე) სახლობდნენ [24, 77-78; 7, 11-13].

* დასახლების ეს ფორმა ჩრდილო კავკასიის სტეპებში ჰქონდათ განვითარებული.



საქართველო ახ. წ. II ს.

ახ. წ. II-VI საუკუნეებში დღევანდელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე **ლაზეთის* (ეგრისის) სამეფო** გაძლიერდა, რომელმაც მთაში მცხოვრები სვანები, თანამედროვე წებელდაში (მდინარე კოდორის შუა და ზემო აუზი) მოსახლე მისიმიანთა სვანური ტომი, აფშილები**, აბაზგები (აფხაზები) და სანიგებიც (მეგრელები) შეიერთა*** [33: 109, 125-126, 185-186]. ლაზიკაში, საეკლესიო გადმოცემით, ანდრია პირველწოდებულის მიერ გავრცელებული ქრისტიანული მოძღვრება ქართველურ ხალხებთან ერთად, აბაზგებსაც (აფხაზებსაც) აქრისტიანებდა. „აფხაზნიცა შეიცვალნეს უმჯობესად და ქრისტიანობის შეიწყნარეს ქადაგება“ [36, 215]. ამ მხარეში ქრისტიანული რელიგიის საბოლოო გამარჯვებას VIII საუკუნის ქართველი მწერლის, იოანე საბანისძის „აბო ტფილელის წამებაც“ ადასტურებს: „ქვეყანა იგი სავსე ქრისტეს სარწმუნოებითა და არავინ ურწმუნოთაგანი მკვიდრად იპოვების საზღვართა მათთა“ [15, 128].

VII საუკუნეში აბაზგები ეგრისის მეფეს განუდგნენ და თავი უშუალოდ ბიზანტიელთა ქვეშევრდომებად გამოაცხადეს [27, 120]. ამას ბიზანტიის იმპერიაც უწყობდა ხელს, რადგან მის

---

* VI საუკუნის ისტორიკოსები – **პროკოპი კესარიელი**, **იოანე ლიდე**, **აგათია სქოლასტიკოსი**, როდესაც ლაზიკისა და ლაზების შესახებ მოგვითხრობენ, როგორც წესი, აღნიშნავენ, რომ ლაზები ძველი კოლხების მემკვიდრენი არიან, რომ მათ ძველად კოლხებს უწოდებდნენ. ისინი ამ ორ ცნებას სინონიმური მნიშვნელობით ხმარობენ. მაგ., VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი წერს: „კოლხიდა, რომელსაც ახლა ლაზიკა ეწოდა“ [33, 47; 22, 9].

** აფშილებთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. მკვლევართა ნაწილი (**დ. მუსხელიშვილი, ნ. აფხაზავა**) მას ქართველურ ტომად მიიჩნევს [26, 17-34], ნაწილი ფიქრობს, რომ იგი ბერძნული წყაროს „აფრიას“, **ჯუანშერის** ქართლის ცხოვრების „აფშილეთს“ შეესატყვისებოდა [37, 192; 21, 78; 22, 8].

*** აქ უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მკვლევარი, აფშილების მსგავსად, სანიგებისა და მისიმიანების ქართველურ წარმომავლობასაც ეჭვქვეშ აყენებს (მაგ., ინალ-იფა, ანჩაბაძე), თუმცა ამ ფაქტს მეცნიერულად ასაბუთებენ **ს. ჯანაშია**, **პ. ინგოროყვა**, **ს. ყაუხჩიშვილი**, **მ. ინაძე**, **დ. მუსხელიშვილი**, რომლებიც მათ ქართველურ მოდგმას მიაკუთვნებენ. ამ ტომთა პოლიტიკური არსებობა შეწყდა მაშინ, როდესაც ცნება აფხაზეთის მნიშვნელობა გაფართოვდა [22, 9].

ინტერესებში შედიოდა დამოუკიდებლობის მისწრაფების მქონე, გაძლიერებული ლაზიკის დასუსტება. ბიზანტიელთა დახმარებით აბაზგებმა თავისი ხელისუფლება სანიგებზეც გაავრცელეს. VIII საუკუნის მეორე ნახევარში აფხაზეთი, ლაზიკის უდიდესი ნაწილისგან განსხვავებით, არაბთა ბატონობას გადაურჩა და კვლავინდებურად ბიზანტიის კეისრის ვასალად რჩებოდა*; თუმცა VIII საუკუნეში საკუთრივ ბიზანტიაც დასუსტებული იყო არაბებთან ბრძოლით. ამით ისარგებლა აფხაზეთის მთავარმა ლეონმა და ბიზანტიის კეისარს განუდგა [39, 93]. მემატიანის სიტყვით, „რა ჟამს მოუძლურდეს ბერძენნი, გადგა მათგან ერისთავი აფხაზთა, სახელად ლეონ, რომელსაც მიეცა სამკვიდროდ აფხაზეთი“. VIII საუკუნის 80-იანი წლებიდან აბაზგიის ანუ აფხაზეთის სამთავროს მთავარი ლეონ II ხდება და მთელ დასავლეთ საქართველოს (ეგრის-აფხაზეთს) აერთიანებს, ლიხის ქედამდე [39, 93] (დაწვრილებით იხ. მე-3 თავი).

აფხაზეთის მეფეების ეთნიკური კუთვნილება დაზუსტებული არ არის, ამ საკითხზე არ არსებობს რაიმე წერილობითი ცნობა. ზოგიერთი მკვლევარი მათ საკუთრივ აფხაზებად თვლის, ზოგი – ბერძნებად, რადგან ისინი ბიზანტიის იმპერიის ვასალები იყვნენ, ზოგი – ქართველური წარმომავლობის მქონედ. სამივე მოსაზრებას აქვს არსებობის უფლება, მაგრამ ეს არ არის არსებითი; არსებითი ისაა, რომ აფხაზთა სამეფო – ენით, დამწერლობით, კულტურით, სარწმუნოებით, პოლიტიკით – ქართული სახელმწიფო იყო, ხოლო მისი მეფეები, ამავე ნიშნით – ქართული სახელმწიფოს მეთაურები. ისიც სათქმელია, რომ X-XI საუკუნეების სომეხი ისტორიკოსი, იოანე დრასხანაკერტელი, ამ სახელმწიფოს „ეგრისს“ უწოდებს, მათ მეფეს – „ეგრისის მეფეს“, ხოლო იქ მცხოვრებთ – „ეგრისელებს“ [22, 11].

ბიჭვინთის სახარების ყდა. *სახარება გადაწერილია XII საუკუნეში. XV საუკუნეში სახარება ვერცხლით მოაჭედვინეს და ღვთისმშობელს შესწირეს სოლომონ და არზაყან შერვაშიძეებმა*

* „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, VIII საუკუნის II ნახევარში კეისარმა აფხაზეთი არჩილს დაუქვემდებარა, რითაც მთელი დას. საქართველო გაერთიანდა. იხ. ზ. პაპასქირი, ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ტ. I.

ამ დროიდან ცნება „აფხაზეთის“ მნიშვნელობა ფართოვდება. VIII საუკუნის დასასრულს კი ქვეყნის მმართველები ბიზანტიელთაგან „მეფის“ ტიტულს იღებენ და მათგან თავისუფლდებიან [57, 339]. გაერთიანებული და ახლად შექმნილი ეგრის-აფხაზეთის სამეფო ტერიტორიულად მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავდა. დასავლეთით საზღვარი შავი ზღვა იყო, ჩრდილოეთით – სამხრეთ ჯიქეთი, რომელიც ნიკოფსიითურთ მის შემადგენლობაში შედიოდა; აღმოსავლეთით საზღვარი ლიხის ქედამდე აღწევდა, ხოლო სამხრეთით – მდ. ჭოროხის ხეობამდე [39, 89-93; 49: 159, 109-117]. ეგრის-აფხაზეთის გაერთიანებისთანავე მის დედაქალაქად ძველი ქართული ქალაქი ქუთაისი იქცა [28, 420]. გაფართოვდა თვით ცნება „აფხაზეთის“ მნიშვნელობაც. VIII საუკუნიდან XV საუკუნის 70-იან წლებამდე აფხაზებისა და ქართველების ეთნიკური განსხვავებულობის შესახებ ცნობები აღარ გვხვდება არც ძველ ქართულ წყაროებში, არც „ქართლის ცხოვრებაში“ და არც უცხოურ წყაროებში*. ამ დროისათვის აფხაზი – ქართველია. როგორც ჩანს, II-V საუკუნეებში მოსულმა მოსახლეობამ ასიმილაცია განიცადა და მათი განსხვავებულობის შესახებ ცნობები გაქრა.

XV საუკუნის პირველი ნახევრიდან ცენტრალიზებული საქართველო დასუსტდა და დაშლა დაიწყო. ერთიანი საქართველოს დასუსტებამ ხელი შეუწყო მონღოლებისა და ყირიმის თათრების თარეშისაგან შეწუხებული ჩრდილოკავკასიელი მოსახლეობის ახალი ნაკადის კავკასიის სამხრეთ ფერდობებზე გადმოსახლებას. ამან ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების არეალზეც იქონია გავლენა და აფხაზეთში ქრისტიანობა საგრძნობლად შესუსტდა. ეს მოვლენა 1470-1474 წწ. ქართული სამართლის ძეგლში – „მცნება ესე სასჯულოში“ – აისახა: „აფხაზეთი ქრისტიანობისაგან სრულიად მიდრეკილ იყუნეს. ქრისტეს მცნებისაგან განშორებულ იყუნეს“ [8, 222]. აფხაზეთში

კელასურის კედელი. *ლითოგრაფია დიუბუა დე მონპერეს ალბომიდან. 1831-1834 წწ.*

* XI-XVI საუკუნეებში უცხოურ წყაროებში „აბაზგია“/“აფხაზეთი“, „აბაზგი“/“აფხაზი“ მთლიანად მთელი დასავლეთ საქართველოსა და ქართველის აღსანიშნავად გვევლინება, ტერმინ „აფხაზის ცნების თანდათანობით გაფართოების შედეგად“ [20, 83; 42, 129-132; 30, 225;...].

ქრისტიანობის შესუსტება და წარმართობის აღორძინება მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შეცვლაზე უნდა მიუთითებდეს.

ერთიანი საქართველოს დაშლისა და აფხაზეთში ქრისტიანობის შესუსტების შემდეგ, დასავლეთ საქართველოს კათალიკოსმა ბიჭვინთის რეზიდენცია გელათის მონასტერში გადაიტანა [38, 78]. აფხაზეთის მთავრის ხელისუფლებაც სასოფლო თემებისა და მათი წარმომადგენლობის სახალხო კრებით იქნა შეზღუდული [48, 61].

XVII საუკუნის 80-იანი წლებიდან კი უკვე თანამედროვე აფხაზთა წინაპრებმა მდ. კელასურს ქვემოთ მცხოვრები მეგრული მოსახლეობა შეავიწროვეს და დღევანდელი სოხუმის, გუდაუთის, ოჩამჩირის რაიონების ტერიტორიაზე დასახლდნენ. ოჩამჩირესა და სოხუმში ისინი მეგრულენოვანი ქართველი მოსახლეობის გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ. ბარში ჩამოსახლების შემდგომ აფხაზთა საზოგადოება ორად გაიყო – „**ბზიფისა**“ და „**აბჟუის**“ აფხაზებად. სახალხო საკრებულო ორივეში დამოუკიდებლად მოქმედებდა. ბზიფელი აფხაზები „ბზიფურ“ დიალექტზე მეტყველებდნენ, ხოლო ოჩამჩირელები – „აბჟუურზე“. განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ „ბზიფურზე“ ქართულ ენას ჰქონდა გავლენა, ხოლო „აბჟუურზე“ – მეგრულ ენას.

ბ) აფხაზური საზოგადოების ყოფა-ცხოვრება

(ფოლკლორი, დაკრძალვის წესი, საცხოვრისი, საგვარეულო სალოცავები, ყოველდღიურობა, ტრადიციები)

ფოლკლორი. ახალი მიგრაციული ტალღა II-V საუკუნეების დროს ჩამოსახლებულთაგან განსხვავდებოდა, რადგან XIII საუკუნის დასასრულსა და XIV საუკუნის ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებმა გაფანტულმა მოსახლეებმა უკვე ცალკეულ ეთნიკურ ერთეულებად იწყეს ჩამოყალიბება. მათ შორის იყვნენ აფხაზთა მონათესავე **აბაზები** (არ შეგვეშალოს აბაზგებში), რომლებიც მდინარეების – ბზიფისა და ტუაფსეს შორის და, აგრეთვე, აფხაზეთის ზოგიერთ მთიან რეგიონში ცხოვრობდნენ, ნაწილი კი ადიღელთა შორის იყო განსახლებული [3, 77]. XVI-XVII საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოსახლებულთა შორის სწორედ აბაზები ჭარბობდნენ [10: 95-98; 100-107].

როგორც ყველა უდამწერლობო ხალხის, აფხაზების ისტორიულ-ეთნოლოგიური რეალიების დადგენაშიც მათივე ხალხური შემოქმედება გვეხმარება. აფხაზურ ზეპირსიტყვიერ მასალაში – „ნართულ ეპოსში“, ლეგენდებში, ეთნოგენეტურ* და გენეალოგიურ თქმულებებში, ზღაპრებშიც კი – ასახულია მათი წარმოშობის, ვინაობისა და მიგრაციული პროცესების დამადასტურებელი მასალები [5, 9-59]. აფხაზური ფოლკლორის ყველაზე ცნობილი ძეგლის, **„ნართული ეპოსის“** საერთო ამოსავლად ცნობილ მკვლევრებს** ალანური ეპოსი მიაჩნიათ. კავკასიური ნართული თქმულებების ისტორიულ-შედარებითი კვლევის შედეგად, სხვა გამოცდილი მკვლევრებიც (**პ.უსლარი, ა.გრენი, მ. მაგომეტოვი, ბ. დალგატი**...) იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ჩრდილო კავკასიაში გავრცელებული ნართული ეპოსის ყველა ეპიკური ციკლი აშკარად საერთო ჩრდილოკავკასიურია (ოსური, ადიღური), რაზეც თვით აფხაზური ვერსია იძლევა პასუხს. აფხაზურ ვერსიაში აღწერილი მატერიალური კულტურა – ქვის საცხოვრებლები, ციხე-სახლები და კოშკები – არც აფხაზური და არც ჩერქეზული

---

* ეთნოგენეზი – [ბერძ. etnos – ტომი, ხალხი; geonesis – წარმოშობა] – ხალხის, ტომის წარმოშობა; ეთნოგენეტური – ხალხის წარმოშობის შესახებ არსებული.

** **გ. მილერი, ჟ. დიუმეზილი, ე. კრუპნოვი,** აგრეთვე, თანამედროვე ავტორები, **ვ. აბაევი** და **გ. ჭილაია**; ეპოსის მეომარი გმირების საერთო სახელწოდების – „ნართ“-ის – ახსნაც მხოლოდ ირანული ენის „ნარ“-ის, ე.ი., მამრის, მამაკაცის საშუალებით ხდება (როგორც ქვემოთ ვნახავთ, ალანური ირანული ენების ჯგუფს მიეკუთვნება).

საზოგადოების ტრადიციული ყოფისთვის არ ყოფილა დამახასიათებელი (ქვის საცხოვრებლები, ციხე-სახლები და კოშკები ალან-ოსებისთვის იყო დამახასიათებელი). აფხაზთა ყოფაში ქვის ნაგებობებმა მხოლოდ XX საუკუნის მეორე ნახევარში შეაღწია [5, 11-17]. ამიტომ ისმის კითხვა: თუ ეს ეპოსი ჩრდილო კავკასიის ხალხის საერთო კუთვნილება იყო და თუ აფხაზები ოდითგანვე საქართველოში ცხოვრობდნენ, როდის და საიდან უნდა მოხვედრილიყო მატერიალური კულტურის ეს მახასიათებლები აფხაზურ ნართულ ეპოსში? აუცილებელია აღინიშნოს, რომ ფოლკლორის ეს სახეობა (ნართული ეპოსი) საქართველოში გავრცელებული არ ყოფილა ზოგიერთი გადმოცემის კვალი, ისიც ნაწილობრივ და ფრაგმენტულად, სპორადულად მხოლოდ ჩრდილო კავკასიასთან ახლოს მდებარე სვანეთისა და რაჭის ზეპირ ტექსტებში აისახა.

ნართული ეპოსის გმირის სასრიყვას გამოსახულება

საყურადღებოა ისიც, რომ ქრისტიანობის გავრცელების შემდგომ, ოსებში, ალანურ ნართულ ეპოსში, რელიგიური ხასიათის თქმულებები შევიდა. თუ ეს ეპოსი აფხაზთა ადრეულ წინაპრებში იყო გავრცელებული, და თუ აფხაზები აქ ყოველთვის ცხოვრობდნენ, მაშინ გაუგებარია, რატომ არ უნდა შესულიყო მასში ქრისტიანული ხასიათის თქმულებები. ნართული ეპოსის აფხაზური ვერსიები კი მხოლოდ მკვეთრად გამოხატული საგმირო-ეპიკური დარჩა. აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ მოსახლეობამ ეს საგმირო ციკლი, ეთნოგენეტური და გენეალოგიური თქმულებები, ზღაპრები და მასში არსებული არქაული ამბები მხოლოდ XV-XVI საუკუნეებიდან ჩამოიტანა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ თვით აფხაზურ „ნართულ ეპოსში“ ნართების სამოსახლო და ტერიტორია მდინარე ყუბანის ხეობაა; ზოგადად კი, მითოლოგიზებული მდინარე ყუბანი ეპოსის აფხაზური ვერსიის საკრალური სივრცის ცენტრია [69; 71]. ნართული საზოგადოება სოციალურად ერთგვაროვანია. მთავარი მოქმედი გმირი, ნართების უმცროსი ძმა – სოსრიყვა, სწორედ მდ. ყუბანის ახლოს აღმართულ ციხე-სახლში ცხოვრობს და იქვე ასრულებს სიცოცხლეს.

გმირული საქმეებისა და ლაშქრობების დროს აფხაზ ნართებს მეზობელ ქვეყანაში, სამხრეთით მცხოვრები „გოლიათებისადმი“ ინტერესი უჩნდებათ. მათ მოსწონთ გოლიათების ქვეყანა, იგი „თბილი მხარეა“, მიწა იქ კარგია, საქონლისათვის ბალახიც უფრო ნოყიერია. იქ განსხვავებული მცენარეულობაა გავრცელებული, რაც მთავარია „ვაზი ხარობს“. ნართები მშვიდობიან გოლიათებს აგრესიითა და ძალადობით უპირისპირდებიან და ტერიტორიის ნაწილს ითვისებენ. ამის შემდეგ მათ **მოძრავი ცხოვრების წესი** უყალიბდებათ. ისინი გოლიათების ქვეყანასა და მდ. ყუბანის ველს შორის მოძრაობენ. 99 ნართის დედა სათანეი-გვაშა, ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიას შორის მოგზაურობის დროს რიწის ტბაზე ხშირად ბანაობს, მაგრამ კვლავ შინ, ყუბანის ველზე ბრუნდება; ნართი სოსრიყვა არწივს სთხოვს ქვესკნელიდან „თავის აფხაზეთში“ დაბრუნებას, მაგრამ ამით მისი ძირითადი სამოსახლო ადგილი (მდ. ყუბანის ველი) არ იცვლება. იგი საბოლოოდ თავის სამშობლოში, ყუბანის ველზე კვდება. ერთ-ერთი ნართი დიდ მთა დიდრიფშზე (გუდაუთის რ-ნის სოფ. აჭანდარა) მკვიდრდება, თუმცა, მას ბრძოლის გარეშე ვერ ეპატრონება. ამ მთაზე „დაჯდომისას იგი ჭექა-ქუხილს იწვევს, რითაც ქვეყანას ამცნობს, რომ თავის ხალხთან ერთად ახალ ტერიტორიას ეუფლება“. იგი დიდრიფშსა და ყუბანის ველს შორის მოგზაურობს და თავის სამშობლოსთან კავშირს არ წყვეტს [71, 66].

დაკრძალვის წესი და საგვარეულო სალოცავები. გარდა აფხაზური „ნართული ეპოსისა“ და სხვა ეთნოგენეტური თქმულებებისა (მაგალითად, ზღაპარი აფსჰას შესახებ), XV საუკუნიდან მოყოლებული, ჩრდილო კავკასიიდან ახალ-ახალი ტალღების დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოსახლებას XVII საუკუნის რამდენიმე ავტორი ადასტურებს: ჯოვანი დე ლუკა – დომინიკელთა ორდენის იტალიელი ბერი, ოსმალო გეოგრაფ-მოგზაური ევლია ჩელები და ამავე საუკუნის ნეაპოლელი მისიონერი დონ არქანჯელო ლამბერტი. მაგალითად, ჯოვანი დე ლუკა ახლად ჩამოსახლებული მოსახლეობის შესახებ წერს: „მათ დაწერილი კანონები არა აქვთ, მათთვის უცნობია დამწერლობის კულტურა, არ ასრულებენ არავითარ ქრისტიანულ წეს-ჩვეულებებს და მხოლოდ სახელით არიან ქრისტიანები. მათი და ჩერქეზების ცხოვრების წესი ერთნაირია“ [31, 170]. გარდა ამისა, ჯოვანი დე ლუკამ XVII საუკუნის დასაწყისში პირველად აღწერა აფხაზებში დაკრძალვის წესი, რომლის თვითმხილველიც თავად გამხდარა ბიჭვინთაში. დონ არქანჯელო ლამბერტი კი (1630-იან წლებში) წერდა: „აფხაზები... ანუ აბაშები, რომელთაც თურქები აბასად (აბაზად) მოიხსენიებენ... ქალაქებში და ციხეებში როდი ცხოვრობენ, არამედ შეიყრება ერთი გვარის ათი თუ ოცი ოჯახი, ამოირჩევენ რომელსამე მაღლობ ადგილს, გააშენებენ იქ კარგ ისლით დახურულ ფაცხებს, შემოავლებენ ამორჩეულ ადგილს მაგარ ღობეს და ღრმა თხრილს. ღობეს და თხრილს იმიტომ აკეთებენ, რომ ეშინიათ თავდასხმისა, გარეშე ხალხის კი არა, თვით აფხაზები თავს ესხმიან და ძარცვავენ ერთმანეთს, ხოლო ართმევენ ერთმანეთს სახლის ავეჯს კი არა, რადგან აფხაზს ასეთი ავეჯი არც კი გააჩნია, არამედ კაცებს, ქალებსა და ბიჭებს. ამისათვის ჩვეულებრივ ღამე დაეცემიან ერთმანეთს და ვისაც მოიხელთებენ, დაიჭერენ და წაიყვანენ გასაყიდად... აფხაზებს ერთი გამორჩეული ჩვეულება აქვთ, რომელიც სხვაგან არ მოიპოვება, სახელდობრ ის, რომ მიცვალებულებს როდი მარხავენ, არამედ ჰკიდებენ ხოლმე ხეზე შემდეგის წესით: გამოღარავენ ხის მორს კუბოს მსგავსად, შიგ ჩასდებენ მიცვალებულს და ვაზის მაგარი ლერწებით ჩამოჰკიდებენ ხის წვეროზე, ამავე ხეზე ჩამოჰკიდებენ ყველა იარაღს, რომელსაც მიცვალებული სიცოცხლეში საომრად ხმარობდა, მისი საჯდომი ცხენიც უნდა გავუგზავნოთო, ამბობენ ჭირისუფლები, რადგან საიქიოშიც ისევ დასჭირდებაო... ამისათვის ცხენს გადააფარებენ ქსოვილს და იმ მინდორზე, სადაც მიცვალებულია ჩამოკიდებული, აჭენებენ იმ დრომდე, სანამ დაღლილობისგან არ მოკვდება“ [9, 154-156].

ფაცხა. *აფხაზების ტრადიციული სახლი*

საინტერესოა ასევე ევლია ჩელების ცნობები იმ საზოგადოების შესახებ, რომელთაც იგი აბაზას ხალხად მოიხსენიებს. მისი დახასიათებით, ეს აბაზას ხალხი „ურჩი და მეამბოხე“, მოთარეშე ტომებია, რომლებიც „მეგრელებს იტაცებენ და ოსმალებზე ჰყიდიან“ [10, 96]. მისივე ცნობით, მხოლოდ ჩანდების ტომი ყოფილა წმინდა აბაზები, დანარჩენი კი სხვადასხვა ტომია, შერეული მოსახლეობა, რომელთა ეთნიკურ სახელწოდებებსაც ასახელებს – ჩაჩები, ასლანი, გეჩები, ართი, საძი, კამში, ჯუმბა, ბუზუდუკი, უსუვიში, აშღილი. აი, რას წერს იგი კამშის ტომის შესახებ, რომლებიც თანამედროვე სოფ. ტამიშის ტერიტორიაზე (გუდაუთის რ-ნი) სახლობდნენ: „მათ ართის ტომი რამდენჯერმე დაუმარცხებიათ და მათი ბეგი ტყვედ ჩაუგდიათ. ეს იმიტომ, რომ აბაზები ერთმანეთს ებრძვიან, ბავშვებსა და ქალებს იტაცებენ, ტყვეებს ჰყიდიან და ამით ცხოვრობენ“ [10, 101-102].

საინტერესოა ისიც, რომ უსუვიშის (აბაზების) ტომის აღწერისას ევლია ჩელები **„ჰაერზე დაკრძალვის წესს“** უცნაურს უწოდებს და წერს, რომ „ეს აბაზას ტომი ხშირად თავიანთი ბეგის გვამს ზანდუკის მსგავსად ხეში დებს. ამას დიდი ხის წვერზე ორკაპა ტოტზე მიაჭედებენ, თავთან ნახვრეტს უკეთებენ და ისე ტოვებენ [10, 104]. დაკრძალვის მსგავს წესს ვახუშტი ბაგრატიონიც ადასტურებს – „ვითარცა კერპნი... არა დაჰფლავენ მკვდართა თუისთა, არამედ მისთავე სამკაულიარაღით, შესამოსელითა შთასდებენ კუბოთა შინა და შესდგამენ ხეთა ზედა და უკეთუ უშტვენს მკვდარი იგი ეშმაკისა მიერ, სწამთ განსვენებულად მერმისა მას“ [32, 785-786]*.

როგორც აღვნიშნეთ, დასაფლავების ასეთი წესი სამეცნიერო ლიტერატურაში **„ჰაერზე დაკრძალვის“** სახელწოდებითაა ცნობილი და მას უძველეს წერილობით წყაროებშიც ვხვდებით [31]. მაგალითად, კოლხეთში მიცვალებულის ჰაერზე დაკრძალვის შესახებ პირველ ცნობას გვაწვდის ძვ.წ. III საუკუნის გამოჩენილი ბერძენი ეპიკოსი პოეტი აპოლონიოს როდოსელი, თავის პოემაში „არგონავტიკა“. აპოლონიოს როდოსელის ეს თხზულება მნიშვნელოვანი წყაროა, რომელშიც დასავლეთ საქართველოს უძველესი საზოგადოების პოლიტიკური და საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრების სხვადასხვა ელემენტთან ერთად მოცემულია საყურადღებო ხასიათის ყოფითი წეს-ჩვეულებებიც [4, 121-122].

კოლხეთის ტერიტორიაზე გავრცელებული კულტურისა და ყოფის თავისებურების ამსახველი ზემოაღნიშნული ჩვეულება მეცნიერთა დიდმა ნაწილმა მკვიდრ ეთნიკურ ქართველურ ტომებს დაუკავშირა, ხოლო ზოგიერთმა აფხაზმა მეცნიერმა (ზ. ანჩაბაძემ, შ. ინალ-იფამ) – აფხაზებს, რადგან ახალი წელთაღრიცხვის XVII-XVIII საუკუნეებში წყაროებმა ეს წარმართული ჩვეულება სწორედ აფხაზებში დაადასტურეს.

აფხაზი მეომარი

როგორც ზემოთ აღინიშნა, ანტიკური პერიოდის წერილობითი წყაროები (ჰეროდოტე, ფსევდო-სკილაქს კარიანდელი, სტრაბონი) კოლხეთის ტერიტორიაზე ქართველურ (კოლხებს, კოლიკებს, კორაქსებს, მესხებს და ა.შ.) მოსახლეობას ადასტურებენ. „ძველ წყაროებში დასახელებული სატომო ერთეულები უმეტესად დაკავებული ტერიტორიის მიხედვით არის ჩამოთვლილი, ამდენად, უნდა ვიფიქროთ, რომ გარკვეული პოლიტიკური გავლენის მქონე ყველა ეთნიკური გაერთიანება უნდა მოხვედრილიყო ავტორთა თვალსაწიერში. აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ამ საკითხზე არსებული ლიტერატურა და მკვლევართა უმეტესობის აზრი საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნემდე დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე თანამედროვე აფხაზების წინაპრები არ სახლობდნენ. აქედან გამომდინარე, აპოლონიოს როდოსელის თხზულებაში აღწერილ უძველეს წეს-ჩვეულებებთან კავშირი სწორედ კოლხებს, ქართველურ ტომებს

* ზოგიერთი მკვლევრის აზრით, აფხაზებმა ეს წესი XIX საუკუნეშიც შეინარჩუნეს, რაც ადრინდელისაგან განსხვავებით, მეხდაცემული ადამიანის ან ცხოველის დაკრძალვის იმიტაციით გამოვლინდა: ცხედარს ან ლეშს ტყეში, ოთხ ბოძზე გაკეთებულ ფიცარნაგზე ტოვებდნენ. მეხის დაცემისგან გარდაცვლილი ადამიანის ან ცხოველის დატირება აკრძალული იყო, ჭექა-ქუხილის ღვთაების – აფის განაწყენების შიშით [76, 103-204].

უნდა ჰქონოდათ. აღწერილი ჩვეულება „არგონავტიკის“ მიხედვით დადასტურებულია თანამედროვე ზუგდიდის რაიონის ტერიტორიაზე, მდ. რიონის ველზე, სადაც არც ისტორიულად, არც წყაროების მოწმობით და არც მინიშნებით, აფხაზების წინაპრებს არ უცხოვრიათ. აპოლონიოს როდოსელის ტექსტის მიხედვით, მიცვალებულის გვამებს კოლხები ჰკიდებდნენ „მყუდრო ჭალებში“, ქალაქგარეთ“ [34, 160]. აფხაზებისთვის კი, და მით უმეტეს მათი წინაპარი ტომებისთვის, ქალაქები XX საუკუნემდე დამახასიათებელი არ ყოფილა. პროკოპი კესარიელის მიერ მოწოდებული ეთნოგრაფიული მასალიდან უკვე ვიცით, რომ ახ.წ. V-VI საუკუნეებში აბაზგები ჯგუფურად იყვნენ დასახლებულნი გვაროვნულ ბორცვებზე.

დასავლეთ საქართველოს იმ ნაწილში, სადაც დაკრძალვის ეს პროცესია აღწერილი, „კირკეონში“*, არქეოლოგებმა ყურადღება გაამახვილეს **საძვლე ორმოებზე****, რომლებშიაც მეორადი დაკრძალვა იყო დადასტურებული. მეორადი დაკრძალვის ჩვეულებამ და წერილობით წყაროებში შემონახულმა ცნობებმა ერთმანეთი შეავსო.

როგორც ვნახეთ, წერილობით წყაროებში ქრისტიანულ დასავლეთ საქართველოში ჰაერზე დაკრძალვის ჩვეულება, დიდი შუალედის შემდგომ, მხოლოდ ახ. წ. XVII-XVIII საუკუნეებში დაფიქსირდა, მას შემდეგ, რაც აქ ჩრდილოკავკასიელთა ახალი მიგრაციული ნაკადი ჩამოსახლდა. ცხადია, დასავლეთ საქართველოს ამ ტერიტორიაზე მოსახლეობის გაქრისტიანების შემდეგ, საუკუნეების განმავლობაში **ინჰუმაციის** (მიცვალებულის მიწაში დაკრძალვა) წესი მოქმედებდა. ჩრდილო კავკასიაში კი ჰაერზე დაკრძალვის ჩვეულება და მისი ტრანსფორმირებული ფორმების არსებობა XIII-XIX საუკუნეებშიც არის დადასტურებული [45; 52: 85, 118, 155, 526,...].

XVI საუკუნის მეორე ნახევარსა და XVII საუკუნის დასაწყისში აფხაზეთი „კოლხეთის ნაწილად“ მოიაზრებოდა [55, 229], თუმცა, როგორც ჯოვანი ლუკას, ქათიბ და ევლია ჩელების, არქანჯელო ლამბერტის [55: 237-240, 244-248, 253-255] და სხვათა აღწერილობებიდან აშკარად ჩანს,



ანაკოფია *ლითოგრაფია დიუბუა დე მონპერეს ალბომიდან. 1831-1834 წწ.*

* კირკეონი – ძვ. კოლხეთში ველი, რომელზეც მდ. ფაზისი (თანამედროვე მდ. რიონი) მიედინებოდა; ქ. კირკეუმი მდ. ფაზისის ნაპირას პლინიუსსაც აქვს დასახელებული [19, 48.]

** სამარხი, სადაც მხოლოდ ძვლებია დაკრძალული [63, 63-64; 65, 178-189; 73: 32-33, 45, 149; 67, 46; 25, 13-20].



აფხაზი მამაკაცები
ვასილ ვერეშჩაგინის ჩანახატი
1864-1865 წწ.

აფხაზეთში ქრისტიანული მოსახლეობის გვერდით, მეურნეობრივად დაბალი განვითარების, წარმართი, ჩრდილოკავკასიური წარმოშობის მოსახლეობაც ჩნდება. XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან აფხაზეთის მცხოვრებთა აღსანიშნავად, თურქულ ოფიციალურ ენაში დროებით ქრება ეთნონიმი „აფხაზები“ და მის ადგილს კრებითი სახელწოდება „აბაზები“ იკავებს. თუმცა, ცოდნა იმის შესახებ, რომ ეს მხარე „აფხაზეთია“, შემორჩენილია“ [1, 274].

ცნობილია, რომ ხშირად ზეპირი ხალხური გადმოცემები **სოციოგონიურ** ხასიათს ატარებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი შინაარსი საზოგადოების საცხოვრებელი ტერიტორიის მოპოვებასთან არის დაკავშირებული. მკვიდრი ქართული მოსახლეობა თავის ზეპირ თქმულებებში ტერიტორიის მოსაპოვებლად მითიურ ძალებს (დევებს, გველეშაპებს და სხვ.) ებრძვის [16, 10-14]; აფხაზების წინაპრები კი ტერიტორიის დათავისებას სიუჟეტურად ყოფითი ელემენტების, წეს-ჩვეულებების, ქორწინების, მამამძუძეობის და სხვა სოციალური ინსტიტუტების გამოყენებით ცდილობენ, რაც მოსულებს ადგილზე დამხვდურ მოსახლეობასთან ურთიერთობაში ესაჭიროებოდათ. აფხაზები ყოფით ჩვეულებებს მოხერხებულად იყენებენ, მკვიდრ მოსახლეობას კუთვნილ ტერიტორიას ათმობინებენ და ზოგჯერ აძევებენ კიდეც [43, 165-173].

ჩრდილოკავკასიური ჯგუფები საქართველოში აფხაზეთის მთების გავლით ჩამოდიოდნენ, რაც XV საუკუნის 70-იანი წლებიდან საქართველოსთან კომუნიკაციის ძირითადი საშუალება იყო. ამ მთებზე მათი წარმართული რელიგიური ღვთაებები იყრიდნენ თავს, რომლებიც სხვადასხვა გვართან იყვნენ დაკავშირებულნი. კავკასიის ქედზე სხვადასხვა გადმოსასვლელის საკრალურობის შესახებ ცნობები XIX საუკუნიდან გვხვდება*.

ეთნოგრაფიული მასალებით დასტურდება, რომ გაჭირვების დაძლევისა და გადმოსასვლელების გადმოლახვის შემდეგ მოსახლეობა მთასა და გადმოსასვლელებს მადლობას სწირავდა და იქვე, ბუნებაში, სალოცავებს აფუძნებდა, მადლიერების გრძნობას კი რაიმე ნივთის შეწირვით გამოხატავდა. მათი აზრით, მთისა და გადმოსასვლელების სულები – ამ გზების მეპატრონეები – ადამიანებისა და ცხოველების მფარველნიც უნდა ყოფილიყვნენ; ამას გარდა, ყველა ადგილს თავისი „ძალა“ გააჩნდა, ამიტომ გვიან ხანაშიც ხალხი ასეთ გადმოსასვლელებს მსხვერპლს სწირავდა. შესაწირი – ტყვია, დანა, ცხენის მოსართავი, ზოგჯერ ქვებიც იყო – ანუ ის საგნები, რაც მათ გზაში ჰქონდათ. გადმოსვლის შემდეგ ზოგჯერ მსხვერპლს (თხას, ცხვარს) სწირავდნენ გადმოსასვლელს და შესაწირად ზვარაკის ტყავს, თავს, ჩლიქებს ტოვებდნენ.

ღვთაების სალოცავ **საკულტო „ცენტრად“** სხვადასხვა ეპოქაში ბუნებრივი ობიექტები გვევლინებოდა – მთა, ტყის პირები, ჭალები, ცალკეული ხეებიც კი. ერთ-ერთი ყველაზე ძველი სალოცავი ჩამოსახლებულთა მეხსიერებაში კავკასიის წყალგამყოფი ქედის სამხრეთ კალთაზე აღმართული მცირე **მთა ფსჰუ** (სოხუმის რ-ში) უნდა ყოფილიყო, რომელიც აფხაზეთის ცენტრალურ მთიან ნაწილს განეკუთვნება. XX საუკუნის ბოლოს ჩატარებული საველე სამუშაოების დროს გამოკითხული რესპონდენტების მტკიცებით, აფხაზებისთვის საკრალურ ობიექტს, აფხაზური გვარების მფარველ

* ეს გადმოსასვლელებია – ხიმსა, ძინა [47, 145-146], სანჩარი [53], მდ. ბზიფისა და ზელენჩუკის სათავეები [74, 37] და სხვა.

აფხაზთა სალოცავი ადგილი

ღვთაებას და მთავარ სალოცავს, სწორედ მთა ფსჰუ წარმოადგენდა. ის დღესაც იმ გვარების მფარველად გვევლინება, რომელთა წარმოშობაც მასთან არის დაკავშირებული. „ფსჰუ ნხას“ (ფსჰუს სალოცავის) წარმოშობა საზოგადოებრივ-ყოფითმა პირობებმა განსაზღვრა. იგი იმ მიკროტერიტორიაზე არსებობდა, სადაც მიგრირებული მოსახლეობა გადასასვლელების გადმოლახვის შემდეგ თავდაპირველად სახლდებოდა – ანუ თანამედროვე აფხაზეთის მთაში. ჩამოსახლებისთანავე ისინი იქ სოფლებს აარსებდნენ და გარკვეული დროის განმავლობაში იქ მკვიდრობდნენ. თანდათანობით, გამრავლებისა და ოჯახების გაზრდის კვალად, ბარისკენ ინაცვლებდნენ. ბარში ჩამოსახლების შემდეგ მფარველ ღვთაებასა და მთასთან კავშირი რომ არ გაეწყვიტათ, აფხაზური გვარების უმეტესობამ თავისი წარმოშობა ამ სალოცავს, ღვთაება ფსჰუ ნხას დაუკავშირა [5, 62].

ამრიგად, გვარების – არისთაას, ჩხუფიას, პტიშის, ხვატიშის, აძინაას, ადლეიბას, ბაგაფშის [74, 34], აშუბას, კიახირიფას, სიმსიმის, საძბა-ჩიჩბას, ამიჭბას, ჩეგემის, ინალ-იფას, ჭანბას [52, 229] და სხვა აფხაზური გვარების მოსახლეობის თქმულებებიდან გამომდინარე, ისინი თავიანთ წარმომავლობას ფსჰუ ნხას უკავშირებენ და ფუძე სალოცავადაც მას აღიარებენ.

სწორედ ამიტომ, მთა ფსჰუ უკვე ბარში ჩამოსახლებულთათვის საკრალური და თაყვანისცემის ობიექტი ხდებოდა. ამასთან, ეს ტერიტორია ფუნქციურ-სივრცობრივი რელიკვიის სახეს იძენდა. ამ ადგილებში დღესაც აკრძალულია ნადირობა, ტერიტორიის საძოვრად გამოყენება; აქაური ხეები, ბალახები, ცხოველები მხოლოდ ღვთაების კუთვნილებაა. ფსჰუსადმი რწმენა სამყაროს თაყვანისცემაა, იგი მათი ძველი და ამჟამინდელი ბინადრობის ურთიერთდამაკავშირებელია [5, 64].

საცხოვრისი. აფხაზებისა და ქართველების (ძირითადად, მეგრულ-სვანური მოსახლეობის) თანაცხოვრება საუკუნეების განმავლობაში მჭიდრო და ხანგრძლივი კულტურულ-ისტორიული ურთიერთობებით ხასიათდებოდა. შესაბამისად, ვიწროეთნიკური სხვაობის მიუხედავად, ამ ხალხების ყოფა-ცხოვრებასა და ყოველდღიურობაში მსგავსების ელემენტი სულ უფრო იჩენდა თავს. თანამედროვე აფხაზების ეთნოგრაფიული სურათის დანახვა შედარებით სრულყოფილად მხოლოდ XVI საუკუნიდან არის შესაძლებელი. საინტერესოა უკვე ნახსენები ევლია ჩელების თვალით დანახული მათი ეთნოგრაფიული ყოფა და ყოველდღიურობა. XVII საუკუნის აფხაზებს დასახლების **მონოგენური*** ფორმა ჰქონდათ, რომელსაც ავტორი ასე აღწერს: „მთაზე ორმოცი, ორმოცდაათკომლიანი საგვარო ტომების – ჩაჩების, ჩანდების, გეჩის და ა.შ. სოფლებში ...მოწნული და ყავრით დახურული სახლები მდგარა, ...მზისკენ მიქცეული ბაღ-ვენახით. ყველა ეს საგვარო ტომი ერთ საზოგადოებას ქმნიდა. ცალკეულ ბორცვებზე შეჯგუფებულ დასახლებას ციხის მსგავსად შემოვლებული ჰქონდა ღობე... ყველა ქოხი ტყეში იდგა, რადგან მათ არა მარტო მტრის, არამედ ერთმანეთისაც ეშინოდათ“ [10, 100-115]. ევლია ჩელები ტერმინ „საგვარო ტომებში“ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს გულისხმობდა. როგორც ჩანს, აფხაზეთში ჩამოსახლებულმა მთიელმა მოსახლეობამ, მართალია, ბინადარ ცხოვრებას მიჰყო ხელი [54, 90; 58, 37; 72, 83; 29, 310-312], მაგრამ საუკუნეების განმავლობაში (XVII-XIX საუკუნეები) განცალკევებული და შეჯგუფებული ცხოვრების წესი მაინც შეინარჩუნა. თვითმხილველების თანახმად, XIX საუკუნის დასაწყისში, „აფხაზების საცხოვრებლები ხშირ, გაუვალ ტყეებში, ხეობებსა და ამაღლებულ ადგილებში არის გაფანტული... ყველა მათგანი თავისი მეზობლებისგან დამოუკიდებელ ცხოვრებას ეწევა. ამიტომ საზოგადოებრივი ყოფა აფხაზებში

* დასახლების ეთნოგრაფიული წესი, როდესაც უბანი ან სოფელი ერთი გვარისა და სისხლით ნათესავებით არის გვერდიგვერდ დასახლებული და უცხო გვარის მოსახლე იქ არ ცხოვრობს.

აფხაზთა ძველი საცხოვრებელი
XIX ს. II ნახ. ფოტო

საერთოდ არ არის“ [77]; მათი დაკვირვებით, აფხაზები „დიდ სოფლებში არ ცხოვრობენ, არამედ გორებსა და ფერდობებზე არიან გაფანტული და მცირე საკარმიდამო ნაკვეთებს ფლობენ“ [53]. მსგავს დასახლებას ილია ადამია* უძველესად მიიჩნევდა; მის მიერ ფიქსირებული მასალის თანახმად, მსგავსი ბორცვები ერთმანეთისაგან 10-15 კმ-ით დაშორებული დამოუკიდებელი საცხოვრებელი ერთეულები იყო [2, 39].

აფხაზეთში მცხოვრები ქართული მოსახლეობისთვის „გორული“ (ბორცვული) დასახლება უკვე დიდი ხნის განვლილ ეტაპს წარმოადგენდა. განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქაში საქართველოში დასახლების ფორმა უკვე **პოლიგენური**** სოფელი იყო – მიწათმოქმედების სამამულე ცენტრი, თავისი ეკლესიითა და სასაფლაოთი, შიდა სამიმოსვლო და სამეურნეო გზებით, ფართო სახნავ-სათესი სავარგულებით და ა.შ. სიტყვა „სოფელს“ საქართველოში VIII საუკუნიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. იგი გლეხებით დასახლებულ ფეოდალური მფლობელობის პუნქტს აღნიშნავდა, რომლის ძირითადი მოსახლეობა სოფლის მეურნეობას მისდევდა, ძირითადად, კონკრეტული ადგილისთვის დამახასიათებელ მიწათმოქმედების ტრადიციულ დარგებს [39, 10].

დროთა ვითარებაში, „გორებზე“ მოსახლეობის სიჭარბემ, ქართულ მოსახლეობასთან კულტურულმა ინტეგრაციამ, თანდათანობით მაღლობი ადგილებიდან მთისწინეთსა და ვაკე ადგილებში ჩამონაცვლებამ უფრო ფართო ტერიტორიის ათვისება მოითხოვა. შედეგად, დასახლების აფხაზურმა ფორმამ ცვლილება განიცადა. მათი საკარმიდამო კომპლექსი, თავისი დეკორატიული წინა ეზოთი და მატერიალური ნაგებობებით, განლაგების წესით, ქართველთა საკარმიდამოს დაემსგავსა, რასაც XVIII საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის იმპერიაში მოღვაწე გერმანელი მკვლევარი, მოგზაური იოჰან გიულდენშტედტიც აფიქსირებდა, რომელმაც XVIII საუკუნის 70-იან წლებში სამეცნიერო მიზნით იმოგზაურა ჩრდილოეთ კავკასიასა და საქართველოში [6, 327].

აფხაზურ მოსახლეობაში გავრცელებული დასავლურკავკასიური საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების მრგვალი, მოგვიანებით კი სწორკუთხა ხის წნული, მიწაზე მდგარი, უსარკმლო ნაგებობები [60, 41; 42, 93-94; 68] ჯერ ხის ჯარგვალურმა და შემდეგ ფიცრულმა (მეგრ. პიტაფიცარა) სახლებმა შეცვალა, რომლებიც მეგრელების საცხოვრებლის მსგავსი იყო. ამ სახლებს აფხაზებს სწორედ მეგრელები, გურულები და რაჭველები უშენებდნენ [17, 105-106; 47, 308; 44, 80].

ბუნებრივია, საქართველოს გეოგრაფიული გარემო და კლიმატური პირობები მეურნეობის ხასიათსაც განაპირობებდა. ჩრდილო კავკასიაში აფხაზთა წინაპრები მესაქონლეობით იყვნენ დაკავებულნი, თუმცა შემდეგში აფხაზებმა ხელი მიჰყვეს მიწათმოქმედებას და თანდათან განავითარეს მეურნეობის ეს დარგი, განსაკუთრებით, შავი ზღვის სანაპიროსა და ბარის რაიონებში. მაგალითად, აფხაზეთისთვის წამყვან დარგებად იქცა მეთამბაქოეობა, მეციტრუსეობა, მარცვლეული კულტურის (სიმინდის...) მოყვანა. აფხაზეთის მთებში მცხოვრებთა შორის ძირითად დარგად მაინც მესაქონლეობა რჩებოდა. დაბლობშიც, მართალია, მიწათმოქმედებამ წამყვანი როლი მოირგო, მაგრამ მესაქონლეობა მაინც დარჩა ბუნებრივ დამხმარე დარგად. გარდა ამისა, აფხაზები

---

* ეთნოლოგი. მეცნიერულად შეისწავლა, აზომა და გამოსცა ხალხური არქიტექტურის ნიმუშები და ძეგლები, მათ შორის, აფხაზეთისაც.

** უბანსა ან სოფელში შერეულ გვართა დასახლება.

მონადირეობას და მეფუტკრეობასაც მისდევდნენ, განვითარებული იყო ნატურალური მეურნეობაც.

იოჰან გიულდენშტედტი. *1745-1781 წწ. გერმანელი მკვლევარი, მოგზაური*

ოჯახი. აფხაზებში ძირითადად ოჯახის ორი ფორმა ფიქსირდება – დიდი და ინდივიდუალური. მმართველობის თვალსაზრისით, ორივე მათგანს ოჯახის უხუცესი მამაკაცი უძღვებოდა, რომელიც განკარგავდა ოჯახის ქონებას, ანაწილებდა ძმებსა და ვაჟიშვილებს შორის სამეურნეო საქმიანობას. ოჯახის უხუცესი სასოფლო საბჭოს შემადგენლობაში შედიოდა და საბჭოს წინაშე ოჯახის ყველა წევრის საქციელზე პასუხს აგებდა. ოჯახის დიასახლისი უხუცესი ქალი იყო; მას ებარა საკუჭნაოს გასაღები და ევალებოდა კვების პროცესის გაკონტროლება, აგრეთვე, რძლებს შორის საოჯახო საქმიანობის განაწილება.

დიდი ოჯახის საერთო საკუთრებას წარმოადგენდა საკარმიდამო თავისი სახნავ-სათესით, მცირე საძოვრით, ტყით, უხმარი მინდვრით, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობებით. გაყრის დროს ქონება თანაბრად იყოფოდა.

თემის საკრებულოში სოფლის გამორჩეული, პატივსაცემი უხუცესები იყრიდნენ თავს. მათ საკრებულო ირჩევდა. აქ წყდებოდა სამეურნეო სამუშაოების დაწყება-დამთავრების საკითხი; ასევე, განიხილებოდა ქურდობის, ქალის გატაცებისა და სხვა ყოფითი საქმეები. საკრებულოს გარდა, სოფლის საჭირბოროტო საკითხებს, მაგალითად, **სისხლ-მესისხლეობის***, დაჭრისა და სხვა მძიმე დანაშაულების საქმეებს ოჯახების მიერ არჩეული სოფლის მოსამართლეები განიხილავდნენ. მათი გადაწყვეტილებით სჯიდნენ დამნაშავეებს ან აიძულებდნენ მატერიალური ანაზღაურების გადახდას. მძიმე დანაშაულის ჩამდენს (მკვლელს) თემიდანაც აძევებდნენ.

ტრადიციები. აფხაზური საქორწინო ინსტიტუტი კიდევ ერთხელ ადასტურებს მათ ჩრდილოკავკასიურ წარმომავლობას. აფხაზების ქორწინების წესები და მასთან დაკავშირებული რიტუალები დღესაც ადიღეურის მსგავსია. აფხაზებში (XVI საუკუნის შემდგომ ჩამოსახლებულებში), ჩრდილოკავკასიელების მსგავსად, სავალდებულო იყო მოყვრებს შორის მატერიალური ურთიერთობის წესის დადგენა, ესე იგი, სასიძოს საცოლის ოჯახისათვის აუცილებელი გადასახადი (საქონლის სახით) უნდა გადაეხადა, რასაც „აჩმა“ (ყალიმი) ეწოდებოდა. თუმცა, ქართველებთან მხარდამხარ ცხოვრების შედეგად საქორწინო გადასახადი მათთან მზითვის ინსტიტუტმა შეცვალა.

აფხაზი ქალების ჯგუფი
დიმიტრი ერმაკოვის ფოტოკოლექციიდან. XIX ს.

აფხაზი ქალისა და მამაკაცის უძველესი კოსტიუმი ძირითადად მონათესავე

* კავკასიაში გავრცელებული სისხლის აღების ტრადიცია.



ალი-ბეგ შერვაშიძის სახლი ტამიშში. *1833 წლის ლითოგრაფია დიუბუა დე მონპერეს ალბომიდან*

აფხაზი მამაკაცის ტრადიციული სამოსი

ჩერქეზული მოდგმის ხალხთა სამოსთან ამჟღავნებს მსგავსებას [72, 6; 71, 257-269; 64, 168-169]. უნდა ითქვას, რომ თავსაბურავი, ჩოხა და ნაბადი საერთო კავკასიურ მოვლენას წარმოადგენდა, მაგრამ ჩრდილო-დასავლეთკავკასიელი მამაკაცის სამოსი, ე.წ. „ჩერქეზკა“ (რომელიც მამაკაცის ქართული სამოსის განვითარების შედეგად არის ჩამოყალიბებული), იქაური გარემო პირობებისა და ტრადიციული საქმიანობის გამო, თითქმის კოჭებამდე აღწევდა. ქართველებთან კულტურული ურთიერთობების შედეგად აფხაზებში ის მალე დამოკლდა, თუმცა, საწესჩვეულებო რიტუალების სამოსი, მაგალითად, საქორწინო – კვლავ ჩერქეზულია და სიგრძეც შენარჩუნებულია.

რაც შეეხება სამგლოვიარო სამოსს, იგი მთლიანად ქართულს დაემსგავსა. მამაკაცის სამოსის აქსესუარები, საბრძოლო იარაღი, სატევარი, ხანჯალი („ამაყა“ – მეგრ. ყამა), ერთიანად „აბჯარ“-ი (სპარს. „აბჯარი“) სიტყვით გამოიხატა, რომელიც ქართულიდან უნდა შესულიყო აფხაზურში. „მთელი შეიარაღება აფხაზს ისე უნდა ჰქონოდა მორგებული ტანზე, რომ ერთს მეორისთვის ხელი არ შეეშალა და

მამაკაცისთვის მოძრაობა არ შეეზღუდა. მსგავსი საბრძოლო იარაღებისა და სხვა საჭირო ნივთების ჩამოკიდების ჩვეულებას მეგრელებშიც ვხვდებით“ [45, 365].

აფხაზებისთვის საკვები პროდუქტებიდან ყველაზე არსებითი და ტრადიციული მარცვლეული საკვებია, რომელსაც ისინი „აბსთას“ უწოდებენ. „აბსთას“ მოსამზადებლად აფხაზები, ისევე, როგორც ჩრდილოკავკასიელები, მკვრივად მოხარშული ფეტვის ბურღულის ფაფას იყენებდნენ [56, 126; 70, 25; 61, 46]. მეგრელებთან თანაცხოვრების შედეგად, XVII საუკუნიდან, წყალზე მოხარშული სიმინდის ფქვილის სქელი, უმარილო ფაფის (ღომის) დამზადება დაიწყეს, რომელიც მათ პურის მაგივრობას უწევდა. XVII-XIX საუკუნეების ლიტერატურულ წყაროებში მითითებულია, რომ აფხაზების კვების ასორტიმენტი, პირველ ყოვლისა, რძესთან, არაჟანთან, ახლად ამოყვანილ ყველთან, მცენარეულ და ნანადირევ საკვებთან იყო დაკავშირებული. აფხაზებში ძალზე პოპულარული და ფართოდ გავრცელებულია ცხარე სანელებლებიც, რომელთაგან დღესაც ცნობილია აფხაზური „აჯიკა“ (თურქ.) ზღვისპირეთში ჩამოსახლების მიუხედავად, მათი კვების რაციონში ჭარბობს ძროხის, ცხვრის, თხის, ფრინველის ხორცი. მკვლევრები ხაზგასმით მიუთითებენ, რომ აფხაზები თევზს ნაკლებად მიირთმევენ, ხოლო კიბორჩხალა ეზიზღებათო [9, 55; 54, 90; 66].

აფხაზეთში ერთ-ერთი გამორჩეულ ტრადიციად ჩამოყალიბდა – **მამამძუძეობა.** ის დამახასიათებელი იყო ქართველების, აფხაზებისა და მეზობელი ჩრდილოკავკასიელებისთვისაც. მამამძუძეობის ინსტიტუტი, ძირითადად, ფეოდალური ურთიერთობების ჩამოყალიბებიდან იღებს სათავეს* და ის აფხაზებში მე-20 საუკუნის დასაწყისამდეც შემორჩა. მაღალი წოდების საზოგადოების ოჯახები თავის ვაჟს ან ქალიშვილს მამისეული საგვაროს გარეთ, გლეხის, ე.ი. მამამძუძის სახლში აგზავნიდნენ გასაზრდელად. აფხაზურ ოჯახში აღსაზრდელის სიცოცხლე და ჯანმრთელობა პირველ ადგილზე იდგა. ძუძუს მაწოვებელი ქალის ხელში აღსაზრდელი ვაჟი მხოლოდ სამი წელი რჩებოდა. შემდეგ გამზრდელი მამაკაცის ანუ მამამძუძის(„აბაძე“) ხელში გადადიოდა, რომელიც მას ტრადიციულ სამართლებრივ ნორმებს, საზოგადოებასა და ოჯახში ქცევის წესებს, მშობლებისა და უფროსების პატივისცემას ასწავლიდა; ყველა სიტუაციაში სულიერი სიმშვიდის შენარჩუნებას, სიმამაცეს და კეთილშობილებას აჩვევდა. ამავე დროს, შვიდი წლის ასაკიდან აღსაზრდელს („აჰუფჰა“) იარაღის ხმარებას, ცხენზე ჯდომას და ჯირითს ასწავლიდა. ქალიშვილი ქალების ზედამხედველობით იზრდებოდა მამამძუძის ოჯახში. მას ოჯახის საქმიანობის გაძღოლას, კერვას, ქარგვას, ქსოვას და რომელიმე ხალხურ ინსტრუმენტზე დაკვრასა და სიმღერას ასწავლიდნენ. უკვე სრულწლოვან „აჰუფჰას“ საკუთარი ოჯახი სადღესასწაულო შეხვედრას უწყობდა, აღმზრდელებს კი უხვად ასაჩუქრებდა.

ახალგაზრდა აფხაზი ქალი ხელსაქმით
1880-იანი წლები

მამისეულ ოჯახში დაბრუნებული აღზრდილი მამამძუძის და მისი ოჯახისთვის მუდამ სასურველი სტუმარი იყო და მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ძუძუმტეებთან. „მამამძუძეობის ინსტიტუტი“ ერთგვარი დამცავი მექანიზმი იყო გლეხისთვის, რომელიც იმ ფეოდალის მფარველობის ქვეშ ექცეოდა, რომელიც მას შვილს

* „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, ის მაღალი წოდების საზოგადოებიდან გავრცელდა, ჩამოყალიბდა მისი წესები და ტერმინოლოგია.

აფხაზი სადილის წინ (ხელების დაბანა)
დიმიტრი ერმაკოვის ფოტოკოლექციიდან. XIX ს.

აღსაზრდელად ანდობდა. ამ ტრადიციით ხშირად აფხაზური და ქართული ოჯახებიც იყვნენ დაკავშირებულნი.

შუა საუკუნეებიდან მოყოლებული კავკასიელ ხალხებში, მათ შორის აფხაზებში **სტუმართმასპინძლობის ინსტიტუტი** იყო ის მნიშვნელოვანი საშუალება, რომელიც საფუძველს უდებდა ტრადიციული ხალხური დიპლომატიისათვის დამახასიათებელ ეთნოსთაშორის ურთიერთობებს. ჩვეულება არა მარტო ერთი ეთნოსის, არამედ ეთნიკურად განსხვავებულ ადამიანებსაც გაცნობის, ურთიერთობისა და მეგობრობის საშუალებას აძლევდა. აფხაზურ საზოგადოებაში სტუმრის („ასას“) ღირსეულად გამასპინძლება წმინდა კანონად ითვლებოდა. ვახუშტი ბატონიშვილი აფხაზებზე წერს: „უყუართ სტუმარი და პატივსა უყოფენ და შეიწყნარებენ ფრიად“. აფხაზებში სტუმარი სასურველი იყო დღისით, ღამით, ზაფხულსა თუ ზამთარში. სტუმრის არც რაოდენობას, არც ეთნიკურ წარმომავლობას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. აფხაზებს საცხოვრებელი ფაცხის გვერდით ერთი ფაცხა „ასასაირთა“ ანუ სასტუმრო ჰქონდა. აფხაზები სტუმარს არასდროს ეკითხებოდნენ საიდან მოვიდა, ან საით და რა მიზნით მიდიოდა. ამის თქმა თვით სტუმარს ევალებოდა. ცხადია, სტუმარიც თავაზიანად და თავშეკავებით უნდა მოქცეულიყო. თუ სტუმარი მასპინძელს მოგზაურობის მიზეზს გაუმხელდა და დახმარებას სთხოვდა, მასპინძელი და მისი ოჯახის წევრები ვალდებულნი იყვნენ მას დახმარებოდნენ. აფხაზური ტრადიციის თანახმად, სტუმრობის ვადა რეგლამენტირებული არ იყო, თუმცა დაუწერელი კანონით, ეს ორი კვირა უნდა გაგრძელებულიყო.

ქართულ ლიტერატურაში, კერძოდ, აკაკი წერეთლის, ლეო ქიაჩელის, კონსტანტინე გამსახურდიასა და სხვათა შემოქმედებაში კარგად აისახა ქართულ-აფხაზური ურთიერთობები, წესჩვეულებებისა და ტრადიციების საზიარო ხასიათი და მათი სოციალური და მორალური სიკეთეები.

§2. სამხრეთ ოსეთის (ცხინვალის რეგიონის) საზოგადოება

ა) ალან-ოსები უცხოური და ქართული წყაროების მიხედვით

XXI საუკუნის დასაწყისში ისტორიკოსმა აგუსტო ალემანმა დიდი ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი* გამოკვლევა აწარმოვა ალან-ოსების ეთნოგენეზის, მათი თავდაპირველი მომთაბარული ცხოვრების წესისა და მოძრაობის შესახებ [15; 4, 3-4], რომელსაც თანამედროვე ოსი მკვლევრები არ იზიარებენ. ნაშრომიდან ირკვევა, რომ ალანები **მონოეთნიკური** წარმოშობის არ ყოფილან, ისინი შემადგენლობით **ჰეტეროგენურნი**** იყვნენ (სარმატები, აორსები, ალანები, როქსალანები), ვრცელ ტერიტორიებზე მომთაბარეობდნენ და იქაური ბინადარი ხალხის ძარცვას ეწეოდნენ [4, 18-19; 10, 87].

ალანები ორ დიდ ჯგუფად იყოფოდნენ – ევროპელ და აზიელ ალანებად. „მათ ერთნაირი წეს-ჩვეულებები, ცხოვრების ერთნაირი ველური წესი და ერთნაირი შეიარაღება აქვთ. ისინი არ ცხოვრობენ ქოხებში, არ ხნავენ, იკვებებიან ხორცითა და რძით, ცხოვრობენ „კიბიტებში“***, რომლებიც გადახურულია ხის ქერქის მოღუნული ნაჭრებით და უსასრულოდ გადაადგილდებიან სტეპებში. მიაღწევენ რა ბალახით მდიდარ ადგილებს, კიბიტებს წრეში აჩერებენ. როდესაც საძოვარს გამოჭამენ, თავიანთ „ქალაქებს“ კიბიტებში ტვირთავენ და გზას აგრძელებენ. კიბიტები არის მათი მუდმივი საცხოვრებელი“ [4, 6]. ალანთა წინაპრების ეთნიკური ფორმირება, როგორც ჩანს, შუა აზიის, თანამედროვე სამხრეთ რუსეთისა და უკრაინის სტეპებში უნდა მომხდარყო და არა კავკასიაში, როგორც ეს საბჭოთა კავშირის დროს იყო მიჩნეული.

ჩრდილოეთი კავკასია XXI საუკუნის დამდეგს

---

* ცნობილი კატალონიელი მეცნიერი თავის კვლევაში დაეყრდნო ძველბერძნულ, ლათინურ (რომაულ), ასევე, ადრეული და შუა საუკუნეების პერიოდის – ბიზანტიურ, არაბულ, სომხურ, კატალონიურ, ქართულ, ებრაულ, მონღოლურ, ჩინურ, სირიულ და რუსულ წყაროებს. ქართულ ისტორიულ სივრცეში ალემანის სამეცნიერო ნაშრომის აქტუალიზება რ. თოფჩიშვილს ეკუთვნის, ქართულ-ოსური ურთიერთობის დამახინჯების, მათ შორის, ქართლის მთიანეთში მიგრაციული პროცესების გაყალბების გამო [8, 11-16].

** ჰეტეროგენური – [ბერძ. heterogenes] – წარმოშობით არაერთგვაროვანი.

*** კიბიტები – დახურული, ჩარდახიანი ეტლი; საცხოვრებლად იყენებდა მომთაბარე ხალხი.

ახ. წ. V-VIII საუკუნეებში ჰუნებთან შეჯახებამ განაპირობა ალანთა ერთი ნაწილის ჩრდილოეთ კავკასიის დასავლეთის ბარისა და მთის (იალბუზის) შემოგარენში, თანამედროვე ბალყარეთის, ყარაჩასა და დიგორის ტერიტორიაზე შემოსვლა. სწორედ ამის შემდეგ ალანთა ერთი ნაწილი ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში მკვიდრდება და ბინადარ ცხოვრებაზე გადადის [4, 19-20; 10, 99-100], საიდანაც მათ საზღვარი ექმნებათ აფხაზეთსა და სვანეთთან. ბუნებრივმა პირობებმა და საცხოვრებელმა ალანებს იმის საშუალება მისცა, რომ მესაქონლეობასთან ერთად მიწათმოქმედებისთვისაც მოეკიდათ ხელი. ამრიგად, უკვე IX-X საუკუნეებში ალანიის საზოგადოებამ კულტურულ-ეკონომიკური ძვრების შედეგად მნიშვნელოვან დაწინაურებას მიაღწია – შეიქმნა სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, რომელთანაც შუა საუკუნეების საქართველოს სახელმწიფოს საკმაოდ მყარი ურთიერთობა ჩამოუყალიბდა (დაწვრილებით იხ. მე-3 თავში). შედეგად, X საუკუნის 30-იან წლებში ოსურ „სახელმწიფოში“ ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, აიგო ტაძრები, რომელთაგან ზოგიერთში ქართული წარმოშობის კედლის მხატვრობაა დადასტურებული; ჩრდილო კავკასიის დასავლეთ ტერიტორიაზე, ალანიაში, X-XIII საუკუნეების ქვის ჯვრებია (ზოგიერთი ბერძნული წარწერით) მიკვლეული [10, 142-143]. მიუხედავად ამისა, როგორც ოსი მეცნიერი, ზ. ვანეევი (რომლის სახელსაც უკავშირდება ოსთა ეთნოგენეზისა და მათი სამხრეთული მიგრაციების შესწავლის პირველი მცდელობა) წერდა, იმ დროისათვის „ალანთა მეფე ქრისტიანია, მაგრამ მოსახლეობის დიდი ნაწილი – ურწმუნო, ისინი კერპებს სცემენ თაყვანს“ [16, 167]. XIII საუკუნეშიც კი, ოსეთის (იგულისხმება დღევანდელი ჩრდილო ოსეთი) ეპისკოპოსი თეოდორე ამბობდა, ოსები მხოლოდ სახელით არიან ქრისტიანებიო.*

ქართული წყაროები ალანებს – **„ოვსებად“,** რუსული წყაროები – **„ასებად“** და **„იასებად“,** სომხური წყაროები კი **„აშდიგორელებად“** ანუ **„დიგორებად“** მოიხსენიებენ.

სავარაუდოა, რომ შუა საუკუნეებში მომთაბარე მოსახლეობამ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ამ რეგიონში ადგილზე დამაგრებისა და ბინადრობის შემდეგ მკვიდრ კავკასიელთა გამოცდილება გაიზიარა და დახვედრილი მატერიალური კულტურა ადვილად აითვისა. რაც მთავარია, მათი სოციალური ურთიერთობაც ეტაპობრივად ადრეფეოდალური საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით აღინიშნა.

XIII საუკუნის დასასრულსა და XIV საუკუნის დასაწყისში ალან-ოსებისა და ჩრდილო კავკასიის დასავლეთში არსებული მათი სახელმწიფოს მშვიდობიან ცხოვრებასა და წინსვლას თათარ-მონღოლების შემოსევამ და მათმა სისასტიკემ მოუღო ბოლო. მონღოლებმა ალან-ოსთა უმეტესი ნაწილი დასახოცად გაიმეტეს. მართალია, ალან-ოსები დამპყრობლებს სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ, ისინი თავს მოულოდნელად ესხმოდნენ მონღოლთა ჯოგებს და იტაცებდნენ. ამას ადასტურებენ იმ პერიოდის ევროპელი მოგზაურები – **პლანო კარპინი** და **ვილემ რუბრუკი**; მაგრამ მონღოლებს მათთან საბრძოლველად მეტი ძალა გამოჰყავდათ. მიუხედავად ალან-ოსების წინააღმდეგობისა, „ეს ხალხი ამოწყვეტილი და განდევნილი იქნა თავისი საცხოვრებელი ტერიტორიიდან, რის შემდეგაც გადარჩენილები ცენტრლური კავკასიის მთის – თაგაურის, ქურთათის, ალაგირის და დიგორის – ხეობებში შეიკეტნენ“ [17, 91-92]. დიგორში ოსები ადრეული საუკუნეებიდან ცხოვრობდნენ, თუმცა, სხვა ხეობებში ალან-ოსებს მკვიდრი კავკასიელები დახვდნენ. როგორც ჩანს, მოსულმა მოსახლეობამ დამხვდურებზე გაიმარჯვა და მკვიდრ

პლანო კარპინი
იტალიელი მოგზაური, 1182-1252

* ამასვე იმეორებს რ. თოფჩიშვილი, ალემანზე დაყრდნობით.

მოსახლეობასთან ასიმილაციის შედეგად, თანამედროვე ოსი ხალხი ჩამოყალიბდა. ამ ხეობებში შემოსახლებული ოსები იზოლირებულ ცხოვრებას ეწეოდნენ.

აქედან გამომდინარე, მათ საერთო ეთნიკური სახელი საბჭოთა პერიოდამდე არ ჰქონიათ. თაგაურის, ქურთათისა და ალაგირის ხეობების მოსახლეობა **ირონულ** (მიეკუთვნება ირანულ ენათა ჯგუფს) დიალექტზე მეტყველებდა და თავიანთ თავს „ირონ“-ად მოიხსენიებდა, ხოლო დიგორის ხეობის მოსახლეობა – **დიგორულ** დიალექტზე მეტყველებდა და მათ „დიგორელები“ ეწოდებოდათ. დიგორული ენა უფრო არქაული იყო, ვიდრე ირონული.

ფრანგი მისიონერისა და ელჩის, ვილემ რუბრუკის (1215-1295) ხელნაწერის ფრაგმენტი

ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის წყალგამყოფი ქედის ცენტრალური ნაწილი, საქართველოს ტერიტორიაზე, დარიალის ხეობისა და მამისონის უღელტეხილებს შორის, ქედის სხვა ნაწილებისაგან განსხვავებით, უფრო დაბალია. კავკასიის სამხრეთ ფერდობის ხევებისგან შემდგარი ტერიტორია უძველესი დროიდან – **დვალეთად,** ხოლო იქ მცხოვრები მკვიდრი მთიელები **დვალებად** მოიხსენიებოდნენ. ვალები ქართულად მოლაპარაკე ქრისტიანი ხალხი იყო. დვალეთის ქრისტიანული ეკლესიები ქართული წარწერებით (ასომთავრულითა და ნუსხურით) იყო დამშვენებული. ანტიკურ ხანაში გაიუს პლინიუს სეკუნდუსი (I ს. ძვ. წ.) მათ – „თუალს“, ე.ი., „თუალებს“, ასევე „ვალებს/უალებს“ [18, 180-184], კლავდიუსპტოლმაიოსი (I ს. ახ. წ.) კი „ტუსკებს“, „დიდურებს“ და „სანარებს“ უწოდებდა*.

ქსნის ერისთავთა საგვარეული მატიანის, „ძეგლი ერისთავთას“ შინაარსიდან ცნობილი ხდება, რომ XIII საუკუნის ბოლოდან XV საუკუნის დასაწყისამდე საქართველოში, კერძოდ კი, დვალეთის ტერიტორიაზე, არც ერთი ოსი არ სახლობდა.

სწორედ წყალგამყოფი ქედის ეს ცენტრალური ნაწილი – დვალეთი – გახდა ოსების საქართველოში შემოჭრის თავდაპირველი რეგიონი (XV ს). აუცილებელია აღინიშნოს, რომ სწორედ „ძეგლი ერისთავთა“ [12, 103-117] გვაძლევს დვალთა ეთნიკური კუთვნილების ჭეშმარიტ მონაცემებს. საბუთებში დასახელებული ყველა ტოპონიმი თუ გვარ-სახელი ქართულია. იმდროინდელი დვალები ფეოდალთა უღლისაგან თავისუფლები ჩანან; მათი სოციალური ყოფა და საკუთრების ფორმა სათემო იყო, ისინი მხოლოდ მეფის ბრძანებებს ასრულებდნენ. რელიგიური თვალსაზრისითაც, დვალეთი, როგორც აღვნიშნეთ, ქრისტიანულია [14, 32]. „ძეგლი ერისთავთას“ და, ზოგადად, „ქართული სამართლის ძეგლების“ შინაარსიდან ჩანს, რომ დვალებს ოსებისთვის ჩამოსახლებაზე უარი უთქვამთ. ამიტომ, თავდაპირველად მათ სათარეშოდ დაიწყეს გადმოსვლა და თანდათან, ძალადობრივი გზით, ბრძოლით, ტერიტორიის ათვისებაც შეძლეს. დვალები, რომლებიც ვერ უძლებდნენ ოსების ზეწოლას, საკუთარ საცხოვრებლებს ტოვებდნენ და ბარისკენ ინაცვლებდნენ.

საბჭოთა პერიოდში და უფრო ადრეც, XIX საუკუნეში რუსმა მეცნიერებმა დვალებისა და ოსების ერთგვაროვნების შესახებ დაიწყეს საუბარი. გარდა ამისა, რუსი მეცნიერები ოსთა მიგრაციას საქართველოს ტერიტორიაზე თავიანთ ნაშრომებში განგებ აძველებდნენ. მოსაზრება, რომ

---

* თ. ყაუხჩიშვილის ვარაუდით, „ტუსკებში“ – თუშები, „დიდურებში“ – დიდოელები, ხოლო „სანარებში“ – წანარები იგულისხმებოდნენ. წანარების საცხოვრისად დარიალის ხეობა იყო მიჩნეული [14, 16]. რაც შეეხება უალებს, ვ. გამრეკელისათვის „უალლი“ და „ვალლი“ მხოლოდ ფონეტიკურად განსხვავებული სახელები იყო, რადგან ძვ. ბერძნულში ასო „ვ“ არ არსებობდა [17, 18]. ამდენად „უალი“, „ვალი“ „დუალი“ ერთ და იმავე ადგილას, კავკასიის ქედის ცენტრალურ ნაწილშია დადასტურებული და ერთსა და იმავე ეთნოგრაფიულ – ქართველების ჯგუფს გულისხმობდა.

ლარგვისის მონასტერი ქსნის ხეობაში, სადაც დაიწერა „ძეგლი ერისთავთა“ ავგაროზ ბანდაისძის, ან მისი ვაჟის გრიგოლის მიერ

დვალები და ოსები ერთი და იგივე ხალხია, ოსმა მეცნიერებმაც გაიზიარეს და დღემდე ამ იდეის ერთგულნი რჩებიან, მიუხედავად იმისა, რომ ჭეშმარიტება დიდი ხანია დადგენილია [6; 17; 5; 2; 7]. ოსური მოსახლეობა დვალეთში ჩასახლების შემდეგ თავის თავს „თვალს/თუალს“ (ე.ი., „დვალს“) უწოდებდა, ოსურ ენაში „დ“ ბგერის არარსებობის გამო. სწორედ ამ მიზეზით ზემოხსენებულმა იოჰან გიულდენშტედტმა თავის ჩანაწერებში ეთნიკური დვალები შეცდომით ოსებად მიიჩნია. ეს შეცდომა XIX საუკუნეში გადაუმოწმებლად გაიმეორეს სხვა მეცნიერებმა.

მართალია, ოსებმა ერთიანი საქართველოს დასუსტებით ისარგებლეს და ჯერ კიდევ XIII საუკუნის მიწურულს სცადეს შიდა ქართლში, ქ. გორის მიდამოებში ჩასახლება, მაგრამ გიორგი V ბრწყინვალემ ისინი დაამარცხა და საქართველოდან განდევნა [9, 21-22]. თუმცა ეს მეორე მცდელობა საქართველოს პროვინციაში – დვალეთში, ოსების მასიური მიგრაციისა, რომელიც XVI საუკუნეში განხორციელდა ალაგირის ხეობიდან, როგორც ვნახეთ, მათი წარმატებით და ქართველური ეთნოგრაფიული ჯგუფის – დვალების – ასიმილაციით დამთავრდა [9, 23-29]. მიუხედავად ამისა, ეს ტერიტორია საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ, XV საუკუნის მეორე ნახევრიდანაც, კვლავ ქართლის სამეფოს განუყოფელი ნაწილი იყო* [13, 30-31]. ამის შემდეგ, XVII საუკუნის დასაწყისში ოსების განსახლება **თრუსოს ხეობაში** მოხდა. XVII საუკუნის შუახანებიდან ოსები ჯერ – ქართლის მთიანეთისკენ, შემდეგ – მდ. დიდი ლიახვის სათავისკენ (მაღრან-დვალეთში), შემდეგ კი, თანდათან უფრო სამხრეთისკენ მოიწევენ. XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან ოსები დიდი ლიახვის ხეობის მთელ მთიან ნაწილს იკავებენ. შემდეგი ეტაპი ოსთა განსახლებისა შიდა ქართლის მთიანეთში არის პატარა ლიახვის მთიანი ზოლი. აქ ოსების დამკვიდრება XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე დიდი ლიახვის ხეობიდან ხდება [9, 139-140]. XVIII საუკუნის დასასრულიდან, ფაქტობრივად, შეწყდა ოსთა მიგრაცია ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი ხეობებიდან საქართველოს მიმართულებით, რადგან რუსეთის ოფიციალურმა

თრუსოს ხეობა. თანამედროვე ფოტო (ავტ. ბ. ვადაჭკორია)

* აღნიშნული ტერიტორია მოიცავდა კასრის, ზრამაგას, ჟღელეს, ნარას, ზროგოსა და ზახას ხეობებს [10, 71].

ხელმძღვანელობამ მათ ჩრდილოეთ კავკასიის ბარის რაიონებში (ე. წ. იმიერკავკასიაში) ჩასახლების საშუალება მისცა [10, 220]. საქართველოს რუსეთის იმპერიაში აღმოჩენის შემდეგ, 1858 წ. მეფის რუსეთის ადმინისტრაციის მესვეურებმა ისტორიული დვალეთის ტერიტორია (ქართული მატერიალური კულტურის ძეგლებით – ეკლესიებით, ციხე-კოშკებითა და სხვ.) კავკასიის მეფისნაცვლის, ალექსანდრე ბარიატინსკის ბრძანებით ვლადიკავკაზის ოკრუგს დაუქვემდებარეს [5].

ბ) ოსთა ყოფა-ცხოვრება

თანამედროვე ოსების „სამხრეთული შტოს“ („ცხინვალის რეგიონში“ მცხოვრები ოსები; დაწვრილებით იხ. თავი 4, 5) სოციალური ურთიერთობები, ოსური საზოგადოებრივი ინსტიტუტები – (სასოფლო თემი, საოჯახო თემის გადმონაშთური ფორმა – დიდი ოჯახი, ჩვეულებითი სასამართლო...) ტრადიციული, თვითმყოფადი წეს-ჩვეულებების ფონზე ვითარდებოდა. თუმცა თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ქართველებთან ხანგრძლივმა და მჭიდრო ურთიერთობამ ოსების ცხოვრების წესისა თუ რწმენა-წარმოდგენების მნიშვნელოვანი ცვლილება გამოიწვია.

ოჯახი. როგორც ყველა სხვა საზოგადოებაში, საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული ოსური საზოგადოებისთვისაც ოჯახი პირველად ერთეულს წარმოადგენდა. საოჯახო ყოფაში, როგორც მიკრო-სამყაროში, მოსახლეობის ეკონომიკური, სოციალური, იდეოლოგიური და სხვა კომპლექსური პრობლემები და პროცესები იყრიდა თავს. ოჯახის შემადგენლობის შესახებ „სამხრეთ ოსეთის“ მთიანეთში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალა XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის ვითარებას გვაცნობს. ამ ეპოქაში ინდივიდუალური ოჯახების გვერდით ოსებში გადმონაშთის სახით დიდი ოჯახების არსებობაც დასტურდება, რომელიც რამდენიმე თაობისა და რამდენიმე ათეული სულის მომცველ ერთეულს წარმოადგენდა. ქსნის ხეობაში, ქართველების მეზობლად მცხოვრები ოსების საოჯახო ყოფის მასალით, წარსულში აქ მცხოვრები დრიაევების 3 ძმის ოჯახი სეგმენტაციის შედეგად 12 კომლამდე გაზრდილა [11, 195-197]. ოსი საზოგადოების თვალსაზრისით, დიდი ოჯახი მეტი წონის, ეკონომიკურადაც ძლიერი იყო, დაცვის მეტი საშუალებაც ჰქონდა. მათ შემადგენლობაში სისხლით ნათესავების რამდენიმე გაუყრელი თაობის გარდა, ქალების სახით მოყვრობით (ქორწინების შედეგად) დანათესავებული წევრებიც შედიოდნენ. ინდივიდუალური და დიდი ოჯახების აღსანიშნავად ოსურ ენაში განმასხვავებელი ტერმინები არსებობდა. **დიდი ოჯახისთვის – „ანაურსთ ბინონთა“,** ხოლო **ინდივიდუალური ოჯახისათვის – „იუ ბინონთა“;** ეს უკანასკნელი ერთი კონკრეტული ცოლ-ქმრის, მათი შვილებითა და შვილიშვილებით შემდგარ ოჯახს გულისხმობდა [4, 95-99].

ტრადიციული ოსური სასამართლო

დიდი ოსური ოჯახი. *გერმანელი მეცნიერის ერიხ გერინგის მიერ 1900 წელს გადაღებული ფოტო*

ვახუშტი ბაგრატიონის მონაცემებზე დაყრდნობით ჩანს, რომ დვალეთში, მდინარეების – დიდი ლიახვისა და თერგის სათავეებშიც ოსები დიდ ოჯახებად სახლობდნენ. თუმცა, სამხრეთისკენ მათი გადაადგილება ინდივიდუალურ ოჯახებად ხდებოდა [4, 100].

საქართველოში ჩამოსახლებული ოსების სოციალური ერთეულის – ოჯახის – შესწავლისას, აუცილებელია მიგრაციისა და ადაპტაციის პროცესის გათვალისწინება. ჩამოსახლების შემდეგ მათი სოციალური და კულტურული ინსტიტუტები ქართველი ხალხისა და ქართული ტრადიციული კულტურის გავლენას განიცდიდა, მათი ზოგიერთი ტრადიციული ელემენტი ქრებოდა და ქართულს ემსგავსებოდა. მაგალითად, **ურვადის*** ინსტიტუტისადმი დამოკიდებულება, მზითვისა და სათავნოს ინსტიტუტმა შეცვალა, საქართველოს მსგავსად [4, 107].

ისევე, როგორც კავკასიის სხვა ხალხებში, თანამედროვე ოსებში დიდი ყურადღება ექცეოდა **ეგზოგამიის** დაცვას, – გვარის შიგნით ქორწინება აკრძალული იყო. მიუხედავად ოსების საქართველოში სახლობისა, ქართველებისაგან განსხვავებით, მათ, როგორც წესი, მსყიდველობითი ქორწინება ჰქონდათ. მამაკაცი მოლაპარაკების შედეგად ქალის მშობლებს ყალიმს უხდიდა. მათი აზრით, ქალი მეურნეობაში სამუშაო ძალას წარმოადგენდა, ამიტომ მისი წასვლით ოჯახს მუშახელი აკლდებოდა. აქედან გამომდინარე, ქალის ოჯახი კომპენსაციას მოითხოვდა. ისეთი ქორწინებებიც იყო, როდესაც მამას ერთი ქალიშვილი ჰყავდა, მამაკაცი იმ ოჯახში სახლდებოდა და ყალიმსაც თავისი შრომით იხდიდა. თუმცა ასეთი ქორწინება მაინც არ ითვლებოდა ოსებში კარგ ტონად.

დიდ ოჯახში მმართველი და ერთპიროვნული ხელმძღვანელი უხუცესი მამაკაცი (ხისთარ“) იყო, იგი უძრავ-მოძრავი ქონების, ყველანაირი დოვლათის, მათ შორის, გარე სამუშაოზე მიღებული გასამრჯელოს განმკარგავი იყო. ოჯახის ახალგაზრდა წევრთა მომავალსაც თვით მართავდა, მისი ნებართვის გარეშე ოჯახის ვერც ერთი წევრის ქორწინება ვერ შედგებოდა. ის გეგმავდა და ანაწილებდა მამაკაცების სამუშაოსაც. უხუცესს ყველა უსიტყვოდ ემორჩილებოდა. ქართული ოჯახისგან განსხვავებით, ოსებში ორი სახის ოჯახის – დემოკრატიულისა და დესპოტურის – არსებობას ადასტურებენ. პირველ შემთხვევაში ოჯახის ქონებაზე ყველას თანაბარი უფლებები ჰქონდა, მეორე შემთხვევაში კი, საოჯახო ქონებაზე უხუცესის განუსაზღვრელი უფლებები იყო გათვალისწინებული [3, 108-109].

უხუცესების გარდაცვალების შემდეგ მომდევნო თაობის უხუცესები იკავებდნენ მათ ადგილს. დიდი ოჯახის გაზრდისა და გამრავლების კვალად, საოჯახო ქონების განაწილება უფროსი თაობის წარმომადგენლებზე, ძმებზე ხდებოდა. მათ შორის ქონება თანაბრად იყოფოდა, თუმცა უფროს ძმას, რომელსაც ოჯახში წლოვანების გამო მეტი შრომა ჰქონდა დახარჯული, საჩუქრის სახით მამის ნაქონი ქამარ-ხანჯალი და იარაღი, აგრეთვე, საქონლიდან ერთი ცხვარი ერგებოდა; გარდა

* ურვადი – მსყიდველობითი ქორწინების დროს მამაკაცის გადასახადი.



ოსური სამოსახლო

ამისა, მისი პრივილეგია იყო მამისეულ სახლში ცხოვრება. უმცროსი ძმები საერთო ქონების ხარჯით, ურთიერთდახმარების წესით, მამისეული სახლის შორიახლო საცხოვრებლებსა და სამეურნეო ნაგებობებს იშენებდნენ. შედეგად, იქმნებოდა **პატრონიმიული*** დასახლების ფორმა.

დიდი ოჯახი საბოლოოდ მაინც იშლებოდა და მისგან, სეგმენტაციის შედეგად, იმდენი ახალი ოჯახი ფუძნდებოდა, რამდენი წყვილიც იყო ოჯახში. გაყრა და ქონების განაწილების პროცესი ოჯახის დემოკრატიულ და/ან დესპოტურ ხელმძღვანელზე იყო დამოკიდებული [4, 112-113].

დასახლების ფორმა და საცხოვრისი. ოსების მატერიალური ყოფა, მათი საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად, განსაზღვრავდა მათი მეურნეობის ხასიათსა და პრიორიტეტს, ოჯახის ყოფა-ცხოვრებას, საცხოვრებელი ფართის განაწილების საკითხს; ამას გარდა, საცხოვრებლის სივრცეში სალოცავ ადგილსა და მის მნიშვნელობაზეც მიუთითებდა. ოსებს დასახლების ფორმისა და საცხოვრებლების მშენებლობის მყარი პრაქტიკა არ გააჩნდათ და, ცხადია, სადაც სახლდებოდნენ, იქაური მკვიდრი მოსახლეობის მშენებლობის ტექნიკას ითვისებდნენ; ამიტომ, საქართველოში ჩამოსახლების შემდგომ დასახლების ფორმა და მატერიალური კულტურა ქართველებისგან შეითვისეს, თუმცა თანდათანობით თავისი ინდივიდუალური ელემენტებითაც ამდიდრებდნენ.

წეს-ჩვეულებები და ყოველდღიურობა. უცხო ეთნიკურ გარემო პირობებში (საქართველოსა და ქართველებში) მოხვედრის მიუხედავად, ოსებმა საკუთარი თვითმყოფადობა შეინარჩუნეს, მაგრამ, ამასთან, ქართული კულტურული წეს-ჩვეულებებიც გაითავისეს. ქალები მამაკაცებთან ერთად საოჯახო თათბირს ესწრებოდნენ, აზრის გამოთქმის საშუალებაც ჰქონდათ. ხელმძღვანელი დედა ქალი იყო, უფროსი რძლები საქონლის წველა-დღვებით, ტყავ-მატყლის დამზადებით, ოჯახის წევრებისთვის ლოგინისა და ტანსაცმლის მოვლა-პატრონობით იყვნენ დაკავებულნი. საშუალო ასაკის რძლები საქონელს უვლიდნენ, ამავე დროს, მამაკაცებს ეხმარებოდნენ სამეურნეო საქმიანობაში. უმცროსი რძლების საქმეს სახლის, ეზოს, ბოსლის მოვლა და დედამთილის დახმარება წარმოადგენდა. ყველაზე უმცროს რძალს კვების დროს მამაკაცების მომსახურება, ხელების დაბანის დროს წყლის დასხმა, ხოლო ძილის წინ ფეხების დაბანა ევალებოდა.

ოსი მანდილოსანი
1881 წლის ნახატი

საქართველოში ჩამოსახლებული ოსების მეურნეობა მიწათმოქმედება და მესაქონლეობა იყო. გარდა ამისა, ისინი

* პატრიარქალურ-გვაროვნული წყობისთვის დამახასიათებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციის ფორმა; წარმოადგენს მონათესავე ოჯახების ჯგუფს, რომელიც იხსენიება მათი დამაარსებლის სახელით.

მონადირეობით, მეფუტკრეობითა და შინამრეწველობით იყვნენ დაკავებულნი. მათთვის დამახასიათებელი ნატურალურ მეურნეობის პირობებში თითქმის ყველა ყოფითი და სამეურნეო დანიშნულების ნივთი, აგრეთვე, შრომის იარაღი ოსებში ყოველთვის სახლის პირობებში მზადდებოდა. ქალები საგანგებოდ ამუშავებდნენ მატყლს, თელავდნენ ნაბდებს, კერავდნენ ჩოხა-ახალუხს, ყაბალახს, ყველანაირ ტანსაცმელს; ქსოვილებს ბამბისა და მატყლისაგან თვითონვე ამზადებდნენ. ოსები როგორც მამაკაცის, ისევე ქალის ფეხსაცმელს საქონლის დამუშვებული ტყავისგან კერავდნენ. საქართველოში ცხოვრების მიუხედავად, ოსი მამაკაცისა და ქალის ტანსაცმელი უფრო ჩრდილო კავკასიის ხალხის სამოსელთან ამჟღავნებს მსგავსებას.

ოჯახში კვების წესიც თავისებური ჰქონდათ – ჩრდილოკავკასიელი ხალხების მსგავსად, კვების პროცესი მკვეთრად იყო გამიჯნული სქესისა და ასაკის მიხედვით. მრგვალი სამფეხა მაგიდის ირგვლივ ჯდომა პირველ რიგში – უხუცეს მამაკაცებს, შემდეგ – მომდევნო ასაკის, ხოლო ბოლოს, ქალებსა და ბავშვებს უწევდათ. მამაკაცების სუფრას ახალი პატარძალი ან უმცროსი რძალი ხმამაღლა ემსახურებოდა. ქართველებისგან განსხვავებით, ქორწილში, ქელეხსა და რელიგიურ დღეობებზე მხოლოდ მამაკაცები და ისიც, უფროს-უმცროსობის მიხედვით სხდებოდნენ სუფრასთან [11, 269].

გლოვისა და დაკრძალვის წეს-ჩვეულებები XIX საუკუნეშიც კი ჩრდილოკავკასიურს ჩამოჰგავდა; თუმცა ცენტრალური ადგილი დატირებას ეკავა, რომელიც ქართულის მსგავსი იყო. სიკვდილის დადგომისთანავე მიცვალებულს ხმამაღლა იტირებდნენ ისე, რომ ახლომახლო მცხოვრებ ნათესავებსა და მეზობლებს გაეგოთ. „მწუხარე შემტყობინებელი“ შორს მცხოვრებ ნათესავებს ჩამოუვლიდა და გააგებინებდა გარდაცვალების ამბავს. საქართველოში ჩამოსახლების პირველ ეტაპზე ოსები მიცვალებულს იმავე დღეს, მზის ჩასვლამდე ასაფლავებდნენ. თუმცა ქართველებთან ურთიერთობის შემდეგ ეს წესი გადავარდა და მიცვალებულის დაკრძალვა ქრისტიანული წესით ხდებოდა.

ოსური ტრადიციით, მაგალითად, ქმრის გარდაცვალების შემდეგ ცოლი თითქმის მთელი წლის განმავლობაში თავის საწოლში არ წვებოდა. იგი ქმრის საწოლის წინ იატაკზე, თექაზე იშლიდა ლოგინს. ყოველ საღამოს ქმრის ლოგინს შლიდა, საწოლთან ტაშტსა და წყლით სავსე დოქს დგამდა. სამგლოვიარო კაბას – მაუდისგან, ხოლო პერანგს სქელი შალის უხეში ქსოვილისაგან იკერავდა. შავი კაბა, გლოვის ნიშნად, ოსებმა გვიან გადაიღეს ქართველებისაგან, ხოლო ზემოთ აღწერილი ჩვეულება დაივიწყეს. სასაფლაო მათ საგვარო მიწაზე ჰქონდათ. მამაკაცის დაკრძალვის დროს მის ცხენს სამგლოვიარო გადასაფარებელს გადააფარებდნენ, კუდსა და ფაფარს დაუწნავდნენ და ასე მიჰყავდათ სასაფლაომდე. დაკრძალვის შემდეგ ქელეხიც კავკასიური ჩვეულებისამებრ იმართებოდა.

საქართველოში ჩამოსახლების შემდეგ ოსების ტრადიციული კულტურა ერთბაშად და სწრაფად არ შეცვლილა. ჩრდილოკავკასიურს ჩამოჰგავდა ოჯახებსა და გვარებს შორის ე.წ. მესისხლეების **შერიგების ადათი,** თუმცა თანდათან, ქართველებთან ხანგრძლივი თანაცხოვრების პირობებში, მათთვის დამახასიათებელი არაერთი ყოფითი ელემენტი ტრანსფორმირდა და იმ საზოგადოებრივ-კულტურულ არეალში მოექცა, რომელიც ქართლში იყო გავრცელებული. თავის მხრივ, ოსებმაც თავისი წვლილი შეიტანეს ამ რეგიონის ეთნოგრაფიულ ყოფაში. მაგალითად, ცნობილი ცეკვა „სიმდი“, რომელიც ოსური რიტუალური ცეკვა იყო და მხოლოდ ვაჟები ასრულებდნენ, დღეს ქართველებისთვისაც ერთ-ერთი საყვარელი ფოლკლორული ნიმუშია და წყვილებში სრულდება ისევე, როგორც თანამედროვე ოსებში.

ჩრდილოკავკასიელი ოსები ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ორ მსოფლიო რელიგიას – ქრისტიანობასა (IX-X სს.) და მაჰმადიანობას (XIII-XIV სს.) – ეზიარნენ, თუმცა მხოლოდ ნაწილობრივ. მართალია, ისინი ძველად „ქრისტიანებად“ და შემდგომ „მუსლიმებად“ იხსენიებოდნენ, მაგრამ სინამდვილეში, სამი სხვადასხვა რელიგიური სისტემის მიმდევარნი იყვნენ.

შერიგების ადათი ოსებში

ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ ოსები პირველყოფილ რწმენა-წარმოდგენებს აყენებდნენ წინ. ცნობილია, რომ ოსებს საქმიანობის ყველა დარგში თავისი ღვთაებები ჰყავდათ. თუმცა, საქართველოში მცხოვრები ოსები, აღმოსავლეთის მთის ქართველების მსგავსად, ზოგჯერ სალოცავის სახელზე მიწასა და საქონელს გამოყოფდნენ. მიუხედავად ქრისტიანობისა, ოსები ინარჩუნებდნენ წარმართულ ელემენტებს. ამის ერთ-ერთი მაგალითია ის, რომ მათ შორის კერის (წინაპრის) კულტი იყო წინ წამოწეული. ამ კულტს უკავშირდება ქორწილის დროს პატარძლის კერის გარშემო შემოტარებისა და ამრიგად, ახალ ოჯახთან ზიარების რიტუალიც. არ შეიძლება ორი სიტყვა არ ითქვას ოსური ეტიკეტის შესახებ. ოსი მამაკაცის თუ ქალის თითოეული ნაბიჯი, ქცევის წესი, წარმოთქმული სიტყვა საზოგადოების მკაცრ კონტროლს ექვემდებარებოდა. როგორც ოჯახში, ისე გარეთ, საზოგადოებაში, ეტიკეტის ზედმიწევნით შესრულება ყველას ევალებოდა.

ოსური ტრადიციული ცეკვა „სიმდი“

როგორც უკვე აღინიშნა, ქართველებთან კულტურულ-ისტორიულმა ურთიერთობამ ოსებზე დიდი გავლენა მოახდინა. შეიქმნა შერეული ოჯახები. ქართველებთან ყოველდღიურმა კონტაქტმა მათი ყოფა-ცხოვრების ყველა ასპექტზე იქონია გავლენა და ქართველებთან ერთ-ერთ ყველაზე ინტეგრირებულ ეთნოსად აქცია.

მკვიდრი წარმოდგენები:

- აფხაზურმა და ოსურმა ეთნოსმა ქართველებთან თანაცხოვრებით დროთა განმავლობაში ევოლუცია განიცადა;
- ქართველები, ოსები და აფხაზები საერთო კავკასიური იდენტობით გამოირჩევიან, თუმცა თვალში საცემია მათ შორის მკვეთრი განსხვავებებიც;
- ქართველ, ოს და აფხაზ ხალხებს შორის ისტორიის მანძილზე მჭიდრო კულტურული და ნათესაური კავშირები ჩამოყალიბდა;
- ქართულ კულტურულ არეალში ყოფნამ აფხაზ და ოს ხალხებზე ბევრად უფრო მეტი გავლენა იქონია, ვიდრე სხვა კავკასიელ ხალხებზე.

გამოყენებული ლიტერატურა

აფხაზები

1. ც. აბულაძე, საქართველოსა და მისი პოლიტიკური წარმონაქმნების სახელწოდებანი ოსმალურ წერილობით ძეგლებში, საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბილისი, 1993.
2. ილ. ადამია, ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება, წ. I, თბ., 1968.
3. ზ. ანჩაბაძე, თ. ბოცვაძე, გ. თოგოშვილი, მ, ცინცაძე, ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, თბ., 1969.
4. აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა, თბ., 1975 (თარგმანი ა. გელოვანის, კომენტარები ა.ურუშაძის).
5. ს. ბახია-ოქრუაშვილი, აფხაზთა ეთნიკური ისტორიის პრობლემები, თბ., 2010.
6. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, თბ., 1962.
7. გ. გოგაძე, კოლხეთის ბრინჯაოს და ადრეული რკინის ხანის ნასახლართა კულტურა, თბ., 1982.
8. ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 1970.
9. დონ არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1991.
10. ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი, ნაკ. I, თბ., 1971.
11. გ. ზუხბა, აფხაზური ზეპირსიტყვიერება, თბ., 1988.
12. ძველი კოლხეთის ისტორიის საკითხები, თბ., 2009.
13. მ. ინაძე, ძველი კოლხეთის საზოგადოება, თბ., 1994.
14. მ. ინაძე, ძველი აფხაზეთის ეთნოპოლიტიკური ისტორიის საკითხები, „მაცნე“, #3, ისტორიის სერია, 1992.
15. იოანე საბანისძე, ჰაბოს წამება, ქართული პროზა, წ. I, 1982.
16. ზ. კიკნაძე, ქართული მითოლოგიურ გადმოცემათა სისტემა, თბ., 1985.
17. კოწია ჭყაფშანელი, წერილი აფხაზეთიდან, „მოამბე“, #1, თბ., 1998.
18. ნ. ლომოური, ბერძენი ლოგოგრაფების ცნობები ქართული ტომების შესახებ, მსკი, ნაკვ. XXXV, თბ., 1968.
19. ნ. ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968.
20. ნ. ლომოური, საქართველოს სახელწოდებანი ბიზანტიურ წყაროებში, საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., 1993.
21. მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1963.
22. მ. ლორთქიფანიძე, აფხაზები და აფხაზეთი, თბ., 1990.
23. გ. მელიქიშვილი, საქართველოს კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისთვის, თბ., 1965.
24. თ. მიქელაძე, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974.
25. თ. მიქელაძე, კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები, თბ., 1985.
26. დ. მუსხელიშვილი, აფშილთა ეთნიკური კუთვნილების საკითხებისათვის, „არტანუჯი“, №10, თბ., 2000.
27. საქართველოს ისტორია, თბ., 1948.
28. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1973.
29. თ. სახოკია, მოგზაურობანი, თბ., 1950.
30. კ. ტაბატაძე, საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., 1993.
31. ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში, ტ. II, თბ., 1987.

32. ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973.
33. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, II, თბ., 1965.
34. თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1969.
35. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, ტ. VI, თბ., 1966.
36. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, ტ. I, თბ., 1961.
37. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, ტ. IV, თბ., 1941.
38. ბ. ხორავა, ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს. თბ., 1996.
39. ივ. ჯავახიშვილი, შრომები, ტ. II, თბ., 1983.
40. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, თბ., 1998.
41. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. I, თბ. 1992.
42. გ. ჯაფარიძე, ქართველების და საქართველოს არაბული სახელწოდებანი, საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., 1993.
43. ს. ჯანაშია, შრომები, ტ. IV, თბ., 1968.
44. Абхазские сказки, Сухуми, 1935.
45. Аджинджал И. А., Изэтнографии Абхазии, Сухуми, 1969.
46. Адыги, Балкарцыи Карачаевцы в известиях европейских авторов XIII-XIX вв, Нальчик, 1974.
47. Альбов Н., Этнографическиенаблюдениявабхазии, Живаястарина, вып. III., С.П., 1893.
48. Альбов Н., Описание новых видов растений найденных в Абхазии 1989-1990 гг. 1998, ЗКОИРГО, кн. XVI.
49. Антелава И. Г., К вопросу о феодальных отношениях в абхазиив XVII-XVIII веках, Труды АГМвип. I , Сухуми, 1947.
50. Анчабадзе З. В., Из истории средневековой Абхазии, М., 1959.
51. Аншба А., Из мифологии абхазов, Сухуми, 1976.
52. Бахия С., Абхазская „абипара“ – натронимия, Тб., 1986.
53. Броневский С., Новейшие географические иисторические известия о Кавказе, ч. I, М., 1823.
54. Вгарах Абхазии, „К“, 1894, #32.
55. Витсен И., Северная восточная Татария или сжатый очерк нескольких странинародов, Адыги, балканцы и карачаевцы в известиях Европейских авторов XIII-XIX вв. нальчик, 1974.
56. Гамахария Дж., Гогия Б., Абхазия-историческая область Грузии, Тб., 1997.
57. Д'АсколиЭ. Д., Описание Черного моряи Татарии, ЗОНД, 1960.
58. Джанашия С., О времени условиях и возникновения Абхазского царства, Труды, II, Тб, 1952.
59. Дубровин Н., Абхазцы (Азега), История войны и владычества русских на Кавказе, кн. 2, С-П., 1871
60. Думанов С. М., Некоторые вопросы из учения большой семьи и патрономии у адыгов, «Вестник» КБНИИ, веп. 4, Нальчик,1970.
61. Дюбуаде Монпере Ф. Путешествие вокруг Кавказа, ч. И, Сухуми, 1937.
62. ЗванбаС.Т., Зимние походы убыхов на абхазию, Этнографические этюды, Сухуми, 1955.
63. Инадзе М., Вопросы этнополитической истории древней Абхазии, вкн: Разысканая поистории Абхазии/Грузия, тб. 1990.
64. ИващенкоМ., Исследование орхаических памятников материальной культуры в Абхазии, Известия научно-исседовательного института Кавказоведения, вып. 3, Тифлис, 1935.
65. Инал-ипа Ш. Д., Абхазы, Сухуми, 1965.
66. Карачаевцы и черкесы, „Народы Кавказа“, I, М., 1960.
67. Куфтин Б., Материалы к археологии Колхиды, т. I, Тб., 1959.
68. Леонид (КовелинЛ. А.), Абхазия и её христианские древности, М., 1887.

69. Меликишвили Г. А., история древной Грузии, Тб., 1959.
70. Махвич-Мацкевич, Абадзехииихбыт, нравы иобычаи, „Народнаябеседа“, #2, 1864.
71. Приключение нарта Сосриквыи его девяносто девятибратьев, М., 1962.
72. Путешествие Яна ШарденапоЗакавказьюв 1672-1673 гг., Тифлис, 1902.
73. СалакаяШ. С., Абхазский Народный ГероическийЭнос, тб., 1966.
74. Студенецкая Я. Н., Карачаевцы, Народы Кавказа, т. I, М., 1960.
75. Торнау Ф.Ф., Воспоминания кавказского офицера, М., 1864.
76. Чурсин Г.Ф., Материалы по этнографии Абхазии, Сухуми, 1957.
77. Чернышов К., Еще об Абхазии, „Кавказ“, #83, октябрь.

გამოყენებული ლიტერატურა

ოსები

1. ზ. ანჩაბაძე, თ. ბოცვაძე, გ. თოგოშვილი, მ, ცინცაძე, ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, თბილისი, 1969.
2. ს. ბახია-ოქრუაშვილი, სოციალური ურთიერთობების საკითხები ოსებში, კავკასიის ეთნოლოგიური კრებული XII, თბილისი, 2010.
3. ს. ბახია-ოქრუაშვილი, ოსური ოჯახი და საოჯახო ყოფა, ტიპოლოგიური ძიებანი, VII, თბილისი, 2015.
4. ს. ბახია-ოქრუაშვილი, ოსთა საზოგადოებრივი ყოფა, XVIII-XIX საუკუნეებში, სოხუმის სახელობის უნივერსიტეტის შრომები, ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია, XIII, თბილისი, 2015.
5. ჯ. გვასალია, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, #39, 1989.
6. დ. გვრიტიშვილი, დვალთა ვინაობისა და ოსთა ჩამოსახლების საკითხისთვის, „მიმომხილველი“, I, თბ., 1949.
7. ვ. გოილაძე, ოსთა წინაპრები, ძვ.წ. VII – ახ.წ. XVI საუკუნეებში, თბილისი, 2018.
8. რ. თოფჩიშვილი, ოსთა წინაპარი ალანების თავდაპირველი განსახლების არეალი, თბილისი, 2008.
9. რ. თოფჩიშვილი, ოსები ისტორიულ და თანამედროვე საქართველოში, თბილისი, 2019.
10. რ. თოფჩიშვილი, საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბილისი, 1997.
11. ვ. ითონიშვილი, ცენტრალური კავკასიის მთიელების საოჯახო ყოფა, I, თბილისი, 1969.
12. ქართული სამართლის ძეგლები, II, თბილისი, 1966.
13. ქართლის ცხოვრება, თბილისი, 1973.
14. თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბილისი, 1976.
15. Алеманъ А., Аланы в древних и средневековых письменных источниках, М., 2003.
16. Ванеев З. Н., Средневековая Алания, Сталинир, 1959.
17. Гамрекели В. Н., Двали и Двалетия I-XV ввн.э., Тб., 1961.
18. Латышев В. В. Известия древних писателей греческих и катынских, о Скифиии Кавказе, т. 2, вин. I, С-П., 1904.

თავი 3.

ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობები უძველესი დროიდან 1918 წლამდე

გიორგი ანჩაბაძე

საკვანძო შეკითხვები:

- რაც ვიცით, საიდან ვიცით აფხაზებისა და ოსების მდგომარეობის შესახებ ანტიკურ ეპოქაში, შუა საუკუნეებსა და ახალ დროში?
- რატომ იბრძოდნენ აფხაზები და ოსები სხვადასხვა ეპოქაში ქართველების მხარდამხარ მტრის წინააღმდეგ?
- რატომ შეჰქონდათ საქართველოს ისტორიაში აფხაზებსა და ოსებს თავისი წვლილი?

§ 1. ქართულ-აფხაზური ურთიერთობები

თანამედროვე აფხაზები საკუთარ თავს აფსუას, სამშობლოს კი *აფსნის* უწოდებენ. ტერმინები **„აფსუა“** და **„აფსნი“** იმავე მნიშვნელობის მატარებელია აფხაზურ ენაზე, რაც **„აფხაზი“** და **„აფხაზეთი“** – ქართულად. აფხაზური ენა ეკუთვნის ე.წ. კავკასიური ენების დასავლურ ანუ აფხაზურ-ადიღურ ჯგუფს, რომელშიც აფხაზების გარდა შედიან აბაზები და ადიღები (ყაბარდოელები, ადიღელები და ჩერქეზები). გარდა ამისა, როგორც წინა თავში აღინიშნა, აფხაზები მრავალი კულტურულ-საყოფაცხოვრებო თავისებურებით უახლოვდებიან როგორც ჩრდილო კავკასიის ხალხებს, ასევე ქართველებს, რომლებთანაც მრავალსაუკუნოვანმა ურთიერთობამ და თანაცხოვრებამ გავლენა იქონია მათ ენასა და ანთროპოლოგიურ ტიპზე.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძველი მოსახლეობის საკითხი; **აფხაზთა წარმოშობა**. აფხაზეთის ტერიტორიაზე ადამიანის უძველესი ნაკვალევი ძველი ქვის ხანის – *პალეოლითის* – ადრეულ კულტურებს ეკუთვნის. კარგად არის წარმოდგენილი აგრეთვე ქვის ხანის შემდგომი პერიოდების ძეგლები. ძვ.წ. V-IV ათასწლეულების მიჯნაზე კავკასიაში იწყება სპილენძის ათვისება, ხოლო დაახლოებით 1000 წლის შემდეგ – *ბრინჯაოს ხანა*, როდესაც ლითონმა, როგორც საწარმოო და საბრძოლო იარაღის დამამზადებელმა მასალამ, საბოლოოდ გაიმარჯვა ქვაზე. ამ ეპოქიდან აფხაზეთში შემორჩენილია მასიური ქვებით ნაშენი (ცალკეული ფილების წონა 50 ტონას აღემატება) სამარხი ნაგებობები – დოლმენები (ძვ.წ. III-II ათასწლ.).

***დოლმენი**. დაცულია სოხუმის მუზეუმში.*

ძვ.წ. XIII-VII საუკუნეებში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ზონაში გავრცელებული იყო არქეოლოგიური კულტურა*, რომელსაც მეცნიერებმა **„კოლხური კულტურა“** უწოდეს. იგი მოიცავდა ტერიტორიას აფხაზეთიდან თანამედროვე თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილამდე. ამ არეალში წარმოდგენილია კოლხური კულტურის რამდენიმე ლოკალური ვარიანტი – აფხაზეთის, რაჭა-ლეჩხუმის, ჭოროხის აუზისა და სხვ. კავკასიის ისტორიის ამ პერიოდში, რომელიც გაშუქებული არ არის წერილობით ძეგლებში, შეუძლებელია გადაჭრით ითქვას რამე მოსახლეობის ეთნიკური** შემადგენლობის შესახებ, თუმცა სხვადასხვა არაპირდაპირი წყარო საშუალებას იძლევა ვივარაუდოთ, რომ დასავლეთ კავკასიის მოსახლეობა იმ დროს წარმოდგენილი იყო ძირითადად აფხაზურ-ადიღურ და ქართველურ ენებზე მოლაპარაკე ტომებით. ამრიგად, ქართველი და აფხაზი ხალხების წინაპართა თანაცხოვრება და მჭიდრო ურთიერთობები სათავეს შორეულ წარსულში იღებს.

---

* არქეოლოგიური კულტურა – ამ ტერმინით აღინიშნება გარკვეული ხანისა და განსაზღვრულ ტერიტორიაზე გავრცელებული ადგილობრივი თავისებურებების მქონე არქეოლოგიურ ძეგლთა ერთობლიობა. დამწერლობამდელი ხანის არქეოლოგიური კულტურების დაკავშირება გარკვეულ ეთნიკურ ჯგუფებთან, როგორც წესი, მეტ-ნაკლებად დასაბუთებულ ვარაუდებს არ სცილდება.

** ეთნიკური – ამა თუ იმ ტომთან, ტომობრივ ჯგუფთან, ხალხთან დაკავშირებული.

ტერმინი „ქართველური“ ახლომონათესავე ქართული, სვანური და მეგრულ-ჭანური ენების საერთო სახელწოდებაა. ქართველური ენების ჯგუფი, ისევე, როგორც აფხაზურ-ადიღური შტო, კავკასიური ენების წრეში შედის. კავკასიური ენების მესამე ჯგუფი, აღმოსავლური ანუ ნახურ-დაღესტნური ენები, ამჟამად გვხვდება მხოლოდ კავკასიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში (დაღესტანი, ჩეჩნეთი, ინგუშეთი და მათი მიმდებარე ტერიტორიები), თუმცა წინათ ეს ენები ფართოდ იყო გავრცელებული კავკასიონის სამხრეთით მდებარე ქვეყნებშიც.

ეჭვგარეშეა, რომ კავკასიური ენების ცალკეული ჯგუფები საერთო ძირებიდან განვითარდა. კერძოდ, არსებობდა ე.წ. ქართველური ფუძეენა, რომელიც დროთა ვითარებაში დაიშალა სვანურ, ქართულ და მეგრულ-ჭანურ შტოებად. ასევე დაიყო ცალკეულ ქვეჯგუფებად ნახურ-დაღესტნური და აფხაზურ-ადიღური ფუძეენები; თუმცა, რაც შეეხება კავკასიური ენების სამივე ჯგუფის ნათესაობას, მეცნიერებაში ამ საკითხთან დაკავშირებით საერთო აზრი არ არსებობს. ზოგი სპეციალისტი ვარაუდობს, რომ ოდესღაც, შესაძლოა, 12-14 ათასი წლის წინ კავკასიაში არსებობდა ერთიანი პროტოკავკასიური ფუძეენა (თავსართი „პროტო“ ბერძნულად ნიშნავს პირველს, პირველადს), რომლის დიალექტები ხანგრძლივი ევოლუციის შედეგად ჩამოყალიბდა ქართველურ, აფხაზურ-ადიღურ და ნახურ-დაღესტნურ ფუძეენებად. მართალია, ამ ვერსიას ბევრი ენათმეცნიერი არ იზიარებს, რომლებიც თვლიან, რომ პროტოკავკასიური ფუძეენის არსებობა არ მტკიცდება, ხოლო გარკვეული მსგავსებები კავკასიური ენების ცალკეულ ჯგუფებს შორის გამოწვეულია ურთიერთგავლენებით ხანგრძლივი მეზობლობის გამო, მაგრამ საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის. ივანე ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორიის შესავალში“ აღნიშნავდა, რომ კავკასიელი ხალხების „თავდაპირველი ნათესაობა მარტო ლინგვისტური* ანალიზით კი არ მტკიცდება, არამედ უძველესი ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნოლოგიური ცნობებითაც“ [32, 622].

საფიქრებელია, რომ შემდგომი გამოკვლევები მეტ სინათლეს მოჰფენს კავკასიის ხალხთა წარმოშობის პრობლემას. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გენეტიკური გენეალოგიის შესაძლებლობები, რომელიც ეყრდნობა ადამიანის დნმ-ის შესწავლის შედეგებს.

* * *

ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარსა თუ II ათასწლეულის დასაწყისში პროტოაფხაზურ-ადიღური ერთობა გაიყო წინარეაფხაზურ და წინარეადიღურ შტოებად. ამ პერიოდს ემთხვევა დოლმენური კულტურის განვითარების ხანა. არსებობს მოსაზრება, რომ დასავლეთ კავკასიის დოლმენთა გავრცელების არეალის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი ეკუთვნის წინარეადიღურ, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთი (რომელიც დაახლოებით ემთხვევა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიას) – წინარეაფხაზურ ტომებს [55, 49].

როგორც ჩანს, აღნიშნულ ტერიტორიაზე მიმდინარეობდა ახლომონათესავე ტომებით წარმოდგენილი აფხაზური ეთნიკური ერთობის შექმნა, რომელიც ერთიან ხალხად გაცილებით უფრო გვიან ჩამოყალიბდა. აღნიშნული, ცხადია, არ გამორიცხავს მუდმივ **დიფუზიურ** (ურთიერთშეღწევის) პროცესებს სამხრეთით – ქართველურ, ხოლო ჩრდილოეთით – ადიღურ ეთნიკურ მასივებთან შეხების ზონებში. ასეთ პირობებში გვარტომული ჯგუფები იყოფოდნენ და ერთიანდებოდნენ, მიმდინარეობდა ახალი ეთნიკური ერთეულების ჩამოყალიბება.

ასე მაგალითად, დიდი ხანია არსებობს მოსაზრება, რომ აფხაზები თავისი განსახლების ადგილებში ჩრდილო კავკასიიდან არიან მოსული, მხოლოდ ზოგიერთი მეცნიერი თვლიდა, რომ მათი ჩამოსვლა მოხდა ანტიკურ ხანაში (მ.კისლინგი, ა.სვანიძე და სხვ.)**, სხვების აზრით კი – შუა

---

* ლინგვისტიკა – მეცნიერება ენის შესახებ; ენათმეცნიერება.

** ანტიკურობა (ლათინ. antiquitas-იდან – სიძველე) – ტერმინი, რომელიც იხმარება ძველი ბერძნული და რომაული სა-

საუკუნეებში (დ.ბაქრაძე, ა.დიაჩკოვ-ტარასოვი და სხვ.). ივ.ჯავახიშვილი თვლიდა, რომ აფხაზთა და ჩერქეზთა წინაპრები დასავლეთ ამიერკავკასიაში სამხრეთიდან იყვნენ მოსული შორეულ წარსულში; შემდეგ ამავე მიმართულებით მომავალი ქართველური ტომების მოწოლამ აიძულა ისინი ჩრდილო კავკასიაში გადასულიყვნენ, მაგრამ ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში აფხაზები უკან დაბრუნდნენ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე [45: 41, 42, 45; 34, 435-436]. ასეთი მიგრაციული თეორიები XX საუკუნის 30-იან წლებამდე ფართოდ იყო გავრცელებული საისტორიო მეცნიერებაში. მაგალითად, ივ.ჯავახიშვილი ქართველთა წინაპრების ძველ სამშობლოს მოიაზრებდა წინა აზიაში, მაგრამ შემდეგ შეიცვალა შეხედულება და დასაშვებად მიიჩნია ქართული ტომების გამოჩენა საქართველოს დღევანდელ ტერიტორიაზე საპირისპირო მხრიდან. „ხომ არ ჩამოვიდნენ ისინი ამიერკავკასიაში ჩრდილოეთიდან, ისევე, როგორც აფხაზები, რომლებიც, სავარაუდოდ, სწორედ ამ გზით მოხვდნენ ამიერკავკასიაში“, – აღნიშნავს მეცნიერი თავის ერთ-ერთ უკანასკნელ ნაშრომში [43: 31].

რაც შეეხება თეზისს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ოდესღაც აფხაზურ-ადიღური ტომების გავრცელების შესახებ, იგი, უპირველეს ყოვლისა, ტოპონიმიკურ* რეალიებს ემყარებოდა. უცხოელმა მეცნიერებმა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში მიაქციეს ყურადღება, რომ ზოგიერთი გეოგრაფიული სახელი აქ აფხაზური ან ჩერქეზული (ადიღური) ენებიდან აიხსნება. ამის შესახებ წერდნენ ცნობილი ქართველი მეცნიერებიც (ივ.ჯავახიშვილი, ს.ჯანაშია, არნ.ჩიქობავა და სხვ.), რომლებიც ისეთ ტოპონიმებში, როგორიცაა *დვაბზუ, აფსირტი, სუფსა, ბჟინევი, სინოპი, აკამპსისი, მალთაყვა, აგიდაყვა, აჭყვა, ბოყვა, ბობოყვა(თი), ფიჩორა* და ა.შ., ხედავდნენ დასავლეთკავკასიური (აფხაზურ-ადიღური) ენების მემკვიდრეობას დასავლეთ საქართველოსა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიის ტერიტორიებზე. ამ მოსაზრებას ამაგრებს ზოგი სხვა მონაცემიც. ამასთან დაკავშირებით აკად. არნოლდ ჩიქობავა წერს: „ადიღეური ელემენტები დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკაში… შემთხვევითი მოვლენა არ არის; სერიოზული საფუძველი არსებობს ვივარაუდოთ, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ქართველურ ტომებს წინ უსწრებდნენ აფხაზურ-ადიღური ტომები“ [61: 263]. ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს თეზისი 1989 წლამდე გვხვდება (იხ., მაგ., [54: 16, 185]).

ცნობილი ენათმეცნიერების, ვიაჩესლავ ივანოვისა და თამაზ გამყრელიძის აზრით, პროტოქართველური ენის მატარებელი ტომები ძვ.წ. III ათასწლეულამდე ცხოვრობდნენ მცირე კავკასიონის დასავლეთ და ცენტრალურ რაიონებში, ხოლო შემდეგ თანდათანობით განსახლება დაიწყეს კოლხეთის დაბლობისკენ, სადაც ერთ-ერთმა ქართველურმა დიალექტმა გადაფარა ადგილობრივი, სავარაუდოდ, დასავლეთკავკასიური ტიპის ენები. ამით სათავე დაედო სვანური ენის ჩამოყალიბებას. დაახლოებით 900 წლის შემდეგ პროტოქართველთა მომდევნო მიგრაციულმა ტალღამ სვანური ენა შეავიწროვა კავკასიონის მიმართულებით და გააღწია ზღვამდე, რითიც საფუძველი ჩაეყარა მეგრულ-ჭანურ შტოს [43, 881].

თუ გავითვალისწინებთ მოსაზრებას დასავლეთკავკასიური ტიპის ენათა ოდინდელი გავრცელების შესახებ თანამედროვე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, უფრო გასაგები ხდება აფხაზურ-ადიღური სამყაროს ეთნოკულტურული კავშირები მცირე აზიასთან. ზოგიერთი უცხოელი და ქართველი მეცნიერი ძველი აღმოსავლეთის ცალკეულ ხალხებსა და ტომებს აფხაზ-ადიღების მონათესავეებად თვლიდა. ეს ეხება, მაგალითად, ცენტრალური ანატოლიის ძველ კულტურულ მოსახლეობას – *ხათებს*. აკად. ოთარ ჯაფარიძის აზრით, ხათების წინაპრები ქვის ხანის დასასრულს გამოეყვნენ დასავლეთკავკასიური ჯგუფის ტომებს და სამხრეთში გადაინაცვლეს [47, 393],

მყაროს აღსანიშნავად ძვ.წ. I ათასწლეულიდან ახ.წ. V საუკუნემდე; ზოგჯერ ეს ცნება იმ რეგიონთა ისტორიასაც ეხება, რომლებიც მჭიდრო კავშირში იყვნენ საბერძნეთსა და რომთან (მცირე აზია, კავკასია, ყირიმი და სხვ.).

* ტოპონიმიკა – რომელიმე ადგილის გეოგრაფიულ სახელთა (ქალაქების, სოფლების, მთების, ზღვების, მდინარეების და ა.შ.) ერთობლიობა.

სადაც, მდინარე ყიზილ-ირმაქის აუზში, ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლოს აღმოცენდა მათი ქალაქი-სახელმწიფოები [44, 49]. აფხაზურ-ადიღური ტომების კავშირზე ძველ აღმოსავლეთთან მიუთითებს აგრეთვე ტრადიციული რელიგიური წარმოდგენები. მაგალითად, აფხაზური პანთეონის ოჯახის მფარველ ღვთაება „აშაჰარა“-ს აკავშირებენ ხეთების ქალღმერთ „იშხარა“-სთან („აშხარა“); ადიღურ პანთეონში ჭექა-ქუხილის ღმერთი „უაშხო“ („ვაშხო“) უკავშირდება ძველ აღმოსავლეთში გავრცელებულ ღმერთის სახელწოდებას „ვაშხავ“ და სხვ. [30, 77; 33, 90; 57, 122].

ბ) აფხაზეთი ანტიკურ ხანაში (ძვ. წ. VI - ახ. წ. V სს.). აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი წერილობითი წყაროების თვალთახედვის არეში ძვ.წ. VI საუკუნიდან მოექცა, როდესაც აქ პირველი ბერძნული ახალშენები გაჩნდა – ფაზისი (ფოთის მიდამოებში), გიენოსი (ახლანდელი ოჩამჩირე), დიოსკურია (სოხუმი) და სხვ.

ძვ.წ. უკანასკნელი და ახ.წ. პირველი საუკუნეების ბერძენ მწერლებს ახლანდელი აფხაზეთის დიდი ნაწილი შეჰყავთ ისტორიულ-გეოგრაფიული ოლქის – კოლხეთის (*კოლხიდა*) შემადგენლობაში. ეს სახელი თანამედროვე დასავლეთ საქართველოს ეწოდა ყველაზე განვითარებული ადგილობრივი ტომის, *კოლხების*, მიხედვით, რომელთა განსახლების არეალი ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებში მოიცავდა ტერიტორიას მდინარე ჭოროხიდან რიონამდე [57, 64-65]. აქედან გამომდინარე, ტერმინებს – „კოლხები“ და „კოლხიდა“ – ძველი ავტორები ვიწრო და ფართო მნიშვნელობით ხმარობდნენ: ვიწრო გაგებით ეს იყო საკუთრივ კოლხები (ერთ-ერთი მეგრულ-ჭანური ტომი) და მათი ტერიტორია, ფართო გაგებით კი, კოლხეთად მოიაზრებოდა ვრცელი რეგიონი კავკასიონიდან ტრაპიზონამდე, სადაც ცხოვრობდნენ როგორც კოლხები და სხვა ქართველური ტომები, ასევე აფხაზურ-ადიღური ჯგუფები [57, 64; 37,133; 52, 7]. ამრიგად, ცალკეულ შემთხვევებში ტერმინი „კოლხი“ ფართო მნიშვნელობით კოლხეთის რეგიონის მთელ მოსახლეობას ფარავდა. ამასთან დაკავშირებით ზურაბ ანჩაბაძე აღნიშნავს: „ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ტერმინ „კოლხის“ ორმაგი მნიშვნელობა და არ უნდა მივათვალოთ საკუთრივ კოლხებს ყველა ის ეთნიკური ერთეული, რომლებსაც ანტიკური ხანის რომელიმე მწერალმა „კოლხური ტომი“ უწოდა“ [38,133].

ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებულია აზრი, რომ არაუგვიანეს ძვ. წ. VI საუკუნისა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე შეიქმნა ერთიანი და ძლიერი კოლხეთის სამეფო, მაგრამ ეს მოსაზრება არასაკმარისად არის ფაქტებით გამაგრებული. ისტორიული ცნობები კოლხთა გაერთიანების შესახებ (არ აგერიოთ მითოსური აიეტის სამეფოში) იმდენად მწირი და ბუნდოვანია, რომ ზოგიერთი ისტორიკოსი (ნ. ბერძენიშვილი, ა. ბოლტუნოვა, გ. ყორანაშვილი და სხვ.) ეჭვქვეშ აყენებს კოლხეთის სამეფოს რეალურ არსებობას (ყოველ შემთხვევაში, განვითარებული სახელმწიფო სტრუქტურის სახით) [5, 365; 41, 315-329; 29, 35-46].

გიორგი მელიქიშვილის აზრით, კოლხეთის სამეფო შედარებით სუსტად განვითარებული წარმონაქმნი იყო რიონის დაბლობზე, გარშემორტყმული გვაროვნული წყობილების პირობებში მცხოვრები ტომებით [57, 251]. ძვ.წ. VI საუკუნის ბოლოს კოლხები სპარსეთის მოხარკეები გახდნენ, შემდეგ კი მათი გაერთიანება იშლება. ამავე პერიოდშია სავარაუდებელი ბერძნული ახალშენების დაარსება შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, მათ შორის აფხაზეთის ტერიტორიაზეც. უკვე ძვ.წ. IV საუკუნის ბოლოდან კი კოლხეთის აღმოსავლეთი ნაწილი აღმოსავლეთქართული სახელმწიფოს – *იბერიის* (*ქართლის*) – შემადგენლობაში მოექცა.

ბერძენი ავტორები თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ძვ.წ. უკანასკნელ საუკუნეებში სხვადასხვა ტომს ასახელებენ, მაგრამ ცნობები მათ შესახებ მეტად მწირია, ხოლო ეთნიკური კუთვნილების საკითხი – საკამათო. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აღმოსავლეთ აფხაზეთში – დასავლეთქართველური (მეგრულ-ჭანური და სვანური), ხოლო დანარჩენ ტერიტორიაზე აფხაზურ-ადიღური მოდგმის ტომები ცხოვრობდნენ; საზღვარი მათ შორის საკმაოდ მოძრავი იყო. პოლიტიკურად ეს მოსახლეობა, ისევე, როგორც მთელი იმდროინდელი კოლხეთი, დაყოფილი იყო ცალკეულ ტომურ გაერთიანებებად და წვრილ სამთავროებად. ამან ხელი შეუწყო

კოლხეთში უცხოელთა ექსპანსიას. ძვ.წ. II საუკუნეში კოლხეთი პონტოს სამეფოს* შემადგენლობაში მოექცა, ხოლო პონტოს დაცემის შემდეგ აქ რომაელები დომინირებდნენ. ადგილობრივი მოსახლეობა იბრძოდა დამპყრობლების წინააღმდეგ, რომელთა პოზიციები მხოლოდ ზღვის სანაპიროზე იყო რამდენადმე მყარი, სადაც მათ ციხესიმაგრეები ჰქონდათ. ქვეყნის შიდა რაიონებში ძალაუფლება ფაქტობრივად ადგილობრივ *დინასტებს* (ტომობრივი გაერთიანებების წინამძღოლებს) ეკუთვნოდა.

შედარებით უკეთესად ვიცით ვითარება აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან, როდესაც ეს მხარე რომის იმპერიაზე იყო დამოკიდებული. ახ.წ. I-II საუკუნეებში თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩნდება ახალი ეთნიკური სახელები: სანიგები, აფსილები და აბაზგები (უკანასკნელი ორი ეთნოსი ქართულ წყაროებში იწოდება „აფშილებად“ და „აფხაზებად“). ამავე პერიოდში სცენაზე გამოდიან ლაზებიც**,** რომლებიც ადრე, შესაძლოა, კოლხთა ზოგადი სახელის ქვეშ იმალებოდნენ. ლაზეთის ტერიტორია თავდაპირველად მოიცავდა აჭარა-გურიისა და ნაწილობრივ სამეგრელოს მიწებს და სამხრეთიდან ესაზღვრებოდა აფსილთა ქვეყანას. საზღვარი მათ შორის, ივ. ჯავახიშვილის თქმით, „რიონის კარგა ჩრდილოეთით“ იყო საგულისხმო [33, 266]. როგორც ჩანს, ლაზებისა და აფსილების გამყოფ ხაზს მეცნიერი ჰიპოთეზურად ავლებდა მდინარე ხობის ან ინგურის რაიონში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ორიენტირად იგი სხვა გეოგრაფიულ ობიექტს დაასახელებდა.

ამრიგად, აფხაზეთში მოსახლე ტომთაგან ყველაზე სამხრეთით ცხოვრობდნენ აფსილები. მათ შემდეგ დასახელებული არიან აბაზგები, რომელთა ტერიტორია თითქმის *სებასტოპოლისამდე* (ყოფილი დიოსკურია) უწევდა, თუმცა ამ ქალაქის მიდამოებს უკვე სანიგები აკონტროლებდნენ.

აფსილები და აბაზგები განსაკუთრებით ახლომონათესავე ეთნიკური კოლექტივები ჩანან, რაზეც ერთი ფუძიდან მომდინარე მათი ეთნონიმები** მეტყველებს – ფს–ბზ**.** სახელწოდება „აფსილიდანაა“ წარმოშობილი აფხაზთა თვითსახელწოდება „აფსუა“, ხოლო „აბაზგიდან“ – „აფხაზი“ და „აბაზა“.***

მეცნიერთა უმრავლესობა**** მიიჩნევს, რომ აფსილები და აბაზგები აფხაზური მოდგმის ტომები იყვნენ და თანამედროვე აფხაზი ხალხის წინაპრები არიან. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან სახელები „აბაზგი“ (აფხაზი) და „აფსილი“ (აფსუა) ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან მოყოლებული, აღარ ქრება წერილობითი წყაროებიდან და ჩვენს დრომდე მოაღწია. რაიმე დოკუმენტური მასალა, რომელიც უჩვენებს, რომ ისტორიული აფხაზები ენით ან სხვა რაიმე ეთნიკური ნიშნით განსხვავდებიან მერმინდელებისგან – არ არსებობს.

სანიგების ეთნიკურ კუთვნილებასთან დაკავშირებით სპეციალისტებს შორის თანხმობა არ არის. მათ აცხადებენ სვანებად, მეგრელ-ჭანებად, ჩერქეზებად ან აფხაზებად. სანიგების ხსენება ისტორიული წყაროებიდან ადრეულ შუა საუკუნეებში გაქრა, შემდეგ პერიოდში მათი განსახლების ადგილზე აფხაზურ და უბიხურ (აფხაზურ-ადიღური მოდგმის ხალხი, 1864 წლამდე ცხოვრობდა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში) ტომებს ვხედავთ, რომლებიც, სავარაუდოდ, სანიგების შთამომავლები არიან.

---

* პონტოს სამეფო – სახელმწიფო ძვ.წ. IV-I საუკუნეებში შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე; ნაწილობრივ დასახლებული იყო ქართველური ტომებით.

** ეთნონიმი – ტომის, ხალხის ან ერის სახელწოდება; განირჩევა ავტოეთნონიმი – ხალხის თვითსახელწოდება და ალოეთნონიმი – სახელი, რომელსაც მას სხვა ხალხები უწოდებენ (მაგალითად, ქართველების ავტოეთნონიმია – „ქართველი“, ალოეთნონიმები – „ჯორჯენ“, „გურჯუ“, „გრუზინ“ და ა.შ.).

*** აბაზა - ასე ეძახიან აფხაზებს თურქები და ზოგიერთი ჩრდილოკავკასიელი ხალხი.

**** ნ.მარი, ივ.ჯავახიშვილი, ს.ჯანაშია, ნ.ბერძენიშვილი, გ.მელიქიშვილი, ზ.ანჩაბაძე, ნ. ლომოური, ლ. ლავროვი, ე. ხოშტარია-ბროსე და სხვ.



აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ახ. წ. II საუკუნეში

ლაზებს, აფსილებს, აბაზგებსა და სანიგებს საკუთარი წინამძღოლები ჰყავდათ, რომლებსაც ბერძნულ-რომაული წყაროები მეფეებად მოიხსენიებენ. ეს „მეფეები“ რომის იმპერატორების უზენაესობას აღიარებდნენ, მაგრამ საშინაო საქმეებში დამოუკიდებლად მართავდნენ თავიანთ ტერიტორიებს.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტომობრივი სამთავროებიდან III-V საუკუნეებში განსაკუთრებით გაძლიერდა ლაზთა გაერთიანება ანუ *ლაზიკე* (ქართულ წყაროებში – *ეგრისი*), რომლის ბირთვს მეგრულ-ჭანური ელემენტი შეადგენდა. ლაზებმა გააფართოვეს თავისი ტერიტორია, აფსილები შეავიწროვეს მდინარე ღალიძგამდე, იბერიისგან დაიბრუნეს *არგვეთი* – ძველი კოლხეთის აღმოსავლეთი ნაწილი და ა.შ. გარდა ამისა, ეგრისის მეფეთა ვასალები გახდნენ აფხაზური და სვანური ტომების წინამძღოლები, თუმცა, ამავე დროს, თვითონ ლაზები აღიარებდნენ აღმოსავლეთ რომის იმპერიის (ბიზანტიის) უზენაეს ხელისუფლებას. ამ პერიოდში სახელწოდება „კოლხიდა“ ჩაანაცვლა „ლაზიკემ“ (ეგრისმა), თუმცა ეს უკანასკნელი ტერმინი აფხაზეთის დიდ ნაწილს აღარ ფარავდა. აკადემიკოს დავით მუსხელიშვილის დაკვირვებით, ქართული და უცხოური წყაროები აშკარად ასხვავებენ „ეგრისს“ ან „ლაზიკეს“ „აფხაზეთისაგან“. „ვიწრო ეთნიკური „ლაზიკე“ ზოგჯერ გვხვდება აფშილეთის, სვანეთისა და ლეჩხუმის გვერდით, მაგრამ პოლიტიკური „ლაზიკე“ ამ უკანასკნელთ გულისხმობს, ხოლო აფხაზეთს – არა“ [21, 138, შენ. 237].

გ) აფხაზეთი VI-VIII საუკუნეებში. ბიზანტიის გავლენა ეგრის-აფხაზეთში ხელს უწყობდა ქრისტიანობის განმტკიცებას, თუმცა ტრადიციული რწმენა-წარმოდგენების აღმოფხვრა იოლი არ იყო. VI საუკუნის ბერძენი ისტორიკოსის ცნობით, აფხაზური ტომები ქრისტიანობის აღმსარებლები იყვნენ, მაგრამ შენარჩუნებული ჰქონდათ წარმართობის გადმონაშთები.

ეგრისის ვასალებიდან შინაგანი დამოუკიდებლობის ყველაზე მაღალი დონე ჰქონდათ ჩრდილოეთით მცხოვრებ აბაზგებს, რომლებმაც საკუთარი მეფე-მთავრების ინსტიტუტი შეინარჩუნეს. VI საუკუნის პირველ ნახევარში აბაზგი წინამძღოლები განუდგნენ ეგრისის მეფეებს და უშუალოდ ბიზანტიის იმპერატორს დაემორჩილნენ. 550 წელს აბაზგები ბიზანტიელებსაც აუჯანყდნენ, მაგრამ იმპერატორის არმიამ დაამარცხა აჯანყებულები და იერიშით აიღო მათი მთავარი საყრდენი პუნქტი – *ტრაქეა* (დღევანდელი ახალი ათონი).

აბაზგებმა მალე მოიშუშეს ჭრილობები და VII საუკუნისათვის მნიშვნელოვნად გაძლიერდნენ.

ბიზანტიის პროტექტორატის* ქვეშ ყალიბდება ადრეფეოდალური ტიპის აბაზგიის სამთავრო, რომლის შემადგენლობაში ექცევიან აგრეთვე აფსილები, სანიგები და ზოგი სხვა ტომი. ამ პოლიტიკური გაერთიანების ფარგლებში VII-VIII საუკუნეებში მიმდინარეობს ადრეფეოდალური ეპოქისთვის დამახასიათებელი, სამხედრო ელიტების პრევალირებით განპირობებული ეთნიკური კონსოლიდაციის პროცესი. როგორც ს.ჯანაშია აღნიშნავს: „VIII საუკუნისათვის თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე აშკარა უპირატესობა აბაზგებმა მოიპოვეს. ეს ეთნიკური სახელი მალე უფრო ფართო, განმაზოგადებელ მნიშვნელობას იძენს. მისი ქართული ფორმა – „აფხაზი“, რომელიც მიღებულია „აბაზგი“, „აბაზხი“-დან თანხმოვანთა შინაგანი გადაჯგუფების გზით, ქართული ენის ფონეტიკური კანონების თანახმად... თანდათანობით საყოველთაო გავრცელებას პოულობს“[46, 39]. მართლაც, VI-VIII საუკუნეებში წერილობითი ძეგლებიდან თანდათანობით ქრება აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები შედარებით წვრილი ტომების მოხსენიება და მემატიანეები მათ ნაცვლად მხოლოდ აბაზგებს, ანუ აფხაზებს ასახელებენ.

აქედან გამომდინარე, ითვლება, რომ ერთიანი აფხაზური ფეოდალური ეროვნების ჩამოყალიბება, ძირითადად, VIII საუკუნის ბოლოსთვის დასრულდა. ამ პროცესში მთავარი როლი შეასრულეს აბაზგებმა და აფსილებმა. ამ შედარებით მცირე ერთეულების შერწყმამ შექმნა ეთნიკური ბირთვი, რომელსაც შემდეგ შეუერთდნენ ისტორიული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ეთნიკური კომპონენტები [37, 62-70].

აბაზგია გაძლიერდა ეგრისის სამეფოს დაცემის ფონზე, რომელიც დაასუსტა მის ტერიტორიაზე მიმდინარე ომებმა. მას შემდეგ, რაც VII საუკუნეში ბიზანტიელებმა გააუქმეს ეგრისის სამეფო, ჰეგემონობა რეგიონში აბაზგიის (აფხაზეთის) მთავრების ხელში გადადის.

VIII საუკუნის პირველ ნახევარში აფხაზები კავშირს ამყარებენ ქართლის ერისმთავრებთან, რომელთა პოლიტიკური გავლენა ამ პერიოდში ეგრისზეც ვრცელდებოდა. 730-იან წლებში, მურვან-ყრუს შემოსევის დროს, ქართლის ერისმთავრის, სტეფანოზის შვილებმა, **მირმა და არჩილმა**, მხედრებისა და ვასალების ჯგუფით აფხაზეთს შეაფარეს თავი, რომლის მთავარი იმ დროს იყო **ლეონ I**. ეგრისის აოხრების შემდეგ არაბები აფხაზეთში შეიჭრნენ და შემუსრეს ქალაქი **ცხუმი** (სოხუმი). ქართველები და აფხაზთა ლაშქრის ნაწილი გამაგრდნენ **ანაკოფიის** ციხეში (ძველი ტრაქეა), სადაც მირის ხელმძღვანელობით ბრძოლა გაუმართეს მტერს. ლეონ I *სობღის* ციხეში იდგა, რომელიც ჩრდილო კავკასიაში მიმავალ გზას კეტავდა (არაბები აფხაზეთში შემოსევების დროს ამ სტრატეგიული მაგისტრალის ხელში ჩაგდებას ლამობდნენ). „ქართლის ცხოვრებით“, ანაკოფიასთან მირს მხოლოდ 3000 მეომარი ჰყავდა (1000 ქართველი და 2000 აფხაზი), მაგრამ მან მოიგერია არაბთა ძლიერი შეტევა, თუმცა თვითონაც დაიჭრა ბრძოლაში და ამ ჭრილობისგან გარდაიცვალა. მიუხედავად ამისა, არაბებმა აფხაზეთიდან უკან დაიხიეს და მალე ეგრისიც დატოვეს.

ანაკოფიის ციხის ნანგრევები

არაბთა წასვლის შემდეგ არჩილმა ლეონს გაწეული სამსახურისთვის მადლობა გადაუხადა და ქართულ-აფხაზური კავშირის განმტკიცების

* პროტექტორატი (მფარველობა) – სახელმწიფოთა დამოკიდებულების ისეთი ფორმა, რომლის დროსაც ძლიერი სახელმწიფო ვითომდა საგარეო საქმეებში მფარველობს დაქვემდებარებულ ქვეყანას, რომელიც ფაქტობრივად კარგავს დამოუკიდებლობას.

არჩილი. *ქართლის ერისმთავარი VIII საუკუნეში. ნახატი შექმნილია XIX საუკუნეში*

მიზნით მას ცოლად მიათხოვა მირის ქალიშვილი გურანდუხტი. არჩილმა და ლეონმა ძმობა შეჰფიცეს ერთმანეთს: „ყვეს აღთქმა და ფიცი საშინელი, ვითარმედ არა იყოს მტერობა შორის მათსა“, – წერს მემატიანე და აღნიშნავს, რომ ლეონი ემორჩილებოდა არჩილს სიცოცხლის ბოლომდე [27: 242, 243].

VIII საუკუნის მეორე ნახევარში აფხაზეთის მთავრად ვხედავთ ლეონ I-ის ძმისწულს, **ლეონ II-ს.** მან თავისი ხელისუფლება მთელ ეგრისზე გაავრცელა ლიხის ქედამდე. ამ ფაქტს ეგრისელთა მხრიდან პროტესტი არ მოჰყოლია. არაბთა თარეშით შეწუხებული მოსახლეობა დაინტერესებული იყო ერთიანი, ძლიერი სახელმწიფოს შექმნით, აფხაზები კი, როგორც ჩანს, უცხო ძალად არ აღიქმებოდნენ. პირველ ხანებში ლეონ II კვლავ ბიზანტიის ვასალად ითვლებოდა, მაგრამ დაახლოებით 797 წელს მან ისარგებლა იმპერიაში შექმნილი მდგომარეობით და დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ლეონმა მიიღო ტიტული „მეფე აფხაზთა“ და მის მიერ შექმნილი გაერთიანება ისტორიაში შევიდა აფხაზთა სამეფოს სახელწოდებით.

დ) აფხაზთა სამეფო. უკვე ლეონ II-ის დროს აფხაზთა სამეფოს პოლიტიკურმა ცენტრმა რიონის დაბლობზე გადმოინაცვლა, როდესაც სატახტო ქალაქი ანაკოფიიდან **ქუთაისში** იქნა გადატანილი. შესაბამისად, გაფართოვდა ცნება „აფხაზეთი“, რომელიც ახლა მთელ თანამედროვე დასავლეთ საქართველოს აღნიშნავდა. ამიტომ უნდა გვესმოდეს, რომ ტიტული **„აფხაზთა მეფე“** ნიშნავს სრულიად ლიხს იქითა მხარის სუვერენს და არა მხოლოდ საკუთრივ აფხაზების მმართველს.

სამეფოს მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ ქართველურ ენებზე მოლაპარაკე ჯგუფები – ქართები*, მეგრელები და სვანები. ეს სამი ეთნიკური ჯგუფი, როგორც აღვნიშნეთ, ერთი ძირიდან მოდის. მათი დაახლოება-კონსოლიდაციის პროცესში, რომელიც VIII-IX საუკუნეებში აქტიურად მიმდინარეობდა, წამყვან როლს ასრულებდნენ ქართები, როგორც ყველაზე მრავალრიცხოვანი და განვითარებული ერთეული. მათ, დასავლეთქართველური ჯგუფებისგან განსხვავებით, ჰქონდათ დამწერლობა მშობლიურ ენაზე და ავტოკეფალიური ქრისტიანული ეკლესია ცენტრით მცხეთაში.

უეჭველია, რომ დამწერლობა და ღვთისმსახურება ქართულ ენაზე დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის უფრო მახლობელი და გასაგები იყო, ვიდრე ბერძნული ენა, რომელსაც აქ ადრე იყენებდნენ. ამიტომ ქართულმა ენამ და ეკლესიამ გადამწყვეტი როლი შეასრულა პროცესში, რომელმაც განაპირობა ერთიანი ქართული „ფეოდალური“ ეროვნების ჩამოყალიბება. ეს პროცესი მნიშვნელოვანწილად აფხაზთა სამეფოს ტერიტორიაზე მიმდინარეობდა მისი მეფეების ხელშეწყობით. „ამიტომ, – აღნიშნავს ზ. ანჩაბაძე, – ქართულმა ენამ თანდათანობით საყოველთაო გავრცელება მოიპოვა, როგორც დამწერლობისა და კულტურის ძირითადმა ენამ, მთელ აფხაზთა სამეფოში. ყოველივე ამან განაპირობა ის გარემოება, რომ მალე თავისი

* ქართები – ქართველური ტომების აღმოსავლური შტო, ლაპარაკობდნენ საკუთრივ ქართულ ენაზე და იწოდებოდნენ ქართველებად. ტერმინი „ქართი“ თანამედროვეა, ნაწარმოებია სახელწოდებიდან „ქართლი“.

წარმოშობის შემდეგ აფხაზთა სამეფო და მასთან ერთად საკუთრივ აფხაზები აქტიურად ჩაერთვნენ ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური წარმონაქმნების სისტემაში“ [36, 108].

წყაროების სიმცირის გამო ძნელია ზუსტად თქმა, თუ როდის მოხდა აფხაზეთში გარდატეხა ქართული კულტურული ორიენტაციის სასარგებლოდ, მაგრამ მკვლევართა უმრავლესობა ამ მოვლენას IX-X საუკუნეებით ათარიღებს. მაგალითად, ს.ჯანაშია თვლიდა, რომ უკვე IX საუკუნის დამდეგიდან (თუ უფრო ადრე არა) აფხაზთა სამეფოში მწიგნობრობის, სამეფო კანცელარიისა და ეკლესიის ენა ქართული იყო. ნიკო მარის აზრით, ბერძნული ეკლესია ქართულით შეიცვლა IX-X საუკუნეებში. ზ.ანჩაბაძე აღნიშნავს, რომ X საუკუნეში ქართული ენა უკვე გაბატონებულია აფხაზთა სამეფოს ტერიტორიაზე, საიდანაც მან განდევნა ბერძნული, რომელიც ეკლესიაში გამოიყენებოდა ადრინდელ ხანაში.



კუმურდოს ტაძრის (964 წ.) ქართული ასომთავრული წარწერა. ტაძარი აშენებულია აფხაზთა მეფის, ლეონ III-ის დროს

ქართველების ხვედრითი წილი აფხაზთა სამეფოს მოსახლეობაში კიდევ უფრო გაიზარდა ლეონ II-ის მემკვიდრეების დროს, რომლებმაც თავისი ძალაუფლება აღმოსავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან ნაწილზე გაავრცელეს. აფხაზთა მეფეების პოლიტიკა ობიექტურად საქართველოს გაერთიანებისაკენ იყო მიმართული და ამ საქმეში დიდი პოზიტიური წვლილი შეიტანა. საკუთრივ აფხაზები, რომლებიც, ძირითადად, სამეფოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ცხოვრობდნენ, მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებაში.

ზოგჯერ კითხულობენ: აფხაზთა სამეფო – ქართული სახელმწიფო იყო თუ აფხაზური? ეს უსაგნო კითხვაა, ვინაიდან ადრეულ შუა საუკუნეებში არ არსებობდა თანამედროვე გაგებით ეროვნული სახელმწიფოს ცნება. ლეონ II თავის სამეფოს აფხაზთა სამთავროს გაგრძელებად თვლიდა, რაზეც მიუთითებს ტიტული „მეფე აფხაზთა“. გარდა ამისა, ალბათ, შეცდომა არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ აფხაზთა სამეფოს არსებობის დასაწყისში მის მთავარ სოციალურ-პოლიტიკურ დასაყრდენს საკუთრივ აფხაზები წარმოადგენდნენ, მაგრამ როგორც შემდგომი ისტორია გვიჩვენებს, თავისი არსით, ისტორიული მისიით, აფხაზთა სამეფო – ქართული სახელმწიფო გახდა, რომელმაც ტაო-კლარჯეთთან ერთად საფუძველი ჩაუყარა ერთიან საქართველოს. სამართლიანად აღნიშნავს აკად. ნიკო ბერძენიშვილი: „აფხაზთა და ქართველთა ასეთი ერთიანობა, როგორც წყაროები მოწმობენ, იყო შედეგი არა ურთიერთდაპყრობის, არამედ აფხაზთა თანდათანი მშვიდობიანი შემოსვლისა ქართველთა კულტურულ სამყაროში“ [3, 287].

გურანდუხტი და ლეონ III, კუმურდოს ტაძრის ბარელიეფები (ჯავახეთი) 964 წ.

ბაგრატ III (978-1014) გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე

აფხაზთა სამეფომ თავისი ძლიერების მწვერვალს მიაღწია X საუკუნეში, **გიორგი II**-ისა და მისი ვაჟის, **ლეონ III**-ის, მმართველობის დროს (შესაბამისად, 922-957 და 957-967 წწ.). სამეფოს საზღვრებში იმ დროს ლიხს იქითა საერისთავოების გარდა შემოდიოდა აგრეთვე ლიხს აქეთ მდებარე ქართლი, ჯავახეთი და ზოგი სხვა ტერიტორია. მაგრამ ლეონ III-ის მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ მის ძმებს შორის დაუნდობელი ბრძოლა ატყდა ტახტისთვის, რასაც, ფაქტობრივად, გადაჰყვა აფხაზთა სამეფო დინასტია. 978 წელს აფხაზეთის ტახტზე ავიდა უფლისწული ბაგრატი, რომლის დედა, გურანდუხტი, გიორგი II აფხაზთა მეფის ქალიშვილი იყო, მამა კი, გურგენ ბაგრატიონი – ტაო-კლარჯეთის მფლობელი საგვარეულოს წარმომადგენელი.

ბაგრატმა წარმატებით გააგრძელა წინაპართა გამაერთიანებელი პოლიტიკა და ისტორიაში შევიდა, როგორც გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე, **ბაგრატ III** (978-1014).

ე) აფხაზეთი საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში. საქართველოს გაერთიანების პროცესში ბაგრატ III კვლავ აფხაზთა მეფედ იწოდება, ვინაიდან აფხაზთა სამეფო ის პოლიტიკური ორგანიზმია, რომლის გარშემო ხდებოდა ქართული მიწების შემოკრება. აფხაზთა სატახტო ქალაქი – ქუთაისი, გაერთიანებული საქართველოს დედაქალაქად იქცა.

როდესაც ბაგრატმა მამის მხრიდან თავისი წინაპრების – ბაგრატიონების – სამფლობელოები შეერთა, მიიღო მათი ტიტულიც „მეფე ქართველთა“ და ამის შემდეგ იწოდება „აფხაზთა და ქართველთა მეფე“-დ*, მაგრამ ტიტულის მთავარი შემადგენელი – მისი პირველი ნაწილია და ამიტომ შემოკლებული სახით, ძველებურად, მხოლოდ „აფხაზთა მეფე“ იწერებოდა. მაგალითად, ბაგრატ III-ის მონეტას ქართული ასომთავრულით აწერია: „ქრისტე, ადიდე ბაგრატ აფხაზთა მეფე“ [58, 56]. ნ.ბერძენიშვილის სიტყვებით, „პოლიტიკურად გაერთიანებული საქართველოს მეფე უპირატესად „აფხაზთა მეფედ“ იწოდებოდა, რაც, რა თქმა უნდა, მაჩვენებელია იმ როლის მნიშვნელობისა, აფხაზებმა რომ შეასრულეს ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურად გაერთიანების საქმეში“ [2, 279].

ერთიანი სამეფოს შემადგენლობაში აფხაზეთი შედიოდა, ძირითადად, აფხაზეთის (ცხუმის) საერისთავოს სახით, რომლის სათავეში XII საუკუნიდან *შარვაშიძეთა* (აფხაზურად: *ჩაჩბა*) ფეოდალური საგვარეულო იდგა. აფხაზები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ერთიანი საქართველოს ცხოვრებაში, აქტიურად მონაწილეობდნენ საგარეო ომებში (ბრძოლები შამქორთან, ბასიანში, განჯასთან…), ხოლო როდესაც XIII საუკუნის 40-იან წლებში საქართველო მონღოლებმა დაიმორჩილეს, აფხაზები ქართველი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლაში ჩაებნენ. კოხტასთავს

---

* შეგახსენებთ, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ბაგრატიონთა მონარქია ზოგჯერ „აფხაზთა და ქართველთა სამეფოდ“ იწოდება.ტერმინებს ამ შემთხვევაში პოლიტიკური შინაარსი აქვს და აფხაზეთისა და ტაო-კლარჯეთის მოსახლეობა იგულისხმება.



საქართველო XI საუკუნის პირველ ნახევარში

შეკრებილ მთავართა შორის, რომლებიც მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყებას ამზადებდნენ, ჟამთააღმწერელს მოხსენიებული ჰყავს აგრეთვე „უშორეს მყოფნი აფხაზნი“ [28, 215].

ქართულ სახელმწიფოში აფხაზთა მნიშვნელოვანი როლის მაჩვენებელია (და, შესაძლოა, აფხაზურ დინასტიასთან ბაგრატიონების ნათესაური კავშირის გამოძახილი) ის ფაქტი, რომ თამარ მეფის ვაჟი და მემკვიდრე (შემდეგში მეფე გიორგი IV) ცნობილია მეორე ოფიციალური სახელით „ლაშა“, რომელიც მემატიანის განმარტებით: „განმანათლებლად სოფლისა ითარგმნა აფსართა ენითა“ [28, 58]. აფსართა ენა – აფხაზური ენაა, აფხაზურად ლაშა მართლაც ნიშნავს „ნათელს“. აღსანიშნავია, რომ ქართულ წყაროებში აფხაზების აფსარებად მოხსენიების სხვა შემთხვევა არ გვხვდება, თუმცა უეჭველია, რომ ტერმინი „აფსარი“ მომდინარეობს ტერმინიდან „აფსუა“ (დაბოლოება -არი- წარმომავლობაზე მიუთითებს. შდრ.: ოდიშარი, ოპიზარი). როგორც ჩანს, მემატიანემ ამ შემთხვევაში აფხაზთა ავტოეთნონიმის გამოყენება არჩია, რათა მკითხველი მიმხვდარიყო, რომ საუბარია საკუთრივ აფხაზების ენაზე, ვინაიდან ტერმინს „აფხაზი“ იმ დროს რამდენიმე განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონდა.

ვ) ტერმინების – „აფხაზი“ და „აფხაზეთი“, „ქართველი“ და „საქართველო“ – მნიშვნელობა XI-XV საუკუნეებში. იმ გარემოებამ, რომ აფხაზთა სამეფოს დიდხანს წამყვანი პოზიცია ეკავა საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში, ასახვა ჰპოვა ცნებების – „აფხაზი“ და „აფხაზეთი“ – მნიშვნელობათა განვრცობაში. როგორც ვიცით, ეს სახელები VIII საუკუნემდე საკუთრივ აფხაზებსა და აფხაზეთს აღნიშნავდა, შემდეგ კი მთელ ლიხსიქითა მხარესა და მის მოსახლეობაზეც გავრცელდა. საქართველოს გაერთიანების შემდეგ ტერმინების – „აფხაზი“ და „აფხაზეთი“ – მნიშვნელობა უფრო გაფართოვდა და ზოგჯერ ქართულ, განსაკუთრებით კი უცხოურ (ბერძნულ, სპარსულ, არაბულ, სომხურ, რუსულ) წყაროებში სრულიად საქართველოსა და მის მოსახლეობას აღნიშნავდა.

ამრიგად, აღებულ პერიოდში სახელები „აფხაზეთი“ და „აფხაზი“ იხმარებოდა სამი სხვადასხვა მნიშვნელობით:

1) საკუთრივ აფხაზეთი და აფხაზები;

2) ლიხთიმერეთი (დასავლეთ საქართველო) და მისი მოსახლეობა;

3) სრულიად საქართველო და მისი მოსახლეობა.

ქვეყნის აღმნიშვნელი ტერმინი „საქართველო“ ქართულ წერილობით წყაროებში პირველად დასტურდება XI საუკუნის ბოლოს, როგორც ბაგრატიონთა მონარქიის ფარგლებში გაერთიანებული ქართული მიწებისა და ზოგი არაქართველური ოლქის ერთობლიობის ამსახველი სახელწოდება. ამ ახალმა ტერმინმა გადაფარა ძველი „ქართლი“, რომელიც, ნ.ბერძენიშვილის სიტყვებით, „არ შერქმევია არცერთ არაეთნიკური ქართლის ქვეყანას“ [5, 279].

რაც შეეხება ტერმინს „ქართველი“, მასაც ამ დროს სამი სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდა:

1) ქართლელი ანუ ქართლის მკვიდრი (ეს იყო ტერმინის ვიწრო მნიშვნელობა);

2) უფრო ფართო გაგებით „ქართველი“ აღნიშნავდა *ქართს*, ანუ ქართულ ენაზე მოლაპარაკე ტერიტორიულ-ტომობრივი ჯგუფის (ქართლელები, კახები, მესხები, კლარჯები, მარგველები და სხვ.) წარმომადგენელს;

3) დაბოლოს, ცნება „ქართველის“ ყველაზე ფართო გაგებით, რომელიც ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნასთან იყო დაკავშირებული, ქართველებად იწოდებოდნენ ეთნიკურად ქართველური ჯგუფები (ქართები, მეგრელები, სვანები), ქართველებთან ასოცირებული აფხაზები, ჰერები, დვალები და, გარკვეულწილად, აგრეთვე, საქართველოსთან კულტურულ-პოლიტიკური და რელიგიური თვალსაზრისით დაკავშირებული ალანები (ოსები), კავკასიის მთიელები და მართლმადიდებელი სომხები. კერძოდ, აფხაზების სპორადულ მოხსენიებას ქართველურ ჯგუფებს შორის ქართულ წერილობით ძეგლებში XVIII საუკუნემდე ვხვდებით.

ერთიანი საქართველოს ჩამოყალიბების შემდეგ მეზობელ ხალხებს უპირატესად სწორედ ფართო მნიშვნელობით ესმოდათ ქართველობა და თვლიდნენ, რომ ქართველები ცალკეული ტომობრივი ერთეულების კრებულს წარმოადგენენ. მაგალითად, ასეთ გაერთიანებად წარმოუდგენია ქართველები XII საუკუნის ბიზანტიელ ავტორს იოანე ცეცესს, რომელიც წერს:

> იბერები და აბაზგები ერთი ტომისა [არიან],
> იბერნი პირველობენ, აბაზგები მეორენი არიან,
> ხოლო ალანებს უკანასკნელი, მესამე ადგილი უჭირავთ.

ქართველების შემადგენლობის შესახებ მსგავსი ხედვა აქვს XV საუკუნის სომეხ ისტორიკოსს თომა მეწოფელს. მისი ცნობით, ქართველთა „მოდგმა“ რვა „ენისგან“ შედგება: „დრალი (დვალი. – *გ.ა.*), ოსედი, იმერელი, მეგრელი, აბხაზი, სონი (სვანი. – *გ.ა.*), ქართველი (ქართლელი. – *გ.ა.*), მესხი“ [14, 24].

ამრიგად, სომეხი ავტორი ქართველებში აერთიანებს როგორც ქართებს (დასახელებული ჰყავს: ქართლელები, იმერლები, მესხები), ასევე დასავლეთქართველურ ჯგუფებს (მეგრელებს, სვანებს) და, მათთან ერთად დვალებს, ოსებსა და აფხაზებს. ის მომენტი, რომ ეს უკანასკნელნი ენობრივად ქართველურ შტოს არ ეკუთვნოდნენ, შუა საუკუნეების ავტორთათვის ხელისშემშლელ ფაქტორს არ წარმოადგენდა, ვინაიდან „ქართველი“ მათთვის, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული ცნება იყო – საქართველოს სამეფოს მკვიდრი და ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წევრი.

ქართველობა, ფართო გაგებით, რა თქმა უნდა, არ ნიშნავდა ყველა ეთნიკური ჯგუფის სრულ ასიმილაციას* ქართველებთან. მაგალითად, XI და XIII საუკუნეების ქართული მწერლობის ძეგლებში შემონახულია ხალხთა მონათესაობისა და განრიგების კვლევები, რომლებიც ეყრდნობიან ბიბლიურ ტრადიციას წარღვნისშემდგომი კაცობრიობის ნოეს ოჯახიდან წარმოშობის შესახებ. აქ

---

* ასიმილაცია – ერთი ხალხის შერწყმა მეორესთან, ხშირად მშობლიური ენისა და კულტურის დაკარგვით.



საქართველოს სამეფო XII-XIII საუკუნის დასაწყისში

სემის შთამომავალთა შორის ებრაელების, ინდოელების, სომხების, გერმანელებისა და სხვათა გვერდით ასევე გამოყოფილია ქართველები, ჰერები, აფხაზები, მეგრელები, დვალები, ვინაიდან ამ შემთხვევაში ეთნოენობრივ ჯგუფთა („ნათესავთა“) კლასიფიკაცია ემყარებოდა ენობრივ ფაქტორს: ერთი ენა უდრიდა ერთ ხალხს.

§2. აფხაზეთის სამთავრო გვიანი შუა საუკუნეებიდან XX საუკუნემდე

ა) აფხაზეთის სამთავროს წარმოშობა. ერთიანი ქართული სამეფო XV საუკუნეში რამდენიმე დამოუკიდებელ ერთეულად დაიშალა. აფხაზეთის საერისთავო ლიხთიმერეთის სამეფოს შემადგენლობაში მოექცა, რომლის მეფეები ძველი ტრადიციით აფხაზთა მეფეებად იწოდებოდნენ [28: 229, 292 და სხვ.]. მალე იმერეთის სამეფოში შემავალი საერისთავოებიც (ოდიში, გურია, აფხაზეთი, სვანეთი) სუვერენულ სამთავროებად გადაიქცნენ, რომლებიც, უკეთეს შემთხვევაში, ნომინალურად აღიარებდნენ იმერეთის მეფეთა უზენაესობას. ამ პერიოდში განსაკუთრებით ძლიერდება ოდიშის (სამეგრელოს) სამთავრო, რომლის მთავრებმა, დადიანებმა, ხელთ იგდეს აფხაზეთის აღმოსავლეთი ნაწილი ქალაქ ცხუმის (სოხუმის) ჩათვლით. ამიტომ სავაჭრო ნავსადგური სოხუმის ყურეში ზოგ იმდროინდელ ევროპულ რუკაზე აღნიშნულია, როგორც *Porto Mengrello* (სამეგრელოს ნავსადგური). შარვაშიძეებს დარჩათ მხოლოდ ყოფილი საერისთავოს დასავლეთი ნაწილი და იძულებული იყვნენ, ოდიშის მთავართა ძალაუფლება ეცნოთ, თუმცა ეს დამოკიდებულება ზოგჯერ ფორმალურ ხასიათს ატარებდა. „ქართლის ცხოვრებაში“ ნათქვამია: „შარვაშიძე მორჩილობდა არა ყოველსავე ბრძანებასა დადიანისასა“ [28, 349]. XVI საუკუნის მეორე ნახევარში,

როდესაც ოდიში შიდაფეოდალურმა ბრძოლამ მოიცვა, აფხაზეთის მთავრებმა მოახერხეს სოხუმის ოლქის დაბრუნება და ფაქტობრივი დამოუკიდებლობა მოიპოვეს. XVII საუკუნის პირველ ნახევარში ოდიშ-აფხაზეთის საზღვარი მდინარე კოდორთან გადიოდა.

აფხაზთა ნაწილის გადასახლება ჩრდილო კავკასიაში. ერთიანი სამეფოს დაშლის პერიოდში პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია საქართველოში მძიმდება. როგორც ჩანს, გართულებულმა ვითარებამ, სათიბ-საძოვარი მიწების უკმარისობასთან ერთად, აფხაზეთის მოსახლეობის ნაწილი აიძულა კავკასიონის გადაღმა გადასულიყო. ეს გადასახლება სპორადულად ხდებოდა და დაიწყო არაუგვიანეს XIV საუკუნისა, როდესაც წყაროებში პირველად ვხვდებით ცნობას *აბასას* ოლქის შესახებ მდინარე ყუბანის სათავეებთან. შემდეგ აფხაზთა მიგრაციის შესახებ ჩრდილოეთში მოგვითხრობენ XVII-XVIII საუკუნეებისა და XIX საუკუნის პირველი ნახევრის ავტორები: ევლია ჩელები, კსავერიო გლავანი, შარლ პეისონელი, იოჰან გიულდენშტედტი, იაკობ რაინეგსი, პეტრე პალასი, იან პოტოცკი, სიმონ ბრონევსკი, იოსებ დებუ და სხვ. აფხაზთა ჩრდილო კავკასიაში გადასახლების პროცესი XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე გაგრძელდა. 1852 წელს რუსი სამხედრო მწერალი, ბარონი სტალი წერს: „აბაზების გამოსახლება აფხაზეთიდან დღემდე გრძელდება“ [60, 66].

ამრიგად, კავკასიონის ჩრდილოეთ კალთებზე (ყუბანისა და მისი მარცხენა შენაკადების ზემოწელზე) აფხაზური ტერიტორიულ-ტომობრივი ჯგუფები მკვიდრდებიან. აქედან გამომდინარე, ევროპელი და რუსი ავტორები ისტორიულ აფხაზეთს „ძველ“ ან „დიდ აფხაზეთად“ მოიხსენიებენ, აბაზებით დასახლებულ მხარეს კი – „მცირე აფხაზეთად“. ქართულ ფეოდალურ ისტორიოგრაფიაში „დიდ“ და „პატარა“ აფხაზეთს მოიხსენიებს იოანე ბაგრატიონი [16, 79]. XX საუკუნისათვის „პირიქითელი აფხაზები“ (როგორც მათ უწოდებს აკად. ს. ჯანაშია) ცალკე აბაზა ხალხად ჩამოყალიბდნენ. აკად. ქეთევან ლომთათიძის მიხედვით, აბაზური და აფხაზური ენები ლინგვისტური თვალსაზრისით ერთი ენობრივი ერთეულია [53,123].

ბ) აფხაზეთი XVII-XVIII საუკუნეებში. XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი თურქ-ოსმალთა იმპერიის პოლიტიკური გავლენის სფეროში ექცევა. უმნიშვნელოვანეს სანაპირო პუნქტებს (მათ შორის, სოხუმს) ოსმალთა გარნიზონები იკავებენ და ადგილობრივ პოლიტიკურ ერთეულებს ხარკს ადებენ. ხარკი აფხაზეთსაც დაეკისრა, თუმცა აფხაზები მას იშვიათად იხდიდნენ.



აფხაზი სარდალი
ჩანახატი კრისტოფორო დე კასტელის ალბომიდან. XVII ს.

აფხაზეთის სამთავრო, როგორც ფეოდალური წარმონაქმნი, არ გამოირჩეოდა შინაგანი სიმტკიცით. მთავრის (აფხ. აჭ) უშუალო მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა მხოლოდ მდინარეებს – ბზიფსა და კოდორს – შორის მდებარე ტერიტორია ცენტრით *ზუფუში* (*ლიხნი*). ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვებით, აქ იყო „სახლი და საყოფელი შარვაშიძისა, რომელი მპყრობელობს აფხაზთა, არავის მორჩილებასა შინა მყოფი“ [10, 784]. ასევეა დახასიათებული აფხაზეთის პოლიტიკური მდგომარეობა რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიის 1753 წლის ჩანაწერში: „დიდი აბაზა, რომელიც არავის არ ემორჩილება“ [51, 188].

მიწები კოდორიდან ენგურამდე შარვაშიძეთა სახლის უმცროსი შტოების საუფლისწულო სამფლობელოებს წარმოადგენდა, რომლებიც სამთავროში ავტონომიის მაღალი ხარისხით სარგებლობდნენ. მთავრების უზენაესობას მხოლოდ ნომინალურად აღიარებდნენ მთიანი აფხაზეთის თემები და ბზიფის დასავლეთით (სოჭამდე)

მცხოვრები აფხაზური ტომი – **საძები** (ქართული წყაროების **ჯიქები**). გარდა ამისა, მთავრებისა და უფლისწულების საგამგებლო ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი თავადური (აფხ. *ათავად*) „სახლების“ ხელთ იყო, რომლებიც ასევე ნახევრად დამოუკიდებელ მფლობელებად აღიქვამდნენ თავს. მრავალრიცხოვანი აზნაურები (აფხ. *აამსთა*) მთავრების, უფლისწულებისა და თავადების ვასალები იყვნენ. ასეთი პოლიტიკური სისტემა ხელს უწყობდა ფეოდალურ ანარქიას, რითიც ოსმალები სარგებლობდნენ. აფხაზები ხშირად გამოდიოდნენ იარაღით ხელში ოსმალთა წინააღმდეგ (1704, 1725, 1728, 1730, 1771, 1806 წწ. და სხვ.). ზოგჯერ ეს გამოსვლები ქართველ მეფე-მთავრებთან იყო შეთანხმებული. მაგალითად, 1704 წელს დასავლეთ საქართველოში მყოფი ოსმალო მოხელე სტამბოლს ატყობინებს: „დადიანის სახელწოდების ურწმუნოები და აფხაზი ურწმუნოები ფორმალურად მორჩილნი რომ იყვნენ, მორჩილებიდან გამოვიდნენ. ხმელეთზე აჯანყებულ დადიანს ზღვაზე ურწმუნო აფხაზი შეუერთდა, ჩვენს მხარეში ისლამის ტახტის მფლობელობაში არსებული რუხისა და ანაკლიის ციხეები დაიკავეს, ზღვითა და ხმელეთით გამოგზავნილ პროვიანტს გზები ჩაუკეტეს“ [23, 21].



აფხაზეთის სამთავროს გერბი
ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით

აფხაზებს ნიჩბიან-აფრიანი შეიარაღებული საზღვაო ნავები ჰყავდათ, რომლებშიც 50-100 კაცამდე სხდებოდა. ეს ძალები მოქმედებდნენ უფრო კავკასიის ნაპირებთან, თუმცა ზოგჯერ მცირე აზიისა და ყირიმის წყლებშიც იჭრებოდნენ. მაგალითად, ჰოლანდიელი პოლიტიკოსი და მეცნიერი ნიკოლას ვიტსენი XVII საუკუნის ბოლოს აფხაზების შესახებ წერდა: „ისინი მამაცი ზღვაოსნები არიან და ზოგჯერ მათ გამო საშიშია ცურვა კაფადან* კონსტანტინოპოლში“ [42, 90]. აფხაზი ფეოდალები აქტიურად მონაწილეობდნენ აგრეთვე დასავლეთ საქართველოს შინაომებში. ომების შედეგად XVII საუკუნის 60-80-იან წლებში აფხაზეთის საზღვრები კოდორიდან ენგურამდე გაფართოვდა.

გ) ეთნოკულტურული ვითარება XV-XVIII საუკუნეების აფხაზეთში. წყაროთა სიმწირის გამო ძნელია განსაზღვრა, რამდენად ძლიერი იყო საქართველოს სამეფოს მოსახლეობის ფართო ფენებში „კულტურულ-პოლიტიკური“ ქართველობის შეგრძნება, თუმცა ცხადია, რომ ფეოდალური ელიტა და მწიგნობარ-სწავლულთა წრე ამ ფაქტს საკმაოდ მკაფიოდ აცნობიერებდა. ერთიანი სახელმწიფოს ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ, ტერმინმა „საქართველომ“ დაკარგა პოლიტიკური შინაარსი და, ფაქტობრივად, ეთნოგეოგრაფიული ხასიათის ცნებად დარჩა, მაგრამ ხუთსაუკუნოვან ერთობას უკვალოდ არ ჩაუვლია. ერთიანი საქართველოს ნანგრევებზე აღმოცენებული სამეფო-სამთავროების აღსანიშნავად იხმარება ტერმინი „საქართველონი“ (მრავლობით რიცხვში), რაც საერთო-ეროვნულ თვითშეგნებაზე მიუთითებს. ამიტომ ფეოდალური დაქუცმაცებულობისა და განუწყვეტელი შინაომების ფონზეც არ გამქრალა წარმოდგენა საქართველოზე, როგორც საერთო სამშობლოზე. მაგალითად, აღსანიშნავია, რომ ოდიშის მთავარი ლევან II რუსეთის მთავრობასთან დიპლომატიურ მიმოწერაში თავის თავს უწოდებს: „ივერიის ქვეყნის მეგრულ მხარეში მცხოვრები ლევან დადიანი“. ასევე, ცალკეული ქართული პოლიტიკური ერთეულების წარმომადგენლები ქართველებად იწოდებოდნენ და ლოკალური განსხვავებების მიუხედავად, ინარჩუნებდნენ ეროვნულ-კულტურული მთლიანობის შეგნებას.

რამდენადმე განსხვავებული ვითარება იქმნება მხოლოდ აფხაზეთში, რადგან აფხაზთა

* კაფა (თანამედროვე *ფეოდოსია*) – სანავსადგურო ქალაქი ყირიმის ნახევარკუნძულზე.



აფხაზეთის სამთავრო XVII-XVIII სს.

ეთნოკულტურული ინტეგრაცია ქართულ სამყაროში საკმარისად მყარი არ აღმოჩნდა, თუმცა აფხაზებს (ყოველ შემთხვევაში, ფეოდალურ ზედაფენას) XVIII-XIX საუკუნეებშიც კარგად ახსოვდათ, რომ ერთიანი ქართული სამეფოს დროს მათი ქვეყანა ამ სახელმწიფოს ნაწილი იყო.

აფხაზეთის ერთგვარი ჩამოშორება სრულიად საქართველოსაგან („ისტორიულ-კულტურული ერთობის შესუსტება“, როგორც უწოდებს ამ მოვლენას ნ. ბერძენიშვილი [2, 280]), შესამჩნევი ხდება XV-XVI საუკუნეებიდან. ამის ერთ-ერთი გამოხატულება იყო აქ ქრისტიანობის შესუსტება. აფხაზეთში ქრისტიანული სარწმუნოება, აფხაზთა მეფეების მიერ ტაძრების მშენებლობის მიუხედავად, როგორც ჩანს, შედარებით ზედაპირულად იყო გავრცელებული. ამ ფაქტს მეცნიერი ასე ხსნის: „ქრისტიანობა აფხაზეთში, უცხო ენაზე იყო გავრცელებული და ასეთადვე რჩებოდა, რამდენადაც აფხაზები ამ ქრისტიანული ენების (ბერძნულის, ქართულის) მიმართ ენობრივად უცხონი იყვნენ და უცხონივე რჩებოდნენ“ [5: 593,594]. ქართული ენა აფხაზეთში, ძირითადად, გაბატონებული კლასისათვის იყო ხელმისაწვდომი, ხოლო მოსახლეობის ფართო ფენები მას არ ფლობდნენ. ამიტომ ქრისტიანობამ ვერ მოახერხა აფხაზეთში აღმოეფხვრა ტრადიციული რწმენა-წარმოდგენები და, როდესაც საქართველოში საერთო პოლიტიკური და კულტურული დაცემა დაიწყო, აფხაზეთში ქრისტიანობა თითქმის მოიშალა ან ტრანსფორმაცია განიცადა. XVIII საუკუნიდან ამას დაემატა ნაწილობრივი, ასევე ზედაპირული ხასიათის ისლამიზაცია. ამიტომ, წერს ვახუშტი, „აფხაზები არღარა მონებენ [ქრისტიანულ] რჯულსა და სარწმუნოებას“ [10, 785].

XVII-XVIII საუკუნეებში მცირდება ქართულ-აფხაზური კულტურული კავშირების ინტენსიურობა, თუმცა ეს კავშირები მთლიანად არასოდეს გამქრალა. ოსმალეთის გავლენამ აფხაზეთიდან ვერ

თანური შარვაშიძე, ლევან II დადიანის მეუღლე

ჩანახატი კრისტოფორო დე კასტელის ალბომიდან. XVII ს.

განდევნა ქართული დამწერლობა, რომელიც აქ საუკუნეების განმავლობაში გამოიყენებოდა. ვახუშტის ცნობით, აფხაზებს საკუთარი ენა ჰქონდათ, თუმცა წარჩინებულები ქართულ ენასაც ფლობდნენ. როგორც ჩანს, აფხაზური არისტოკრატიის ოჯახებში საშინაო სწავლება ქართული ენისა და დამწერლობის შესწავლასაც გულისხმობდა. მაგალითად, XVII საუკუნის პირველი ნახევრის ამბების აღწერისას იტალიელი ბერი არქანჯელო ლამბერტი ასე ახასიათებს შარვაშიძის ასულს, ოდიშის მთავრის, ლევან II დადიანის, მეუღლეს: „ეს ქალი იყო ბუნებით ლამაზი და სავსე ყველა სათნოებითა, რომელიც შეეფერებოდა მისი გვარის ქალს: ქარგვაში, წერა-კითხვაში, გულუხვობაში და ზრდილობაში მას ტოლი არ ჰყავდა“ [17,15]. ითვლება, რომ მთავრის ასულმა ქართული წერა-კითხვა აფხაზეთში ისწავლა, მამისეულ სახლში. მაგრამ უფრო მოგვიანო ხანებში აფხაზეთში უკვე შეიმჩნევა ქართულის ცოდნის შემცირება.

1810 წელს დადიანთა კარის ხუცესი, დეკანოზი იოანე იოსელიანი რუსული ადმინისტრაციისათვის მომზადებულ ცნობაში წერს: „[აფხაზეთის] მცხოვრებლებმა არც ერთი სხვა ენა არ იციან აფხაზურის გარდა“ [35, 850]. ამ მოვლენამ აფხაზეთის უმაღლესი არისტოკრატიის წრეებშიც იჩინა თავი. ქართველი მწერალი და მოგზაური გიორგი ავალიშვილი, რომელიც 1818 წელს პირადად შეხვდა და ესაუბრა აფხაზეთის მაშინდელ მთავარს საფარბეგ (გიორგი) შარვაშიძეს, აღნიშნავს, რომ მას აფხაზური ენის გარდა მხოლოდ „მცირედ“ ესმოდა ქართული [1, 30]. ამასთან, XVIII საუკუნის ბოლოსათვის უკვე საკმაოდ ბევრი აფხაზი იყო გამაჰმადიანებული, განსაკუთრებით, თავადაზნაურობიდან. მაგრამ აფხაზეთის ისლამიზაცია, როგორც ზემოთ აღინიშნა, ზედაპირული იყო და ქრისტიანობა ბოლომდე ვერ დაძლია.

ამრიგად, აფხაზური ეთნოსი, რომელიც თავიდანვე მონაწილეობდა ერთიანი საქართველოს შენებაში და მისი ხალხის ნაწილად აღიქმებოდა, შუა საუკუნეების მიწურულში, საქართველოს პოლიტიკური დაშლილობის ფონზე, ფაქტობრივად, გამოდის ამ ფარგლებიდან, მიუხედავად მრავალი „ძაფისა“, რომელიც კვლავინდებურად აკავშირებდა ფეოდალურ აფხაზეთს საქართველოსთან. ამიტომ აფხაზეთში ფეხი ვერ მოიკიდა ერთიანი ქართველი ხალხისადმი კუთვნილების შეგრძნებამ.

ყოველივე ზემოთქმულის გამო, XVII-XVIII საუკუნეების უცხოელი დამკვირვებლები აფხაზეთს აღარ თვლიან საქართველოს ნაწილად. ასე მაგალითად, ტრაპიზონის ერთ-ერთი გამგებელი სტამბოლში გაგზავნილ ცნობაში ენგურზე მდებარე ანაკლიისა და რუხის ციხეებს მოიხსენიებს, როგორც სასაზღვრო პუნქტებს საქართველოსა (გურჯისტან) და აფხაზეთს (აბაზა) შორის [23: 242,764]. როგორც ვხედავთ, თურქი მოხელე ოდიშის სამთავროს, მისი პოლიტიკური ავტონომიურობის მიუხედავად, განიხილავს უფრო დიდი ქვეყნის – საქართველოს შემადგენელ ნაწილად, ხოლო აფხაზეთი კი ცალკე ტერიტორიულ ერთეულად მიაჩნია. ასეთივე სურათია XVII საუკუნის ოსმალო ისტორიკოსისა და გეოგრაფის ქათიბ ჩელების ნაშრომებში [26, 136], მისი თანამედროვის, პატრიარქ მაკარიოს ანტიოქიელის ჩანაწერებში [49: 14, 26, 27], XVIII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში ნამყოფი ფრანგი ოფიცრის, დე გრაი დე ფუასა [9: 35, 61] და გერმანელი მეცნიერის იოჰან გიულდენშტედტის ცნობებში [7: 182, 183].

აფხაზეთის სამთავროს გამოცალკევებაზე ქართული პოლიტიკური სისტემიდან მიუთითებს აგრეთვე აფხაზთა არმონაწილეობა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ქართველი მეფე-მთავრების მიერ საერთო ძალებით განხორციელებულ პოლიტიკურ აქციებში („ტყვის სყიდვის“ (ტყვეებით ვაჭრობის) აკრძალვა, საეკლესიო საქმეთა მოწესრიგება, 1790 წლის სამოკავშირეო ტრაქტატის გაფორმება, რუსეთთან მფარველობითი ხელშეკრულების დადების ცდები…) [25, 753].

XVII საუკუნის აფხაზეთში მთიელთა ჩამოსახლების შესახებ. თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში აფხაზებთან დაკავშირებით ორი ურთიერთგამომრიცხავი აზრი არსებობს: 1) აფხაზები უძველესი დროიდან ცხოვრობენ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე; და 2) აფხაზთა წინაპრები სულ რამდენიმე საუკუნის წინ ჩამოსახლდნენ საქართველოში ჩრდილო კავკასიიდან.

რა შეიძლება ითქვას ამის შესახებ? ვერსიები შავიზღვისპირეთში მთიელთა მასობრივი ჩამოსახლებების შესახებ I-II, XIII, XVII თუ სხვა საუკუნეებში, ეყრდნობა დაუმტკიცებელ ვარაუდებს. სხვადასხვა დროის ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი წერილობითი წყაროები აღნიშნავენ აფხაზთა გადასახლებებს აფხაზეთიდან ჩრდილოეთ კავკასიაში და არა პირიქით*. ქართულ საისტორიო მწერლობაში, სადაც აფხაზეთის მოხსენიება ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებიდან იწყება, მინიშნებაც არ არის აფხაზების მოსვლაზე რომელიმე სხვა ქვეყნიდან. არ არსებობს ამის შესახებ რაიმე სანდო ინფორმაცია არც უცხოურ საისტორიო მწერლობაში. წარმოდგენა აფხაზებზე, როგორც აფხაზეთის მკვიდრ მოსახლეობაზე, ბუნებრივი იყო ქართული საზოგადოებისთვის და აქ სხვა აზრი არ არსებობდა. აღსანიშნავია გრიგოლ ორბელიანის სიტყვები, რომელმაც ერთ-ერთ წერილში აფხაზებს ხატოვნად უწოდა ხალხი, რომელიც აფხაზეთში ცხოვრობს „ნოეს დაბადებიდან“ [20, 47]. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ გაზეთი „დროება“, რომელიც უდიდეს როლს ასრულებდა ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში, 1883 წელს წერდა: „აფხაზეთი, როგორც თვით ეს სახელი გვიჩვენებს, ეკუთვნოდა და ეკუთვნის აფხაზებს“ [6].

ასეთ სიტუაციაში XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ცალკეული ავტორების მიერ გამოთქმული მოსაზრებები აფხაზეთში ტომთა მიგრაციების შესახებ გავლენას არ ახდენდა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე. მით უმეტეს, რომ, როგორც ზემოთ აღინიშნა, მეცნიერებაში XX საუკუნის დასაწყისამდე მიგრაციული თეორიები ფართოდ იყო გავრცელებული. იმ პერიოდში ზოგი ავტორი ქართველებსაც კავკასიაში მოსულ ხალხად თვლიდა. მაგრამ როდესაც ისტორიოგრაფიაში გაიმარჯვა კავკასიაში ქართველთა ავტოქთონობის** იდეამ, იგივე აზრი გავრცელდა აფხაზეთში აფხაზების თავდაპირველი ბინადრობის შესახებაც. აღსანიშნავია ნ. ბერძენიშვილის განზოგადება ამ თემასთან დაკავშირებით: „[თუ] აზრს ქართველი ტომების კავკასიაში ავტოქტონობის შესახებ გავიზიარებთ (და ეს სწორია), მაშინ აქვე უნდა გავიზიაროთ აზრი სხვა არაქართველ ტომების ავტოქტონობის შესახებ: ისტორიულ გეოგრაფიული დაკვირვებით (ტოპონიმიკა) უცილობლად ჩანს, რომ ეს არაქართველური მოდგმის ტომები თუ უწინარესნი არ არიან, არავითარ შემთხვევაში უფრო ნაგვიანევად გაჩენილი არ არიან ამ ტერიტორიაზე“ [5, 363].

მაგრამ ვითარება იცვლება XX საუკუნის შუა ხანებში (დაწვრილებით იხ. თავი 5), როდესაც ცნობილი მოღვაწე პავლე ინგოროყვა თავის ნაშრომში – „გიორგი მერჩულე“ – შეეცადა დაემტკიცებინა, რომ თანამედროვე აფხაზები ჩრდილოკავკასიელი მთიელების შთამომავლები არიან, რომლებიც XVII საუკუნეში ჩამოსახლდნენ აფხაზეთში და სახელი მიიღეს ადგილობრივი აფხაზებისაგან, რომლებიც თითქოსდა „ქართველები იყვნენ წარმოშობითა და ენით“ [15, 116]. აღსანიშნავია,

---

* მხედველობაში გვაქვს ტომობრივი ჯგუფების შედარებით მასობრივი მიგრაციები, თორემ ცალკეული ადამიანებისა და ოჯახების გადასვლა-გადმოსვლა საუკუნეების განმავლობაში ხდებოდა მთელ კავკასიაში, მაგრამ გავლენას არ ახდენდა რეგიონის ეთნიკურ სახეზე, ვინაიდან მიგრანტები მცირერიცხოვნობის გამო, სწრაფად ერწყმოდნენ დამხვდურ მოსახლეობას.

** ავტოქთონი – ძირძველი, მკვიდრი მოსახლეობა.



სოხუმის ციხესიმაგრის ხედი. *(1820-იანი წლები)*
ლითოგრაფია ჟაკ ფრანსუა გამბას (1763-1833) ატლასიდან

რომ ამ აზრის გატარებისას პ. ინგოროყვა, უპირველეს ყოვლისა, უპირისპირდებოდა იმდროინდელ ქართულ ისტორიოგრაფიას, რომელშიც, მისი სიტყვებით, წარმოდგენილი იყო „შემცდარი შეხედულებები“ აფხაზეთის ისტორიის შესახებ [15: 116].

ინგოროყვას ეს მოსაზრებები აფხაზებისა და აფხაზეთის შესახებ ჯერ კიდევ 1950-იან წლებში საფუძვლიანად გააკრიტიკეს ქართველმა და აფხაზმა მეცნიერებმა – ნიკო ბერძენიშვილმა, ქეთევან ლომთათიძემ, გიორგი სოსელიამ, ზურაბ ანჩაბაძემ, ხუხუტ ბღაჟბამ [59; 4; 18; 36; 40]. ინგოროყვას შეხედულებები არ გაიზიარეს არც სხვა მაშინდელმა ისტორიკოსებმა და კავკასიოლოგებმა. პროფესორი ნოდარ ლომოური ამასთან დაკავშირებით წერს: „ქართველმა მეცნიერებმა ინგოროყვას დაცვა იმიტომ კი არ ისურვეს, რომ რაღაც ძალების ზეწოლას განიცდიდნენ, არამედ იმიტომ, რომ მისი დაცვა შეუძლებელი იყო მეცნიერების ობიექტურობის პოზიციებიდან“ [19: 60]. შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ გასული საუკუნის 80-იანი წლების დამლევს აფხაზეთში დაწყებულმა დაპირისპირებამ და 1992-1993 წლების ომმა მისცა ბიძგი ამ „თეორიის“ ნაწილობრივ გავრცელებას ქართულ აკადემიურ სფეროში, რაც ხელს არ უწყობს არც ისტორიული სიმართლის დადგენას, არც კონფლიქტის მოგვარებას. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ თეზისი აფხაზთა მოსვლის შესახებ აფხაზეთის ტერიტორიაზე შედარებით ახლო ისტორიულ წარსულში, უცხოეთის სამეცნიერო წრეებში არსად არ არის მხარდაჭერილი.

აფხაზეთის მთავარი მიხეილ შერვაშიძე
(1822-1864) გრავიურა. XIX ს. 50-იანი წლები

დ) რუსეთის პროტექტორატი. 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის მიერ იქნა ანექსირებული. ამ ფაქტმა განაპირობა საქართველოს

სხვა ნაწილების სწრაფი შეერთებაც რუსეთთან. 1810 წლის ივლისში რუსეთის სამხედრო ხომალდების შენაერთმა აფხაზეთში დესანტი გადმოსხა. სოხუმის ციხე აღებული იქნა სამდღიანი ბრძოლით, მაგრამ აფხაზეთის დანარჩენ ნაწილს რუსები კიდევ დიდხანს ვერ აკონტროლებდნენ. ამიტომ პირველ ხანებში შენარჩუნებული იყო აფხაზეთის მთავართა ხელისუფლება რუსეთის პროტექტორატის ქვეშ. რუსეთის მთავრობა კავკასიის არამტკიცედ შემოერთებულ ოლქებში დროებით ტოვებდა ძველ გამგებლებს (მთავრებს, ხანებს და სხვ.) ავტონომიის პირობით, მათი რესურსების გამოყენების მიზნით.

რუსეთზე დამოკიდებული აფხაზეთის პირველი მთავარი იყო ზემოხსენებული საფარბეგი (გიორგი), ხოლო მის შემდეგ სამთავროს განაგებდნენ მისი ვაჟები – ომარბეგი (დიმიტრი) და ჰამუთბეგი (მიხეილი). შარვაშიძეების ანუ შერვაშიძეების (ასე შეიცვალა გვარის ფორმა XIX საუკუნეში) ორმაგი სახელები – მაჰმადიანური და ქრისტიანული – ასახავს მათი, როგორც რუსეთის ქვეშევრდომების გადასვლას ისლამიდან მართლმადიდებლობაში. მაგრამ მთავრის ოჯახის გაქრისტიანების მიუხედავად, აფხაზთა დიდი ნაწილი XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე კვლავ ისლამის მიმდევარი რჩებოდა, რაც რუსეთისადმი პროტესტის გამოხატულება იყო.

აფხაზეთში ავტონომიური მმართველობის გახანგრძლივება გამოწვეული იყო რუსეთის ადმინისტრაციის შიშით, რომ ავტონომიის გაუქმებას არ მოჰყოლოდა მთელი აფხაზეთის გადასვლა რუსეთთან მეომარი მთიელების მხარეზე. მხოლოდ მას შემდეგ, რაც რუსეთის არმიამ გატეხა კავკასიის მთიელთა წინააღმდეგობა და კონტროლი დაამყარა აფხაზეთის მიმდებარე ტერიტორიებზე, პეტერბურგში გადაწყვეტილება მიიღეს აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შესახებ. მოგონილი მიზეზით მიხეილ შარვაშიძე დააპატიმრეს და რუსეთში გადაასახლეს, აფხაზეთში კი უშუალო რუსული მმართველობა იქნა შემოღებული (1864 წ.).

ე) ბრძოლა კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ და მუჰაჯირობა. აფხაზი ხალხი მედგარ წინააღმდეგობას უწევდა რუსული კოლონიური რეჟიმის დამყარებას. ფართომასშტაბიანი შეიარაღებული ბრძოლა ხდებოდა 1821-1824, 1840-1845, 1861, 1866, 1877 და სხვ. წლებში. აჯანყებების სისხლში ჩახშობას თან სდევდა აფხაზთა იძულებითი მიგრაცია ოსმალეთის იმპერიაში. აფხაზეთის მთიანეთსა და ჯიქეთში გარკვეული გავრცელება ჰპოვა „წმინდა ომის“ – ღაზავათის – იდეამ, რომელიც ჩეჩნეთ-დაღესტანსა და ჩერქეზ-უბიხებში რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლის იდეოლოგიური საფუძველი იყო. 1864 წელს, კავკასიის მთიელი ხალხების დამარცხების შემდეგ, რუსეთის მთავრობა შეუდგა ადრე შემუშავებული გეგმის განხორციელებას – მთიელთა განდევნას მშობლიური მიწა-წყლიდან, განსაკუთრებით, შავი ზღვის სანაპიროებიდან, რათა მეამბოხეებისათვის მოესპო უცხოეთთან კავშირის საშუალება (პირველ რიგში, ინგლისთან, რომელიც დიდხანს მხარს უჭერდა „ჩერქეზეთის“ დამოუკიდებლობის იდეას). მაშინ 700 ათასამდე ჩერქეზი, უბიხი, აფხაზი, ჩეჩენი, ლეკი და სხვ. აიძულეს ოსმალეთში გადასულიყო.

მთიელები სოფელს ტოვებენ. *მხატვარი პეტრე გრუზინსკი*

სამშობლოდან განდევნილ მთიელებს **„მუჰაჯირებს“** უწოდებენ, რაც არაბულად „გადასახლებულს“ ნიშნავს. 1864

აფხაზი მუჰაჯირები. *დიმიტრი ერმაკოვის ფოტოკოლექციიდან. XIX ს. 70-იანი წლები*

წლის მუჰაჯირთა შორის აფხაზთა რაოდენობა 20 ათასს აღემატებოდა. დაახლოებით ამდენივე აფხაზი გადასახლდა ოსმალეთში 1866 წლის აჯანყების ჩახშობის შემდეგ, ხოლო 1877 წლის აჯანყების შემდეგ, რომელიც რუსეთ-ოსმალეთის მორიგი ომის დროს მოხდა, აფხაზეთი დატოვა კიდევ 30-40 ათასმა ადამიანმა. მთლიანობაში ოსმალეთში გადასახლებული აფხაზებისა და აბაზების საერთო რაოდენობას 135 ათასი კაცით ანგარიშობენ [48, 373]. „მუჰაჯირობა, – წერდა პროფ. შალვა ინალ-იფა, – ეს არის არა უბრალოდ უბედური ეპიზოდი, არამედ უმძიმესი ეროვნული ტრაგედია, რამაც გამოიწვია აფხაზთა სწრაფი შემცირება საკუთარ სამშობლოში და დააყენა აფხაზი ხალხი ფიზიკური განადგურების წინაშე“ [50, 150].

ამრიგად, რუსეთის აფხაზეთში გაბატონებისა და აფხაზთა შეიარაღებული წინააღმდეგობის შედეგი აფხაზური ეთნოსის დიდი ნაწილის სამშობლოდან გაძევება იყო.*

აფხაზი ხალხის ტრაგედია ქართული საზოგადოების მოწინავე ნაწილმა გულთან მიიტანა. იმ დროს, როდესაც რუსული ჯარების თავდაპირველ მარცხს აფხაზეთში ოფიციალური პრესა აფხაზთა ღალატით ხსნიდა, ქართველი მამულიშვილები – ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, სერგი მესხი, გიორგი წერეთელი, იონა მეუნარგია და სხვები, თავიანთ წერილებში საჯაროდ ამხელდნენ

866.

№ 1.

ДРОЕБА

САПОЛИТИКО ДА САЛИТЕРАТУРО ГАЗЕТИ.

გაზეთ „დროების“ პირველი ნომერი
რედაქტორი გიორგი წერეთელი. 4 (16) მარტი 1866 წელი

* საზღვარგარეთის აფხაზური დიასპორა (დსთ-ის ქვეყნების გარდა) ძირითადად XIX საუკუნის მუჰაჯირთა შთამომავალია.



გიორგი შერვაშიძე (ჩაჩბა) 1846-1918. *აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ შერვაშიძის და ალექსანდრა დადიანის ვაჟი, თერგდალეულების თანამოაზრე საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი და დრამატურგი. რუსული იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგი და აფხაზთა თვითმყოფადობის დამცველი, გადაასახლეს რუსეთში. წლების შემდეგ, ნება დართეს ეცხოვრა საქართველოში, თუმცა აფხაზეთში დაბრუნების უფლება მხოლოდ 1905 წელს მიეცა.*

იმპერიული ხელისუფლების უპირატეს როლს აფხაზეთის ტრაგიკულ მოვლენებში. ეს მასალები ქვეყნდებოდა არა მარტო ქართულ გამოცემებში, არამედ რუსულ პრესაშიც. მაგალითად, პეტერბურგში გამომავალ გაზეთის „გოლოსის“ ფურცლებზე 1877 წლის აგვისტოში გიორგი წერეთელი მკითხველს მისთვის გასაგები ენით უხსნიდა: „ჩვენ გვეუბნებიან, რომ აფხაზებმა ჩვენს წინააღმდეგ აიღეს იარაღი. არავინ არ უარყოფს თვითონ ფაქტს, მაგრამ არსებობს მისი ახსნაც. აფხაზებმა იარაღი მაშინ აიღეს, როცა ისინი ბედის ანაბარა მიატოვეს; მას შემდეგ, რაც თურქები მოვიდნენ, დაიპყრეს ყველაფერი და მათ უბრძანეს გამოსულიყვნენ ჩვენს წინააღმდეგ. ამიტომ მათზე ამის დაბრალება არაფრით არ შეიძლება“.

„**დამნაშავე მოსახლეობა**“. 1877 წლის აჯანყების შემდეგ რუსეთის მთავრობამ სამშობლოში დარჩენილი აფხაზების სამაგალითო დასჯა გადაწყვიტა. მთელი აფხაზი ხალხი (მცირე გამონაკლისის გარდა) ოფიციალურად გამოაცხადეს „დამნაშავე მოსახლეობად“ და მისი უფლებები მნიშვნელოვნად შეიზღუდა. კერძოდ, აფხაზებს აეკრძალათ ცხოვრება აფხაზეთის ტერიტორიის დიდ ნაწილზე – ზღვისპირა ზოლში, მაღალმთიან ზონასა და სოხუმის გარშემო 25 კილომეტრის რადიუსში. „ასეთი განკარგულება მთავრობამ იმ განზრახვით მოახდინა, – წერს ქართველი მკვლევარი, პედაგოგი და ჟურნალისტი პეტრე ჭარაია, – რომ სოხუმის ახლო სახელმწიფოსთვის უფრო საიმედონი დაესახლებინა... ამ სახით აფხაზები ახლა მიყოლებით ერთგან აღარ ცხოვრობენ სოხუმის ოლქში: ერთი ნაწილი ცხოვრობს კოდორის „უჩასტკაში“ [მდინარეების] ოხურეისა და

აფხაზი თავადების ჯგუფი. XX საუკუნის დასაწყისი

კოდორს შუა (აბჟუელები), მეორე ნაწილი (ბზიფელები) – გუდაუთის ნაწილში. ესენი – აბჟუელები და ბზიფელები – თითქმის ორი დღის სავალზე დაშორებულნი არიან ერთმანეთზე. ასე რომ მათ შორის მისვლა-მოსვლა, კავშირი ერთმანეთში თავად-აზნაურობას თუ შეუძლია. ხოლო ძველი აფხაზეთის იმ შუა საუკეთესო ნაწილში, სადაც აფხაზებს დასახლება აღეკრძალათ და რომელიც ახლა გუმისთის ნაწილს წარმოადგენს, არც ერთი აფხაზთა „ობშინა“ [თემი] არ მოიპოვება“ [31, 252].

ასეთი ტერიტორიული და სხვა სახის შეზღუდვები შეეხო როგორც გლეხებს, ასევე „დამნაშავე“ თავად-აზნაურებს, როგორც აჯანყების მოთავეებს. „დამნაშავე მოსახლეობის“ სტატუსი აფხაზ ხალხს მხოლოდ 1907 წელს მოუხსნეს.

ვ) აფხაზეთი 1880-1917 წლებში. აფხაზეთის დაცარიელებულ ადგილებში რუსული ხელისუფლება ასახლებდა კოლონისტებს – რუსებს, სომხებს, ბერძნებს და სხვ., რათა მათი სახით აქ მთავრობის ერთგული მოსახლეობა გაჩენილიყო. აფხაზეთში ჩასახლება დაიწყეს ქართველებმაც, განსაკუთრებით, მეზობელი სამეგრელოდან, სადაც ბატონყმობის გაუქმების შედეგად ბევრი გლეხი უმიწოდ დარჩა. ქართველების აფხაზეთში ჩასახლებას რუსეთის ხელისუფლება მთლიანობაში ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ ეს პროცესი მაინც განვითარდა და თანდათანობით ქართველები აფხაზეთში ყველაზე მრავალრიცხოვანი ეთნიკური ჯგუფი გახდა. ბევრი იყო აგრეთვე რუსი, სომეხი, ბერძენი, თურქი. გარკვეული რაოდენობით ცხოვრობდნენ ესტონელები, გერმანელები, ბულგარელები და სხვ.

გაბრიელ ქიქოძე, ქართველი სასულიერო მოღვაწე, მეცნიერი და პედაგოგი. იმერეთის ეპისკოპოსი 1860-96 წწ-ში.
მეუფე გაბრიელი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი. 1869-1886 წლებში იყო აფხაზეთის ეპარქიის მმართველი. 1995 წელს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად იქნა შერაცხული.

XIX საუკუნის 60-80-იან წლებში გამაჰმადიანებული აფხაზების დიდი ნაწილი ქრისტიანობას უბრუნდება, რაშიც დიდი როლი შეასრულა ეპისკოპოს **გაბრიელ ქიქოძისა** და ზოგი სხვა ქართველი სასულიერო პირის მოღვაწეობამ. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე იწყება აფხაზური კულტურის აღორძინება, ყალიბდება აფხაზური ინტელიგენცია, რომელიც მოწინავე ქართული და რუსული საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენას განიცდის. აფხაზურ ენაზე ითარგმნება სასულიერო წიგნები (მათ შორის, „ოთხთავი“), იქმნება აფხაზური ენის სახელმძღვანელოები და პირველი მხატვრული ნაწარმოებები აფხაზურ ენაზე.

აფხაზური ენა, ისევე, როგორც სხვა კავკასიური ენების უმეტესობა, ახალდამწერლობიანი ენაა. ადრეულ შუა საუკუნეებში კულტურის იარაღად აფხაზეთში ბერძნულ ენა და დამწერლობა გამოიყენებოდა. აფხაზთა სამეფოს დროიდან მოყოლებული, გვიანდელ შუა საუკუნეებამდე მწიგნობრობისა და ეკლესიის ენა ქართული იყო. ოსმალთა გავლენის ხანაში, განსაკუთრებით, XVIII

საუკუნიდან, ისლამთან ერთად აფხაზეთში ვრცელდება ოსმალურ-თურქული დამწერლობა, თუმცა არც ქართული იყო დავიწყებული.

XIX საუკუნის შუა ხანებიდან გავრცელებას იწყებს რუსული ენა და დამწერლობა. რუსულმა ადმინისტრაციამ აფხაზეთში ქართული და ოსმალური კულტურული გავლენის შეზღუდვის მიზნით საჭიროდ ჩათვალა შექმნა რუსულ გრაფიკაზე დამყარებული აფხაზური ანბანი, რასაც მომავალში უნდა გაეადვილებინა აფხაზთა გარუსება. ასე იქმნება 1862 წელს პირველი აფხაზური ანბანი, რომელიც შეადგინა გენერალმა და ენათმეცნიერმა **პეტრე უსლარმა**. ახალშექმნილი აფხაზური დამწერლობისთვის ასოების ძირითადი ნაწილი მან რუსულიდან ისესხა, ხოლო რამდენიმე სპეციფიკური ბგერის გამოსახატავად გამოიყენა ბერძნული, ლათინური და ქართული ასო-ნიშნები. შემდგომ პერიოდში აფხაზური ანბანი რამდენჯერმე შეიცვალა.

ილია ჭავჭავაძის მასპინძლები სოხუმში, 1903 წელს. ივანე გრიგოლის ძე შერვაშიძე (1847-1906) და ალექსანდრე გრიგოლის ძე შერვაშიძე (1860-1932)

ილია ჭავჭავაძე და მისი თანამგზავრები აფხაზეთში სტუმრობის დროს 1903 წელს.

ილია ჭავჭავაძე *1837-1907*

ნიკოლოზ ბიძინას ძე ერისთავი, *1831-1912*

ალექსანდრე ივანეს ძე ორბელიანი, *1847-1919*

დიმიტრი ერასტის ძე ჩოლოყაშვილი, *1868-1916*

აღსანიშნავია ილია ჭავჭავაძის ვიზიტი აფხაზეთში 1903 წლის მაისში. **ილია ჭავჭავაძე ნიკოლოზ ერისთავთან, ალექსანდრე ორბელიანთან და დიმიტრი ჩოლოყაშვილთან** ერთად პრინც **ალექსანდრე ოლდენბურგელის** მიწვევით იმყოფებოდა გაგრაში, სადაც დაესწრო უპატრონო ბავშვთა თავშესაფრის გახსნას. უკან მობრუნებული ილია და მისი თანამგზავრები სოხუმში შეჩერდნენ. ადგილობრივმა საზოგადოებრიობამ საპატიო სტუმრებს რამდენიმე შეხვედრა მოუწყო. დამაგვირგვინებელი შეხვედრა გაიმართა ძმების ივანე და ალექსანდრე შერვაშიძეების სახლში. ერთმანეთს ცვლიდა აფხაზური და ქართული სიმღერები და ცეკვები. საზეიმო სადილზე ილიამ მადლობა გადაუხადა სოხუმელებს გულთბილი მასპინძლობისათვის, წარმატება უსურვა აფხაზეთს ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, დამსწრეთ მოუწოდა ეზრუნათ ხალხის განათლებისათვის.

ილია ჭავჭავაძის სოხუმში სტუმრობა 1903 წელს, ივანე შერვაშიძის სახლში

აღნიშნული ხანა ხასიათდება განსაკუთრებით მჭიდრო და თბილი ურთიერთობებით ქართული და აფხაზური ინტელიგენციის წარმომადგენლებს შორის. მათ შორის შეგვიძლია დავასახელოთ ისეთი თვალსაჩინო მოღვაწეები, როგორიცაა **ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, მამია გურიელი, რაფიელ ერისთავი, დიმიტრი ყიფიანი, ნიკო ნიკოლაძე, სერგი მესხი, შალვა დადიანი, გიორგი მიხეილის ძე შერვაშიძე (შარვაშიძე), გიორგი დიმიტრის ძე შერვაშიძე, გრიგოლ შერვაშიძე, დავით ანჩაბაძე, დავით ჩქოტუა, პეტრე ანჩაბაძე, მელიტონ ემუხვარი** და სხვ.

მარიამ დადიანი-ანჩაბაძე
1870-1958

ნიკოლოზ ჯანაშია
1872-1918

ძუკუ ლოლუა
1877-1924

ნიკოლოზ ჯანაშია სკოლის მოსწავლეებთან ერთად

აფხაზეთის სახალხო განათლების განვითარების საქმეში XX საუკუნის დასაწყისში დიდ როლს ასრულებდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სოხუმის განყოფილება. იგი დაარსდა 1909 წელს **მარიამ დადიანი-ანჩაბაძის** თაოსნობით, რომელიც მისი უცვლელი თავმჯდომარე იყო საზოგადოების გაუქმებამდე (1926 წ.). სოხუმის განყოფილების ინიციატივით 1910 წელს სოხუმში გაიხსნა ქართული სკოლა (დირექტორი ნიკო ჯანაშია). სკოლები და ქართული ენის შემსწავლელი ჯგუფები გაიხსნა აგრეთვე აფხაზეთის რაიონებში, ჩამოყალიბდა აფხაზეთის საგანმანათლებლო საზოგადოება.

სოხუმის ხალხური სიმღერის გუნდი ძუკუ ლოლუას ხელმძღვანელობით

მარიამ დადიანი-ანჩაბაძის მიწვევით, ფოთიდან სოხუმში გადავიდა ძუკუ ლოლუა. მან მოკლე ხანში ოთხმოცამდე მომღერალი შეკრიბა და გუნდი ჩამოაყალიბა. გუნდის რეპერტუარში, მეგრულთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება აფხაზურ სიმღერებს ეთმობოდა, რომლებიც ძუკუმ სოფელ-სოფელ სიარულით შეაგროვა და ფონოგრაფზე ჩაიწერა.

§2. ქართულ-ოსური ურთიერთობები

ა) ოსების წარმოშობა. ქართველთა წინაპრებს უძველესი დროიდან მჭიდრო ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობები ჰქონდათ ჩრდილო კავკასიასა და აღმოსავლეთ ევროპის ველებში მცხოვრებ ხალხებთან და, მათ შორის, მრავალრიცხოვან სარმატულ ტომებთან, რომელთა ენა ირანული ენების ჯგუფს განეკუთვნებოდა.*

ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში წერილობითი წყაროების თვალსაწიერში ხვდება სარმატების მომთაბარე ტომთა კიდევ ერთი გაერთიანება – ალანები. მათი გამოჩენა კავკასიის ჩრდილოეთ პერიფერიაზე (კასპიისპირეთი, აზოვისპირეთი) ახ.წ. I საუკუნის შუა ხანებში ივარაუდება. ალანების ტომთა კავშირი სერიოზულ სამხედრო-პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა, მაგრამ IV საუკუნეში მათი გაერთიანება ცენტრალური აზიიდან შემოჭრილმა ჰუნებმა გაანადგურეს. დამარცხებული ალანების ნაწილმა სამხრეთისკენ გადმოინაცვლა და კავკასიის მთისწინეთს შეაფარა თავი, სადაც დროთა განმავლობაში ალანები ადგილობრივ კავკასიურ მოსახლეობას შეერწყნენ. ზოგან ისინი სრულიად გაითქვიფნენ დამხვდურ ტომებში, ჩრდილო კავკასიის ცენტრალურ ნაწილში კი თვითონ მოახდინეს ავტოქთონური მოსახლეობის ასიმილაცია, გადასცეს მას თავისი ირანული ენა, მაგრამ თვითონაც აითვისეს ადგილობრივი კულტურის ელემენტები და ბინადარი ცხოვრების წესი. ამ პროცესების შედეგად დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა ხალხი, რომელიც ქართველებისთვის ცნობილია ოვსების ანუ *ოსების* სახელით (ალან-სარმატული ეთნონიმიდან „ას“). თვითონ ოსები კი თავის თავს უწოდებენ *ირონ*-ს, ხოლო თავის ქვეყანას – *ირისთონ*-ს.

ამრიგად, საკუთრივ ოსები, როგორც ხალხი, რომ ჩამოყალიბდნენ კავკასიაში: მათი ირანული ჯგუფის ენა ალანების დატოვებულია, ხოლო ანთროპოლოგიური** ტიპი და ეროვნული კულტურა ძირითადად გადმოცემულია კავკასიელი წინაპრებისგან.

ბ) საქართველოს ურთიერთობები ალან-ოსებთან I-XII საუკუნეებში. ძველი ქართული და უცხოური წყაროების მიხედვით, იბერიის (ქართლის) მეფეებმა ჯერ კიდევ I საუკუნეში შეკრეს კავშირი ალანთა ბელადებთან, რომლის შედეგი იყო ალანების პირველი დიდი ლაშქრობა კავკასიონის სამხრეთით ახ.წ. 72 წელს. ამ ლაშქრობის დროს ააოხრეს იბერიასთან დაპირისპირებული პართიის სამეფოს*** მოსაზღვრე ტერიტორიები და პართიის გავლენის ქვეშ მყოფი სომხეთი. საფუძველი არსებობს ვივარაუდოთ, რომ ალან-სარმატი მეომრები არა მარტო დროებით გადმოჰყავდათ ქართლში დიდი სამხედრო კამპანიების დროს, არამედ მათი ცალკეული რაზმები მუდმივად იმყოფებოდნენ ქართველ მეფე-მთავართა კარზე, მსახურობდნენ მათ მუდმივ ლაშქარში. საერთოდ, ჩრდილო კავკასია საქართველოსთვის უკვე ფარნავაზის ხანიდან დამხმარე სამხედრო ძალების საიმედო რეზერვს წარმოადგენდა, საიდანაც მოკავშირეობისა და მოქირავნეობის საფუძველზე ქართული ჯარის შესავსებად გადმოდიოდნენ როგორც სარმატთა და ალანთა რაზმები, ასევე დურძუკები (ჩეჩნებისა და ინგუშების წინაპრები), ლეკები, დიდოელები (დაღესტნის ხალხები) და სხვ.

როდესაც ტრადიციულ კავშირებზე ვსაუბრობთ, არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს მეზობლებს შორის არ ხდებოდა პერიოდული შეტაკებები. ქართულ წერილობით წყაროებში დაფიქსირებულია ალან-ოსების რამდენიმე მასშტაბური თავდასხმა ქართლზე და ქართველი მეფეების საპასუხო

---

* დღეს ირანულ ენებზე მსოფლიოში 200 მილიონ ადამიანზე მეტი ლაპარაკობს, მათ შორის – სპარსელები, ავღანელები, ტაჯიკები, ქურთები და სხვ.

** ანთროპოლოგია – მეცნიერება, რომელიც სწავლობს ადამიანის ბიოლოგიურ ბუნებას, ადამიანის წარმოშობას, რასებს. ანთროპოლოგიური ტიპი – კომპლექსი სხეულის ნიშნებისა (სიმაღლე, პროპორციები, კანის ფერი, თავის ქალის ფორმა და სხვ.), რომელიც დამახასიათებელია ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფისათვის.

*** პართიის სამეფო – სახელმწიფო თანამედროვე ირანის, ერაყისა და მათთან მიმდებარე ტერიტორიებზე (ძვ.წ. 250 - ახ.წ. 226 წწ.).

ლაშქრობები ჩრდილო კავკასიაში ახ.წ. III-V საუკუნეებში; თუმცა იმ ფაქტზე, რომ კავკასიის ხალხებს შორის იმხანად კეთილმეზობლობა და მოკავშირეობა იყო დამახასიათებელი, მიუთითებს „ქართლის ცხოვრების“ ფრაზა: „იქმნეს მოყუარე სომეხნი და ქართუელნი და ოვსნი. და სამნივე ერთობით ბრძოდეს მტერთა“ [27, 49].



ცენტრალური კავკასიონი XVI-XVIII სს. დვალეთის და ოსეთის თემები

მას შემდეგ, რაც ალანთა არეალმა კავკასიონისკენ გადმოინაცვლა, ქართულ-ოსური ურთიერთობები უფრო მჭიდრო და მრავალფეროვანი ხდება. წერილობითი წყაროები, როგორც ყოველთვის, ძირითადად, სამხედრო-პოლიტიკურ მოვლენებზე ამახვილებენ ყურადღებას, თუმცა, ბუნებრივია, ხდება აგრეთვე ეკონომიკური, კულტურული და სხვა კავშირებიც. კერძოდ, იბერიასა და ალანებს შორის საუღელტეხილო გზებით ცხოველი სავაჭრო ურთიერთობები ხორციელდებოდა. როგორც ფიქრობენ, ოსეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მონეტების ძირითადი მასა იქ საქართველოდან არის მოხვედრილი [11, 47].

აღსანიშნავია ბერძენი და ქართველი მისიონერების ღვაწლიც ალანეთში ქრისტიანული რელიგიის გავრცელების საქმეში. ამის პირველი ცდები ჯერ კიდევ VI-VII საუკუნეებში იყო, მაგრამ მაშინ ალან-ოსები განვითარების სახელმწიფომდელ საფეხურზე იდგნენ და ქრისტიანობისთვის სოციალური ნიადაგი მომწიფებული არ იყო. მხოლოდ X საუკუნისთვის, როდესაც ალანური ტომების კავშირი ფეოდალური სახელმწიფოს ნიშნებს იძენს, ხდება მათი ოფიციალური გაქრისტიანება. შემორჩენილი წყაროებით, ამ საქმეში დიდი როლი მიუძღვით აფხაზთა (დასავლეთ საქართველოს) მეფეებს. კონსტანტინოპოლის (ბიზანტიის) პატრიარქი ნიკოლოზ მისტიკოსი თავის წერილებში გიორგი II (922-957 წწ.) აფხაზთა მეფეს მოუწოდებს, რომ მისი მამის, კონსტანტინე III-ის მსგავსად, დახმარება და მფარველობა არ მოაკლოს ალანიის არქიეპისკოპოსს. ამასთან, პატრიარქი იხსენებს, რომ აფხაზთა მეფეს უშუალო მონაწილეობა მიუღია ალანთა მთავრისა და მისი ახლობლების მონათვლაში. საფიქრებელია, რომ აფხაზ მეფეთა ასეთი აქტიურობა მხოლოდ მისიონერული მიზნებით არ იყო გამოწვეული და მათ პოლიტიკურ ინტერესებსაც ემსახურებოდა კავკასიონის ჩრდილოეთ კალთაზე.

გიორგი II აფხაზთა მეფის (922-957) ჯვარი

X-XI საუკუნეები ოსეთში სტაბილურობისა და შინაგანი კონსოლიდაციის ხანად ითვლება, რაც მის მმართველებს საჭიროების შემთხვევაში მნიშვნელოვანი სამხედრო

ხოზიტა მად-მაირამის ეკლესია ისტორიულ დვალეთში

ქართული ასომთავრული წარწერა ჩრდილოეთ ოსეთიდან

ბორენა, ოსთა მეფის ასული. საქართველოს დედოფალი, ბაგრატ IV-ის (1027-1072) მეუღლე

ძალების გამოყვანის საშუალებას აძლევდა. ამ პერიოდში ოსური დამწერლობის შექმნის ცდებსაც ვხედავთ ბერძნული გრაფიკის საფუძველზე, რადგან XI საუკუნემდე ოსეთში ბიზანტიური რელიგიური გავლენა სჭარბობდა. თუმცა ოსური დამწერლობა შუა საუკუნეებში არ შექმნილა. XI საუკუნის ბოლოდან ოსეთში საქართველოს პოლიტიკური და კულტურული გავლენა იზრდება. გვხვდება ქორწინებითი კავშირები მმართველ საგვარეულოებს შორის. თანამედროვე ჩრდილო ოსეთის სხვადასხვა კუთხეში შემორჩენილია ქართველი მისიონერებისა და მშენებლების მიერ აგებული ეკლესიები. განსაკუთრებით ბევრია XII-XIII საუკუნეების ძეგლები. ზოგიერთ მათგანზე ქართული წარწერებია შემონახული. „შემთხვევითი არ არის, – აღნიშნავს გ. თოგოშვილი, – რომ ოსეთის ტერიტორიაზე არსებულ ყველა საკულტო ნაგებობას ოსური მოსახლეობა ტრადიციულად თამარ მეფეს მიაწერს, თუმცა ზოგი უფრო ადრე, ზოგი გვიანაც შენდებოდა“ [11,138].

გაერთიანებულ საქართველოს მეფეს, **ბაგრატ IV**-ს, ცოლად ჰყავდა ოსთა მეფის ასული **ბორენა**. XI საუკუნის მეორე ნახევარში საქართველო სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდა თურქ-სელჩუკთა შემოსევების გამო. სულთანმა ალფ-არსლანმა 1064 და 1067-1068 წლებში მძიმედ ააოხრა ქვეყნის დიდი ნაწილი, მაგრამ ბაგრატ IV მტერს არ დაემორჩილა. სულთანი იძულებული გახდა ზავის დადებამდე დაეტოვებინა საქართველოს ტერიტორია. ლაშქრობაში ალფ-არსლანს თან ახლდა *რანის* (შემდეგი დროის *განჯა-ყარაბაღი*) ამირა ფადლონი, რომელსაც სულთანმა თბილისი უწყალობა. სელჩუკთა მთავარი ძალების წასვლის შემდეგ ბაგრატ მეფემ სასტიკად დაამარცხა ფადლონის 33-ათასიანი ლაშქარი და თბილისი დაიბრუნა. დამარცხებული ფადლონი მაინც არ ჩერდებოდა და სამაგიეროს გადახდას ლამობდა. ამიტომ ბაგრატმა გადაწყვიტა კიდევ ერთხელ დაესაჯა იგი. მისი მოწვევით ოსთა მეფე **დორღოლელმა**, ბორენა დედოფლის ძმამ, ძლიერი ლაშქრით გადმოლახა კავკასიონი, სასტიკად მოარბია რანი და დიდი დავლა წამოიღო. ეს გამარჯვება ბაგრატმა დორღოლელის პატივსაცემად 12-დღიანი

ლხინით აღნიშნა, რის შემდეგ უხვად დასაჩუქრებული ოსთა მეფე და მისი ლაშქარი თავის ქვეყანაში გაისტუმრა.

სელჩუკებისგან საქართველოს საბოლოო განთავისუფლება, როგორც ცნობილია, დავით აღმაშენებლის დროს მოხდა. სომეხი მემატიანის მათე ურჰაელის ცნობით, დიდგორზე მომხდარ გადამწყვეტ ბრძოლაში დავითის 56-ათასიან ლაშქარში 500 მეომარი იყო „ალანთა ტომისაგან“ [8, 246].

ბაგრატ IV, საქართველოს მეფე 1027-1072 წწ.
ფრესკა ატენის ტაძრიდან

დაახლოებით ასწლოვან პერიოდს, დაწყებულს დავით აღმაშენებლის მეფობიდან, საქართველოში მონღოლთა გამოჩენამდე (XIII საუკუნის 20-იანი წწ.), ფეოდალური საქართველოს „ოქროს ხანას“ უწოდებენ, რომლის დროსაც ქვეყანამ ძლიერების მწვერვალს მიაღწია. იმ დროს სისტემატურად წარმოებდა შეტევითი ომები მაჰმადიანი მეზობლების წინააღმდეგ, ამიტომ, უფრო გახშირდა ჩრდილოკავკასიელი ხალხების (ოსები, ყივჩაყები, დურძუკები, ლეკები, ქაშაგები, ხუნძები და სხვ.) მოწვევა სამხედრო სამსახურში. ქართველი მემატიანის სიტყვით, მეფე გიორგი III „ოვსთა და ყივჩაყთა რაოდენი ათასი კაცი უბრძანის, მოვიდიან“ [27, 367]. ჩრდილოკავკასიელი ხალხების ფეოდალურ-გვაროვნული ზედაფენა სიამოვნებით თანხმდებოდა ამ სამსახურზე, რაც მათ უქადდა მხედრულ დიდებას და სახელს, ომში მოპოვებულ ნადავლს, ჯამაგირსა და საჩუქრებს საქართველოს დიდი მეფეებისგან. როგორც ჩანს, ოსებისა და ყივჩაყების რჩეული რაზმები მუდმივადაც იმყოფებოდნენ თბილისში სამეფო კარზე და ქართულ რაზმებთან ერთად მონაწილეობდნენ სახელმწიფო მნიშვნელობის მქონე ცერემონიებში [28, 65].

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ჩრდილოკავკასიელი მეომრების მოწვევის პრაქტიკა არ იყო მხოლოდ მარტივი გარიგების შედეგი (ფული სამსახურის ნაცვლად), არამედ იგი იყო იმ ეპოქისათვის დამახასიათებელი რაინდულ-ფეოდალური ურთიერთობების ფორმა, დაფუძნებული ტრადიციულ კავშირებსა და იერარქიულ სისტემაზე. მატერიალური ანაზღაურება ამ ურთიერთობებში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა (რაც ბუნებრივია), მაგრამ ის არ იყო პროცესის ერთადერთი მამოძრავებელი ძალა.

საქართველოს მეფე გიორგი III (1156-1184) და მეფე თამარი. *ფრესკა ბეთანიის ტაძრიდან*

XI–XII საუკუნეების მიჯნაზე ალანთა სახელმწიფო, როგორც ჩანს, რამდენიმე პოლიტიკურ ერთეულად დაიშალა. ეს გაერთიანებები ქართული მონარქიის გავლენის სფეროში იმყოფებოდნენ. „ოსეთის ფეოდალური ზედაფენები, – წერს გ. თოგოშვილი, – თავიდანვე მჭიდრო ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ურთიერთობაში აღმოჩნდნენ საქართველოსთან, ეზიარნენ ქართულ მაღალგანვითარებულ კულტურას... ასეთ პირობებში არა მარტო ქართველური წარმოშობის ხალხები, არამედ



დავით სოსლანის ხელრთვა

არაქართველური ხალხებიც, ბუნებრივია, მიისწრაფოდნენ მისკენ, მასთან მჭიდრო ურთიერთობაში ექცეოდნენ“ [12, 167-169].

განვითარებულ შუა საუკუნეებში საქართველო-ოსეთს შორის არსებული მჭიდრო კავშირის დადასტურებაა არა მარტო ოსების რეგულარული მონაწილეობა ქართულ ლაშქარში, არამედ დინასტიური ქორწინებებიც. მარტო ის ფაქტიც მრავლისმთქმელია, რომ თამარ მეფის დედა, დედოფალი **ბურდუხანი**, ოვსთა მეფის ასული იყო, ხოლო თამარის მეუღლე და ქართული ლაშქრის მთავარსარდალი **დავით სოსლანი** – ოსი უფლისწული. ქართული წყაროებით, დავითი წარმოშობით ბაგრატიონთა უმცროსი შტოს წარმომადგენელი იყო, რომელიც ოსეთში დამკვიდრდა XI საუკუნეში. ეს საგვარეულო ხაზი, იმ დროისათვის, როდესაც დავითი დაიბადა, უკვე გაოსებული იყო, რაც თუნდაც დავითის მეორე სახელიდან მოჩანს – „სოსლანი“. მემატიანეები ახალგაზრდა დავით სოსლანს ახასიათებენ, როგორც წარმოსადეგ და ზრდილ ჭაბუკს, უებრო მხედარს, მშვილდოსანსა და მეომარს. თამარის „ბრძანებითა და გამორჩევითა“ და დავითის სარდლობით ქართულმა ჯარმა მრავალი გამარჯვება მოიპოვა, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია შამქორისა (1195) და ბასიანის (1202) ბრძოლები. ყოველივე ზემოთქმულის გამო, ერთიანი საქართველოს სამეფოს არსებობის პერიოდში უცხოელი მწერლები ოსებს, ისევე როგორც აფხაზებს, ქართველებთან ასოცირებულ ეთნიკურ ჯგუფად თვლიდნენ (იხ. ზემოთ).

გ) ქართველები და ოსები XIII-XIV საუკუნეებში; დვალები და დვალეთი. XIII საუკუნის პირველ ნახევარში კავკასიის ხალხებს დიდი განსაცდელი დაატყდათ თავს მონღოლთა შემოსევების სახით. ქართველები იძულებულნი გახდნენ მონღოლი ყაენების უზენაესობა ეცნოთ. მინღოლებმა ააოხრეს ოსეთიც, ნაცარტუტად აქციეს მისი ქალაქები. ოსებმა დაკარგეს დაბლობი მიწები, რომლებიც მონღოლთა მომთაბარე არისტოკრატიის ხელში გადავიდა. მშობლიური მიწიდან აყრილი ოსების ნაწილი დასავლეთში გადასახლდა (ყირიმში, უნგრეთში, ბალკანეთის ქვეყნებში), ნაწილმა კი, კავკასიონის მთებს შეაფარა თავი.

თანამედროვე ჩრდილო ოსეთის ყველაზე მაღალმთიან სამხრეთ ნაწილში უძველესი დროიდან ცხოვრობდა **დვალების** ტომი. დვალებს საკუთარი ენა ჰქონდათ, რომელიც, მაღალი ალბათობით, კავკასიური ენების წრეში შედიოდა. პოლიტიკურად დვალები საქართველოსთან უფრო იყვნენ დაკავშირებული, ვიდრე ოსეთთან. მათი ქვეყანა – **დვალეთი** – ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებიდან ქართლის საზღვრებში შემოდიოდა. VI საუკუნეში დვალეთში ვრცელდება ქრისტიანობა, რომელმაც შეიტანა იქ ქართული ენა და დამწერლობა. შუა საუკუნეებში დვალთაგან ცნობილია რამდენიმე დახელოვნებული კალიგრაფი და წიგნების გადამწერი, რომლებიც ქართული კულტურის სხვადასხვა ცენტრებში მოღვაწეობდნენ. დვალეთიდან იყო წარმოშობით აგრეთვე საქართველოს ეკლესიის წმინდანი **ნიკოლოზ დვალი** (ეწამა 1314 წ.).

მონღოლთა მიერ დევნილი ოსები დვალეთში და მის მეზობელ ხევებში შემოდიან. ეს არ იყო პირდაპირი გაგებით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა, ოსები საქართველოში ახალ სამოსახლო ადგილებს ეძებდნენ. მაგრამ, როგორც ჩანს, მათ ადგილობრივი მოსახლეობა შეავიწროვეს, ვინაიდან დვალების ნაწილი კავკასიონის სამხრეთ კალთებზე გადმოდის, სადაც, შესაძლოა, უკვე არსებობდა მათი თანატომელების დასახლებები. საკუთრივ დვალეთში კი, ოსებისა და დარჩენილი დვალების შერევა იწყება, რაც გარკვეული დროის შემდეგ დასრულდა

დვალთა ასიმილაციით.

XIII საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში დარუბანდის მხრიდან ოსების კიდევ ერთი ჯგუფი გამოჩნდა, რომელიც მეფე დავით VII ულუმ მონღოლი ყაენის განკარგულებით აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა ადგილებში განალაგა. „ქართლის ცხოვრების“ ცნობებიდან ირკვევა, რომ ეს იყო კარგად ორგანიზებული და შეიარაღებული გუნდი, რომელსაც სათავეში საკუთარი სამხედრო-გვაროვნული არისტოკრატია ედგა.

ნუზალის სამლოცველო, ალაგირის ხეობა

XIII საუკუნის ბოლო და XIV საუკუნის დასაწყისი ერთ-ერთი ყველაზე რთული პერიოდია საქართველოს ისტორიაში. ერთიანი სახელმწიფო 1259 წელს ორად გაიყო. დასავლეთ საქართველო (ლიხთიმერეთი) კვლავ ცალკე სამეფო გახდა, რომელზეც მონღოლებს ხელი არ მიუწვდებოდათ, აღმოსავლეთ საქართველო (ლიხთამერეთი) კი, მონღოლთა პოლიტიკურ ორბიტაში დარჩა. მაგრამ განმათავისუფლებელი ბრძოლა გრძელდებოდა, ქვეყნის მთიანეთი ყაენს აღარ ემორჩილებოდა, ბარში კი მონღოლები, მათ ბანაკში დარჩენილი ქართველი ფეოდალების მხარდაჭერით, გავლენას ინარჩუნებდნენ. აღმოსავლეთ საქართველოში, ფაქტობრივად, მოიშალა ცენტრალური ხელისუფლება, ზოგჯერ აქ ერთდროულად ორი-სამი მეფე იყო. განდგომის გზას დაადგნენ სამცხის მთავრებიც.

ნუზალის სამლოცველოს ფრესკები ქართული ასომთავრული წარწერებით

ასეთ ვითარებაში აღმოსავლეთ საქართველოში დამკვიდრებული ოსების ბელადებმა ქართლის ტერიტორიაზე საკუთარი ავტონომიური სამთავროს შექმნა მოინდომეს. 1290-იან წლებში მათ ხელთ იგდეს გორი და შეუდგნენ მეზობელი ტერიტორიების რბევა-დაპყრობას. ქართველებმა ერისთავ ბექა სურამელის სარდლობით გორის ციხეს ალყა შემოარტყეს და ძლიერ შეავიწროვეს ოსები, მაგრამ მონღოლთა ჩარევამ დროებითი ზავი ჩამოაგდო დაპირისპირებულ მხარეებს შორის. მხოლოდ XIV საუკუნის 20-იან წლებში მეფე **გიორგი V** ბრწყინვალემ სამწლიანი ბრძოლით განდევნა ოსები გორიდან და ქართლის სხვა ციხეებიდან.

გიორგი ბრწყინვალემ, როგორც ვიცით, კვლავ გააერთიანა საქართველო და ქვეყანას ძველი ძლიერება დაუბრუნა. ქართულ-ოსურმა ურთიერთობებმაც ძველი სახე მიიღო. ისევ ვხედავთ საბრძოლო თანამეგობრობის ფაქტებს. კერძოდ, ოსები მონაწილეობენ საქართველოს ტერიტორიაზე თემურ-ლენგის ურდოებთან ბრძოლაში. „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი ნუსხის მიხედვით, მხედართმთავარი არქაპოს მაჩაბელი ოსებისა და ქართველებისგან შემდგარი 2-ათასიანი რაზმით წარმატებულ პარტიზანულ ომს აწარმოებდა ზემო ქართლში შეჭრილი თემურის რაზმების წინააღმდეგ.

* * *

მეცნიერთა ნაწილის აზრით, ოსების დასახლება ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ კალთებზე, სადაც XX საუკუნეში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი შეიქმნა, იწყება იმ არეულობის ხანაში, რომელიც მოიტანა მონღოლთა ბატონობამ, თუმცა ისტორიული წყაროები არ ადასტურებენ ამ მოსაზრებას. არ არსებობს არც ერთი წყარო, საიდანაც მტკიცდება ალან-ოსური მოსახლეობის ყოფნა ამ ტერიტორიაზე XIII-XIV საუკუნეებში (მით უმეტეს, უფრო ადრე). მონღოლთა ბატონობის დროს ქართლში მოქმედი ოსთა რაზმები, როგორც გვახსოვს, სამხრეთ კავკასიაში დარუბანდის გზით იყვნენ შემოსული და მათი რაიმე კავშირი ქართლის მთიანეთთან არ ჩანს. იმ პერიოდში ისტორიული საქართველოს მთაში ოსური მოსახლეობა ჩნდება, როგორც ჩანს, მხოლოდ კავკასიონის მთავარი ქედის გადაღმა (დვალეთში), თუმცა ამ რაიონებშიც რჩებოდა ადგილობრივი დვალური მოსახლეობა, რომლის ოსებთან შერწყმას საკმაო დრო დასჭირდა.

ქსნის ხეობაში შედგენილი **„ძეგლი ერისთავთა“**, რომელშიც ქართლის მთიანეთის წარსულია აღწერილი 1405 წლამდე, ჩვენთვის საინტერესო რეგიონის შუა საუკუნეების ისტორიის უმნიშვნელოვანესი წყაროა. ქრონიკის მიხედვით, მერმინდელი „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაზე მხოლოდ ქართველები და დვალები ცხოვრობენ. „ძეგლის“ ავტორი ოსებსაც კარგად იცნობს და მკაფიოდ განასხვავებს მათ დვალებისგან.

დ) ქართველები და ოსები XV-XVIII საუკუნეებში. XV საუკუნის მეორე ნახევარში ერთიანი ქართული სახელმწიფო რამდენიმე ნაწილად დაიშალა. ქვეყნის მდგომარეობა განსაკუთრებით გართულდა მას შემდეგ, რაც XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნის დასაწყისში საქართველოს გაუმეზობლდა ორი ძლიერი და აგრესიული სახელმწიფო – ოსმალეთის იმპერია და სეფიანთა ირანი. დაიწყო ქართველი ხალხის 300-წლიანი ბრძოლა დამოუკიდებლობისა და თვითმყოფადი კულტურის შესანარჩუნებლად. ეს ბრძოლა მიმდინარეობდა ხშირი შინაომების ფონზე, რაც პოლიტიკურად დაქუცმაცებული ქვეყნის მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა.

ამ დროისათვის ოსთა სახელმწიფოებრიობა ჩრდილოეთ კავკასიაში კარგა ხნის მოსპობილია, ხოლო ეთნიკური ტერიტორია – მნიშვნელოვნად შეკვეცილი. ოსებმა შეინარჩუნეს მხოლოდ თანამედროვე ჩრდილო ოსეთის მთიანი სამხრეთი ნაწილი, რომელიც დაყოფილი იყო ცალკეულ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ თემებად (*დიგორა, ალაგირი, ქურთათი, თაგაური*). ვრცელი მთისწინა ველები, რომლებიც ოდესღაც ალანთა განკარგულებაში იყო, ხოლო შემდეგ მონღოლ-თათრებმა დაიპყრეს, ახლა ყაბარდოელებს (აღმოსავლეთ ჩერქეზებს) ეკუთვნოდათ. ყაბარდოელი თავადების

ჩრდილოეთ ოსეთი, ქურთათის ხეობა. თანამედროვე ფოტო



ჩრდილოეთ ოსეთი, თაგაურის ხეობა. 1892 წ.

მოხარკეები იყვნენ კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდობებზე განსახლებული ხალხებიც: ინგუშები, ოსები, ბალყარელები, ყარაჩაელები, აბაზები. ოსეთის ჭარბმა მოსახლეობამ, რომელსაც ჩრდილოეთისკენ წაწევის საშუალება არ ჰქონდა, თანდათანობით სამხრეთში იწყო გადმოსვლა, ქართლის მთიანეთში დამკვიდრება. ეს პროცესი, როგორც ჩანს, დაიწყო XV საუკუნის ბოლოს ან XVI საუკუნეში.

ოსი მეცნიერი ზ. ვანეევი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-იან წლებში საგვარეულო გადმოცემების შესწავლის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ოსები კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე გადმოსახლდნენ XV-XVI საუკუნეებში. წერილობით წყაროებში პირველი ოსური დასახლება აქ, დიდი ლიახვის სათავეში, დადასტურებულია XVII საუკუნის დასაწყისში. პოლიტიკურად ეს ტერიტორია, ქედის ჩრდილოეთით მდებარე დვალეთის ჩათვლით, შემოდიოდა საქართველოს ფარგლებში (ძირითადად, ქართლის, ნაწილობრივ კი – იმერეთის სამეფოებში). არსებობს აგრეთვე ცნობა, რომ გარკვეულ პერიოდებში იმერეთზე დამოკიდებული იყო რაჭის კავკასიონის გადაღმა მდებარე *სტირ-დიგორის* თემი.

ქართლის მთიანეთში ოსური მოსახლეობის გაჩენა მოხდა არა ერთდროული მიგრაციით, არამედ თანდათანობითი გადმოსახლების შედეგად. ეს პროცესი 200 წელიწადზე მეტხანს გაგრძელდა, XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდე. დიდი ლიახვის სათავეებიდან ოსები ვრცელდებიან სამხრეთისკენ ორივე ლიახვის ხეობით, აღწევენ *კუდაროში* (მდ. ჯეჯორას ზემო წელი), *ფრონეების* აუზში, იკავებენ ქსნის სათავეებს, თრუსოდან გადმოდიან არაგვის ხეობაში და ა.შ. ზოგან ოსები და ქართველები ერთსა და იმავე სოფლებში ცხოვრობდნენ, რაც ხელს უწყობდა მათ სწრაფ დაახლოებას და ოსების ინტეგრაციას ქართულ გარემოში. 1770 წლისათვის ქართლ-კახეთის სამეფოში ოსების

საერთო რაოდენობა დაახლოებით 6 ათას კომლს აღწევდა.

ისტორიამ შემოგვინახა ცნობები განსახილველ პერიოდში ოსთა თარეშისა და ყაჩაღობის შესახებ ქართულ სოფლებში, მაგრამ მთლიანობაში მათი გადმოსახლება მშვიდობიან ხასიათს ატარებდა. ქართველი ფეოდალები დაინტერესებული იყვნენ ქვეშევრდომთა რაოდენობის მატებით, ქვეყნის მოსახლეობის შეთხელების გამო. ვახუშტი ბატონიშვილი ამასთან დაკავშირებით წერს: „...ამ ადგილებთა შინა, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი. შემდგომად მეპატრონთა მათთგან გარდმოსახლებულან ოსნი, და ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან, ვინაჲთგან მტერთაგან ბარს შინა კაცნი შემცირებულან“ [10, 363-364].

დიგორის ხეობის მცხოვრებლები. 1894 წ.

ოსთა ჩამოსახლებით ქართლის მთიანეთში გაძლიერდა ეთნიკური ურთიერთქმედებისა და შერევის პროცესები; ხშირი იყო ოსების გაქართველება (ისტორიულ წყაროებში გვხვდება ტერმინები: „ნაოსარი“, „ოსყოფილი“), ზოგჯერ – დამხვდური მოსახლეობის გაოსება. ეს უკანასკნელი უფრო დვალებს ეხება. მაღალმთიან ზონაში ოსებისა და დვალების თანაცხოვრება ოსთა უპირატესობით განვითარდა და პრაქტიკულად დასრულდა XVIII საუკუნეში დვალების ასიმილაციით. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, ამ საუკუნის პირველ ნახევარში ოსები და დვალები ჯერ კიდევ განირჩეოდნენ ერთმანეთისგან, მაგრამ დვალებს თავისი ძველი დვალური ენა უკვე დავიწყებული ჰქონდათ და ოსურად ლაპარაკობდნენ.

დვალებით და ოსებით დასახლებული ქართლის მთიანეთი პოლიტიკურად ქართველ ფეოდალებზე იყო დამოკიდებული. მის ჩრდილოეთ ნაწილში თავადი მაჩაბლები და ქსნის ერისთავები დომინირებდნენ. კუდაროს ხეობა რაჭის საერისთავოში შედიოდა. ქვედა ზონაში თავადი ფალავანდიშვილების, ხერხეულიძეების, ფავლენიშვილებისა და სხვათა მამულები იყო. აქვე იყო ქართლის სამეფო ოჯახის სამფლობელოებიც; ბაგრატიონებს ეკუთვნოდათ აგრეთვე დვალეთში არსებული ვერცხლის საბადოები.



ოსეთის გერბი.
ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით

ოსურ სოფლებს საკუთარი თავკაცები ჰყავდათ, რომლებიც ქართველი თავადების მფარველობით სარგებლობდნენ. ოსთა ზოგ ლიდერს ამა თუ იმ დამსახურებისთვის მეფეებისგან აზნაურობა ჰქონდა ბოძებული. გლეხები სხვადასხვა გადასახადს უხდიდნენ მებატონეებს. მაგალითად, XIX საუკუნის პირველ ნახევარში ჯავის ხეობაში, რომელიც მაჩაბლებს ეკუთვნოდა, თითოეული გლეხის ოჯახი თავადს აძლევდა წელიწადში სამ ცხვარს, ძროხების გარკვეულ რაოდენობას (გამომდინარე გლეხის



ოსური ციხე-სახლის ჭრილი

მფლობელობაში მყოფი მიწის ფართობიდან) და სხვადასხვა პროდუქტს (ყველი, ზეთი, მარცვლეული და სხვ.). ნატურალური გამოსაღების გარდა არსებობდა შრომითი ბეგარა. გლეხს ევალებოდა მემამულის მიწის დამუშავება, მოსავლის აღება და მისი დანიშნულების ადგილზე მიტანა, შეშისა და თივის დამზადება და ა.შ.

მაღალმთიან ზონაში, სადაც ბარის ადმინისტრაციული კონტროლი შედარებით სუსტი იყო, ოსური თემები მეტი თავისუფლებით სარგებლობდნენ. აქ ძლიერ გვარებს გამაგრებული კოშკებიც ჰქონდათ. სწორედ ეს თემები ყაჩაღობდნენ ბარში, ჯანყდებოდნენ ფეოდალური დამოკიდებულების წინააღმდეგ და უარს ამბობდნენ ბეგარის მიცემაზე. მაგალითად, ძლიერი აჯანყება მოხდა XVII საუკუნის დასაწყისში დვალეთში, რომლის მოურავი იმჟამად გიორგი სააკაძე იყო. მოურავმა ეს გამოსვლა იარაღის ძალით ჩაახშო. ისტორიულ პოემა „დიდმოურავიანში“ იოსებ თბილელი სააკაძეს ათქმევინებს:

ხმლითა გავჰტეხე ოსეთი, ავიღე მაგარ ციხები,
უფროსნი კაცნი გავბეგრე, გაუშვი ზავთი, რიხები...
მე შევაშინე, შეშინდეს სულა ქვეყანა ოსისა...
ვით ისრაელთა არ შერჩა გარდაკიდება მოსისა.

1711 წელს გამდგარი ოსები დალაშქრა და დაიმორჩილა მეფე ვახტანგ VI-მ. ამ ლაშქრობის დროს სხვადასხვა ცნობით დაინგრა 30 თუ 80 კოშკი – მთიელთა წინააღმდეგობის სიმბოლო. 40 კოშკი კი – 1746 წელს ერეკლე II-ის ლაშქრობის დროს არაგველი და თრუსოელი ოსების წინააღმდეგ. ცალკეული შეტაკებების მიუხედავად, რაც ფეოდალიზმის* დროს ჩვეულებრივი მოვლენა იყო და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება განიხილოს, როგორც ეთნიკური მტრობის

* საქართველოში ფეოდალური ურთიერთობები გახანგრძლივდა და XVI-XVIII საუკუნეები ჩვენი ქვეყნის ისტორიული მოვლენების გაშუქებისას ფეოდალურ ეპოქად მოიხსენიება.

გამოხატულება, ქართულ-ოსური ურთიერთობები სტაბილურად მშვიდობიანად ვითარდებოდა. ოსების მდგომარეობა საქართველოში არ განირჩეოდა შესაბამისი ქართული სოციალური ფენების მდგომარეობისაგან, იქნებოდნენ ეს გლეხები, აზნაურები თუ პირადად თავისუფალი მთიელები. იოჰან გიულდენშტედტი, რომელმაც საქართველოში XVIII საუკუნის 70-იან წლებში იმოგზაურა, საგანგებოდ აღნიშნავს ქსნის ხეობის ქართველთა და ოსთა მეგობრულ ურთიერთობებს. სამეფო ხელისუფლება დაინტერესებული იყო ასეთი განწყობილების შენარჩუნებით. 1791 წელს ლიახვის ხეობის შერეულ მოსახლეობაში, ქართველებსა და ოსებს შორის წამოჭრილა დავა, რომლის მშვიდობით მოგვარება ერეკლემ ადგილობრივ თავადს, ფარსადან მაჩაბელს დააკისრა: „…ეცადე რაოდენ შეგეძლოს მანდ ერთმანეთის მშვიდობით დაგებასა და კეთილის საქმით ერთმანეთის სიყვარულსა და ერთობასა“, – წერდა მეფე [12, 172].

გიორგი სააკაძე, *(გარდ. 1629 წ.) თბილისის, ცხინვალისა და დვალეთის მოურავი. ჩანახატი კრისტოფორო დე კასტელის ალბომიდან, XVII ს.*

ოსები, როგორც საქართველოს მკვიდრნი, მონაწილეობდნენ ქვეყნის შეიარაღებული ძალების ფორმირებაში, ჩრდილოკავკასიელ ოსებს კი ქართველი მეფეები კვლავ ქირით იწვევდნენ. წერილობით წყაროებში ადგილობრივი და დროებით მოწვეული ოსები უკვე განირჩევიან ერთმანეთისგან და იწოდებიან პირაქეთ (ე.ი. სამხრეთელ) და პირიქით (ჩრდილოელ) ოსებად. მაგალითად, 1752 წლის ამბების აღწერისას ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი აღნიშნავს, რომ თეიმურაზმა და ერეკლემ შაქის სახანოზე სალაშქროდ „შემოიყარეს ჯარი ქართლისა და კახეთისა, პირიქით და პირაქეთ ოსისა, მოხევე-ხევსურნი და ყოველი მთის ჯარები“ [22,191].

შემონახულია ერეკლე II-ის წერილები მთიელი მეომრების მოწვევა-დაქირავების თაობაზე. მაგალითად, 1791 წლის 29 ივლისით დათარიღებულ წერილში მეფე ერეკლე სტეფანწმინდის მოურავს გაბრიელ ყაზიბეგაშვილს სწერს: „…ახლავ უნდა შეატყობინოთ და მოამზადოთ. ჩერქეზნიც უნდა მოამზადოთ, თაგაურებიც, ანგუშტელებიც, ქისტებიც, ღლიღვებიც (*ანგუშტი, ქისტეთი, ღლიღვი* – ინგუშური თემები იყო. – გ.ა.) და სხვანიც… ჩვენ მაგათთვის ცალ-ცალკე წიგნები მიგვიწერია მომზადებისა. და ჩვენი კაცი და წიგნი როდესაც მოუვიდესთ მაშინ უნდა დაუაროთ და დასძრათ ის ჯარები და როგორც დაგვებარებინოს ისე საჩქაროთ გამოისტუმროთ“ [56,133].

მთიელთა ლაშქარი ერეკლე II-ს იმ განუწყვეტელი ომებისათვის სჭირდებოდა, რომელსაც ქართლ-კახეთის სამეფო აწარმოებდა გარეშე მტრების წინააღმდეგ. სამხედრო მოქმედებებში მთავარ ძალას წარმოადგენდა ადგილობრივი ლაშქარი ანუ „ქვეყნის ჯარობა“, თუმცა მოკავშირეთა და დაქირავებული კონტინგენტის როლიც მნიშვნელოვანი იყო. ერეკლეს მუდმივ წარმომადგენლებს ჩრდილო კავკასიაში, რომლებიც მოხალისეებს აგროვებდნენ, მეფის სახელით წლიური ჯამაგირი ეძლეოდათ. მაგალითად, 1785 წლის 22 ოქტომბრითაა დათარიღებული წერილი თაგაურელი ბეზა ადლიშვილისადმი: „ჩვენ, სრულიად საქართუჱლოს მეფემან ირაკლი მეორემან გაგიჩინეთ ჯამაგირი შენ ჩვენს ერთგულსა და სამსახურის მოწადინეს თაგაურს ადლიშვილს ბეზას წელიწადში თორმეტის მარჩილის ფარჩა. თუ შენ ჩვენს ერთგულად სამსახურსა შინა იქნები ამ ჩვენს განწესებულს ჯამაგირს ჩვენის კარის მოხელენი ყოველს წელიწადს უკლებლად მოგცემენ და არ მოგეშლება იცოდე“ [56, 50]. მართლაც, ამავე დოკუმენტზე არსებულ მინაწერებში აღნიშნულია, თუ რამდენჯერ და როდის მიიღო ბეზამ კუთვნილი სარგო. ასევე ვხედავთ, რომ ერეკლეს

ერეკლე II. *კახეთის მეფე 1744-1762 წწ.*
ქართლ-კახეთის მეფე 1762-1798 წწ.

გარდაცვალების შემდეგ მის მემკვიდრეს, გიორგი XII-ს, განუახლებია წყალობის წიგნი 1799 წელს.

ქართველი მეფეები იმ მთიელ თავკაცებსაც აჯილდოებდნენ, ვისაც თავისი ხალხი გადმოჰყავდა ქართლში მტრის შემოსევებით დაცარიელებული ადგილების ასათვისებლად. შემონახულია ერეკლე II-ის მიერ 1794 წელს გაცემული საბუთი ნარელი თუჯი ქუნდუხაშვილისადმი, რომელსაც მეფემ აზნაურობა მიანიჭა ნარელი ოსების ჩამოყვანისათვის. „ეს წყალობა გვიქნია შენთვის და შენის შვილებისათვის, – აღნიშნულია დოკუმენტში, – რომ აზნაურისშვილობის პატივი გქონდესთ და თარხანნი იყვნეთ ყოვლისა ბეგარისა და გამოსაღებისაგან, თვინიერ ლაშქარ-ნადირობისაგან“* [56, 138]. ამრიგად, ქართლში დამკვიდრებული თუჯი ქუნდუხაშვილი და მისი შთამომავლობა თავისუფლდებოდნენ ყოველგვარი ბეგარა-გადასახადისგან, გარდა სამხედრო სამსახურისა.

ერეკლე II ზრუნავდა ბრძოლაში დაცემული მეომრების ოჯახთა მატერიალურ უზრუნველყოფაზეც. მაგალითად, 1786 წელს მეფე ცხინვალში მამულის ბოძების საბუთს უახლებს ნარელ დოხჩიყო ხეთაგურს, იმის აღსანიშნავად, რომ მისი შვილიშვილი ბოლათიყო 1770 წელს ასპინძის ბრძოლაში „მჯნეთ გაისარჯა“ და დაიღუპა [56, 58-59].

ასპინძის ბრძოლა, ფაქტობრივად, რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომის ერთ-ერთი ეპიზოდი იყო; ამ ომში რუსეთს აქტიურად ეხმარებოდნენ ქართველი მეფეები – ერეკლე II და სოლომონ I, რომლებსაც ოსმალთა მიერ დაპყრობილი ქართული მიწების განთავისუფლების იმედი ჰქონდათ. ეს იმედი არ გამართლდა. სამაგიეროდ, რუსეთის იმპერიამ ამ ომის შედეგად მნიშვნელოვნად განიმტკიცა პოზიციები ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთსა და წინაკავკასიაში**. 1774 წელს სოფელ ქუჩუკ-კაინარჯაში (თანამედროვე ბულგარეთი) დადებული ზავით, დამარცხებულმა ოსმალეთმა, გარკვეული ტერიტორიების დათმობის გარდა, აღიარა რუსეთის უფლებები მანამდე დამოუკიდებელ ყაბარდოზე. ყაბარდოსთან ერთად რუსეთის სამფლობელოდ გამოცხადდა ოსეთიც, როგორც ყაბარდოზე დამოკიდებული ქვეყანა. ამ ფაქტიდან გამომდინარე, ზოგიერთი ისტორიკოსი (და არა მხოლოდ ისტორიკოსი) დღეს ამტკიცებს, თითქოს 1774 წელს რუსეთის შემადგენლობაში შევიდა მთელი ოსეთი, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიის (ანუ საქართველოს ნაწილის) ჩათვლით. ქუჩუკ-კაინარჯის ხელშეკრულების ტექსტი კარგად არის ცნობილი და მისი ასეთი გააზრება სრულიად გაუმართლებელია. საზავო ტრაქტატში იგულისხმება მხოლოდ თანამედროვე ჩრდილო ოსეთის მთიანი ნაწილი (ისტორიული დვალეთის გამოკლებით), რომლის მმართველი ოსი ფეოდალები ყაბარდოელი თავადების ვასალები იყვნენ. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ზემოხსენებული დიპლომატიური აქტისა, ყაბარდო და ჩრდილო ოსეთი რუსეთის იმპერიამ საბოლოო ჯამში გაცილებით გვიან დაიმორჩილა, 1825-1830 წლებში, ისიც არაერთი სამხედრო ექსპედიციის შემდეგ.

---

* ლაშქარ-ნადირობა – ლაშქრობებსა და სამეფო ნადირობაში მონაწილეობა, რაც სამხედრო მომზადების ერთ-ერთი ფორმა იყო.

** წინაკავკასია – კავკასიონის მთისწინეთიდან ჩრდილოეთისკენ გადაჭიმული დაბლობი.

რაც შეეხება დვალეთსა და სამხრეთელი ოსებით დასახლებულ ტერიტორიებს, ისინი რუსეთის შემადგენლობაში აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად შევიდნენ 1801 წელს.

ე) რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში; **XIX საუკუნე და XX საუკუნის დასაწყისი**. 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფო გაუქმებულ იქნა რუსეთის მთავრობის მიერ, რომლის ჯარები აქ იმყოფებოდნენ რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთს შორის არსებული სამფარველო ხელშეკრულების ძალით. ანექსიამ ქართული მოსახლეობის ფართო ფენების უკმაყოფილება გამოიწვია. რუსი სამხედროები და მოხელეები ძარცვავდნენ და ავიწროებდნენ ხალხს, ხოლო იმათ, ვინც თუნდაც მცირეოდენ პროტესტს გამოხატავდა, სასტიკად სჯიდნენ. ამან აღმოსავლეთ საქართველოში რამდენიმე ანტირუსული გამოსვლა გამოიწვია, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია 1802, 1804, 1810 და 1812-1813 წლების აჯანყებები. ქართველები და ოსები კვლავ მხარდამხარ იბრძოდნენ ქართველი უფლისწულების დროშის ქვეშ, რომლებსაც ბაგრატიონთა მონარქიის აღდგენა სურდათ. სამთავრობო ჯარებმა ძალთა დიდი დაძაბვით მოახერხეს აჯანყებების ჩახშობა, მაგრამ მიღებულმა გამოცდილებამ კავკასიის რუსული ადმინისტრაცია აიძულა, რამდენადმე შეერბილებინა თავისი პოლიტიკა საქართველოში და აღეკვეთა მოხელეთა შეუზღუდავი თვითნებობა. ამასთან, ქართლ-კახეთის სამეფო სახლის წევრები რუსეთში იყვნენ გასახლებულნი.

XIX საუკუნის 30-50-იან წლებში საქართველოში, ძირითადად, სტაბილური სიტუაცია მყარდება, რაც, თავის მხრივ, განპირობებული იყო სამხრეთ კავკასიაში რუსეთის პოზიციების გაძლიერებით. ვითარდება სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, მრეწველობა, იზრდება მოსახლეობა. ამ პერიოდში ინტენსიურად მიმდინარეობს ფეოდალური ნატურალური მეურნეობის რღვევა და ფულად-სასაქონლო ურთიერთობების ზრდა.

ოსებს, ისევე როგორც სხვა მთიელებს, სასიცოცხლოდ სჭირდებოდათ ბართან ურთიერთობა. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება ზამთრის საძოვრებს, რაც აუცილებელი პირობაა მთიელთა წამყვანი სამეურნეო დარგის – მესაქონლეობის – განვითარებისთვის. ამასთან, მთის მოსახლეობა ბარიდან იღებდა იმ პროდუქტებს, რაც არ იწარმოებოდა მთაში. ჯერ კიდევ ვახუშტი აღნიშნავს, რომ ოსები მათთვის საჭირო საქონელს ქართლიდან, რაჭიდან და ჩერქეზეთიდან იღებენო. სამაგიეროდ, იმერეთისა და ქართლის ბაზრებზე გადიოდა ოსური შალის, თექისა და ტყავის ნაწარმი, რძის პროდუქტები და სხვ. ახალ სამეურნეო პირობებში ვაჭრობა და, აქედან გამომდინარე, ბართან ურთიერთობები უფრო მეტად გაიზარდა. XIX საუკუნის 40-იანი წლების მასალებით, სამხრეთელ ოსთა ოჯახებში შეიძლებოდა გენახათ თბილისში შეძენილი ქვეშაგები, ბალიშები, ხალიჩები, სპილენძის, თუჯის, მინის, ფაიფურის ნაწარმი და ა.შ. გ.თოგოშვილის სიტყვებით: „სიშორისა და უგზოობის მიუხედავად, ოსები თბილისის ბაზართან საკმაოდ მტკიცედ დაკავშირებულები ჩანან. ოსები ურმებით შორეული სოფლებიდანაც კი ეზიდებოდნენ საქონელს და მისი გაყიდვის შემდეგ საჭირო საქონელს იძენდნენ“ [13, 23].

XIX საუკუნის შუა ხანებისთვის ბევრი ოსი სამუშაოდ ჩამოდის თბილისში, ზოგი – მუდმივად საცხოვრებლად რჩება და პოლიეთნიკური ქალაქის მოსახლეობაში გარკვეულ ადგილს იკავებს. ეს კარგად ჩანს ცნობილ „არსენას ლექსში“, რომელიც 1840-იანი წლებით თარიღდება:

მთელი ქალაქის ბიჭები მტრედის გუნდივით დასდევსა:
იმერლები იძახიან: კი, კი, კი-სა და ქვე, ქვე-სა!
სომხები გაიძახიან, ლავე ბიჭი არი ესა!
ოსები კი იძახოდნენ, ხორზუ, ხორზუ არი ესა!
რუსები – ოჩენ ხაროში, ეი ბოღუ მალადეცა!

გაცილებით უფრო ფართო მასშტაბი ჰქონდა უმიწობით შეწუხებული მთიელი ოსი გლეხების გადასახლებას ქართლისა და კახეთის ბარში (ახლანდელი გორის, ქარელის, დუშეთის, ახმეტისა და სხვა მუნიციპალიტეტები) და თრიალეთის ქედის კალთებზე, რაც ასევე, ძირითადად, XIX საუკუნეში ხდება.



იოანე იაღლუზისძე (გაბართი) *1775-1830.*
ოსი პოეტი, პედაგოგი და მთარგმნელი

ამ პერიოდში საქართველოში მცხოვრები ოსებისათვის თბილისი არა მარტო ადმინისტრაციული და ეკონომიკური, არამედ, როგორც აღნიშნავს ცნობილი მეცნიერ-ლინგვისტი, საქართველოში დაბადებული ვასილ აბაევი, აგრეთვე განათლებისა და კულტურის მნიშვნელოვანი ცენტრი იყო. აქ აუცილებლად უნდა მოვიხსენიოთ **იოანე იალღუზიძე** (გაბარათი) (1775-1830) – პოეტი, პედაგოგი და მთარგმნელი, რომლის მოღვაწეობის დიდი ნაწილი თბილისში ცხოვრების პერიოდს ემთხვევა. იგი დაიბადა სოფელ *ზალდაში* (დიდი ლიახვის ხეობა), აზნაურის ოჯახში, და ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის პროტექციით ჩინებული სასულიერო განათლება მიიღო. იალღუზიძე შესანიშნავად ფლობდა ქართულ, ოსურ და რუსულ ენებს. ადრევე შეუდგა ქართული ხელნაწერი წიგნების გადაწერას: გადაუწერია „ვეფხისტყაოსანი“ (ორჯერ), სულხან-საბას „სიტყვის კონა“ და სხვა საერო თუ სასულიერო შინაარსის წიგნები. ქართულიდან ოსურად თარგმნიდა სასულიერო ლიტერატურას (მათ შორის, უთარგმნია ოთხთავი). თბილისის სასულიერო სემინარიაში ოს ბავშვებს ასწავლიდა რუსულ და ქართულ ენებს. 1820 წელს იალღუზიძემ ქართული გრაფიკის საფუძველზე შეადგინა ოსური ანბანი, რომელსაც იყენებდნენ როგორც საქართველოში, ასევე ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ოსები. 1821 წელს მანვე შეადგინა პირველი საანბანო წიგნი ოსურ ენაზე.

თბილისის სასულიერო სემინარია. *დაარსდა 1817 წელს*

განათლებული ოსი ქალები

მისი პოეტური შემოქმედებიდან აღსანიშნავია ქართულ ენაზე დაწერილი პოემა „ალღუზიანი“ (გამოიცა თბილისში 1885 წ.), რომელშიც მოთხრობილია ლეგენდარული ოსთა მეფე ალღუზონის საგმირო საქმეები.

ოსური კულტურის განვითარების საქმეში დიდი როლი შეასრულა 1817 წელს გახსნილმა თბილისის სასულიერო სემინარიამ, სადაც საფუძვლიანი განათლება მიიღო როგორც საქართველოში, ასევე ჩრდილო ოსეთში დაბადებულმა ათეულობით ოსმა ახალგაზრდამ. მათ შორის ბევრი ცნობილია, როგორც სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, განმანათლებელი, დამსახურებული პედაგოგი, მწერალი, პუბლიცისტი და ა.შ.

1880-იანი წლების ბოლოსთვის ჩნდებიან თბილისში განათლებამიღებული ოსი ქალებიც, კერძოდ, ეპარქიალური ქალთა სასწავლებლის კურსდამთავრებულნი.

XVII-XVIII საუკუნეების ქართულ წყაროებში ქართლის მთიანეთის ოსებით დასახლებული ნაწილი ზოგჯერ ოსეთად იწოდება მისი მოსახლეობის გამო, თუმცა, ცხადია, ეს არ შეიძლება ისე გავიგოთ, თითქოს აღნიშნული ტერიტორია საქართველოს ნაწილი აღარ იყო. პოლიტიკურად ცენტრალური კავკასიონის სამხრეთი კალთები, ხოლო ნაწილობრივ – ჩრდილოეთიც, ქართული

ოსური ოჯახი

სახელმწიფოს შემადგენლობაში შემოდიოდა უკვე რამდენიმე საუკუნით ადრე ქრისტეს შობამდე და ეს სურათი არ შეცვლილა 1801 წლამდე, როდესაც ქართლ-კახეთის სამეფო ანექსირებულ იქნა რუსეთის მიერ. რუსეთის იმპერიაში ოსებით დასახლებული ქართული მიწები ემორჩილებოდა საქართველოში შექმნილ ტერიტორიულ ერთეულებს. მხოლოდ 1859 წელს კავკასიაში დაწყებული სამხედრო-ადმინისტრაციული რეფორმების მსვლელობაში ე.წ. ნარის უბანი (ისტორიული დვალეთი) თბილისის გუბერნიას ჩამოაჭრეს და შეიყვანეს ახალშექმნილი თერგის ოლქის შემადგენლობაში, რომელიც მოიცავდა ჩრდილო კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილს.

XIX საუკუნისა ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისის სხვადასხვა დოკუმენტში (მათ შორის, ქართულ ლიტერატურაშიც) კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთით, ოსებით დასახლებული ქართლის მთიანეთის ტერიტორია იხსენიება, როგორც „საქართველოს ოსეთი“, „ქართლის ოსეთი“, „სამხრეთ ოსეთი“, ხოლო მისი მოსახლეობა, შესაბამისად, – „ქართველი ოსები“, „ქართლის ოსები“, „საქართველოს ოსები“.

მკვიდრი წარმოდგენები:

- აფხაზები და ოსები უძველესი დროიდან ქართველ ხალხთან მჭიდრო კავშირში ცხოვრობდნენ;
- აფხაზებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნაში;
- ქართველებთან აფხაზებისა და ოსების თანაცხოვრება პოლიტიკური ალიანსებით, ერთიანი რელიგიით, საქორწინო კავშირებით მტკიცდებოდა;
- თანაცხოვრების მანძილზე ქართველების დაპირისპირებებს აფხაზებთან და ოსებთან ეთნიკური შუღლის ხასიათი არ ჰქონია უახლეს პერიოდამდე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ავალიშვილი გ., *მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე* / ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა. თბილისი, 1967.
2. ბერძენიშვილი ნ., *მცირე შენიშვნა დიდი საკითხის გამო*/ /მისივე, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. III, თბილისი, 1966.
3. ბერძენიშვილი ნ., *აფხაზეთის შესახებ*/ /მისივე. საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. III, თბილისი, 1966.
4. ბერძენიშვილი ნ., *პ.ინგოროყვას წიგნის – „გიორგი მერჩულეს“ გამო*/ /მნათობი, №12’ 1956.
5. ბერძენიშვილი ნ., *საქართველოს ისტორიის საკითხები*, თბილისი, 1990.
6. გადაღმელი, *„დროების“ კორესპონდენცია*/ /“დროება“, №216’1883.
7. *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში*, ტ. I, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. თბილისი, 1962.
8. დავლიანიძე ლ., *მათე ურჰაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ*/ /საქართველო რუსთაველის ხანაში, რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, თბილისი, 1966.
9. დე გრაი დე ფუას ცნობები საქართველოს შესახებ / ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ჯ. ოდიშელმა. თბილისი, 1985.
10. ვახუშტი ბატონიშვილი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა* / ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი, 1973.
11. თოგოშვილი გ., *საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან (უძველესი დროიდან XIV ს. დამლევამდე)*, სტალინირი, 1958.
12. თოგოშვილი გ., *საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV-XVIII სს.*, თბილისი, 1969.
13. თოგოშვილი გ., *ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობა (1801-1821 წწ.)*, თბილისი, 1969.
14. თოვმა მეწოფეცი, *ისტორია თემურ ლენგისა და მისი შთამომავლებისა* / ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო კ. კუციამ. თბილისი, 1987.
15. ინგოროყვა პ., *გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა*, თბილისი, 1954.
16. იოანე ბაგრატიონი, *ქართლ-კახეთის აღწერა* / ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თ. ენუქიძემ და გ. ბედოშვილმა. თბილისი, 1986.
17. ლამბერტი, არქანჯელო, *სამეგრელოს აღწერა* / თარგმანი იტალიურიდან ა. ჭყონიასი, თბილისი, 1938.
18. ლომთათიძე ქ., *აფხაზთა ვინაობისა და განლაგების ზოგიერთი საკითხის შესახებ (პ.ინგოროყვას ნაშრომის „გიორგი მერჩულეს“გამო)*/ /მნათობი, №12’1956.
19. ლომოური ნ., *სიმონ ყაუხჩიშვილი, მეცნიერი, მოძღვარი, ერისკაცი, მოქალაქე*, თბილისი, 1996.
20. მეუნარგია ი., *ცხოვრება და ღვაწლი თ-ის გრიგოლ ორბელიანისა*/ /„მოამბე“, №7’1904.
21. მუსხელიშვილი დ., *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები*, I, თბილისი, 1977.
22. ორბელიანი პაპუნა, *ამბავნი ქართლისანი*, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე.ცაგარეიშვილმა. თბილისი, 1981.
23. *ოსმალური დოკუმენტური წყაროები ანაკლიისა და რუხის ციხეების შესახებ (XVII-XVIII სს.)*, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, ტერმინოლოგიური ლექსიკონით, ფაქსიმილეებითა და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შენგელიამ. თბილისი, 1982.
24. *ოსმალური დოკუმენტური წყაროები აფხაზეთისა და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის შესახებ (XVII-XVIII სს.)* / თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, ტერმინოლოგიური ლექსიკონით, ფაქსიმილეებითა და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადეს გ.ანჩაბაძემ და ნ.შენგელიამ. თბილისი, 2012.
25. *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. IV, თბილისი, 1973.

26. *ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ* / თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ. თბილისი, 1978.
27. *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, 1955.
28. *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი, 1959.
29. ყორანაშვილი გ., *საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხი*, თბილისი, 2000.
30. წერეთელი მ., *ხეთის ქვეყანა, მისი ხალხები, ენები, ისტორია და კულტურა*, სტამბოლი, 1924.
31. ჭარაია პ., *მიწისმფლობელობა აფხაზეთში*/ /კვალი, #12-14'1897.
32. ჯავახიშვილი ივ., ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა/ /მისივე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. X, თბილისი, 1992.
33. ჯავახიშვილი ივ., *საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები*, წიგნი I, თბილისი, 1950.
34. ჯავახიშვილი ივ., *ქართველი ერის ისტორია*, წიგნი I, მეხუთე გამოცემა, თბილისი, 1960.
35. *Акты, собранные Кавказской Археографической комиссией*, Т. VI, ч. 2 / Под ред. А.Берже, Тифлис, 1875.
36. Анчабадзе З.В., *Вопросы истории Абхазии в книге П.Ингороква «Георгий Мерчуле – Грузинский писатель X века»*/ /Труды Абхазского института языка, литературы и истории им Д.И.Гулиа АН Грузинской ССР, Т.27.
37. Анчабадзе З.В., *Из истории средневековой Абхазии* (VI–XVII вв.), Сухуми, 1959.
38. Анчабадзе З.В., *История и культура древней Абхазии*, Москва, 1964.
39. Анчабадзе З.В., Дзидзария Г.А., Дружба извечная, нерушимая: Очерки из истории грузино-абхазских отношений, Сухуми, 1972.
40. Бгажба Х.С., *Некоторые вопросы этнонимики и топонимики Абхазии (В связи с работой Павле Ингорква «Георгий Мерчуле»)*/ /Труды Абхазского института языка, литературы и истории им Д.И.Гулиа АН Грузинской ССР, Т.27, 1956.
41. Болтунова А.И., *К вопросу о социально-политической организации колхов*/ / Демографическая ситуация в Причерноморье в период великой греческой колонизации, Материалы II Всесоюзного симпозиюма по древней истории Причерноморья, Тбилиси, 1981.
42. Витсен, Николай, *Северная или Восточная Татария или сжатый очерк нескольких стран и народов*/ /Адыги, балкарцы и карачаевцы в известиях европейских авторов XIII-XIX вв. / Составление, редакция переводов, введение и вступительные статьи к текстам В.К.Гарданова, Нальчик, 1974.
43. Гамкрелидзе Т.В., Иванов В.В., *Индоевропейский язык и индоевропейцы*, Часть II, Тбилиси, 1984.
44. Гиоргадзе Г.Г., *Неиндоевропейские этнические группы (хатты, каски) в древней Анатолии по хеттским клинописным текстам*/ /Разыскания по истории Абхазии/ Грузия / Ред.Г.Жоржолиани, Эд.Хоштария-Броссе, Тбилиси, 1999.
45. Джавахишвили И.А., *Основные историко-этнологические проблемы истории Грузии, Кавказа и Ближнего Востока древнейшей эпохи*/ /Вестник Древней Иистории, №4'1939.
46. Джанашиа С.Н. [*Абхазия в составе Колхидского царства и Лазики. Образование «Абхазского царства»*]/ /საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №2'1991.
47. Джапаридзе О.М., *На заре этнокультурной истории Кавказа*, Тбилиси, 1989.
48. Дзидзария Г.А., *Махаджирство и проблемы истории Абхазии XIX столетия*, Сухуми, 1982.
49. *Жузе П.*, *Грузия в XVII столетии по изображению патриарха Макария*, Отдельный оттиск из журн. «Православный собеседник», Казань, 1905.

50. Инал-ипа Ш.Д., *Абхазы*, Сухуми, 1965.
51. Кабардино-русские отношения в XVI–XVIII вв., Документы и материалы в 2-х томах, Т. II. / Составитель В.М.Букалова, Москва, 1957.
52. Ломоури Н.Ю., *Абхазия в античную и раннесредневековую эпохи*, Тбилиси, 1997.
53. Ломтатидзе К.В., *Абазинский язык*/ /Языки народов СССР, Т. 4, Иберийско-Кавказские языки, Москва, 1967.
54. Лордкипанидзе О.Д., *Наследие древней Грузии*, Тбилиси, 1989.
55. Марковин В.И., *Дольменная культура и вопросы раннего этногенеза абхазо-адыгов*, Нальчик, 1974.
56. Межкавказские политические и торговые связи Восточной Грузии (конец 60-х – начало 90-х годов XVIII в.), Документы и материалы, II выпуск. Материалы подобрал и подготовыл к печати В.Н.Гамрекели, Тбилиси, 1991.
57. Меликишвили Г.А., *К истории древней Грузии*, Тбилиси, 1959.
58. Пахомов Е.А., *Монеты Грузии*, Тбилиси, 1970.
59. Соселия Г.К., *Вопреки и исторической правде*/ /Газета «Советская Абхазия», №247’1955.
60. Сталь К.Ф., *Этнографический очерк черкесского народа*/ /Каввказский сборник, Т.XXI, Тифлис, 1900.
61. Чикобава А.С., *Картвельские языки, их исторический состав и древний лингвистический облик*/ /Иберийско-кавказское языкознание, II, Тбилиси, 1948.

თავი 4.

აფხაზები და ოსები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.)

ოთარ ჯანელიძე

საკვანძო შეკითხვები:

- რაც ვიცით, საიდან ვიცით აფხაზებისა და ოსების მდგომარეობაზე საქართველოს პირველი რესპუბლიკის პერიოდში?
- რატომ ვერ შენარჩუნდა აფხაზ და ოს ეთნოსებთან ისტორიულად არსებული ურთიერთობები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში?
- რატომ აღმოჩნდა შეუთავსებელი ბოლშევიკთა ინტერესები, აფხაზური და ოსური ნაციონალური პროექტები ქართულ სახელმწიფოებრივ პროექტთან?

1. ეროვნულ უმცირესობათა საკითხი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში

საქართველო ისტორიულად მრავალეთნიკური ქვეყანაა. 1918 წლის მაისში, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნისას, აქ ქართველების გვერდით სხვა არაერთი ეთნოსის წარმომადგენელი მკვიდრობდა. მათ შესახებ ძირითადი ცნობები ქართულ წერილობით წყაროებშია შემორჩენილი, რადგან ეროვნულ უმცირესობათა უმეტესობას მშობლიურ ენაზე მსგავსი წყაროები არ გააჩნდა. 1918-1921 წლებში აფხაზებისა და საქართველოში მცხოვრები ოსების ისტორიის ირგვლივ მრავალფეროვანი დოკუმენტური მასალა თავმოყრილი საქართველოს ეროვნულ არქივსა და სხვა სიძველეთსაცავებში. დღეისათვის ამ მასალის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია გამოქვეყნებული [2; 37; 40]. მრავალი საგულისხმო ცნობა მოიძიება იმდროინდელ პერიოდულ პრესაში (გაზეთები: „ერთობა“, „საქართველო“, „საქართველოს რესპუბლიკა“, „სახალხო საქმე“...) [9], მემუარული ხასიათის ლიტერატურაში [3; 14; 35] და სხვ.

რაც შეეხება ისტორიოგრაფიას, არც აფხაზებსა და არც ოსებს იმხანად საკუთარი ისტორია, მით უფრო, თანადროული, შესწავლილი არ ჰქონიათ. ამ რეგიონების, როგორც ცალკე პოლიტიკური ერთეულების ისტორიის შესახებ, პირველი ნაშრომები გასული საუკუნის 90-იან წლებში შეიქმნა. მათი გამოქვეყნება საბჭოთა იმპერიის რღვევას, მოკავშირე რესპუბლიკებისა თუ ავტონომიური ერთეულების სუვერენიტეტისაკენ სწრაფვას დაემთხვა და არსებითად ამ მოვლენითვე იყო განპირობებული. ახლად გამოსული წიგნები [39; 28; 41; 33; 27; 38; 36] **ეთნოცენტრიზმზეა** (სხვათა ისტორიისა თუ კულტურის მიკერძოებული განსჯა საკუთარი კულტურის ან ეთნიკური უპირატესობით) დაფუძნებული და მათში მნიშვნელოვანი დოზით ისტორიით მანიპულირებაც შეინიშნება.

1897 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობა დაახლოებით 2 მილიონ ასიათას ადამიანს შეადგენდა. მათ შორის:

ქართველი – 69,4%	სომეხი -10,3%
რუსი – 5,3%	ოსი – 4,2%
აზერბაიჯანელი – 4,2%	აფხაზი – 2,2%
ბერძენი – 2,0%	ებრაელი – 0,9%
გერმანელი – 0,4%	დანარჩენი – 1,1%

წყარო: ეთნოსები საქართველოში, თბილისი, 2008, გვ. 21.

სოხუმის ოლქის (აფხაზეთი) მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა 1917 წლისთვის

ეთნიკური კუთვნილება	**რაოდენობა**	**%**
ქართველები (უპირატესად მეგრელები და სვანები)	74,846	42.1
აფსუა (აფხაზები)	28,121	21.4
რუსები და უკრაინელები	20,893	11.7
ბერძნები	20,673	11.7
სომხები	18,212	10.2
სხვები (ესტონელები, გერმანელები და სხვ,)	5,087	2.9
სულ	167,832	100

წყარო: ენდრიუ (ანდრეას) ანდერსენი, აფხაზეთი და სოჭი კონფლიქტის ფესვები 1918-1921, თბილისი, 2016, გვ. 13.

ეთნოცენტრიზმისაგან დაზღვეული არ არის არც იმავე პერიოდში გამოცემული ქართველ ისტორიკოსთა ცალკეული პუბლიკაციები, თუმცა მოგვეპოვება დოკუმენტური მასალებითა და მათი მეცნიერული ანალიზით გამორჩეული გამოკვლევები და განმაზოგადებელი წიგნებიც [11; 32; 25; 16; 1]. დასახელებულ საისტორიო ნაშრომებში 1918-1921 წლების მხოლოდ პოლიტიკური დაპირისპირების პერიპეტიებია აღწერილი. მათში საერთოდ არ არის ასახული ან ნაკლებადაა გაშუქებული აფხაზებისა და ოსების სოციალური, ეკონომიკური, საზოგადოებრივი თუ კულტურული ცხოვრების მდინარება. ამასთან, ქართულ, აფხაზურ და ოსურ საისტორიო ნარატივში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდის მოვლენების ინტერპრეტაცია და შეფასებები დიამეტრულად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მკვლევართა თვალსაზრისებისა და პოზიციების დაახლოებას დრო დასჭირდება. ისტორიის ქართული, ოსური და აფხაზური ვერსიების შეჯერება და „ზიარი ისტორიის“ დაწერა მომავლის საქმეა.

ეროვნული უმცირესობების, როგორც მაშინ უწოდებდნენ, „ნატეხი ერების“, უფლებების განსაზღვრა-დამკვიდრების პრობლემა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურთა მუდმივი ყურადღების საგანს წარმოადგენდა. სამართლებრივ აქტებში („საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“, „კანონი მოქალაქეობის შესახებ“, „კანონი ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობისა საქართველოს ეროვნულ საბჭოში“) დეკლარირებული დაპირებები წინააღმდეგობრივად, მაგრამ თანმიმდევრულად ხორციელდებოდა პრაქტიკაში (წყარო 1). ეროვნულ უმცირესობებს ქვეყანაში ქართველებთან ჰარმონიული თანაცხოვრების, თავისუფალი სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესაძლებლობა ჰქონდათ.

1917 წლის 19-22 ნოემბერს ჩატარდა საქართველოს ეროვნული ყრილობა, რომელმაც აირჩია ეროვნული საბჭო. ეროვნულ საბჭოში კვოტით აფხაზებს – სამი და ოსებს ორი ადგილი გამოეყოთ.

საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრები

1919 წლის თებერვალში კი საყოველთაო და პირდაპირი არჩევნების გზით შეიქმნა საქართველოს დამფუძნებელი კრება. კრება ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო იყო, სადაც აფხაზეთიდან – ხუთი (ვარლამ შერვაშიძე, არზაყან (დიმიტრი) ემუხვარი, ვასილ გურჯუა (სამივე ეთნიკურად აფხაზი), დიმიტრი ზახაროვი და იოანის ფაშალიდისი), ხოლო ოსთაგან ორი დეპუტატი (გიორგი გაგლოევი და ალექსანდრე ფარნიევი) შევიდა.

ეროვნულ საბჭოში არჩეული დეპუტატები აფხაზეთიდან

ვარლამ შერვაშიძე
1888-1957
ექიმი, მეცნიერი, პოლიტიკოსი

არზაყან (დიმიტრი) ემუხვარი
1880-1939
პოლიტიკოსი

დიმიტრი ზახაროვი
1876-?
პოლიტიკოსი, იურისტი

ვასილ გურჯუა
1885-1924
პოლიტიკოსი

იოანის ფაშალიდისი
1885-1968
ექიმი, პოლიტიკოსი

არაქართველი ეროვნების მრავალი ადამიანი დასაქმებული იყო ცენტრალურ სახელმწიფო აპარატსა თუ თვითმმართველობის ადგილობრივ სტრუქტურებში. სხვა ეთნიკური ჯგუფების საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად, საფუძველი ეყრებოდა პირველდაწყებით განათლებას აფხაზურ და ოსურ ენებზე. მაგალითად, დაწყებითი ოსური სკოლები სახელმწიფოს ხარჯზე გახსნილი იყო რაჭის, შორაპნის, გორისა და დუშეთის მაზრებში. 1918 წლის ბოლოს ცხინვალში დაარსდა ოსური გიმნაზია, რომელსაც განათლების სამინისტრო აფინანსებდა [23; 34].

ეროვნულ საბჭოში არჩეული ოსი დეპუტატები

გიორგი გაგლოევი
1883-1937
პოლიტიკოსი

ალექსანდრე ფარნიევი *1883-?*
პოლიტიკოსი

მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელი ორგანოები (ცენტრალური კომიტეტი, ყრილობა) თუ სახელისუფლო სტრუქტურები ეროვნულ უმცირესობათა საკითხს განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებოდნენ [21]. განიხილებოდა ყველა ვარიანტი, რომლითაც ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვა სახელმწიფოს ინტერესების შეულახავად მოხდებოდა. ხანგრძლივი დებატების შემდეგ მივიდნენ საერთო პოზიციამდე – არაქართველი მოსახლეობისათვის მიენიჭებინათ ეროვნულ-კულტურული ავტონომია, რაც ითვალისწინებდა კომპაქტურად დასახელებულ ეროვნულ უმცირესობათა თვითმმართველი თემების დაფუძნებას, ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელობით, ასევე, ეროვნული სასამართლოს, ეროვნული სკოლის მოწყობას და სხვ. [10, 221]. ზოგიერთი ეროვნული უმცირესობა ამით არ კმაყოფილდებოდა და უფრო მეტზე აცხადებდა პრეტენზიას. მაგალითად, სომეხთა ეროვნული საბჭო თვითმმართველობას, სომხურისა და რუსულისათვის სახელმწიფო-ადმინისტრაციული ენის სტატუსის მინიჭებას მოითხოვდა, რაც არ განხორციელდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში ისეთი მგრძნობიარე პრობლემა, როგორიც ეროვნულ უმცირესობათა საკითხია, ცხადია, ბოლომდე და სრულად ვერ გადაიჭრებოდა და არც გადაჭრილა. ეროვნულ უმცირესობებს, ძირითადი

აქცენტი თავიანთ უფლებებზე გადაჰქონდათ, სახელმწიფო კი მათგან, ამ უფლებათა აღიარების პარალელურად, გარკვეული მოვალეობების შესრულებასაც მოითხოვდა; მაგალითად, სამხედრო ბეგარის მოხდას – შეიარაღებულ ძალებში (მუდმივ ჯარში ან ლაშქარში) სამსახურს.* სახელმწიფოსადმი ლოიალურად განწყობილი რესპუბლიკის არაქართველი ეროვნების მოქალაქენი ამ ბეგარას, უნდა ითქვას, რომ პატიოსნად იხდიდნენ და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში თავიანთი წვლილიც შეჰქონდათ.

2. ვითარება აფხაზეთში 1918 -1921 წლებში

ა) 1918 წლის ბოლშევიკური ექსცესები. 1905-1907 წლების რუსეთის პირველი სახალხო რევოლუციის პერიოდში საქართველოს ზოგიერთი კუთხე მოცული იყო პოლიტიკური პროტესტითა და ცარიზმის წინააღმდეგ მიმართული რევოლუციური მოძრაობებით მაშინ, როცა ამ დროისთვის აფხაზეთში შედარებით მშვიდი ვითარება სუფევდა (წყარო 2)**.** აქ სამრეწველო საწარმოები და მათში დასაქმებულ მუშათა რაოდენობა მცირე იყო. ამდენად, აფხაზეთში დიდი რევოლუციური აქტივობა არ შეინიშნებოდა. მუშებს შორის აფხაზების წილიც უმნიშვნელო იყო, რადგან მათი უმეტესობა ურბანული სივრცეებიდან მოშორებით ცხოვრობდა. აფხაზეთში მუშათა მასა, ძირითადად, ქართველი, რუსი და ბერძენი ეროვნების წარმომადგენლებისაგან შედგებოდა.



ბენია ჩხიკვიშვილი
1880-1924 ქართველი პოლიტიკოსი. სოციალ-დემოკრატი

გამოსვლების მონაწილე გლეხობის წიაღშიც აფხაზებს ადგილობრივი ქართველები და სხვა ეროვნების გლეხები სჭარბობდნენ. XX საუკუნის დასაწყისში აფხაზებს თვითმპყრობელობასთან დასაპირისპირებლად იარაღი არ აღუმართავთ. როგორც კავკასიის მაშინდელი მეფისნაცვალი ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი აღნიშნავდა, მათ 1905 წლის არეულობისას მთავრობისადმი ლოიალობა შეინარჩუნეს და გამოცდა ღირსეულად ჩააბარეს. იმ დროს რეგიონში რეპრესირებული 46 რევოლუციონერიდან მხოლოდ სამი იყო ეთნიკურად აფხაზი (პლატონ და არზაყან (დიმიტრი) ემუხვარები და ვასილ გურჯუა). ამის გამოც იყო, რომ იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ აფხაზებს „დამნაშავე მოსახლეობის“ სტატუსი მოუხსნა, რომელიც მათ უსამართლოდ ჯერ კიდევ 1880 წელს მიაკერეს [28, 274-275].

ნესტორ ლაკობა
1893-1936, აფხაზი ბოლშევიკი

აფხაზეთში ბოლშევიკები რუსეთში 1917 წლის ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ გამოჩნდნენ და თავდაპირველად მხოლოდ სოხუმის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში დომინირებდნენ. ამ დროს მთელ სოხუმის ოლქში რეალურ ძალაუფლებას საზოგადოებრივი უსაფრთხოების საოლქო კომიტეტი და სოხუმის მუშათა დეპუტატების საბჭო ფლობდა, რომლებშიც უმრავლესობას სოციალ-დემოკრატი მენშევიკები შეადგენდნენ. სოხუმის სათათბიროსაც სათავეში ქართველი

* გამონაკლისს შეადგენდნენ მუსლიმები და დუხობორები, რომლებიც ამ ვალდებულებისაგან თავისუფალნი იყვნენ. 1919 წელს საქართველოს მთავრობამ ეს შეღავათი დროებით აფხაზებზეც გაავრცელა და მათ სამხედრო სამსახურში მოხალისეებად შესვლის უფლება მისცა.

სოციალ-დემოკრატი **ბენია ჩხიკვიშვილი** ედგა. ამ სტრუქტურების პარალელურად, 1917 წლის ნოემბერში დაფუძნდა აფხაზთა სახალხო საბჭოც. მათ განკარგულებაში იყო 300 რუსი ჯარისკაცისაგან დაკომპლექტებული, სახელდახელოდ შექმნილი წითელი გვარდია და ფრონტიდან დაბრუნებული აფხაზ ცხენოსანთა ასეული. 1917 წლის დეკემბერში კი აფხაზმა ბოლშევიკმა **ნესტორ ლაკობამ** გლეხთა ინტერნაციონალური რაზმი „კიარაზ“-ი* ჩამოაყალიბა. ეს რაზმი არც ერთ ზე-

ეფრემ ეშბა
1893-1939
აფხაზი ბოლშევიკი



გიორგი ათარბეკოვი (ათარბეკიანი)
1892-1925. სომეხი ბოლშევიკი

ი. ანტონოვი
რუსი ბოლშევიკი

სევერიან კუხალაშვილი
ქართველი ბოლშევიკი

მოთ დასახელებულ სტრუქტურას არ ცნობდა, მისი წევრები თავს ესხმოდნენ ადგილობრივ მემამულეებს და ხელში იგდებდნენ მათ მიწებს, იტაცებდნენ და ისაკუთრებდნენ დრანდისა თუ მოქვის ეკლესია-მონასტრების ქონებას.

ბოლშევიკებმა მთავარ დასაყრდენ ძალად სწორედ ეს რაზმი გაიხადეს, სხვა შეიარაღებული ფორმირებები მათ დასახმარებლად რუსეთის მხრიდან შემოდიოდნენ. საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის სახელმძღვანელოდ დაარსდა სოხუმის საოლქო რევოლუციური კომიტეტი (რევკომი) **ეფრემ ეშბას** ხელმძღვანელობით. აფხაზ ბოლშევიკებს მხარში ედგნენ რუსი, ქართველი თუ სომეხი ბოლშევიკები (გ. ათარბეკოვი, ი. ანტონოვი, ს. კუხალაშვილი და სხვ.).

1918 წლის თებერვლის შუა რიცხვებში ბოლშევიკებმა აფხაზეთში ძალაუფლების ხელში ჩაგდება სცადეს. მათ ისარგებლეს სოხუმში შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურთა გამოჩენით და საესკადრო ნაღმოსნიდან ცეცხლი გახსნეს ქალაქის მიმართულებით. ბოლშევიკთა მიერ შექმნილი და საგანგებო უფლებით აღჭურვილი სახელისუფლებო ორგანო – რევკომი – სოხუმში ძალაუფლებას დაეუფლა, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე დღით შეინარჩუნა. ეთნიკურად აფხაზი მოსახლეობის ყრილობაზე არჩეულმა **აფხაზთა სახალხო საბჭომ** ეს ძალმომრეობა დაგმო და რევკომის ლიკვიდაცია მოითხოვა. საბჭოს დაქვემდებარებულმა წითელგვარდიელებმა და სახელდახელოდ შეკრებილმა აფხაზმა მებრძოლებმა, კოდორის ხეობის გლეხობის მხარდაჭერით, მდგომარეობა განმუხტეს.

1918 წლის გაზაფხულიდან აფხაზეთში მდგომარეობა კიდევ ერთხელ დაიძაბა. საბჭოთა რუსეთის ინიცირებითა და მხარდაჭერით, 8 აპრილს ბოლშევიკურმა რაზმებმა სოხუმი დაიკავეს, ადგილობრივი სახალხო საბჭო გარეკეს, სამხედრო რევკომები ჩამოაყალიბეს და მთელ აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს.

აფხაზთა სახალხო საბჭომ საკუთარი ძალებით ბოლშევიკთა თარეშისაგან თავდაცვა ვერ შეძლო. მან დახმარებისთვის საქართველოს ეროვნულ საბჭოსა და ამიერკავკასიის სეიმს – მხარის საკანონმდებლო წარმომადგენლობით ხელისუფლების ორგანოს – მიმართა. სახალხო საბჭოს პროოსმალურად განწყობილმა წევრებმა აფხაზეთში ოსმალეთის სამხედრო ძალა მიიწვიეს

* „კიარაზ“ – ასე ეწოდებოდა 1917-1921 წლებში აფხაზეთში გლეხთა და მუშათა შეიარაღებულ რევოლუციურ რაზმებს.

(წყარო 3). მალე მდინარე კოდორის მიდამოებში ბათუმიდან გადმოსხდა ათასკაციანი დესანტი, რომელიც, ძირითადად, მუჰაჯირების შთამომავლებისაგან შედგებოდა.

ამიერკავკასიის მთავრობის გადაწყვეტილებით, აფხაზეთში წესრიგის აღსადგენად გაიგზავნა სამხედრო შენაერთი სახალხო გვარდიის მეთაურის **ვალიკო ჯუღელის** წინამძღოლობით, რომელიც 9 მაისს ოჩამჩირეს მიადგა. ჯუღელმა ამბოხებულებს იარაღის დაყრა მოსთხოვა, მაგრამ მოწინააღმდეგემ სროლით უპასუხა. ბრძოლა რამდენიმე დღეს გაგრძელდა, აჯანყებულები გაიფანტნენ. 17 მაისს გვარდია სოხუმში შევიდა, ბოლშევიკებს ბრძოლით უკან დაახევინა (წყარო 4), თუმცა ისინი გაგრასთან გამაგრდნენ და კონტრშეტევისათვის დაიწყეს მზადება. მალე მათ არმავირიდან და სოჭიდან გადმოსული 200-კაციანი სამხედრო დაჯგუფება შეუერთდა.

1918 წლის 26 მაისს საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღიდგინა. შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. აფხაზთა სახალხო საბჭომ დახმარება ამჯერად საქართველოს ხელისუფლებას სთხოვა. გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, სოხუმში რეგუ-

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) გერბი და დროშა

გიორგი მაზნიაშვილი
1870-1937. ქართველი მხედართმთავარი, გენერალი

ლარული ჯარის ნაწილი გაიგზავნა გენერალ **გიორგი მაზნიაშვილის** სარდლობით. აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორად დანიშნული მაზნიაშვილის განკარგულებაში თავდაპირველად სამი ასეული, ოთხი ტყვიამფრქვევი და ერთი ბატარეა იყო, რომელსაც შემდეგ მესანგრეთა ცალკე ასეული დაემატა*. გენერალი აფხაზეთში, ძირითადად, სამხედრო საქმეებს განაგებდა (წყარო 5); პარალელურად, შექმნილი იყო საქართველოს მთავრობის პოლიტიკური წარმომადგენლობა, რომელიც მინდობილი ჰქონდა უხუცეს სოციალ-დემოკრატს, **ისიდორე რამიშვილს**.

ქართულმა შენაერთებმა აფხაზ კავალერისტებთან ერთად რეგიონი ბოლშევიკთაგან გაწმინდეს. მოხერხდა ასევე ოსმალური დესანტის უკან გაბრუნებაც**. ნესტორ ლაკობამ თავისი რაზმის გარკვეული ნაწილი ყუბანში გადაიყვანა, ნაწილი აფხაზეთში დარჩა და არალეგალურ მდგომარეობაში გადავიდა. ბოლშევიკურ გამოსვლებში მონაწილე „კიარაზ“-ის მრავალი წევრი თავის უფლებებში

* აფხაზი ისტორიკოსი ს. ლაკობა წერს, რომ მაზნიაშვილს აფხაზეთში მთელი დივიზია ჰყავდა [39, 65], რაც სიმართლეს არ შეესაბამება. დივიზია რამდენიმე პოლკის ან ბრიგადისაგან შემდგარი მსხვილი საჯარისო შენაერთია, რომელიც, სულ მცირე, 5 ათას ჯარისკაცს მაინც აერთიანებს. გ. მაზნიაშვილს კი მაქსიმუმ 600 მებრძოლი თუ ჰყავდა, 200-მდე სახალხო გვარდიელის ჩათვლით.

** ოსმალეთში მცხოვრები აფხაზი მუჰაჯირები, დაახლოებით 150 ათასი კაცი, საქართველოში დაბრუნების სურვილს გამოხატავდა [43].

აღდგენილმა აფხაზთა სახალხო საბჭომ თანდათან შემოირიგა.

საბჭოთა და თანამედროვე აფხაზური ისტორიოგრაფია ქართული ჯარის შესვლას აფხაზეთში ოკუპაციად წარმოაჩენს და მიიჩნევს, რომ „საბჭოთა ხელისუფლების ჩახშობის შემდეგ მენშევიკებმა აფხაზეთში სამხედრო დიქტატურის რეჟიმი დაამყარეს“ [29, 287-290]. ანგარიში არ ეწევა იმ გარემოებას, რომ ქართული სამხედრო კონტიგენტი აქ აფხაზთა სახალხო საბჭოს თხოვნის საფუძველზე შევიდა და მხარე ბოლშევიკური ძალმომრეობისაგან იხსნა (წყარო 6). საგულისხმოა, რომ აფხაზეთში არ შეჩერებულა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება: ფუნქციონირებდა სოხუმის სათათბირო, საქალაქო და სასოფლო ერობები, მოღვაწეობდა პოლიტიკური ორგანიზაციები, სხვადასხვა დაწესებულების პროფკავშირები, აფხაზურ ენაზე გამოდიოდა გაზეთი „აფსნი“, გაიხსნა რამდენიმე ათეული ახალი სკოლა და სხვ.



საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

სწრაფად ცვალებადი მოვლენებით დატვირთულ აფხაზეთის საზოგადოებრივ ფენებს იმ დროისთვის განსხვავებული შეხედულებები და მისწრაფებები გააჩნდათ. ახალ რეალობაში მათი ერთი ნაწილის ქონებრივი, სოციალური და ა. შ. ინტერესი ნამდვილად შეილახა. ის, ვინც ასეთთა შორის აღმოჩნდა, გენერალ-გუბერნატორ მაზნიაშვილის მოქმედებას საკუთარი უფლებების ხელყოფად აღიქვამდა. ადგილობრივი მოსახლეობა არც სახელმწიფოს მიერ თამბაქოზე დაწესებულ მონოპოლიას შეხვედრია მოწონებით. რაც შეეხება აფხაზთა სახალხო საბჭოს, იგი ხაზგასმით აღნიშნავდა გვარდიის კორექტულ დამოკიდებულებას მხარის მოსახლეობის მიმართ. იმავე საბჭომ 1918 წლის 17 ივლისს საგანგებოდ იმსჯელა გ. მაზნიაშვილისადმი ნდობის საკითხზე და თითქმის ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება (მხოლოდ ორმა შეიკავა თავი) „საქართველოს ჯარის ნაწილების აფხაზეთში დატოვების შესახებ“ [16, 322].

ისიდორე რამიშვილი
1859-1937. ქართველი პოლიტიკოსი, პედაგოგი

მართალია, სამხედრო მოქმედებების შედეგად ზიანი მიადგა ადგილობრივ მშვიდობიან მცხოვრებთა ნაწილსაც – ბოლშევიკურ ექსცესებში მონაწილეთა მიმართ განხორციელდა რეპრესიები, ზოგ მათგანს სახლიც დაუწვეს და ქონებაც ჩამოართვეს, თუმცა საქართველოს მთავრობამ შექმნა სპეციალური კომისია, რომელსაც მიყენებული ზარალი უნდა დაეთვალა და მისი ანაზღაურება იკისრა.

ბ) აფხაზთა და აფხაზეთის სახალხო საბჭოები. ეროვნული საბჭოების ფორმირება რუსეთის იმპერიის ყოფილ სივრცეში 1917 წლის თებერვლის რევოლუციიდან მალევე დაიწყო. თითქმის არ დარჩენილა ეთნოსი, რომელსაც თვითორგანიზებისა თუ თვითგამორკვევის მსგავსი ნაბიჯი არ გადაედგა. ბევრგან

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და მეზობელი სახელმწიფოები

სიმონ ბასარია
1884-1942. აფხაზი პოლიტიკოსი, ისტორიკოსი და პუბლიცისტი

ასეთი წარმონაქმნები რუსეთის დროებითი მთავრობის სახელისუფლებო სტრუქტურებთან, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ხასიათის საბჭოებსა თუ კომიტეტებთან მშვიდობიანად თანაარსებობდა, იყოფდა ძალაუფლებას, ზოგან კი მათთან კონფრონტაციაში აღმოჩნდა.

აფხაზთა სახალხო საბჭო 1917 წლის 7-8 ნოემბერს მოწვეულ აფხაზი ხალხის ყრილობაზე შეიქმნა. მის თავმჯდომარედ **სიმონ ბასარია** აირჩიეს. საბჭომ, რომლის აქტიური წევრები იყვნენ ალექსანდრე შერვაშიძე, ტატაშ მარშანია, მიხეილ თარნავა და სხვები თავი მხარის მმართველობის უმაღლეს ორგანოდ მიიჩნია, რასაც მოწმობს მის მიერ მიღებული დოკუმენტები: „აფხაზი ხალხის დეკლარაცია“ და „აფხაზთა სახალხო საბჭოს კონსტიტუცია“*. საბჭომ თავიდან ორიენტაცია კავკასიის მთიელთა კავშირზე აიღო**. საბჭოს წევრთა ნაწილი დახმარებას ყუბანის ოლქში დაბანაკებული მოხალისეთა არმიისაგან მოელოდა***.

ჩრდილოკავკასიური ორიენტაცია არ იყო რეგიონის მთელი

---

* ამ დოკუმენტის თანახმად, აფხაზთა სახალხო საბჭო აფხაზი ხალხის გამაერთიანებელი ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაციაა. ის არის წარმომადგენელი და გამომხატველი აფხაზი ხალხის ნებისა სამთავრობო და ადმინისტრაციულ დაწესებულებებთან, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციებთან ურთიერთობაში [42].

** სახელმწიფო ერთეული, რომელიც გამოცხადდა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ყრილობაზე 1917 წლის 1 მაისს დაღესტნის ტერიტორიაზე და თერგის ოლქში.

*** მოხალისეთა არმიის სარდლობამ ეს გარემოება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ უსამართლო პრეტენზიების საბაბად გამოიყენა.

მოსახლეობის სურვილი, რაც არაერთგზის გამოიხატა სხვადასხვა დონის ადგილობრივ თავყრილობებზე. მაგალითად, 1918 წლის მარტში გამართულმა სოხუმის ოლქის გლეხთა ყრილობამ, რომელსაც აფხაზეთში მცხოვრები მრავალი ეთნოსის 300-მდე წარმომადგენელი ესწრებოდა, გადაწყვიტა: აფხაზეთი შევიდეს „ამიერკავკასიის ერთა საერთო ოჯახში, როგორც სრულუფლებიანი წევრი და დემოკრატიულ საქართველოსთან ერთად გამოჭედოს თავისი ბედი და საუკეთესო მომავალი“ [4]. ჩრდილოეთზე ორიენტაციის საწინააღმდეგო რეზოლუციები მიიღეს ასევე სამურზაყანოსა და გუდაუთის მოსახლეობის შეკრებებმაც. მას შემდეგ, რაც სოხუმი ბოლშევიკებისაგან განთავისუფლდა და აფხაზთა სახალხო საბჭო აღდგა თავის უფლებებში, მანაც გაიზიარა აღნიშნული გადაწყვეტილებები და დაადგინა: „აფხაზეთი შედის ამიერკავკასიის ხალხთა საზოგადო ოჯახში, როგორც მისი თანასწორი წევრი“ [7].

აფხაზთა სახალხო საბჭო თანამშრომლობდა საქართველოს ეროვნულ საბჭოსთანაც. მაგალითად, მისი დელეგაცია ა. შერვაშიძის, ნ. მარღანიას, მ. ემუხვარის, რ. ჩხოტუასა და მ. ცაგურიას შემადგენლობით 1918 წლის დასაწყისში ეწვია თბილისს და მოლაპარაკება გამართა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასკომთან. აფხაზური დელეგაცია აფხაზეთის დამოუკიდებლობასა და საქართველოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას ითხოვდა. ეროვნული საბჭოს ლიდერები ამ წინადადებას არ დაეთანხმნენ. მათი აზრი იყო, რომ აფხაზეთს საქართველოს შემადგენლობაში ჰქონოდა პოლიტიკური ავტონომია. 9 თებერვალს მიაღწიეს შეთანხმებას, რომლითაც გამოიკვეთა აფხაზეთის (სოხუმის ოლქის) საზღვრები მდ. ინგურიდან მდ. მზიმთამდე. რაც შეეხება აფხაზეთის პოლიტიკურ წყობას, იგი დემოკრატიულად არჩეულ აფხაზეთის დამფუძნებელ კრებას უნდა განესაზღვრა [22].

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის შემდგომ, 1918 წლის 6 ივნისიდან, თბილისში მიმდინარეობდა მოლაპარაკება აფხაზთა სახალხო საბჭოს დელეგაციასა (ხელმძღვანელი რაჟდენ კაკუბა) და საქართველოს მთავრობას (თავმჯდომარის მოადგილე, სამხედრო მინისტრი გრიგოლ გიორგაძე) შორის. 11 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულების ძალით, აფხაზეთი რჩებოდა საქართველოს შემადგენლობაში და მას ენიჭებოდა სრული შინაგანი ავტონომია. საქართველოს მთავრობა კისრულობდა სამხედრო-ეკონომიკური დახმარება გაეწია აფხაზეთისთვის, რომლის პოლიტიკური მოწყობის საკითხი უახლოეს მომავალში დემოკრატიულ საწყისებზე მოწვეულ მთელი მოსახლეობის ყრილობას უნდა გადაეწყვიტა.

გრიგოლ გიორგაძე
1879-1937, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, სამხედრო მინისტრი

აფხაზთა სახალხო საბჭო არ სარგებლობდა აფხაზეთის მთელი მოსახლეობის მხარდაჭერით, რადგან იგი ასახავდა მხოლოდ აფხაზი ხალხის ნებას და არ ითვალისწინებდა აქაურ ქართველთა, სომეხთა, ბერძენთა და სხვების ინტერესებს. 1918 წლის აგვისტოში, შიდა დაპირისპირების გამო, სახალხო საბჭო, ფაქტობრივად, დაიშალა. მისი რეორგანიზაციის გზით ჩამოყალიბდა დროებითი საბჭო, რომლის შემადგენლობაში სხვადასხვა ერის წარმომადგენლები შევიდნენ. დროებითმა საბჭომ ითავა აფხაზეთში მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების ინტერესების გამომხატველი სრულუფლებიანი ორგანოს დაუყოვნებლივი შექმნა.

1918 წლის ოქტომბერში საქართველოს მთავრობამ სოხუმში აღკვეთა პოლიტიკური გადატრიალების მცდელობა, რომელიც საქართველოდან აფხაზეთის ჩამოშორებას ისახავდა მიზნად. აფხაზთა სახალხო საბჭო დათხოვნილად გამოცხადდა. გამოსვლის ორგანიზატორები (სიმონ აშხვაწაა, ივანე მარღანია, გ. თუმანოვი, მ. შლატერი და სხვ.) დააპატიმრეს. აფხაზეთის საგანგებო

არზაყან (დიმიტრი) ემუხვარი

1880-1939. პოლიტიკოსი



ვარლამ შერვაშიძე

1888-1957. ექიმი, მეცნიერი, პოლიტიკოსი

კომისრად ბენია ჩხიკვიშვილი დაინიშნა. ხელისუფლებამ არ დაუშვა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა, მაგრამ რეგიონში პოლიტიკური პროცესი არ შეუჩერებია. შეიქმნა ცენტრალური საარჩევნო კომისია, რომელსაც საყოველთაო არჩევნების გზით უნდა უზრუნველეყო ამჯერად უკვე **აფხაზეთის სახალხო საბჭოს** ფორმირება.

აფხაზეთის ავტონომიის საკანონმდებლო ორგანოს შემადგენლობა 40 წევრით განისაზღვრა. საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული საარჩევნო დებულებით, ხმის მიცემის უფლება მინიჭებული ჰქონდათ არა მარტო აფხაზეთში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს, არამედ ამ კუთხის ყველა სრულწლოვან ბინადარს [17, 179-180].

აფხაზეთის სახალხო საბჭოს არჩევნები 1919 წლის 13 თებერვალს ჩატარდა. ყველაზე მეტი ხმა დააგროვა და საბჭოში 27 დეპუტატი გაიყვანა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ. ახლად არჩეული საბჭო მრავალპარტიულიც იყო და მრავალეროვნულიც. მის თავმჯდომარედ სოციალ-დემოკრატი **არზაყან (დიმიტრი) ემუხვარი** აირჩიეს, რომელიც მალე სათავეში ჩაუდგა აფხაზეთის კომისარიატს (მთავრობას). ამის შემდეგ აფხაზეთის სახალხო საბჭოს თავმჯდომარის პოსტი აფხაზთა სახალხო საბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ **ვარლამ შერვაშიძემ** დაიკავა (წყარო 7).

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მიმართებაში საბჭო ერთსულოვნებით არ გამოირჩეოდა – სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლებს განსხვავებული პოზიციები გააჩნდათ. მათგან ყველაზე რადიკალური „დამოუკიდებელი სოციალისტებისა“ და „ინტერნაციონალისტთა“ ფრაქციები იყო, რომლებიც საქართველოსთან კავშირის დაუყოვნებლივ გაწყვეტის წინადადებით გამოდიოდნენ.

გ) აფხაზეთის ავტონომიური სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში. XX საუკუნის 10-იანი წლების აფხაზეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში რამდენიმე მიმდინარეობა გამოირჩეოდა. ერთი პრორუსმალურ ორიენტაციას ადგა, მეორე სიმპათიას მთიელთა კავშირისადმი გამოხატავდა, მესამე ბოლშევიკურ მოწოდებებს თანაუგრძნობდა. არსებობდა აფხაზეთის დამოუკიდებლობის მომხრე ჯგუფიც, ხოლო მთელი სამურზაყანო, გუდაუთელი გლეხობისა და სოხუმის მუშათა ნაწილი საქართველოსთან შეერთებას მოითხოვდა.

რაც შეეხება ქართულ პოლიტიკურ სპექტრს, მის არც ერთ მეტად თუ ნაკლებად გავლენიან ძალას ეჭქვეშ არ დაუყენებია აფხაზეთისათვის პოლიტიკური ავტონომიის მიკუთვნების საკითხი. მეტიც, ქართული პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდე აცხადებდნენ, რომ აფხაზეთს საქართველოს ფარგლებში ავტონომიური მმართველობა უნდა მინიჭებოდა (წყარო 8). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამაც კურსი იმთავითვე აფხაზეთის ავტონომიის აღიარებისაკენ აიღო, რაც არაერთგზის იყო დეკლარირებული [8, 73].

აფხაზეთის მოსახლეობისა და პოლიტიკური ელიტის პოზიციების ნაირგვარობის მიუხედავად, აფხაზეთის სახალხო საბჭომ 1919 წლის 20 მარტს, ხმების აბსოლუტური უმრავლესობით, დაამტკიცა

„აქტი აფხაზეთის ავტონომიის შესახებ“, რომლის პირველი მუხლი აცხადებდა: „აფხაზეთი შედის საქართველოს დამოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, როგორც მისი ავტონომიური ერთეული“. „აქტის“ თანახმად, აფხაზეთის კონსტიტუცია საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და აფხაზეთის სახალხო საბჭოს შერეულ პარიტეტულ კომისიას უნდა შეემუშავებინა. დოკუმენტი ძალაში ორივე ამ ორგანოს მიერ მისი დამტკიცების შემდეგ შევიდოდა.

„აქტი აფხაზეთის ავტონომიის შესახებ“ რეგიონის თვითგამორკვევას ნიშნავდა. აფხაზეთი, მისი მოსახლეობის დიდი უმრავლესობის ნებით, საქართველოს შემადგენლობაში ყოფნას აღიარებდა [16, 328]. 1919 წლის 21 მარტს „აქტი“ მოიწონა საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ, რომელიც შექმნის დღიდანვე აფხაზეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პოზიციას იცავდა. აფხაზეთის ფაქტობრივი ავტონომიურობის მაჩვენებელი იყო ისიც, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან დაარსდა აფხაზეთის საქმეთა მინისტრის თანამდებობა, რომელიც, სახალხო საბჭოს წარდგინებით, პოლკოვნიკ რ. ჩქოტუას ეკავა.

აფხაზეთის სახალხო საბჭომ ჩამოაყალიბა საკონსტიტუციო კომისია, რომელმაც ერთხმად მიიღო მომავალი კონსტიტუციის მთავარი დებულება: „აფხაზეთი შედის დემოკრატიული საქართველოს შემადგენლობაში, როგორც მისი ავტონომიური ერთეული“. რაც შეეხება სხვა საკითხებს, მათ შესახებ განსხვავებული აზრის გამო, კომისია ორ ქვეკომისიად გაიყო და, შესაბამისად, ორი განსხვავებული პროექტი შეიმუშავა. მესამე – შემრიგებლური პროექტი – აფხაზეთის კომისარიატმა შეადგინა.

საქართველოს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმაც გამოყო ხუთკაციანი ჯგუფი აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტზე სამუშაოდ. სხვადასხვა დროს თბილისში აფხაზეთის სახალხო საბჭოს რამდენიმე დელეგაცია ჩამოვიდა, მათ შორის იყვნენ სეპარატისტულად განწყობილი დეპუტატებიც. საქართველოს ხელისუფლებამ ყველა მათგანის შეხედულება და მოსაზრება მოისმინა. შეიქმნა შეთანხმების პროექტი „დროებითი დებულება აფხაზეთის ავტონომიის



აქტი აფხაზეთის ავტონომიის შესახებ



აფხაზეთის მმართველობის დებულება

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ადმინისტრაციული მოწყობა


საქართველოს
კონსტიტუცია
მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის თებერვლის 21.

საბჭომ აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტის საკუთარი ვერსია მიიღო. ეს დოკუმენტი საფუძვლად დაედო **აფხაზეთის მმართველობის დებულების პროექტს**, რომელიც იმავე წლის 21 დეკემბერს საქართველოს დამფუძნებელი კრების მცირე საკონსტიტუციო კომისიამ, ხოლო მმართველობისა“, რომელშიც რესპუბლიკასა და ავტონომიას შორის ფაქტობრივად ჩამოყალიბებული ურთიერთობანი აისახა.

აფხაზეთის კონსტიტუციის მიღება მაინც ჭიანურდებოდა. თბილისი არ ჩქარობდა მის დამტკიცებას, სანამ არ ამოქმედდებოდა ქვეყნის ძირითადი კანონი, რომელზეც მიმდინარეობდა ინტენსიური მუშაობა. 1920 წლის შემოდგომისათვის სოხუმში შესაძლებელი გახდა კონსტიტუციის შეჯერებულ პროექტზე შეთანხმება. მისი დეტალურად განხილვისა და გარკვეული კორექტირების შემდეგ, 16 ოქტომბერს სახალხო


თავი 11.
ავტონომიური მმართველობა
მუხლი 107.
საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს — აფხაზეთს სოხუმის ოლქი, სამუსლიმანო საქართველოს (ბათომის ძხარე) და ზაქათალას ზაქათალის ოლქი, ენიჭებათ ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობა.
მუხლი 108.
წინა მუხლში მოხსენებულ ავტონომიურ მმართველობათა დებულებანი შემუშავებულ იქნება ცალკე კანონით.

საქართველოს დამფუძნებელი კრება

შემდეგ თვით დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა. „დებულებაში“ ხაზგასმულია, რომ **„აფხაზეთი მდინარე მეხადირიდან მდინარე ენგურამდე, შავი ზღვის სანაპიროდან კავკასიონამდე ითვლება საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილად და ამ საზღვრებში ავტონომიურად მართავს თავის შინაგან საქმეებს“**.

1921 წლის 21 თებერვალს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო საქართველოს კონსტიტუცია, რომელმაც დააკანონა: „საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილს – აფხაზეთს (სოხუმის ოლქი) ადგილობრივ საქმეებში ენიჭება ავტონომიური მმართველობა“.

3. ოსები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ა) ოსთა განსახლების არეალი და სოციალური პროფილი XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმოშობისას ოსები კომპაქტურად მხოლოდ გორის მაზრასა (ლიახვისა და ქსნის ხეობები) და დუშეთის მაზრის ჩრდილოეთ ნაწილში ცხოვრობდნენ. რამდენიმე ოსური თემი არსებობდა ასევე რაჭის მაზრის ტერიტორიაზეც. დანარჩენი ოსი მოსახლეობა გაფანტულად იყო განსახლებული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. 1886 წელს შედგენილი საოჯახო სიების თანახმად, საქართველოში 72 ათასი ეთნიკურად ოსი ადამიანი მოითვლებდა [13].

არაზუსტი მონაცემებით, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ბინადარი ოსების რაოდენობა 100 ათასს აღწევდა, რომელთაგან ჯავის საზოგადოებაში მხოლოდ 16 ათასი კაცი ცხოვრობდა [5]. საგულისხმოა, რომ XIX საუკუნეშიც შიდა ქართლში ოსი მოსახლეობა ბევრად ნაკლები იყო, ვიდრე დანარჩენ საქართველოში. რაც შეეხება ცხინვალს, რუსეთის საიმპერიო ხელისუფლების მიერ ჩატარებული ყველა აღწერით, მასში არც ერთი ეთნიკური ოსი არ აღრიცხულა [18; 12]. ოსებს, ფაქტობრივად, ამ ქალაქში არც 1918 წლისათვის უცხოვრიათ.

ოსური მოსახლეობის უმეტესობა დაბალ სოციალურ ფენას (გლეხი, მუშა, ხიზანი, მოჯამაგირე) განეკუთვნებოდა. ოსთა არისტოკრატია (თავადაზნაურობა) შედარებით მცირერიცხოვანი იყო.

ცნობილია, რომ წოდებათა ლიკვიდაციის დეკლარირებით ჯერ კიდევ რუსეთის დროებითი მთავრობა გამოვიდა, თუმცა საკითხის გადაწყვეტა ვერ მოასწრო*. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნულმა საბჭომ და მთავრობამ 1918 წლის 16 ივლისის კანონით მოქალაქეობის/ქვეშევრდომობის/ შესახებ საქართველოს რესპუბლიკის „ყოველი მკვიდრი“ (მცხოვრები) საქართველოს მოქალაქედ გამოაცხადა, რითაც ქვეყანაში წოდებრივ განსხვავებულობას ბოლო მოეღო. დამფუძნებელმა კრებამ 1919 წლის 27 მაისს გამოსცა „კანონი მოქალაქეობისა“, რომლითაც დაადასტურა წინა კანონით დადგენილი ნორმები და კიდევ უფრო დააკონკრეტა რესპუბლიკის მოქალაქედ გახდომის პირობები. პირის ეთნიკური წარმომავლობისა თუ რელიგიური კუთვნილების განურჩევლად, საქართველოს მოქალაქე შეიძლებოდა გამხადარიყო ყოფილი რუსეთის იმპერიის ყველა ქვეშევრდომი, რომელსაც საქართველოს რესპუბლიკაში ჰქონდა რაიმე უძრავი ქონება ან თავს ირჩენდა „საქირაო შრომით“; არანაკლებ სამი წლისა, განუწყვეტლივ ცხოვრობდა საქართველოს ტერიტორიაზე და ამ კანონის მიღებიდან სამი თვის განმავლობაში განაცხადებდა, რომ სურს საქართველოს მოქალაქეობა [17, 46-47; 270-273].

ოსები ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე საქართველოს მოქალაქეებად გამოცხადდნენ, რაც, იმავდროულად, მათთვის შესაბამისი უფლებების (და პასუხისმგებლობების) აღიარებასაც ნიშნავდა. იმ დროისათვის ოსების უმეტესობა სოფლად ცხოვრობდა და ძირითადად სოფლის მეურნეობას მისდევდა, თუმცა ოსთა გარკვეული ნაწილი სამრეწველო საწარმოებშიც მუშაობდა, ოსებს წარმატებული ვაჭრები და პროფესიონალი ხელოსნებიც ჰყავდათ. მეფის მთავრობის არსებობის ბოლო პერიოდში ბევრი ოსი პოლიციაში, ჟანდარმერიასა და სხვა სადამსჯელო ინსტიტუციაში იყო დასაქმებული. ოსური ინტელიგენცია მეტად მცირერიცხოვანი იყო.

ოსი მოსახლეობის დიდი ნაწილი წიგნიერებას მოკლებული იყო. განათლებას ისინი ძირითადად თბილისის სასულიერო სემინარიაში, გორის საოსტატო (სამასწავლებლო) და არდონის სემინარიაში იღებდნენ, უმრავლესობას ამის შესაძლებლობა არ გაჩნდა. არასაკმარისი იყო საკვირაო და სახალხო სკოლების რიცხვიც.

სარწმუნოებრივი თვალსაზრისით, საქართველოში მცხოვრები ოსები ქრისტიანებად და მუსლიმებად იყოფოდნენ, მართლმადიდებელი ქრისტიანი ოსები ბევრად სჭარბობდნენ მუსლიმ ოსებს.

ქართულ-ოსური თანაცხოვრების გამოცდილება. ქართველებსა და ოსებს ერთმანეთთან ხანგრძლივი თანაცხოვრება და ეთნოკულტურული კონტაქტები აკავშირებდათ. მიუხედავად იმისა, რომ XX საუკუნის 20-იანი წლებისთვის ოსების აბსოლუტური უმრავლესობა ფლობდა ქართულ ენას, ქართულ საზოგადოებაში ოსთა ინტეგრაციის პროცესი მაინც პრობლემური რჩებოდა. ოსების გაუცხოებას ისიც განაპირობებდა, რომ იმპერიის სამხედრო, ადმინისტრაციულ და სხვა ასპარეზზე დასაქმებული, რუსულ კულტურულ თუ ენობრივ სივრცეში მოქცეული მათი გარკვეული ნაწილი რუსდებოდა. თბილისსა და ქვეყნის იმ ადგილებში, სადაც ოსები კომპაქტურად არ მკვიდრობდნენ, ეთნიკური ზღვარი ოს და ქართველ მოსახლეობას შორის თითქმის წაშლილი იყო. სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები, შერეული ოჯახები, ურთიერთდანათესავება, ნათელმირონობა და სხვ. ოსებსა და ქართველებს ერთმანეთთან მჭიდროდ აახლოებდა.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ქართველების ეთნიკური დაპირისპირება საქართველოში მცხოვრებ სხვა ეთნოსებთან, მათ შორის, ოსებთან, ისტორიამ არ იცის. თითოეული მათგანის იდენტობის განმსაზღვრელი მშობლიური ენა, ტრადიცია თუ წეს-ჩვეულებანი ქართულ გარემოში ყოველგვარი წნეხისგან თავისუფალი იყო. მეტიც, შეძლებისდაგვარად, ხელიც ეწყობოდა მათ შენარჩუნებასა და განვითარებას.

---

* 1917 წ. 10 (23) ნოემბერს საბჭოთა ხელისუფლებამ – მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა – საგანგებო დეკრეტით რუსეთის ტერიტორიაზე გააუქმა მოსახლეობის წოდებებად დაყოფა, რაც, ცხადია, საქართველოს არ შეხებია.

ყოველივე ამის მიუხედავად, ოსთა კოლექტიურ მეხსიერებას ქართულ სახელმწიფოში ცხოვრების ხსოვნა აღარ გააჩნდა. ქართული სუვერენული სახელმწიფოებრიობა რუსეთის იმპერიის მიერ ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების გაუქმებით (XIX საუკუნის პირველი დეკადა) მოიშალა. საუკუნეზე მეტი ხნის შემდგომ, 1918 წლის მაისში წარმოშობილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ოსთა გარკვეული ნაწილისათვის უცხო და მიუღებელი აღმოჩნდა. არადა, სავსებით კანონზომიერი იყო, რომ საქართველოს სუვერენული სახელმწიფოებრიობა აღდგა წინათ რუსეთის მფლობელობაში არსებულ ერთიან ქართულ მიწა-წყალზე, მათ შორის, ოსებით დასახლებულ შიდა ქართლის ტერიტორიაზეც, რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იურისდიქციაში ბუნებრივად მოექცა.

ბ) ოსთა თვითგამორკვევის ცდები. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ და მეფის მთავრობის დამხობამ რუსეთის იმპერიაში შემავალ არარუს ხალხებში თავისუფლებისა და ეროვნული თვითგამორკვევისაკენ მისწრაფება გააძლიერა. ბევრმა მათგანმა, როგორც აფხაზების მაგალითზე ვნახეთ, ამ მიზნით საკუთარი ეროვნული საბჭო ჩამოაყალიბა. მსგავსი წარმომადგენლობითი საკრებულო 1917 წლის ივნისში საქართველოში კომპაქტურად მცხოვრებმა ოსებმაც შექმნეს. ეს საბჭო ამიერკავკასიაში ოზაკომის*, კომისარიატისა და სეიმის პარალელურად ფუნქციონირებდა და საქმიანობას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდშიც განაგრძობდა. ამ და საქართველოში მცხოვრები სხვა არაქართველი ეთნოსების მიერ ფორმირებულ ეროვნულ საბჭოებს ლეგიტიმაცია აკლდა, რადგან ისინი არ ყოფილან შექმნილნი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნების გზით. ამის მიუხედავად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებას ეროვნული საბჭოების ფუნქციონირება არ შეუჩერებია, მეტიც, მათთან კიდევაც თანამშრომლობდა. საგულისხმოა ისიც, რომ ოსთა ეროვნულ ყრილობებს საქართველოს პოლიტიკური სპექტრის (სოციალ-დემოკრატების, ბოლშევიკების, ესერთა) წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ ხოლმე.

თანამედროვე რუსულ და ოსურ ისტორიოგრაფიაში შეინიშნება მცდელობა, რომ 1918-1921 წლებში საქართველოში მცხოვრები ოსების თვითგამორკვევისაკენ მოძრაობა ერთ მთლიან, კონსოლიდირებულ და გაბმულ პროცესად წარმოაჩინონ. თითქოს ეს იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა, რომელიც „6-7 საუკუნეს მოითვლის“ და იგი არა მხოლოდ კლასობრივი თანასწორობის მიღწევის რევოლუციურ, არამედ „ქართული დიქტატისაგან გათავისუფლების“, „სამხრეთ ოსების ეროვნული უთანასწორობის ლიკვიდაციის“ მიზნებსაც ისახავდა [31; 44]. სათანადო არგუმენტაციის გარეშე აცხადებენ, რომ „ოსი ხალხის სამხრეთული შტოს“ მისწრაფება ეროვნული თვითგამორკვევის მათი განუყოფელი უფლების რეალიზაციისაკენ მჭიდროდ გადაეხლართა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის რევოლუციურ ბრძოლას [45]. სინამდვილეში, ამ პერიოდში საქართველოში განვითარებულ მოვლენებში ოსთა მხრიდან სხვადასხვა ინტერესის მქონე რამდენიმე პოლიტიკური აქტორის როლი იკვეთება: 1. ოსთა ეროვნული საბჭო, 2. საქართველოს ტერიტორიაზე შერეულად მცხოვრები ოსები და 3. ადგილობრივი ბოლშევიკები. ეს უკანასკნელნი იდეურად, ორგანიზაციულად და ფინანსურად დამოკიდებულნი იყვნენ საბჭოთა რუსეთზე და მოსკოვიდანვე იმართებოდნენ ბოლშევიკების კავკასიის სამხარეო კომიტეტის მიერ.

ოსი ბოლშევიკები ქართველ და სხვა ეროვნების ბოლშევიკებთან კავშირში მოქმედებდნენ. მათ მიზანს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობა, საქართველოსაგან შიდა ქართლის მოწყვეტა და საბჭოთა რუსეთთან შეერთება წარმოადგენდა. ცხადია, სახელმწიფო მის მიმართ მტრულად განწყობილ, მით უფრო, ამგვარი პრეტენზიების მქონე ძალას ვერ შეურიგდებოდა და ამიტომ ბოლშევიკები იდევნებოდნენ**.

---

* ოზაკომი – ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი – რუსეთის დროებითი მთავრობის რწმუნებული ორგანო ამიერკავკასიაში (1917 წ. მარტი-ნოემბერი).

** 1920 წლის 7 მაისს, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბჭოთა რუსეთს შორის მოსკოვში დადებული ხელშეკრულებით, ბოლშევიკურ ორგანიზაციებს საქართველოში ლეგალური საქმიანობის, მათ შორის, ბეჭდვითი ორგანოების გამოცემის უფლებაც მიეცა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. ოსთა აჯანყების კერები

საქართველოს ტერიტორიაზე გაფანტულად მცხოვრებ ოსებს ეთნიკური ნიშნით პრეტენზიები არ წამოუყენებიათ, მათ სახელმწიფოს მიმართ სრული ლოიალობა შეინარჩუნეს და არც ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესს განდგომიან განზე – მონაწილეობდნენ როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის, ისე საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში და სხვ. (წყარო 9).

რაც შეეხება ოსთა ეროვნულ საბჭოს, მისი თავდაპირველი მოთხოვნა შემდეგნაირად ჟღერდა: სამხრეთ ოსეთის გამოყოფა ცალკე **საერობო ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულად.** შემდეგში ამას სკოლის, ადმინისტრაციის, სასამართლოსა და ჯარის ნაციონალიზაციის თემა დაემატა, რაც, ფაქტობრივად, სახელმწიფოს ფარგლებში მეორე სახელმწიფოს დაშვებას ნიშნავდა. ცოტა მოგვიანებით გამოიკვეთა ერობის ფორმა და მისი სავარაუდო გეოგრაფიული არეალიც – მთიანი ოსეთის რაიონის სამაზრო ერობა ცენტრით ცხინვალში [24, 16-17], სულ ბოლოს კი – ოლქის პოლიტიკური ავტონომია.

გ) ცხინვალისა და ჯავის აჯანყებების მიზეზები და შედეგები. 1919 წლის ზაფხულში საქართველოს მთავრობამ შიდა ქართლში მცხოვრებ ოსთათვის „კულტურული განვითარებისა და ადგილობრივი ცხოვრების მოსაწესრიგებლად“ ფართო ადგილობრივი მმართველობის დაკანონების საკითხი განიხილა. წარმოდგენილი დეკრეტის პროექტი – „ოსი მცხოვრებლებით დასახლებულ სოფლის საზოგადოებების ცალკე მაზრად გამოყოფის თაობაზე“ – ითვალისწინებდა შორაპნის, რაჭისა და გორის მაზრათა ოსური სოფლების შეერთებასა და ახალი ადმინისტრაციული ერთეულის – „ჯავის მაზრის“ შექმნას ადმინისტრაციული ცენტრით სოფელ ჯავაში [19] (წყარო 10).

ოსთა ეროვნული საბჭო ამ შეთავაზებას არ დაეთანხმა, პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნა წამოაყენა და მთავრობისაგან „სამხრეთ ოსეთის ოლქის“ ჩამოყალიბება მოითხოვა. ადმინისტრაციულ ცენტრად დასახელებული იყო ქ. ცხინვალი, ხოლო ოლქის ფარგლებში დუშეთის მაზრის ნაწილიც უნდა ჩაერთოთ [20].

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ ოსთა მოთხოვნას უარით უპასუხა. ეს გადაწყვეტილება დაეყრდნო ზოგად პრინციპს, რომ სახელმწიფოები (მათ შორის, ყველაზე დემოკრატიულიც კი) საკუთარ ტერიტორიაზე მოსახლე არადომინანტი (არასატიტულო) ერის ნაწილს, ვისაც სამშობლო სხვაგან აქვს, სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური წარმონაქმნის ჩამოყალიბების ნებას არ რთავენ.

სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოწყობის ზემოთ აღნიშნულმა მოდელმა და მასში ეროვნული უმცირესობისათვის განსაზღვრულმა იერარქიის დონემ ოსთა ეროვნული საბჭო ვერ დააკმაყოფილა. ოსების ნაციონალური პროექტი (პოლიტიკური ავტონომია) ქართულ სახელმწიფოებრივ პროექტს (სუვერენული, უნიტარული სახელმწიფო) არ შეესაბამა. ამ წინააღმდეგობის გარდა, არსებობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისაგან ოსთა ნაწილის გაუცხოების სხვა მიზეზებიც, მათ შორის, აგრარული საკითხის სოციალ-დემოკრატიული გადაწყვეტა და გარეშე ძალის – საბჭოთა რუსეთის – ფაქტორი.

მემამულეებისათვის ჩამორთმეული სახნავ-სათესი მიწები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ გლეხობას კერძო საკუთრებაში გადასცა, მაგრამ აგრარული რეფორმა გაჭიანურდა და, ვიდრე მიწის საკითხი გადაწყდებოდა, ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში გლეხთა მღელვარებები და ამბოხებები აღინიშნა. ბევრს არც ქართული სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური წყობა აღაფრთოვანებდა, რომელიც, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის იდეოლოგიური დოქტრინის შესაბამისად, ბურჟუაზიული სახელმწიფოს ტრანსფორმაციის გზით – „სრული დემოკრატიზმიდან სოციალიზმისაკენ“ – მიემართებოდა [6; 26, 76].

უკმაყოფილება ოს გლეხებშიც შეიმჩნეოდა, რისი გამოყენება არაერთხელ სცადეს ბოლშევიკებმა, მაგრამ შიდა ქართლში აგრარულ ნიადაგზე მდგომარეობა რადიკალურად არ გამწვავებულა. 1918-1920 წლებში აქ სამი შეიარაღებული გამოსვლა მოეწყო და ყველა მათგანს არა სოციალურ-ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური სარჩული ედო (წყარო 11).

აღსანიშნავია, რომ ოსი ბოლშევიკების მიერ ორგანიზებული პირველი აჯანყება 1918 წლის მარტში, რომლის მსვლელობისას ამბოხებულებმა ცხინვალი დაარბიეს, გაძარცვეს და ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენლები დახოცეს, წინ უსწრებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმოშობას. ოსები არა საქართველოს, არამედ ამიერკავკასიის მმართველობას აუმხედრდნენ. აჯანყება ჩახშობილი არ ყოფილა. იგი ლიკვიდირებულ იქნა მოლაპარაკების გზით [15, 300].

1919 წლის ზაფხულში საქართველოს საზღვრებს დენიკინის მოხალისეთა თეთრგვარდიული არმია მოუახლოვდა. ოსი მოსახლეობის სეპარატისტულად განწყობილმა ნაწილმა ისარგებლა შექმნილი მდგომარეობით და კვლავ ამბოხება წამოიწყო. დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ აჯანყება ადვილად აღკვეთა.

მესამე აჯანყება, 1920 წლის ივნისში, აზერბაიჯანის მხრიდან საქართველოს საზღვრებში რუსეთის წითელი ჯარის ნაწილების შემოჭრით იყო შთაგონებული. რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის მოწოდებით წამოწყებულ აჯანყებასთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ქართველი ბოლშევიკები: ალექსანდრე გეგეჭკორი, მიხა ცხაკაია, ფილიპე მახარაძე, სერგო ორჯონიკიძე და სხვანი, რომლებიც მტრად ექცნენ საკუთარ სამშობლოს.

აჯანყებულებს როკის ხეობის, კუდაროს, ქემერტისა და ყორნისის ოსური თემებიც შეუერთდნენ. ისინი შეიარაღებას ჩრდილოეთ კავკასიაში მდგარი წითელი არმიისაგან იღებდნენ. მეამბოხეთა დასახმარებლად როკის გზით საქართველოში საბჭოთა პარტიზანული რაზმიც გადმოვიდა ვ. სანაკოევის ხელმძღვანელობით. აჯანყებულებმა ცხინვალი დაიკავეს. ძალაუფლებას „სამხრეთ ოსეთის რევკომი“ დაეუფლა, რომელმაც „ონიდან დუშეთამდე“ საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა.

ალექსანდრე ჯათიევი

სერგეი გაგლოევი

ვლადიმერ სანაკოევი

აჯანყების მესვეურები გორის აღებას, სურამის უღელტეხილის ჩაკეტვას, საქართველოსა და მთელ სამხრეთ კავკასიაში „კომუნიზმის წითელი დროშის“ აღმართვასაც გეგმავდნენ. მოსკოვში, ვ. ლენინისა და საბჭოთა რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობისათვის გაგზავნილ „მშრომელი სამხრეთ ოსეთის მემორანდუმში“, რომელსაც ხელს ოსი ბოლშევიკები: ალექსანდრე ჯათიევი, სერგეი გაგლოევი, ვლადიმერ სანაკოევი და სხვ. აწერდნენ, აღნიშნულია, რომ სამხრეთ ოსეთი უერთდება საბჭოთა რუსეთს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

იმის გამო, რომ სწორედ იმხანად (1920 წ. 7 მაისს) საბჭოთა რუსეთმა სამშვიდობო ხელშეკრულება გააფორმა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, კრემლი აჯანყებაში უშუალოდ ვერ ჩაერეოდა, მაგრამ დოკუმენტური წყაროები მოწმობს, რომ შეიარაღებული გამოსვლის უკან მოსკოვი იდგა (წყარო 12). რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა გიორგი ჩიჩერინმა



Мирный договор между Р. С. Ф. С. Р. и Демократической Республикой Грузии, заключенный в Москве 7 мая 1920 года.

Российская Социалистическая Федеративная Советская Республика, с одной стороны, и Демократическая Республика Грузии—с другой, руководимые общим желанием установить между обеими странами прочное и мирное сожительство на благо населяющих обе страны народов, решили заключить для сего особый договор и назначили для сего своими уполномоченными:

Правительство Российской Социалистической Федеративной Советской Республики—Заместителя Народного Комиссара по Иностранным Делам **Льва Михайловича Карахана** и Правительство Демократической Республики Грузии—Члена Учредительного Собрания Грузии **Григория Илларионовича Уратадзе**. Означенные уполномоченные по взаимном осведомлении о своих полномочиях, признанных дающими перечисленным выше лицам право на подписание настоящего договора, согласились о нижеследующих статьях:

1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს სამშვიდობო ხელშეკრულება

საგანგებო ნოტით მიმართა საქართველოს მთავრობას (წყარო 13), დაგმო მისი მოქმედება და მოუწოდა, მიეცათ ოსებისათვის საშუალება, აერჩიათ ისეთი ხელისუფლება, როგორიც თვითონვე სურდათ. ნოტას დამაჯერებელი პასუხი გასცა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა.

გიორგი ჩიჩერინი
1872-1936. რუსი პოლიტიკოსი

ევგენი გეგეჭკორი
1881-1954. ქართველი პოლიტიკოსი

მდგომარეობის სტაბილიზება სახალხო გვარდიისა და რეგულარული ჯარის ნაწილებს დაევალა. ოპერაციას გენერალი **გიორგი კვინიტაძე** ხელმძღვანელობდა. აჯანყება ჩაახშეს. დატყვევებას გადარჩენილ ამბოხებულებთან ერთად შეშინებული მოსახლეობის ნაწილი ჩრდილოეთ ოსეთში გაიხიზნა, ნაწილმაც თავი გორს შეაფარა. რეგიონში სრულად აღდგა საქართველოს იურისდიქცია. წყაროები მოწმობს, რომ გვარდიის მეთაურმა ვალიკო ჯუღელმა ულმობლობა გამოიჩინა და ოსების რამდენიმე სოფელი გადაწვა*, მაგრამ ეს იყო საპასუხო რეაქცია საქართველოს წინააღმდეგ აჯანყებულთა მტრულ მოქმედებაზე და არა გენოციდი, როგორც მას ოსი პოლიტიკოსები და ისტორიკოსები უწოდებენ (წყარო 14).

ხელისუფლებას აჯანყებულთა წინააღმდეგ წინა წლებში არ მიუმართავს მკაცრი ზომებისათვის, ამჯობინებდა პრობლემა მშვიდობიანი გზით მოეგვარებინა და თუ მოიხელთებდა, სჯიდა მხოლოდ გამოსვლების მეთაურებს. 1920 წელს კი, როდესაც ხელყვეს ქვეყნის სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა, საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ დაიცვა ქართველი ხალხის ხანგრძლივი ბრძოლით მონაპოვარი თავისუფლება და დამოუკიდებლობა. ამბოხებულები დასაჯეს მათი ანტისახელმწიფოებრივი, დანაშაულებრივი ქმედებისათვის და არა ეთნიკური ნიშნით (წყარო 14). აჯანყებისაგან განზე მდგომი, სახელმწიფოსადმი ლოიალურად განწყობილი არც ერთი ოსისთვის მთავრობას ხელი არ უხლია. ისინი კვლავ რჩებოდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სრულუფლებიან მოქალაქეებად.

გიორგი კვინიტაძე
1874-1970. სამხედრო მოღვაწე, გენერალი, საქართველოს ეროვნული გმირი

ვალიკო ჯუღელი
1887-1924. პოლიტიკოსი და სამხედრო პირი

ხსენებული აჯანყებების გამო ოსთათვის კულტურული ავტონომიის მინიჭების საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა, შიდა ქართლში ოსებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონში ვერც ერობის ჩამოყალიბება მოესწრო. ოსებს დარჩათ განცდა, რომ ისინი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში უსამართლოდ იჩაგრებოდნენ და მსხვერპლად იქცნენ თავიანთი ეთნიკური კუთვნილების გამო. ამ მცდარი თვალსაზრისის განმტკიცებას 1921 წლიდან დიდად უწყობდა ხელს საბჭოური ისტორიოგრაფიაც.

---

* 1990 წ. ცხინვალში გამოცემული ნაშრომის მიხედვით, გადამწვარი სოფლების რაოდენობა 25 ყოფილა [38], ოსი ავტორების უფრო გვიანდელ პუბლიკაციებში გადამწვარ სოფელთა რიცხვი 130-მდე გაიზარდა [34, 92-97], მოვლენის თანადროული გაზეთის „*Северный Кавказ*“-ის თანახმად კი, გვარდიელებს სულ 17 სოფელი გადაუწვავთ [30, 114-115].

მკვიდრი წარმოდგენები:

- აფხაზებსა და ოსებს არ აკმაყოფილებდათ დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოში 1918-1921 წწ. მათთვის განკუთვნილი სტატუსი;
- ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ დაპირისპირებას საბჭოთა რუსეთი აღვივებდა, თუმცა უამისოდაც ბოლშევიკთა ინტერესები, აფხაზური და ოსური ნაციონალური პროექტები შეუთავსებელი აღმოჩნდა ქართულ სახელმწიფოებრივ პროექტთან.

ბიბლიოგრაფია

1. ანჩაბაძე გ., ქართველები და აფხაზები, ისტორია და თანამედროვეობა, თბ., 2009;
2. აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988); პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული – Статус автономных регионов Абхазии и Юго-Осетии в составе Грузии (1917-1988); Сборник политико-правовых актов, თბ., 2004;
3. გაბაშვილი რ., „რაც მახსოვს?“ წიგნში – „დაბრუნება. 3“, თბ., 1992;
4. გაზ. „ერთობა“, 1918 წ., 24 მარტი;
5. გაზ. „ერთობა“, 1918 წ., 11 ივნისი;
6. გაზ. „ერთობა“, 1919 წ., 22 იანვარი;
7. გაზ. „საქართველო“, 1918 წ., 23 მაისი;
8. გამახარია ჯ., ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან, თბ., 1991;
9. დამოუკიდებლობის 1028 დღე, საქართველოს პირველი რესპუბლიკის ყოველდღიური მატიანე (1918-1921)., თბ., 2013;
10. ვადაჭკორია შ., ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში, თბ., 2001;
11. თოიძე ლ., როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, თბ., 1991;
12. თოთაძე ა., ოსები საქართველოში: მითი და რეალობა; https://iberiana.wordpress.com/samachablo/totadze-osebi/
13. თოფჩიშვილი რ., https://smr.gov.ge/uploads/Files/cxinvali.pdf
14. მაზნიაშვილი გ., მემუარები, ბათუმი, 1990;
15. მენთეშაშვილი ა., ოსური სეპარატიზმი 1918-1920 წწ., კრებულში – ოსთა საკითხი, გორი, 1996;
16. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან: აფხაზეთი უძველესი დროიდან დღემდე, თბ., 2007;
17. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, თბ., 1990;
18. საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 254, ანაწ. 3, საქმ. #1717;
19. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1796, ანაწ.1, საქმ. #72;
20. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1796, ანაწ.1, საქმ. #71;
21. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1825, ანაწ. 1, საქმ.#126;
22. საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1836, ანაწ. 1, საქმ. #2;

23. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1881, ანაწ. 1, საქმ. #14;
24. ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1991;
25. ჩიტაია დ., აფხაზეთის საკითხი საქართველოს პირველ რესპუბლიკაში: აფხაზეთის სახალხო საბჭო 1917-1921 წლებში, თბ., 2006;
26. ჯანელიძე ო., დამფუძნებელი კრება და საქართველოს პოლიტიკური სპექტრი, ჟურნ. „ანალები“, 2009, # 4;
27. Ачугба Т., К обоснованию государственной независимости Абхазии, Сухум, 2002.
28. Бгажба О., Лакоба С., История Абхазии, Сухуми, 1991;
29. Бгажба О., Лакоба С., История Абхазии с древнейших времен до наших дней, М., 2007;
30. Блиев М., Южная Осетия в коллизиях российско-грузинских отношений, М., 2006;
31. Большой энциклопедический словарь, М.-СПб, 1997;
32. Гамахария Дж., Гогия Б., Абхазия – историческая область Грузии, Тб., 1997;
33. Дзапшба Ф., Суверенитет Абхазии: историко – правовое обоснование, Саратов, 1995;
34. Дзидзоев В., Дзугаев К., Южная Осетия в ретроспективе грузино-осетинских отношений, Цхинвал, 2007;
35. Джугели В., Тяжелый крест, Тифлис, 1920;
36. Из истории осетино-грузинских взаимоотношений, Цхинвал, 1995 (в соавт. с Ю. С. Гаглойти, М. К. Джиоевым, Н. Г. Джусойты); Гаглойты Ю., Проблемы Этнической истории южных осетин, Цхинвал, 1996;
37. История Южной Осетии. Документы и материалы. Т. 1. Сталинир, 1961;
38. История южных осетин, учебное пособие под редакцией проф. Л. Чибирова, Цхинвали, 1990;
39. Лакоба С., Очерки политической истории Абхазии, Сухум, 1990;
40. Периодическая печать Кавказа об Осетии и осетинах. Научно-популярный сборник, т. 1-6, Цхинвали-Владикавказ, 1981-2002;
41. Шамба Г., Непрошин А., Абхазия, Правовые основы государственности и суверенитета, М., 2004;
42. http://abkhazeti.info/history/20050617232973363982.php
43. https://infoarmy.ge/ge/news/123/obrashchenie-abkhazskikh-makha
44. https://south-ossetia.info/genocid-nacionalno-osvoboditelnaya-borba-yuzhnyx-osetin/
45. https://south-ossetia.info/8-iyunya-v-gosudarstvennom-stroitelstve-yuzhnyx-osetin/

წყაროები

აფხაზეთი

წყარო 1. ნოე ჟორდანია – ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე: „სოციალ-დემოკრატიას იმით ჰქონდა გავლენა საქართველოში, რომ ყველა ერის ინტერესებს თანასწორად ვიცავდით, ჩვენთვის არ იყო ელინი და ბარბაროსი, ყველას ელინებად ვრაცხდით“. ჟორდანია ნ., ჩემი წარსული, თბ., 1990, გვ. 104.

წყარო 2. გიორგი შარვაშიძე: „გამოვიდა მოულოდნელი კაზუსი, როგორ მოხდა, აფხაზები – „ცნობილი მეამბოხენი“, უეცრად იყვნენ მშვიდად და ეს მაშინ, როდესაც მთელი რუსეთი მღელვარებაშია... ვერ გაუგებ ამ ხალხს. ... მათთვის ჯერ კიდევ ფეოდალიზმი გრძელდება, ...რევოლუციურმა პროპაგანდამ აქ წარმატებას ვერ მიაღწია, რადგან აქ არ არსებობდა წოდებრივი დაპირისპირება“. პაპასქირი ზ., ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ნაკვეთი I, თბ., 2003, გვ.242.

წყარო 3. „აფხაზეთის მთელი მოსახლეობა ქართველების მხარეს იდგა, მხლოდ ზოგიერთმა მსხვილმა მიწათმფლობელმა, რომელთაც თბილისის სოციალისტური მთავრობის მიერ მათი სამფლობელოების კონფისკაციის ეშინოდათ, მიმართეს ვეჰიბს (ოსმალეთის კავკასიური არმიის სარდალი. – ო. ჯ.) დახმარებისათვის“. ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი, ჩემი მისია კავკასიაში, ქუთაისი, 2002, გვ. 87.

წყარო 4. „შეუძლებელია, აღწერო, გათავისუფლებულ სოხუმელთა მძაფრი აღტაცება. მოზეიმე ხალხის მასები გვხვდებოდნენ ჩვენ მხიარული შეძახილებითა და ყვავილებით. ხარობდა არა ბურჟუაზია, რომელიც საკმაოდ თავშეკავებით შეგვხვდა, არამედ ბოლშევიკურ ტყვეობას თავდაღწეული ნამდვილი დემოკრატია“. Джугели В., Тяжелый крест (Записки Народогвардейца), Тифлисъ, 1920, с. 16-19.

წყარო 5. გენერალი გიორგი მაზნიაშვილი: „აფხაზეთის პოლიტიკურს და ადმინისტრაციულ ცხოვრებაში არ ვერეოდი, რადგან, ჯერ ერთი, ამ საქმისათვის აფხაზეთის ეროვნულ საბჭოსთან იყო საქართველოს წარმომადგენელი, და მეორეც, სრულებით არ ვიყავი მომზადებული პოლიტიკური მოღვაწეობისათვის, ამიტომ მთელი ჩემი ყურადღება სამხედრო საქმეზე მქონდა მიქცეული“. მაზნიაშვილი გ., მოგონებანი, ბათუმი, 1990, გვ. 63.

წყარო 6. აფხაზთა სახალხო საბჭოს წევრის დ. მარშანიას სიტყვიდან (1918 წ. ივლისი): „ქართული ნაწილები მოწვეულია ჩვენთვის მძიმე წუთებში დახმარების გასაწევად და, საერთოდ, ქართველებთან ჩვენ ყოველთვის მეგობრულად ვცხოვრობდით... არიან ადამიანები, რომელთაც სურთ წაგვკიდონ ქართველებთან, მაგრამ ჩვენ ეს არ გვინდა“. გამახარია ჯ., ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან, თბ., 1991, გვ. 62-63.

წყარო 7. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დეკლარაციიდან (1919 წ. 21 მარტი): ჩვენი მიზანია აფხაზეთში „თავისებური განვითარების უზრუნველყოფა, ადგილობრივი ძალებით შინაური მართვა-გამგეობის მოწყობა და დედა სამშობლოსთან შეგნებულათ დაკავშირება. აფხაზეთის სახალხო საბჭოს მოწვევით, რომელიც არჩეულია საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და პროპორციონალური სისტემით ორივე სქესის მიერ, უკვე ჩაეყარა საფუძველი აფხაზეთის საქმეთა ამ ნიადაგზე მოწესრიგებას“. საქართველოს დამფუძნებელი კრება, სხდომის ოქმები, ტომი I, 1919 წლის 12 მარტი – 27 მაისი, თბ., 2019, გვ. 74.

წყარო 8. საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრის დავით სულიაშვილის სიტყვიდან სოხუმის ოლქის გლეხთა ყრილობაზე (1918 წ. მარტი): „აფხაზეთი იქნება ერთი მთლიანი ერთეული ავტონომია ტერიტორიალურ-ეროვნულ პრინციპებზე დამყარებული. ქართული ეროვნული საბჭო სიამოვნებით მიეგებება თავის მოძმეთა ასეთ დასკვნას და ყოველთვის მზად იქნება ძმური ხელი გაუწოდოს მას“. გაზეთი „ერთობა“, 1918 წ., 22 მარტი.

ოსები

წყარო 9. მეჯვრისხეველ ოსთა მრავალრიცხოვანი კრების დადგენილება. 1921 წ. თებერვალი: „ჩვენ, ოსები, ქართველებთან განუყრელნი, ხელიხელჩაკიდულნი სამკვდრო-სასიცოცხლოდ ვიბრძოლებთ მუხანათ მტრის წინააღმდეგ." გაზ. „სახალხო საქმე", 1921 წ., 24 თებერვალი.

წყარო 10. ლეო ნათაძე – სოციალ-დემოკრატი, დამფუძნებელი კრების წევრი, ჟურნალის „ერობა და ქალაქი" რედაქტორი: „ოსების მოსახლეობის რაიონი გორის და დუშეთის მაზრების ჩრდილოეთი ნაწილია და „ოსური" თემებიც სწორედ აქ უნდა მოეწყოს. შეიძლება რამდენიმე „ოსური" თემის შექმნა რაჭის მაზრაშიაც აღმოჩნდეს საჭირო." ნათაძე ლ., „ეროვნული საკითხი და თვითმმართველობა", ჟურნ. 116.

წყარო 11. „ის საშინელი სისხლის ღვრა, რომელიც ხდება ქართლში, პოლიტიკური ხასიათისაა და არა აგრარულისა." გაზ. „საქართველო", 1918 წ., 16 თებერვალი.

წყარო 12. გრიგოლ ლორთქიფანიძე – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი, მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე: 1920 წ. ივნისში „...როკის უღელტეხილით შემოჭრილმა რუსეთმა „ოსეთის აჯანყების" სპექტაკლი დადგა." ლორთქიფანიძე გ., ფიქრები საქართველოზე, თბ., 1995, გვ. 152.

წყარო 13. რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის გიორგი ჩიჩერინის ნოტა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ევგენი გეგეჭკორს (1920 წ. ივნისი): „ჩვენ შეშფოთებით შევიტყვეთ, რომ სამხრეთ ოსეთში, სადაც გამოცხადებულია საბჭოთა ხელისუფლება, გაგზავნილია ქართული ჯარი არსებული ხელისუფლების გასანადგურებლად. თუ ეს სიმართლეა, ჩვენ მოვითხოვთ, გამოიხმოთ ჯარი ოსეთიდან, რადგან ოსეთს უნდა ჰყავდეს ის ხელისუფლება, როგორიც მას სურს. საქართველოს ჩარევა ოსეთის საქმეებში იქნებოდა სხვის საქმეებში გაუმართლებელი ჩარევა." თოიძე ლ., როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, თბ., 1991, გვ. 34.

წყარო 14. „ის მკაცრი ზომები, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკა იძულებული ხდება მიმართოს მესამეთ აჯანყებულ ოსეთის რაიონის ასალაგმავათ, იქნება წმინდა თავდაცვითი აქტი ჩრდილოეთიდან შემოჭრილი მტრის წინააღმდეგ, ეს იქნება მოძალადეებთან და მტარვალებთან ბრძოლა ადგილობრივ მცხოვრებთა დასაცავათ, რესპუბლიკის და დემოკრატიის დასახსნელად." გაზეთი „ერთობა", 1920 წ., 12 ივნისი.

თავი 5.

აფხაზეთი და „სამხრეთ ოსეთი“ საბჭოთა პერიოდში, 1990-იან წლებამდე

მალხაზ თორია

საკვანძო შეკითხვები:

- როგორ გაამწვავა საბჭოთა ნაციონალურმა პოლიტიკამ (ე.წ. „ტიტულარული“ ერების განსაზღვრამ და ადმინისტრაციულმა დაყოფამ) ეთნიკური პრობლემები ქართველებსა და აფხაზებს, ქართველებსა და ოსებს შორის?
- რატომ იქცა „ისტორიკოსთა ომი“ და ისტორიის ინსტრუმენტალიზაცია ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური დაპირისპირების გაღვივებისა და გამწვავების ერთ-ერთ წინა პირობად?
- რატომ ვერ მოხერხდა ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური დაპირისპირების თავიდან აცილება საერთო ან მსგავსი კულტურული მახასიათებლებისა და მშვიდობიანი თანაცხოვრების ხანგრძლივი გამოცდილების ფონზე?

§ 1. საბჭოთა „ეროვნული პოლიტიკა“

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ბოლშევიკური ხელისუფლების დეკლარირებული ამოცანა იყო „ბურჟუაზიულ წყობილებაში“ მიუღწეველი „ეროვნული მშვიდობიანობის“ შექმნა. ისინი მენშევიკურ მთავრობას მიაწერდნენ „ეროვნული შუღლის დათესვას“, რომლის აღმოფხვრა და „ხალხთა მეგობრობის“ განმტკიცება, მათი აზრით, მოხდებოდა მხოლოდ ამიერკავკასიაში კომპაქტურად მოსახლე ძირითად ეროვნებათა „მართებული სახელმწიფოებრივი“ მოწყობის გზით [4, 11].

იმ დროისათვის კომუნისტური პარტიის მესვეურები ვ. ლენინის (1870 -1924) ხელმძღვანელობით თვლიდნენ, რომ თავდაცვისა და სამეურნეო მშენებლობის საერთო ინტერესების გათვალისწინებით სახელმწიფოებრივი მოწყობის ყველაზე მისაღები ფორმა იქნებოდა აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს დამოუკიდებელ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს შორის ფედერაციული კავშირის შექმნა. რაც შეეხება ეროვნულ უმცირესობებს, ცალკეული რესპუბლიკის ფარგლებში „კომპაქტურად მოსახლე ეროვნული ერთეულებისთვის“ ავტონომიური სტატუსისა და უფლებების მინიჭება საუკეთესო გამოსავლად მიიჩნეოდა [4, 11-12].

მე-20 საუკუნის 20-იან წლებში საბჭოთა სახელმწიფომ ე.წ. **„კორენიზაციის“*** პოლიტიკის ფარგლებში ხალხთა შორის არსებული ეკონომიკური და კულტურული „უთანაბრობის“ აღმოსაფხვრელად არარუსი ხალხების ეროვნული თვითშეგნების წახალისება ანდა განვითარება დაისახა მიზნად. ამისათვის პარტია მეტ-ნაკლებად გამოკვეთილ ლინგვისტურ და კულტურულ ერთობებს, მათ შორის, აფხაზებსა და ოსებს, უქმნიდა პირობებს ეროვნული იდენტობის განვითარებისთვის. კერძოდ, მათ ეძლეოდათ **ავტონომიური რესპუბლიკის** ან **ოლქის** სტატუსი, რომელიც კონკრეტული საბჭოთა რესპუბლიკის ფარგლებში მეორე რიგის **ტიტულარული ერის**** სტატუსს უდრიდა [19, 7; 15, 262]. ამ ავტონომიურ ერთეულებში ბიუროკრატიული აპარატი და პარტიული თანამდებობები ადგილობრივი ეთნიკური კადრებით უნდა დაკომპლექტებულიყო; უდამწერლობო ან ნაკლებად განვითარებული ენებისთვის იქმნებოდა სკოლები და პედაგოგიური კორპუსი. სკოლებთან ერთად გეგმური კულტურული პოლიტიკის ფარგლებში თითოეულ ხალხს უნდა ჰქონოდა ეროვნული ფოლკლორი, მუზეუმები, ნაციონალური ჩაცმულობა, კულინარია, ოპერა, თეატრი, ლიტერატურა, ისტორიოგრაფია და ა. შ. [18, 13]. ყველაფერი ეს შესაბამისობაში იყო მარქსისტული ისტორიული მატერიალიზმის კონცეფციასთან, რომლის თანახმად, სოციალიზმისა და, შემდეგ, კომუნიზმის ეტაპზე გადასასვლელად ამა თუ იმ ხალხმა ევოლუციური განვითარების გზაზე ბურჟუაზიული წყობისა და ნაციონალიზმის ეტაპი უნდა გაიაროს [16, 103-104]. ამიტომაც, აუცილებელი იყო კულტურულად და ეკონომიკურად ე.წ. „ჩამორჩენილი“***

---

* რუსული „Коренизация“-ს, ზოგ შემთხვევაში, ქართულ ენაზე „გაფესვიანებად“ თარგმნიან. მაგალითად, ამ ფორმით გვხვდება ჰალბახის – „რუსეთი ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიაში „ახლო საზღვარგარეთსა“ და„შიდა საზღვარგარეთს“ შორის“ – ქართულ თარგმანში [5].

** „ტიტულარული ერის“ სტატუსი „ავტოხტონად“ კატეგორიზებულ რომელიმე ეთნიკურ ჯგუფს კონკრეტული ტერიტორიის ფარგლებში პოლიტიკური, ადმინისტრაციული, ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით დომინანტურ პოზიციაში აყენებდა. ამ მოდელს ხშირად რუსულ მატრიოშკას ადარებენ, რადგან საბჭოთა იერარქიულ ეთნოფედერალურ სტრუქტურაში, როგორც უვე ჰალბახი აღნიშნავს, „ტერიტორიები მათი ტიტულარული ერებისა და ეთნიკური ჯგუფების მიხედვით დალაგდა: საბჭოთა რესპუბლიკები და მათზე დაქვემდებარებული ავტონომიური რესპუბლიკები თუ ოლქები. ზუსტად ისე, როგორც თოჯინა თოჯინაში. საქართველო თავისი სამი „დაქვემდებარებული თოჯინაით“ ამ სტრუქტურის თვალსაჩინო მაგალითი იყო: აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებითა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქით“ [5].

*** ბოლშევიკებმა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მოსახლე არარუსი მოსახლეობა გაყვეს, ერთი მხრივ, „დასავლურ“ ანუ კულტურულად უფრო განვითარებულ ეთნოსებად, რომლებიც გამოირჩეოდნენ განათლებისა და წიგნიერების მაღალი დონით და ჰქონდათ ეროვნული იდენტობის მკაფიოდ გამოხატული მახასიათებლები და, მეორე მხრივ, „აღმოსავლურ“ ანუ „კულტურულად ჩამორჩენილ“ ხალხებად, რომლებიც ზემოაღნიშნული კრიტერიუმების თვალსაზრისით სუსტად გამოიყურებოდნენ. რუსები, უკრაინელები, ქართველები, სომხები, ებრაელები და გერმანელები, ეთნიკური კატეგორიზაციის საბჭოთა სქემის თანახმად, დასავლურ, კულტურულად განვითარებული ერების ჯგუფში გააერთიანეს [18, 23; 11, 232].

ბუდუ მდივანი
1877-1937

კოტე ცინცაძე
1886-1931

მიხეილ ოკუჯავა

ლადო დუმბაძე

ხალხების განვითარების ხელოვნურად დაჩქარება, ამის შემდეგ კი ძმურ საბჭოთა ხალხებს ერთად უნდა გაეგრძელებინათ კომუნისტური „ნათელი მომავლისკენ“ სვლა. ამერიკელი ისტორიკოსი ტერი მარტინი (Terry Martin) სწორედ ამაში ხედავს მულტიეთნიკური საბჭოთა კავშირის პარადოქსულ ხასიათს: ექსტრაორდინარული დამპყრობი, ცენტრალიზებული და ძალადობრივი იმპერია, რომელიც ფორმალურად სუვერენული ერების ფედერაციას წარმოადგენდა [18, 20].

საბჭოური „ფედერაციისა და ავტონომიის“ გეგმას საქართველოს კომუნისტური პარტიის შიგნით ეწინააღმდეგებოდნენ ე.წ. **ნაციონალ-უკლონისტები:** ბუდუ მდივანი, კოტე ცინცაძე, მიხეილ ოკუჯავა, ლადო დუმბაძე და სხვ. [4, 89; 7]. ცენტრი მათ ადანაშაულებდა ეროვნულ საკითხებთან მიმართებაში ინტერნაციონალიზმის საზიანოდ „ვიწრო ეროვნული ინტერესების“ გატარებაში. მათ მიმართ კრიტიკულად განწყობილი ოფიციალური ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია ხაზგასმით მიუთითებდა, რომ ნაციონალ-უკლონისტებისთვის მიუღებლად ჩანდა საბჭოთა რესპუბლიკების მხრიდან სუვერენული უფლებების ნაწილის ფედერალური ორგანოებისთვის გადაცემა; ისინი საქართველოსთვის პრივილეგირებულ მდგომარეობას მოითხოვდნენ რესპუბლიკის ეკონომიკური და გეოგრაფიული ადგილმდებარეობის გამო [4, 12]**.** შესაბამისად, ქართველი კომუნისტების ეს ჯგუფი არ ეგუებოდა იმ გარემოებას, რომ საქართველოს გარდაუვლად მოუწევდა „მოძმე რესპუბლიკებთან“ ტერიტორიულ თუ ეკონომიკურ დათმობებზე წასვლა [4, 13]**.**

საბოლოოდ, როგორც მოსალოდნელი იყო, ვ. ლენინის წინადადებების ფორმალური განხილვების შემდეგ, 1922 წლის 12 მარტს ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს შორის დაიდო სამოკავშირეო ხელშეკრულება*, რითაც საფუძველი ჩაეყარა ამიერკავკასიის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკას. ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში უმაღლეს სახელისუფლებო ორგანოდ განისაზღვრა რესპუბლიკების მიერ თანასწორი რაოდენობით არჩეული „სრულუფლებიან წარმომადგენელთა კონფერენცია“. აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნოდა სრულუფლებიან წარმომადგენელთა კონფერენციის მიერ გამოყოფილ „სამოკავშირეო საბჭოს“. ამიერკავკასიის რესპუბლიკათა კავშირის სამეურნეო ორგანოების საქმიანობის ორგანიზებისთვის შეიქმნა უმაღლესი ეკონომიური საბჭო, რომელიც ფუნქციონირებდა, როგორც „სამოკავშირეო საბჭოს“ მუდმივი კომისია [4, 91-92].

---

* საბჭოთა საქართველოს მმართველობის სტრუქტურები და კონსტიტუციური მოწყობა საბჭოთა რუსეთისა და საკავშირო კონსტიტუციების თარგზე იყო აგებული. 1922 წლის 2 მარტს საქართველოს საბჭოების I-მა ყრილობამ მიიღო საქართველოს პირველი საბჭოთა კონსტიტუცია, რომელსაც „საფუძვლად დაედო საბჭოთა რუსეთის 1918 წლის კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები“ [1, 274]. 1927 წლის 4 აპრილის საქართველოს სსრ-ის ახალი კონსტიტუციაც სრულ შესაბამისობაში იყო სსრკ-ის 1924 წლისა და ამიერკავკასიის სფსრ-ის 1926 წლის კონსტიტუციებთან. 1937 წლამდე, ახალი კონსტიტუციის მიღებამდე, საქართველოს სსრ-ში ხელისუფლების ორგანოები იყო სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობა, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი (ცაკი), ცაკის პრეზიდიუმი, ცაკის მიერ არჩეული სახალხო კომისართა საბჭო (სახკომსაბჭო) [9; 10].

1922 წლის ზაფხულიდან დღის წესრიგში დადგა ზოგადად საბჭოთა რესპუბლიკების პოლიტიკური გაერთიანების საკითხი. ბოლშევიკური იდეოლოგია საბჭოთა კავშირის შექმნას ისტორიული განვითარების ობიექტური მსვლელობით ხსნიდა და რევოლუციური გარდაქმნების ლოგიკურ გაგრძელებად მიიჩნევდა.

იოსებ სტალინი და ვლადიმერ ლენინი, 1919 წ.

ი. სტალინის (1878-1953) მიერ შემუშავებული ე.წ. „ავტონომიზაციის“ პროექტი დამოუკიდებელ სოციალისტურ რესპუბლიკებს რუსეთის ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის (რფსრ) შემადგენლობაში შეზღუდულ ავტონომიურ სტატუსს სთავაზობდა. თუმცა ვ. ლენინმა უარყო „ავტონომიზაციის“ გზა. მან დამოუკიდებელი და თანასწორი სახელმწიფოების „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის“ იდეა წამოსწია წინ. ი. სტალინმა ეს მოსაზრება ადვილად გაიზიარა [1, 284].

1922 წლის ოქტომბერს **რკპ (ბ)*** **პლენუმმა** მიიღო დადგენილება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების: უკრაინის, ბელორუსიის, ამიერკავკასიის ფედერაციისა და რსფსრ-ის „საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირში“ გაერთიანების შესახებ.

ქართველი „ნაციონალ-უკლონისტები“ ამ შემთხვევაშიც ცდილობდნენ, ლენინისგან მიეღოთ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს უშუალოდ შესვლის თანხმობა. თუმცა საბჭოთა ბელადმა მათი პოზიცია კატეგორიულად არ გაიზიარა.

1922 წლის 30 დეკემბერს საბჭოების პირველმა საკავშირო ყრილობამ „დეკლარაციისა“ და „ხელშეკრულების“ პროექტის მიღებით ოფიციალურად დააფუძნა „საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირი“. ფორმალურად, სუვერენულ მოკავშირე რესპუბლიკებს ჰქონდათ საბჭოთა კავშირიდან გასვლის უფლება [4, 103-104].

§2. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ერთეულების შექმნა

ა) აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრა საქართველოს სსრ-ის ფარგლებში (1921-1931 წწ.)

1921 წლის მარტში აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ წინ წამოიწია მისი „სახელმწიფოებრივი მოწყობის“ საკითხმა. უკვე თვის დასაწყისში აფხაზეთის რევკომი, ადგილობრივ პარტიულ ხელმძღვანელთა, IX წითელი არმიის სამხედრო-რევოლუციური საბჭოსა და რკპ (ბ) ცკ-ის კავკასიის ბიუროს წარმომადგენელთა გაერთიანებულ სხდომაზე დადგა აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადების საკითხი [32, 101; 8, 81].

26 მარტს აფხაზეთის რევკომმა წერილით მიმართა ვ. ლენინს, ი. სტალინსა და **რკპ (ბ) ცკ-ის**

* რუსეთის კომუნისტური პარტია (ბოლშევიკების).

კავბიუროს* მდივანს, **სერგო ორჯონიკიძეს** (1886-1937), განემარტათ, თუ როგორ ხედავდნენ ბოლშევიკი ლიდერები საბჭოთა აფხაზეთის მომავალს, იქნებოდა ის დამოუკიდებელი რესპუბლიკა თუ ადმინისტრაციული ერთეული. ამასთან, მიმართვის ავტორები იქვე სთავაზობდნენ ადრესატებს, განეხილათ საბჭოთა აფხაზეთის უშუალოდ რუსეთის ფედერაციაში გაერთიანების საკითხი. 27 მარტს სერგო ორჯონიკიძე დათანხმდა აფხაზეთის დამოუკიდებელ სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკად გამოცხადებას იმ მოტივით, რომ რუსეთის ფედერაციასთან მისი შეერთება ანექსიად იქნებოდა აღქმული დასავლეთში. მთელი ამ განხილვების მთავარი არგუმენტი, აფხაზი ბოლშევიკების მიხედვით იყო ის, რომ დამოუკიდებელი აფხაზეთის სსრ-ის შექმნა ხელს შეუწყობდა აფხაზეთში მენშევიკური მთავრობის „აგრესიული“ მმართველობის გამო მოსახლეობაში გაჩენილი ანტიქართული განწყობების აღმოფხვრას [32, 41-42; 2, 340; 8, 82-83; 1, 281].

28 მარტს ბათუმში გამართულ თათბირზე რკპ(ბ) ცკ-ის კავბიუროს, საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობისა და აფხაზეთის რევკომის წარმომადგენლებმა: სერგო ორჯონიკიძემ, შალვა ელიავამ, მალაქია ტოროშელიძემ, ეფრემ ეშბამ, ნესტორ ლაკობამ და სხვებმა მიიღეს გადაწყვეტილება „აფხაზეთის დამოუკიდებელ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად ცნობის შესახებ“. აღნიშნული თათბირის გადაწყვეტილების საფუძველზე 1921 წლის 31 მარტს გამოცხადდა აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა [2, 340]. საქართველოს რევკომმა 1921 წლის 21 მაისს აღიარა აფხაზეთის სსრ, ხოლო 28 მაისს აფხაზეთის მუშათა და გლეხთა საბჭოების პირველმა ყრილობამ დაადასტურა აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის (სსრ) შექმნა.

სერგო ორჯონიკიძე
1886-1937



შალვა ელიავა
1883-1937

მ. ტოროშელიძე
1880-1937



ეფრემ ეშბა
1893-1939

ნესტორ ლაკობა
1893-1936

ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, ეს აღიარება ფორმალურ და ფიქციურ ხასიათს ატარებდა და თვით აფხაზეთის მაშინდელი ხელმძღვანელობა, ეფრემ ეშბასა და ნესტორ ლაკობას მეთაურობით, ცალკე აფხაზეთის სსრ-ის შექმნას – მოკლე დროით მიღებულ გადაწყვეტილებად, ხოლო „დამოუკიდებლობას“ მხოლოდ „აბრად“ და „ფირნიშად“ მიიჩნევდა [2, 340; 1, 284]. რეალურად, აფხაზეთის დამოუკიდებლობის „კარტი“ მოგონილი იყო არა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს „გაფუჭებული“ ქართულ-აფხაზური ურთიერთობების გამოსასწორებლად, არამედ საქართველოს დაშოშმინებისთვის და მისი თავისუფლებისკენ სწრაფვის ჩასახშობად. დროებით ჩამორთმეული ტერიტორია რუსეთის ხელში საქართველოზე ზემოქმედების მექანიზმი იყო. ბოლშევიკებს საქართველო უნდა აეძულებინათ, შეგუებოდა საბჭოთა წყობას, წინააღმდეგ შემთხვევაში დაკარგავდა ტერიტორიას [2, 348-350].

თანამედროვე ქართველი ისტორიკოსების ნაწილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სინამდვილეში აფხაზეთი დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკა არ ყოფილა. ამის მაგალითად მოჰყავთ ის ფაქტი, რომ ადგილობრივ მმართველ პარტიულ და სახელმწიფო სტრუქტურებს, მათ

* რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურო.

ხელმძღვანელებსა და კადრებს ამტკიცებდა თბილისში განთავსებული რკპ (ბ) ცკ-ის კავბიუროო, რომელსაც ქართველი ბოლშევიკები ედგნენ სათავეში. აფხაზეთის რევკომი საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურებისგან, განსაკუთრებით, **შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა** და მისი სამმართველოებისაგან იღებდა დირექტივებს, ქართულ ენაზე, „ცნობად და სახელმძღვანელოდ“ [2, 341]. ამგვარად, 1921 წელს აფხაზეთი საქართველოს განსაკუთრებული სტატუსის მქონე ნაწილი იყო და ფორმალურად, მხოლოდ დროებით იწოდებოდა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად*.

ქართული პერსპექტივის საპირისპიროდ, თანამედროვე აფხაზურ ისტორიოგრაფიაში მიღებული დებულებაა, რომ შეიქმნა უნიკალური სიტუაცია, როდესაც აფხაზეთი ფორმალურად დამოუკიდებელი იყო როგორც საბჭოთა რუსეთისგან, ისე საბჭოთა საქართველოსგან, თითქმის ერთი წლის განმავლობაში (1921 წლის 31 მარტიდან 1922 წლის 17 თებერვლამდე) [23, 341].

ფორმალური დამოუკიდებლობის ეს დროებითი პერიოდი, თანამედროვე ქართველი ისტორიკოსების თანახმად, სამართლებრივ ვაკუუმად შეიძლება განვიხილოთ, რომელიც საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის შედეგად წარმოიქმნა თბილისსა და სოხუმს ანუ ცენტრსა და რეგიონს შორის. ამ ვაკუუმის შევსება კი მაშინვე დაიწყო კავბიუროს მთელი რიგი გადაწყვეტილებების კვალდაკვალ. ჯერ მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული აფხაზეთის დამოუკიდებლობა, „როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით“ [4, 106], შემდეგ რკპ-ის აფხაზეთის ორგბიურო ორგანიზაციულად საქართველოს კომპარტიის ცკ-ს დააკავშირეს; საბოლოოდ, 1921 წლის 16 დეკემბერს [2, 344] აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა განსაკუთრებული სამოკავშირეო ხელშეკრულებით „მიება“ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას [4, 107] სამოკავშირეო ხელშეკრულებამ ოფიციალურად განსაზღვრა აფხაზეთის სსრ-ის დამოკიდებულება საქართველოს სსრ-ზე პოლიტიკურ, ფინანსურ, ეკონომიკურ და სამხედრო სფეროებში, რაც აისახა ორი რესპუბლიკის გარკვეული სახალხო კომისარიატებისა და უწყებების გაერთიანებაში [2, 344; 8, 95-96; 1, 282].

1922 წლის 17 თებერვალს აფხაზეთის საბჭოების პირველმა ყრილობამ მოიწონა აღნიშნული სამოკავშირეო ხელშეკრულება საქართველოსთან. იმავე წლის 2 მარტს საქართველოს სსრ-ის ფარგლებში აფხაზეთის სსრ-ის მოქცევა აისახა საქართველოს საბჭოების I ყრილობაზე მიღებულ საქართველოს პირველ საბჭოთა კონსტიტუციაში [2, 344].

აფხაზური პერსპექტივით, აფხაზეთის საბჭოების პირველი ყრილობის მიერ ხელშეკრულების რატიფიცირება სტალინისა და ორჯონიკიძის მხრიდან ადგილობრივ პარტიულ ხელმძღვანელობაზე ძლიერი ზეწოლის შედეგი იყო. თუმცა აფხაზი ისტორიკოსების აზრით, აღნიშნულმა ხელშეკრულებამ დააფიქსირა ორივე რესპუბლიკის თანასწორობა. შესაბამისად, აფხაზეთი ამ დროს არ შედიოდა საქართველოს შემადგენლობაში, არამედ დაკავშირებული იყო მასთან, როგორც „სახელშეკრულებო რესპუბლიკა“ [23, 342].

ქართულ ისტორიოგრაფიაში ასახული პოზიციის თანახმად, სამოკავშირეო ხელშეკრულებით აფხაზეთი, ფაქტობრივად, საქართველოს ავტონომია ხდებოდა. რეგიონალური პარტიული ორგანიზაცია მთლიანად გადადიოდა საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დაქვემდებარებაში [1, 282]. გარდა ამისა, ხაზგასმულია ხელშეკრულების **მეოთხე პუნქტი,** რომლის თანახმადაც „ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციაში აფხაზეთი შედის საქართველოს სსრ-ის მეშვეობით, როგორც მისი ნაწილი“ [2, 344; 8, 94-96; 26, 483-484]. აფხაზეთი ვერ იქნებოდა სსრ კავშირის დამფუძნებელთა შესახებ ხელშეკრულების (1922 წლის 30 დეკემბერი) მონაწილე, რადგან ის არ წარმოადგენდა ამიერკავკასიის ფედერაციის ცალკე სუბიექტს – საქართველოს, აზერბაიჯანისა და

* აფხაზეთის ცალკე სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სტატუსის დროებითობასა და პრობლემურობაზე წერს ასევე ამერიკელი მკვლევარი ტიმოთი ბლაუველტი [12].

სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მსგავსად; ასევე, საგანგებოდ აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირის 1924 წლის კონსტიტუციაში აფხაზეთი ავტონომიურ რესპუბლიკად არის მოხსენიებული [8, 97]. შესაბამისად, ქართველი ისტორიკოსები სიცრუედ მიიჩნევენ აფხაზი კოლეგების მტკიცებას, რომ სსრკ-ის შექმნის დოკუმენტს ხელს აწერდა აფხაზეთის სსრ-ის წარმომადგენელი ნიკოლოზ აქირთავა [23, 342]. რეალურად, დოკუმენტზე ამიერკავკასიის სახელით ხელს აწერდა 22 კაცი, მათ შორის, ნესტორ ლაკობა [2, 344].

1925 წლის 1 აპრილს აფხაზეთის საბჭოების III ყრილობამ, როგორც თანამედროვე ქართველი ისტორიკოსები ხაზგასმით აღნიშნავენ, „ყოველგვარი განხილვის“ გარეშე დაამტკიცა აფხაზეთის სსრ-ის კონსტიტუცია. ის იმეორებდა საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციას და, შესაბამისად, წინააღმდეგობაში მოდიოდა როგორც მასთან, ასევე ამიერკავკასიისა და სსრ კავშირის კონსტიტუციებთან. კერძოდ, აფხაზეთი ცხადდებოდა სუვერენულ რესპუბლიკად, რომელიც ინარჩუნებდა როგორც ამიერკავკასიის ფედერაციიდან, ასევე სსრ კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლებას. სახელმწიფო ენად აღიარებული იყო რუსული. ქართველი ისტორიკოსები აქცენტს იმაზეც აკეთებენ, რომ აფხაზეთის კონსტიტუცია არ თავსდებოდა საქართველოსთან დადებული განსაკუთრებული სამოკავშირეო ხელშეკრულების ჩარჩოში. სწორედ ამ ხელშეკრულების საფუძველზე და მხოლოდ საქართველოს მეშვეობით შეეძლო აფხაზეთს ამიერკავკასიის ფედერაციისა და, შესაბამისად, სსრ კავშირის წევრობა [2, 345; 26, 489-490].

თავის მხრივ, აფხაზი ისტორიკოსების მტკიცებით, მხოლოდ აფხაზეთმა მიიღო საკუთარი კონსტიტუცია, მაშინ, როცა სხვა ავტონომიებს ეს არ გაუკეთებიათ. შესაბამისად, აფხაზეთი არსებითად იყო არა ავტონომია, არამედ მოკავშირე რესპუბლიკა, რომელსაც ჰქონდა სუვერენული სახელმწიფოს სტატუსი [28, 93]. მათი აზრით, ეს აქტი იყო სოხუმის მხრიდან საქართველოსთან აფხაზეთის ურთიერთობის გადახედვის ბოლო მცდელობა [23, 342].

1925 წლის აფხაზეთის სსრ-ის კონსტიტუცია ძალაში არ შესულა და იმავე წლის ზაფხულში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში ის მუხლები განიხილეს, რომლებიც არეგულირებდა საქართველოსთან ურთიერთობას [2, 345]. 1925 წლის 27 სექტემბერს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს დავალებით შექმნილმა საკონსტიტუციო კომისიამ, ნ. ლაკობას ხელმძღვანელობით, კონსტიტუციის ახალი პროექტი წარუდგინა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის სამდივნოს.

თანამედროვე ქართველი ისტორიკოსების შეფასებით, 1926-27 წლებში მიღებულ და დამტკიცებულ **საქართველოს კონსტიტუციაში** და, ასევე, აფხაზეთის **1926 წლის კონსტიტუციაშიც** აისახა, რომ აფხაზეთის სსრ განსაკუთრებული ხელშეკრულების ძალით შედიოდა საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში და მისი მეშვეობით – ამიერკავკასიის სფსრ-ში. ამასთან, თუ 1925 წლის კონსტიტუცია აფხაზეთს „სუვერენულ“ რესპუბლიკად აცხადებდა, ახალ კონსტიტუციაში აფხაზეთი „სოციალისტურ“ რესპუბლიკად იხსენიებოდა. გარდა ამისა, წინამორბედი კონსტიტუციისგან განსხვავებით, ამ კონსტიტუციის თანახმად, აფხაზეთის სსრ-ის მოქალაქეები ამავდროულად საქართველოს სსრ-ის მოქალაქეებიც იყვნენ; სახელმწიფო ენად ცხადდებოდა აფხაზური, ქართული და რუსული ენები (მუხლი 8); კონსტიტუცია ფორმალურად მიჯნავდა თბილისისა და სოხუმის უფლებამოსილებას – კერძოდ, აფხაზეთის გარკვეული სახალხო კომისარიატები (შინაგან საქმეთა, იუსტიციის, განათლების, ჯანდაცვის, მიწათმოქმედებისა და სოციალური უზრუნველყოფის) საქართველოს სსრ-ის ანალოგიური კომისარიატებისგან დამოუკიდებლად ფუნქციონირებდა; ორმაგ დაქვემდებარებში იყო სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო. **აფხაზეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის** გადაწყვეტილებით, აფხაზეთის მთავრობის შემადგენლობაში გადამწყვეტი ან სათათბირო ხმის უფლებით შედიოდნენ საქართველოს შესაბამისი კომისარიატების – ფინანსთა, შრომისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის – ორგანოების წარმომადგენლები, თუმცა ისინი ანგარიშვალდებული იყვნენ აფხაზეთის ცაკ-ისა და მთავრობის მიმართ;

ამასთან, **საქართველოს ცეტრალური აღმასრულებელი კომიტეტის** (ცაკ-ის) მიერ გამოცემული რესპუბლიკური მნიშვნელობის საერთო კოდექსები, დეკრეტები და დადგენილებები სავალდებულო იყო აფხაზეთის სსრ-ის ტერიტორიაზეც. ქართველი ისტორიკოსები განსაკუთრებით მიუთითებენ იმ გარემოებაზე, რომ კონსტიტუციის თანახმად, აფხაზეთის სსრ-ის ბიუჯეტი, მისი დამტკიცების შემდეგ, საქართველოს ბიუჯეტის ნაწილი ხდებოდა. მათი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებები მკაფიოდ იყო გამიჯნული, რეალურ ძალაუფლებას პარტიული ორგანოები ფლობდნენ. შესაბამისად, აფხაზეთის ორგანოებისთვის სავალდებულო იყო **საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის** (კპ ცკ-ის) ნებისმიერი გადაწყვეტილება [8, 104 -106; 2, 347- 348; 26, 497-502].

ქართველი ისტორიკოსების მოსაზრებით, ვინაიდან ბოლშევიკების ხელისუფლება საქართველოშიც უკვე მყარად იყო ფეხმოკიდებული, კრემლისთვის აფხაზეთის სსრ-ის ფაქტორის გამოყენებით დამოუკიდებლობის მოსურნე საქართველოს დამორჩილების საჭიროებაც აღარ იდგა. ამასთან, სამოკავშირეო ხელშეკრულების ფარგლებში აფხაზეთის კონსტიტუციური და ფაქტობრივი დამოკიდებულება თბილისზე უფრო ავტონომიური ერთეულის მდგომარეობას შეესაბამებოდა, ვიდრე ცალკე აღებული მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსს. შესაბამისად, ბუნებრივად უნდა დამდგარიყო 1921 წლის 16 დეკემბრის ხელშეკრულების გადახედვისა და აფხაზეთის სტატუსის **საბჭოთა კავშირის კონსტიტუციასთან** (1924) შესაბამისობაში მოყვანის საკითხი. 1930 წლის 17 აპრილს აფხაზეთის ცაკ-ის III სესიაზე კონსტიტუციიდან ამოიღეს სახელწოდება „სახელშეკრულებო რესპუბლიკა“ და იგი „ავტონომიური რესპუბლიკით“ ჩაანაცვლეს. 1926 წლის კონსტიტუციით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა გადასინჯვა არსებითად არ მომხდარა. საბოლოოდ, 1931 წლის 11 თებერვალს, აფხაზეთის საბჭოების VI ყრილობის გადაწყვეტილებით, აფხაზეთი ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სტატუსით შევიდა საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში; 19 თებერვალს კი საქართველოს საბჭოების VI ყრილობამ დაადასტურა აფხაზეთის საბჭოების VI ყრილობის აღნიშნული გადაწყვეტილება [2, 350- 351; 8, 107-108].

საბჭოთა სისტემისა და სტალინის მმართველობის განმტკიცების ფონზე საბჭოთა იმპერიის **„ეთნო-ფედერალური“** სტრუქტურაც დასრულებულ ფორმას იღებდა. აფხაზი ისტორიკოსებიც აფხაზეთის სტატუსის „ჩამოქვეითებას“ სწორედ „ყოვლისშემძლე ქართველების“ – ი. სტალინისა და ლ. ბერიას – „ვერაგულ“ გადაწყვეტილებას მიაწერენ [28, 93-94; 29, 86; 8, 104].

1936 წლის 5 დეკემბერს მიღებული საბჭოთა კავშირის ე.წ. **„სტალინური კონსტიტუციის“** საფუძველზე გაუქმდა ამიერკავკასიის ფედერაცია. საქართველოს სსრ, რომლის შემადგენლობაში შედიოდა აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, უშუალოდ გახდა სსრკ-ის ერთ-ერთი მოკავშირე რესპუბლიკა.

ბ) სამხრეთ ოსეთის სტატუსის განსაზღვრა საქართველოს სსრ-ის ფარგლებში (1922 წლის 22 აპრილი)

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე დადგა „სამხრეთ ოსეთის“ „თვითგამორკვევისა და პოლიტიკური მოწყობის საკითხი“. 1921 წლის 6-8 სექტემბერს „სამხრეთ ოსეთის“ **რევკომისა** და **პარტკომის** სხდომაზე, ადგილობრივი **პასუხისმგებელი პარტიული თანამშრომლების** მონაწილეობით მიიღეს დადგენილება, რომლის თანახმად აუცილებელ ნაბიჯად ჩაითვალა სამხრეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა – ცენტრით ცხინვალში, რომელიც ნებაყოფლობით შედიოდა ფედერაციულ კავშირში საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან; ორ რესპუბლიკას შორის ფედერაციულ კავშირში მაქსიმალურად გარანტირებული უნდა ყოფილიყო „სამხრეთ ოსეთის“ მუშების პოლიტიკური უფლებები; თანდართული პროექტის მიხედვით, რესპუბლიკა ვალდებულებას იღებდა, უზრუნველეყო სამხრეთ ოსეთის

მუშათა ეკონომიკური და კულტურული განვითარება ეთნოგრაფიული, გეოგრაფიული და ეკონომიკური წინა პირობების საფუძველზე დადგენილი საზღვრების ფარგლებში [31, 232]. აღნიშნულ დადგენილებაზე თანდართული **„მოკლე განმარტებითი ჩანაწერი“** შეიცავდა თავისი არსით ისტორიულ არგუმენტებს „სამხრეთ ოსეთის“ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის დასასაბუთებლად. ეს არგუმენტები, ძირითადად, გაზიარებულია თანამედროვე ოსურ ისტორიოგრაფიაში [25]. დანართის თანახმად, „სამხრეთ ოსეთი“, აღნიშნული საზღვრების ფარგლებში, ერთი გეოგრაფიული მთლიანობაა; მისი ეთნოგრაფიულად ერთგვაროვანი მოსახლეობა გამოირჩევა სპეციფიკური სამეურნეო ყოფით; მაღალია მშრომელთა მასის კლასობრივი ცნობიერება, რაც შესაბამის ნიადაგს ქმნის რესპუბლიკის ნორმალური ფუნქციონირებისა და კულტურულ-ეკონომიკური განვითარებისთვის. ამ ობიექტური პირობების გათვალისწინებით, სამხრეთ ოსეთის სსრ-ის წარმოქმნა და სკოლებში, სასამართლოსა და სხვა დაწესებულებებში მშობლიური ენის შემოღება ხელს შეუწყობს ადგილობრივი მშრომელების მიჩვევას საბჭოთა წყობასთან და მენშევიკების მმართველობის დროს გაჩენილი „ეროვნული ჩაგვრის“ განცდის გაქრობას [31, 233]. ეს კონკრეტული მოთხოვნა კავბიუროს არ დააკმაყოფილა, თუმცა ავტონომიური ერთეულის შექმნის გეგმა ძალაში რჩებოდა.

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ შიდა ქართლში ცალკე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ერთეულის შექმნის პერსპექტივამ მაშინდელი ქართული საზოგადოება სამართლიანად აღაშფოთა. საბჭოთა ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ცხინვალის მოსახლეობის უმრავლესობა ეთნიკურად ქართველი იყო. უგულებელყოფილი იყო 1921 წლის დეკემბერში გამართული საპროტესტო შეკრებები მთელ რიგ ქართულ სოფლებში, მათ შორის, დვანში, ნულში, ავნევში, ქორდში, ტირძნისში, ზემო და ქვემო ნიქოზში, ზემო და ქვემო ხვითში და სხვ. ადგილობრივი მცხოვრებლები უარს აცხადებდნენ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შესვლაზე [31, 239]. საბოლოოდ, 1922 წლის 20 აპრილს საქართველოს სსრ-ის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახალხო კომისრების **№2 დეკრეტის** საფუძველზე რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რომლის დედაქალაქი გახდა ცხინვალი [30, 7].

ქართველი ისტორიკოსების თანახმად, ავტონომიური ოლქის შექმნით ბოლშევიკებმა ოსებს საქართველოს გასაბჭოებაში შეტანილი წვლილი დაუფასეს. სხვა მხრივ, მათი შეფასებით, ავტონომიური ოლქის ფორმირებისათვის რეალური ისტორიული, სამართლებრივი და დემოგრაფიული წანამძღვრები არ არსებობდა [1, 283]. ხაზგასმულია ის გარემოება, რომ იმ დროს „ნამდვილი“ ანუ თანამედროვე ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე ჯერ არ იყო შექმნილი არც ოლქი და არც ავტონომიური რესპუბლიკა. ჩრდილო ოსეთის ავტონომიური ოლქი წარმოიქმნა 1924 წლის 7 ივლისს, ხოლო 5 დეკემბერს მას ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი მიენიჭა. ისტორიკოსების აზრით, კრემლს შორს მიმავალი გეგმები ჰქონდა. სამომავლოდ, საბჭოთა კავშირში ორი ოსური ავტონომიური ერთეულის არსებობა, საჭიროების შემთხვევაში, რუსეთის შემადგენლობაში მათი გაერთიანების შესაძლებლობას შექმნიდა. რეალურად, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს „ნელი მოქმედების ნაღმის“ ფუნქცია ჰქონდა, რომელიც მაშინ აფეთქდებოდა, როცა საქართველო საბჭოთა კავშირიდან გასვლას დააპირებდა [30, 41-42].

§3. აფხაზეთი და „სამხრეთ ოსეთი“ სტალინურ ეპოქაში

„სოციალიზმის მშენებლობა“

სოციალიზმის საბჭოური ვერსიის ანუ, როგორც მას უწოდებენ, სტალინიზმის სოციალურ-პოლიტიკური სისტემის მშენებლობა, ძირითადად, 1930-იან წლებზე მოდის. ეს იყო საბჭოთა კავშირში კომუნისტური პარტიის (მისი „გენერალური ხაზის“) სრული გამარჯვების, ტოტალიტარული მმართველობისა და მკაცრად კონტროლირებადი საზოგადოების ფორმირების, ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და კულტურული რევოლუციის პერიოდი.

საერთო საკავშირო პოლიტიკისა და პარტიული დირექტივების შესაბამისად, 1929 წლის ივლისიდან საქართველოს სსრ-ში საფუძველი ეყრება სოციალიზმის მშენებლობის ხუთწლიან გრანდიოზულ და ყოვლისმომცველ გეგმებს. საქართველოს კომპარტიის VI ყრილობაზე დამტკიცებული პირველი „ხუთწლიანი გეგმა“ (1928-1932 წწ.) მიზნად ისახავდა რესპუბლიკაში სოციალური, ეკონომიკური და კულტურული პრობლემების ფუნდამენტურ გადაწყვეტას. ამაში იგულისხმებოდა „კაპიტალისტური ელემენტებისგან“ რესპუბლიკის გაწმენდა ქალაქად თუ სოფლად და სოციალისტური ელემენტების გაძლიერება; „სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აშენება“ და უმთავრესად, აგრარული ქვეყნის მძიმე ინდუსტრიულ რესპუბლიკად ტრანსფორმაცია; ეკონომიკის მთელი რიგი დარგების, მათ შორის, სამთამადნო-მომპოვებელი, ხეტყის, ქაღალდის, აბრეშუმის, კვების (თამბაქო, ჩაი და სხვ.), სამშენებლო მასალების, ქიმიურ-ფარმაცევტული და სხვათა წარმოების განვითარება; ამ ტექტონიკური ძვრებისა და საფუძვლიანი ცვლილებების პროცესში გლეხთა მასების ჩაბმა; სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობის დაძლევა; მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება; კვალიფიციური კადრების მომზადება; უმუშევრობის დაძლევა და ა.შ. [4, 372-373].

ერთ-ერთი მთავარი მიმართულება იყო „ლენინური ეროვნული პოლიტიკის“ კვალდაკვალ ავტონომიური ერთეულების სწრაფი სამეურნეო და კულტურული აღმავლობა და „მათი ფაქტიური უთანაბრობის ლიკვიდაცია“ [4, 372].

აგრარულ ქვეყანაში უმთავრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სოფლად „წვრილგლეხური მეურნეობის“ კოლექტიური მეურნეობით ჩანაცვლებას. ამ ამოცანის განსახორციელებლად კომუნისტები სისტემურად და ფართო მასშტაბით შეუდგნენ შეძლებული გლეხების, ე.წ. კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციას. მათ ართმევდნენ არსებობისა და განვითარების „საწარმოო წყაროსა“ და „წარმოების ყველა საშუალებას“ (პირუტყვი, მანქანები) და გადასცემდნენ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლექტიურ მეურნეობებს. გაუქმდა ასევე დაქირავებული მუშახელისა და იჯარის გამოყენების უფლება. იძულებითმა კოლექტივიზაციამ, კულაკების საკუთრების „ექსპროპრიაციამ“ და სოფლებიდან ადმინისტრაციული წესით მათმა გასახლებამ და „განდევნამ“

მარჯვნიდან მარცხნივ: ***იოსებ სტალინი, ნესტორ ლაკობა, ლავრენტი ბერია და სტალინის დედა***

განსაკუთრებით ფართო და ინტენსიური ხასიათი მიიღო 1929 წლის ბოლოდან [4, 537-538].

30-იანი წლების დასაწყისში აფხაზეთში კოლექტივიზაცია უფრო ნელა მიმდინარეობდა, ვიდრე საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ-ის სხვა რეგიონებში. ზოგადად, იძულებითი კოლექტივიზაცია უკმაყოფილებას იწვევდა მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილში [23, 343].

აფხაზეთის შედარებით გვიან კოლექტივიზაციას (1936-38 წწ.) ნესტორ ლაკობას მანევრებსაც მიაწერენ. ის აფხაზი ხალხის კულტურული, სოციალური და ისტორიული თავისებურებებით მანიპულირებდა, როდესაც ასაბუთებდა, რომ აფხაზეთში ჯერ ნაადრევი იყო სწრაფი კოლექტივიზაციის განხორციელება. გარკვეული მოსაზრებით, ასეთი მანევრირებისას ნესტორ ლაკობა ბელადთან კარგი პირადი ურთიერთობითაც სარგებლობდა. საბოლოო ჯამში, მან მოახერხა ცვლილებებით უკმაყოფილო აფხაზი გლეხებისთვის თავიდან აერიდებინა იძულებითი კოლექტივიზაციის ყველაზე მწვავე პერიოდი [13, 211]. საინტერესოა, რომ იმავე დროს სხვა ბედი ეწია, მაგალითად, აფხაზეთში მცხოვრებ რუს და ბერძენ მოსახლეობას, რომლებიც გააკულაკეს და გადაასახლეს [15, 266]. გარდატეხა მხოლოდ 1937 წელს მოხდა და 1940 წელს აფხაზეთშიც გლეხური მეურნეობის საერთო რაოდენობის 93,8 პროცენტი კოლმეურნეობაში გაერთიანდა. აფხაზეთის საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებში გაშენებული იყო ჩაი, ციტრუსები, ვენახი, თამბაქო, სიმინდი, ტუნგო და ა.შ.

განსხვავებით აფხაზეთისგან, 30-იანი წლების დასაწყისიდანვე სწრაფი ტემპით წარიმართა კოლექტივიზაცია სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. საბჭოთა მონაცემებით, 1940 წლისთვის კოლექტიურ მეურნეობებში, რომლებიც მოიცავდა სათეს ფართობს, ბაღებსა და ვენახებს, გლეხობის 99,4 პროცენტი იყო გაერთიანებული [4, 793]. ოლქის სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მესაქონლეობას.

აფხაზეთის ასსრ-ში ინდუსტრიალიზაცია ორიენტირებული იყო ადგილობრივ წიაღისეულსა და რესურსებზე მიბმული სამრეწველო დარგების განვითარებაზე. აშენდა ქვანახშირის შახტები, ელსადგურები; თამბაქოს, ჩაის, ეთერზეთების ქარხნები და ფაბრიკები; კვების მრეწველობის საწარმოები და სხვ. [4, 769].

ვითარდებოდა სატრანსპორტო დარგი (რკინიგზის, საავტომობილო, საზღვაო, საჰაერო). ქალაქი სოხუმი რკინიგზით დაუკავშირდა თბილისს. ავტონომიის რაიონული ცენტრები და დასახლებული პუნქტებიც რკინიგზითა და სამანქანო გზებით უკავშირდებიან ერთმანეთს.

აფხაზეთში, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში ცნობილ საკურორტო მხარეში, კეთილმოწყობილი კურორტები, სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები ყოველწლიურად იმპერიის ყველა კუთხიდან ჩამოსულ ათეულ ათასობით დამსვენებელს იღებდა [4, 814].

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მსხვილი მრეწველობის საწარმოებიდან აშენდა ტალკის დამამუშავებელი ქარხანა (1940), ხეტყის კომბინატი, ელექტროსადგური და სხვ. დაიწყო სამზადისი ტყვიისა და თუთიის მდიდარი საბადოების სამრეწველო დამუშავებისთვის [4, 771]. სატრანსპორტო განვითარებისა და, ზოგადად, ოლქის ეკონომიკური წახალისების კუთხით მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1940 წელს გორი-სტალინირის (ცხინვალის) რკინიგზის ხაზის გახსნა [4, 758].

30-იან წლებში აფხაზეთში იზრდებოდა ბაგა-ბაღების, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების რიცხვი. სწავლება მიმდინარეობდა აფხაზურ, ქართულ, სომხურ, ბერძნულ და სხვა ენებზე.

სხვადასხვა სფეროსა და დარგში კვალიფიციური კადრების მომზადებაში მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი, სოფლის მეურნეობის (სუბტროპიკული) ინსტიტუტი და ტექნიკუმების ფართო ქსელი.

20-იანი წლების ბოლოსა და 30-იანი წლების დასაწყისში დაარსდა სამეცნიერო დაწესებულებები, მათ შორის, აფხაზური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (АБНИИ) და ექსპერიმენტული მედიცინის საკავშირო ინსტიტუტის სოხუმის სუბტროპიკული ფილიალი, მაიმუნების სანაშენეს ბაზაზე.

აფხაზეთში გამოდიოდა გაზეთები აფხაზურ, ქართულ და რუსულ ენებზე: „Советская Абхазия“ („საბჭოთა აფხაზეთი“), „Аҧсны ҳаҧшь“ („წითელი აფხაზეთი“), „საბჭოთა აფხაზეთი“ და სხვ. გამომცემლობა „ალაშარა“ („სინათლე“) გამოსცემდა სხვადასხვა მიმართულების ლიტერატურას, აგრეთვე აფხაზურ, ქართულ და რუსულ ენებზე. ჩამოყალიბდა პროფესიული აფხაზური თეატრი და დრამატული სტუდია, აფხაზეთის მწერალთა განყოფილება, მუსიკალური სასწავლებელი და სამხატვრო სკოლა [4, 825-826, 853; 23, 347-348; 22, 171-177, 187-193].

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქშიც განათლების სფერო, სამეცნიერო მიმართულება და კულტურული ცხოვრება კომუნისტური პარტიის მიერ განსაზღვრული გეგმით ვითარდებოდა. 1937 წლისთვის ოლქში მრავალი სკოლა მოქმედებდა. ცხინვალში ფუნქციონირებდა პედაგოგიური ინსტიტუტი, ტექნიკუმები, საშუალო სკოლები. დაარსდა ოსური დრამატული თეატრი; გამოდიოდა გაზეთები ოსურ და ქართულ ენებზე: „სოვეთონ ირისთონი“ („საბჭოთა ოსეთი“), „საბჭოთა ოსეთი“, „ლენინელი“, „კოლხოზონ ცარდი“ („საკოლმეურნეო ცხოვრება“); ლიტერატურას ოსურ და რუსულ ენებზე ბეჭდავდა გამომცემლობა „ირისთონი“ [4, 818; 825; 853].

30-იანის წლების დასასრულისთვის მთლიანად შეიცვალა როგორც ზოგადად საქართველოს, ასევე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სოციალური სტრუქტურა. უდიდეს უმრავლესობას ქმნიდნენ სოციალიზმის საყრდენად მიჩნეული ფენები, კერძოდ, მუშები და გლეხობა (მაგ., აფხაზეთის შემთხვევაში მუშები შეადგენდნენ მოსახლეობის 21%-ს, გლეხობა – 60-61%-ს) [2, 353]. ჩამოყალიბდა ახალი სოციალისტური საბჭოთა ინტელიგენცია, სოციალისტური კულტურა და კომუნისტურ იდეოლოგიასთან სრულ შესაბამისობაში მყოფი განათლების სისტემა [2, 353].

ამ სოციალური და ეკონომიკური ცვლილებების ფასი ძალიან მაღალი იყო: მილიონობით ადამიანის სიცოცხლე დაინგრა ან შეეწირა 1937 წელს დაწყებულ საბჭოთა ტერორსა და მასობრივ რეპრესიებს [20, 237].

§4. აფხაზეთი და „სამხრეთ ოსეთი“ საბჭოთა ტერორის დროს და მეორე მსოფლიო ომამდე

1937 წლის 30 ივლისს **საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის (შინსახკომი)** № 00447 ოპერატიულმა ბრძანებამ „სისხლის სამართლის დამნაშავეებისა და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტების მიმართ რეპრესიების ოპერაციის შესახებ“ იმპერიაში დასაბამი მისცა არნახული მასშტაბის პოლიტიკურ რეპრესიებს. მიზანში ამოიღეს საზოგადოების ის სეგმენტი და კონკრეტული ადამიანები, რომლებიც კომუნისტური პარტიის „გენერალური ხაზის“ მიმართ კრიტიკულად იყვნენ განწყობილნი ან ასეთებად მიაჩნდა სტალინსა და მის რეჟიმს. დაპატიმრებულ ადამიანებს, ე.წ. „ხალხის მტრებს“, ბრალს სდებდნენ კონტრრევოლუციურ, დივერსიულ-მავნებლურ, ჯაშუშურ, ტროცკისტულ-ტერორისტულ და სხვა ანტისაბჭოთა საქმიანობაში. შავ სიებში მოხვედრილთა შორის იყვნენ პარტიის ცნობილი წარმომადგენლები, მწერლები და პოეტები, ხელოვანები, სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, გლეხები და სხვ. [1, 351-352].

ლავრენტი ბერია

1899-1953, სსრკ-ის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე

1937-1938 წლების სტალინურ რეპრესიებს, რომელიც „დიდი ტერორის“ სახელითაც არის ცნობილი, საბჭოთა კავშირის მასშტაბით ასობით ათასი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა (725 ათასი), მილიონობით ადამიანი კი დააპატიმრეს და გადაასახლეს (მინიმუმ, 1,7 მილიონი ადამიანი).

საქართველოს სსრ-ში სახელმწიფო ტერორს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ლავრენტი ბერია (1899-1953) ხელმძღვანელობდა. რესპუბლიკის სხვა მხარეების მსგავსად, რეპრესიების ტალღამ გადაუარა ავტონომიურ ერთეულებსაც. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ათასობით სხვა ადამიანთან ერთად სადამსჯელო ოპერაციების მსხვერპლნი გახდნენ პარტიული ხელმძღვანელი პირები, სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები (ნ. ლაკობა, ნ. აქირთავა, კ. ინალიფა, დ. ჯერგენია, ს. ფილია, ი. ჯოჯიევი, ვ. ხუბაევი, გრ. სანაკოევი და სხვ.) [2, 353].

ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ ისტორიულ დებატებში* ერთ-ერთი მწვავე საკამათო საკითხია – მიმდინარეობდა თუ არა ავტონომიურ რეგიონებში რეპრესიები ეთნიკური ნიშნით. აფხაზური და ოსური პერსპექტივით, სტალინი და ბერია, როგორც ქართველები, მიზანმიმართულად და შერჩევით უსწორდებოდნენ ეთნიკურ უმცირესობებს საქართველოში, პირველ რიგში კი, აფხაზებსა და ოსებს. ქართული პოზიციის თანახმად, სტალინური რეპრესიები აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში, საქართველოს სსრ-ის დანარჩენ ნაწილსა და მთლიანად საბჭოთა კავშირში საერთო იმპერიული პროცესების ფარგლებში უნდა იყოს აღქმული. ტოტალიტარული და რეპრესიული სისტემის ტერორი საბჭოთა იმპერიის ყველა ხალხს დაატყდა თავს, მათ შორის, არანაკლებად, სტალინისა და ბერიას თანამემამულე ქართველებს [2, 353].

თანამედროვე აფხაზი და ოსი ისტორიკოსები საუბრობენ ასევე თბილისის მხრიდან ავტონომიების ეკონომიკურ და კულტურულ დისკრიმინაციასა და კოლონიური პოლიტიკის გატარებაზე. ოსური პერსპექტივის მიხედვით, ქართული ნაციონალ-შოვინისტური პოლიტიკა სამხრეთ ოსეთის მიმართ თვალსაჩინო იყო, მაგალითად, რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ოლქის დაფინანსებაში. იმის მიუხედავად, რომ სამხრეთ ოსეთი ფერადი ლითონის საბადოებითა და სამშენებლო მასალებით მდიდარი რეგიონი იყო, ოლქში ეკონომიკის წამყვან დარგად უმთავრესად სოფლის მეურნეობა რჩებოდა. მათი აზრით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, ფაქტობრივად, საქართველოს აგრარული და ნედლეულის დანამატი გახდა [27, 12]; ამ პირობებში ზედმეტი იყო საუბარი ხალხის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, საცხოვრებელი ნაგებობების, სკოლებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობაზე.

აფხაზი ავტორები განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებენ ავტონომიურ რეგიონში თბილისის დემოგრაფიულ პოლიტიკაზე [29, 92]. გარკვეული მონაცემებით, 1939-1959 წლებში ქართველების რაოდენობა აფხაზეთში 66 ათასამდე გაიზარდა [13, 218-219]. ქართველი ისტორიკოსების თვალსაზრისით, ამ პერიოდში აფხაზეთში მიმდინარე მიგრაციული პროცესები იყო არა ავტონომიური რეგიონის გაქართველების მიზანმიმართული პოლიტიკა, არამედ დასავლეთ საქართველოს მიწისძვრით დაზარალებული რაიონებიდან უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დახმარების აუცილებელი ღონისძიება სახელმწიფოს მხრიდან [8, 148-153]. თუმცა ქართველი ისტორიკოსების აზრით, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ 40-იანი წლებიდან სტალინის სიკვდილამდე (1938-1953) საბჭოთა იმპერიის უმაღლეს ეშელონებში ლ. ბერიას პოლიტიკური კლანის დომინანტობამ გარკვეული როლი შეასრულა ქართული ინტერესების სასარგებლოდ. აქედან გამომდინარე, ამ პერიოდში აფხაზეთში ბერიას მიერ ინსპირირებულ დემოგრაფიულ პროცესებში „ქართული რეგიონალურ-ლოკალური ეგოცენტრიზმის ნიშნებიც“ შეიძლება დავინახოთ [2, 362].

ქართულ-აფხაზური/ოსური ისტორიული დებატების მწვავე საკამათო თემებს შორის ერთ-ერთი კულტურული დისკრიმინაციის საკითხია. 1937 წელს, პარტიის საოლქო კომიტეტის XV კონფერენციის გადაწყვეტილებით, მოხდა აფხაზური ანბანის გრაფიკული სისტემის ლათინურიდან ქართულზე გადაყვანა. იგივე მოხდა ოსური გრაფიკული სისტემის შემთხვევაში 1938 წელს.

---

* ამ საკითხების გარშემო თანამედროვე ქართულ-აფხაზური ისტორიული დებატების შესახებ იხილეთ, **მარკ იუნგე, ბერნარდ ბონვეჩი** და **დანიელ მიულერი**, საქართველო გზად: სტალინიზმის ჩრდილები [6].

სოხუმსა და ცხინვალში აფხაზური და ოსური დამწერლობის გრაფიკული სისტემის რეფორმას ეთნიკური უმცირესობების თვითმყოფადობის მოშლის ქართულ შოვინისტურ ზრახვებს მიაწერენ. ქართველი ისტორიკოსების პერსპექტივით, აღნიშნული რეფორმა არ შეიძლება, განვიხილოთ დამოუკიდებლად, 30-იანი წლების მეორე ნახევარში საკავშირო მასშტაბით გატარებული მსგავსი რეფორმისაგან მოწყვეტით. კერძოდ, ამ რეფორმის მიხედვით, „მცირე ერების დამწერლობა“ შესაბამისობაში უნდა მოსულიყო იმ მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ენის გრაფიკასთან, რომლის ფარგლებშიც ამ ერების ავტონომიური წარმონაქმნები შედიოდა. შესაბამისად, ქართულ გრაფიკაზე აფხაზური და ოსური დამწერლობის გადაყვანა თავსდებოდა მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ და კონსტიტუციურ ჩარჩოში [2, 355-360].

აფხაზი და ოსი ისტორიკოსები ასევე ცალსახად ქართული ნაციონალ-შოვინისტური პოლიტიკის გამოვლინებად მიიჩნევენ 40-იან წლებში გატარებულ სასკოლო რეფორმასაც [24; 23, 352]. 1944 წლის სასწავლო წლისთვის სამხრეთ ოსეთის სკოლებში სწავლება რუსულ და ქართულ ენებზე გადაიყვანეს, რაც 1949 წელისთვის დაწყებით კლასებსაც შეეხო. 1951 წელს კი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში საქმის ქართულ ენაზე წარმოება შემოიღეს, რასაც მოჰყვა, როგორც ოსი ავტორები აღნიშნავენ, სახელმწიფო სამსახურის ყველა სფეროში ოსური კადრების ქართველებით ჩანაცვლება. ანალოგიური სასკოლო რეფორმა აფხაზეთში 1945-46 სასწავლო წლიდან გატარდა.

ქართველი ისტორიკოსების მტკიცებით, აღნიშნული რეფორმა ავტონომიურ ერთეულებში საბჭოთა კავშირის კპ(ბ) ცკ-ის ორგბიუროს **1938 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილების** საფუძველზე მიმდინარეობდა, რომელიც საკავშირო მასშტაბით განსაკუთრებული ეროვნული სკოლების (გერმანული, ფინური, პოლონური, ესტონური და ა.შ.) ჩვეულებრივი ტიპის საბჭოთა სკოლებად გარდაქმნას ითვალისწინებდა. უნდა გაუქმებულიყო ჩვეულებრივ საბჭოთა სკოლებთან არსებული განსაკუთრებული ეროვნული განყოფილებები; აგრეთვე, უნდა მომხდარიყო განსაკუთრებული ეროვნული სკოლების რეორგანიზაცია ჩვეულებრივი ტიპის საბჭოთა სახელმძღვანელოებსა და სასწავლო პროგრამებზე მათი გადაყვანისა და შესაბამისი რესპუბლიკის (ამ შემთხვევაში საქართველოს სსრ-ის) ენაზე ან რუსულ ენაზე სწავლების შემოღების გზით. შესაბამისად, მაგალითად, აფხაზეთის შემთხვევაში სწავლება უნდა შემოღებულიყო მხოლოდ და მხოლოდ ქართულ ან რუსულ ენაზე [2, 358]. ამასთან, ქართველი ისტორიკოსები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ 1945

კონსტანტინე შაყრილი, *1899-1992*
აფხაზი ენათმეცნიერი და პედაგოგი

გიორგი ძიძარია, *1914-1988*
საბჭოთა სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, აფხაზი ისტორიკოსი-კავკასიოლოგი და პედაგოგი



ბაგრატ შინქუბა, *1917-2004*
აფხაზი საბჭოთა პოეტი, მწერალი, სახელმწიფო მოღვაწე, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე 1959-1978 წწ.

წლის სასკოლო რეფორმის ინიციატივა მოდიოდა საკუთრივ აფხაზი პედაგოგებისგან. აფხაზი ოპონენტების მტკიცებით, აფხაზი მასწავლებლები აიძულეს, ეს ნაბიჯი გადაედგათ. მოგვიანებით, აფხაზი ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა (კონსტანტინე შაყრილი, გიორგი ძიძარია და ბაგრატ შინქუბა) 1947 წლის თებერვალში მოსკოვში სასკოლო რეფორმის საწინააღმდეგო საპროტესტო წერილი გააგზავნა [2, 359].

§ 5. აფხაზეთის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ე.წ. განვითარებული სოციალიზმის პერიოდში (მე-20 საუკუნის 50-70-იანი წლები)

საბჭოთა კავშირის II მსოფლიო ომში მონაწილეობის დროს (1941-1945) აფხაზეთის ასსრ-ისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ეკონომიკური და ადამიანური რესურსები, საქართველოს სსრ-ის სხვა რაიონების მსგავსად, მთლიანად ომის საჭიროებებისთვის, საბჭოთა არმიისა და ფლოტის დასახმარებლად (საბრძოლო ტექნიკის აგება, შეიარაღების წარმოება და ა.შ.) იყო მობილიზებული. ათასობით ადამიანი იქნა გაწვეული ომში, რომელთა დიდი ნაწილი ან დაიღუპა, ან დასახიჩრებული ჩამოვიდა [3, 95-102; 141-151; 167-223]. ომის შემდგომი პერიოდი უმთავრესად დაზარალებული მრეწველობის სწრაფ აღდგენას ისახავდა მიზნად.

1953 წლის მარტში ი. სტალინის სიკვდილის, ნ. ხრუშჩოვის (1894-1971) მიერ პიროვნების კულტის საწინააღმდეგო კამპანიის აგორებისა და ლ. ბერიას სიკვდილით დასჯის შემდეგ, კარდინალურად იცვლება სიტუაცია საქართველოს სსრ-ის ავტონომიურ რეგიონებში. აკადემიურ სივრცეში მიღებული შეხედულების თანახმად, თანამედროვე ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პირველმა კონტურებმა პოსტსტალინურ ეპოქაში, კერძოდ, 50-70-იან წლებში განვითარებულ მოვლენებში იჩინა თავი.

რაც შეეხება ქართულ-ოსურ დაპირისპირებას, საბჭოთა პერიოდში ოსური სეპარატიზმი იმდენად მკაფიო არ იყო, რამდენადაც აფხაზეთის შემთხვევაში; ამიტომაც ძირითადი პოლიტიკური დრამები აფხაზეთში თამაშდებოდა. ოსი ისტორიკოსები აქცენტს აკეთებენ საბჭოთა პერიოდში თბილისის მხრიდან ავტონომიური ოლქის უმეტესად ეკონომიკურ დისკრიმინაციაზე. მათი მტკიცებით, როგორც უკვე აღინიშნა, ოლქი საქართველოს აგრარული და ნედლეულის დანამატი გახდა; სამრეწველო ობიექტების მშენებლობებზე კი რესპუბლიკა მხოლოდ მიზერულ თანხებს გამოყოფდა.

როგორც პოსტსტალინურ საბჭოთა ქართულ ისტორიოგრაფიაში იყო აღნიშნული, გამოსწორდა სერიოზული „ნაკლოვანებები“ და „შეცდომები“ სახალხო განათლებაში და 1953 წელს აღდგა აფხაზეთის, ასევე სამხრეთ ოსეთის დაწყებით სკოლებში აფხაზურ და ოსურ ენებზე სწავლება [3, 523]. 1954 წელს აფხაზური და ოსური დამწერლობა გადაიყვანეს კირილიცაზე.

ამ დროიდან იწყება ეთნიკური აფხაზური კომუნისტური ნომენკლატურის ჩამოყალიბების ეტაპობრივი პროცესი, როდესაც აფხაზური წარმომავლობის კადრები ინიშნებიან წამყვან პარტიულ თანამდებობებზე. თანდათანობით, დაწყებული 50-იანი წლების შუა ხანებიდან, 80-იანი წლების ბოლოსთვის აფხაზები იკავებენ ძირითად პოზიციებს სამთავრობო-ადმინისტრაციულ აპარატში, სამეურნეო და ეკონომიკურ ორგანიზაციებსა და სამეცნიერო-საგანმანათლებლო სტრუქტურებში. ქართველი ისტორიკოსები ვითარების ამგვარ ცვალებადობას აფხაზური „ეთნოკრატიის“ ჩამოყალიბებად აფასებენ.

სტალინის შემდგომ საბჭოთა კავშირში აფხაზი ინტელიგენციისა და პარტიული ნომენკლატურის ნაწილის მხრიდან პერიოდულად ხდებოდა საქართველოს სსრ-ის ცენტრალური რესპუბლიკური ხელისუფლების საწინააღმდეგო სახალხო საპროტესტო გამოსვლების ორგანიზება – 1957,

პავლე ინგოროყვა, *1893-1983 ქართველი ლიტერატურათმცოდნე, ისტორიკოსი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე*

ნიკო ბერძენიშვილი, *1895-1965, ქართველი ისტორიკოსი, აკადემიკოსი*

1967, 1977-1978 და 1988-1989 წლებში. [21, 87; 17]. ამ გამოსვლების დროს, რომლებიც, ქართული პერსპექტივის თანახმად, მოსკოვიდან იყო ინსპირირებული, კრემლში აგზავნიდნენ კოლექტიურ პეტიციებსა და წერილებს ქართველებზე კოლექტიური საჩივრების სახით [2, 365-371]. თბილისის მიმართ პრეტენზიები საკმაოდ მრავალფეროვანი იყო. ძირითადად, კოლექტიურ წერილებში აღნიშნული იყო, რომ აფხაზები ქართველების მხრიდან განიცდიდნენ დისკრიმინაციას; არ ინიშნებოდნენ ხელმძღვანელ თანამდებობებზე; ხელოვნურად მუხრუჭდებოდა აფხაზეთის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარება; თბილისი ასიმილატორულ პოლიტიკას აწარმოებდა ავტონომიაში და ა.შ.

გამოსვლების მონაწილეთა მოთხოვნებიც ხშირად რადიკალური იყო. მაგალითად, ითხოვდნენ აფხაზეთში ქართველების ანუ შიდარესპუბლიკური მიგრაციის შეწყვეტას, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რსფსრ-ის იურისდიქციაში გადასვლას, ქართული ტოპონიმიკის შეცვლას, აფხაზეთისთვის, საქართველოს სსრ-ისაგან დამოუკიდებლად, მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსის მინიჭებას და სხვ.

განსაკუთრებით ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ეს პერიოდული კრიზისული სიტუაციები ხშირად იფეთქებდა ხოლმე კონკრეტული ისტორიული ნაშრომის გამოცემის გარშემო. ზოგადად, პოსტსტალინურ ეპოქაში მწვავე ფორმას იძენს ქართულ-აფხაზური ისტორიული დებატები, რომელიც აპოგეას 80-იან წლებში აღწევს. უფრო მკაფიო ხდება აფხაზური ეთნოცენტრული კონფლიქტური ნარატივი, რომლის მიხედვით, აფხაზეთის ისტორია არ უნდა განიხილებოდეს ზოგადად საქართველოს ისტორიის ნაწილად და აფხაზ ხალხს, როგორც თვითმყოფად ერს, აქვს საკუთარი, განსხვავებული ისტორია. აფხაზური ნომენკლატურის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების აკუმულირებამ „ისტორიული ცოდნის“ ფლობის პრეტენზიაც წარმოშვა. ქართული საისტორიო სკოლაც მყისიერად რეაგირებდა. კერძოდ, ქართულ ისტორიოგრაფიაში სულ უფრო მკაფიოდ ესმებოდა ხაზი ისტორიულად აფხაზეთის ქართული სახელმწიფოებრივი თუ კულტურული სივრცისგან განუყოფლობას.

ამგვარად, რომელიმე ნაშრომის გარშემო ამტყდარი სამეცნიერო პოლემიკა ზემოაღნიშნული საპროტესტო გამოსვლებისა და საზოგადოებრივი მღელვარების ლამის მთავარი საბაბი ხდებოდა. ასე მოხდა, მაგალითად, 1957 წელს, როცა აფხაზი საზოგადოების ნაწილის მხრიდან უმწვავესი რეაქცია მოჰყვა ქართველი მეცნიერის, პავლე ინგოროყვას წიგნის, „გიორგი მერჩულეს“ (1954 წელს) გამოქვეყნებას. წიგნის ერთ-ერთი ძირითადი დებულების თანახმად, შუა საუკუნეების წყაროებში მოხსენიებული აფხაზები „ქართველ“ ტომად უნდა მივიჩნიოთ [7]. 1967 წლის კრიზისის „ისტორიოგრაფიული საბაბიც“ 1966 წელს აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის თხზულებათა მესამე ტომში მისი 1951 წლის წერილის – „მცირე შენიშვნა დიდ საკითხზე“ – გამოქვეყნება იყო. ავტორის მოსაზრება ძველი აფხაზებისა და იბერ-ლაზების ნათესაობის შესახებ აფხაზების მიერ პ. ინგოროყვას თეორიის ხაზის გაგრძელებად იქნა აღქმული [17, 131].

ყოველ ჯერზე, შექმნილი რთული ვითარების ნორმალიზება მხოლოდ საქართველოს სსრ-ის

სოხუმი, *1950-იანი წლები*

ცენტრალური ხელისუფლების აქტიური ჩარევით ან მოსკოვიდან წარმოგზავნილი მაღალი თანამდებობის პირის უშუალო ჩარევით ხერხდებოდა.

სიტუაციის ჩაწყნარების სანაცვლოდ, აფხაზური უმცირესობის მიმართ სერიოზულ დათმობებზე მიდიოდა მოსკოვი და, შესაბამისად, თბილისიც, მიუხედავად იმისა, რომ ავტონომიის სტატუსი გადახედვას არ ექვემდებარებოდა. მაგალითად, ხდებოდა იმის აღიარება, რომ ნ. ბერძენიშვილის თხზულებათა მესამე ტომს გარკვეული „ხარვეზები“ ჰქონდა; აფხაზეთში სახელს უცვლიდნენ დასახლებულ პუნქტებს; საკავშირო თუ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფდნენ სერიოზულ ფინანსურ რესურსებს ავტონომიურ რესპუბლიკაში რიგი სოციალური და ეკონომიკური ღონისძიებების განსახორციელებლად; 1977 წელს სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტად გადაკეთდა; შეიქმნა აფხაზეთის ტელევიზია და ა.შ. [2, 364-370].

ეკონომიკა, მეცნიერება და კულტურა: ოფიციალური საბჭოთა მონაცემებით, ე.წ. „სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვებისთვის“ ბრძოლის პერიოდში, რომელიც მე-6 ხუთწლედს (1953-1958) ემთხვევა და შემდეგ უკვე, „განვითარებული სოციალიზმის“ ეპოქაში (1959-1975), ყოველი მომდევნო ხუთწლიანი (თუ შვიდწლიანი – 1959-1965) გეგმების თითქოსდა რეალიზების კვალდაკვალ, განუხრელად იზრდებოდა აფხაზეთის ასსრ-ისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ეკონომიკა, უმჯობესდებოდა სოციალური მდგომარეობა და იზრდებოდა „მშრომელების კულტურული დონე“.

აფხაზეთში იზრდებოდა და უფრო მრავალდარგოვანი ხდებოდა მრეწველობა. მნიშვნელოვან დარგთაგან აღსანიშნავი იყო ელექტროენერგიის, ქვანახშირის, საკონსერვო, ხე-ტყის, კვებისა (ხორცისა და რძის) და სხვა სამრეწველო პროდუქციის წარმოება. ასევე იზრდებოდა

ივანე თარბა, *1921-1994 აფხაზი მწერალი და პოეტი*

მიხეილ ლაკერბაია, *1901-1965, აფხაზი საბჭოთა მწერალი, დრამატურგი, თეატრმცოდნე*

მუშნი ლასურია, *1938 - აფხაზი პოეტი*

ნიკოლოზ კვიწინია, *1938-2020, აფხაზი პოეტი, პროზაიკოსი და პუბლიცისტი*

მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა. აფხაზეთის ქალაქებშიც მიმდინარეობდა საბინაო-კომუნალური მშენებლობა. კეთილმოეწყო და გალამაზდა ქალაქები და კურორტები – სოხუმი, გაგრა, ახალი ათონი, ბიჭვინთა და სხვ. ვითარდებოდა სოფლის მეურნეობაც. გაფართოვდა და გაიზარდა რეგიონისთვის დამახასიათებელი ძირითადი კულტურების, მათ შორის, ჩაის, ციტრუსების, თამბაქოს ფართობი და მოსავალი. ასევე, იზრდებოდა მსხვილფეხა რქოსანი და სხვა პირუტყვის სულადობა.

გიორგი ბესთაუთი, *1932-1978*
ოსი პოეტი, „ვეფხისტყაოსნის“ ოსურად მთარგმნელი



კოსტა მარგიევი, *1922-*
ოსი პოეტი

„სამხრეთ ოსეთშიც“, საბჭოთა წყაროების თანახმად, მნიშვნელოვანი წინსვლა იყო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით. სამრეწველო ობიექტებს შორის აღსანიშნავია კვაისის სამთო-მეტალურგიული საწარმო, ცხინვალის ელექტროტექნიკური საწარმოები, ავტობუსების სარემონტო ქარხანა და სხვ.; გაიზარდა მრავალწლიანი ხეხილის ბაღების ფართობი. ვითარდებოდა მეცხოველეობა და იზრდებოდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა [3, 276-334, 383-452; 22, 207-216, 223-240].

რაც შეეხება მეცნიერებისა და კულტურის სფეროს, აქტიურად ფუნქციონირებდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი და უმაღლესი სასწავლებლები. აფხაზეთის დ. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფარგლებში მიმდინარეობდა კვლევები აფხაზური ენის, ლიტერატურის, ფოლკლორის, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის საკითხებზე; გამოიცემოდა სხვადასხვა მიმართულების სამეცნიერო ლიტერატურა. მოგვიანებით, 70-იან წლებში სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი გარდაიქმნა სოხუმის უნივერსიტეტად. სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი ამ პროფილის ერთადერთი დაწესებულება იყო მთელ საბჭოთა კავშირში. სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში იკვლევდნენ ოსური ენის, ლიტერატურის, ეთნოგრაფიის, ისტორიისა და ეკონომიკის საკითხებს. 70-იან წლებში ცხინვალში ასევე ფუნქციონირებდა პედაგოგიური ინსტიტუტი. საინტერესოდ მიმდინარეობდა აგრეთვე აფხაზური და ოსური



ჟურნალი „ალაშარა“ (სინათლე)
დაარსდა 1955 წელს

ჟურნალი „ფიდიუაგი“
დაარსდა 1927 წელს

ლიტერატურული პროცესები. ამ პერიოდის აფხაზი მწერლებიდან და პოეტებიდან აღსანიშნავია ბაგრატ შინქუბას, ივანე თარბას, მიხეილ ლაკერბაიას, მუშნი ლასურიას, ნიკოლოზ კვიწინიას, ტ. ახბასა და სხვათა შემოქმედება. სოხუმში გამოდიოდა ლიტერატურული ჟურნალი **„ალაშარა“**. სამხრეთ ოსეთში საკუთარ შემოქმედებას აქვეყნებდნენ გიორგი ბესთაუთი, კოსტა მარღიევი, გიორგი ძუგაევი და სხვ. ცხინვალში გამოდიოდა ლიტერატურული ჟურნალი **„ფიდიუაგი“** [1, 456, 480-481; 22, 217-223, 240-250].

§6. ქართული ეროვნული მოძრაობა და აფხაზურ-ოსური სეპარატიზმი „გარდაქმნისა და საჯაროობის“ ეპოქის საბჭოთა საქართველოში (მე-20 საუკუნის 80-იანი წლების მიწურული)

1985 წელს საბჭოთა კავშირის უმაღლეს ხელისუფლებაში მოსული მ. გორბაჩოვის მთავრობამ რადიკალური ცვლილებების, სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნებისა („პერესტროიკის“) და, შემდეგ, დემოკრატიისა და საჯაროობის კურსი გამოაცხადა. ტოტალიტარული მულტიეთნიკური სახელმწიფოს პირობებში საჯარო სივრცის ღიაობისა და პლურალიზმის შესაძლებლობის გაჩენამ საბჭოთა კავშირის რიგ რესპუბლიკებში, მათ შორის, საქართველოში ასპარეზი გაუხსნა ეროვნულ მოძრაობებს. ამის პარალელურად, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ძლიერდებოდა სეპარატისტული მოძრაობები.


TSCEI UT ŒFSYMCERTAU RADTÆM NCE KЪUXTÆ
ONLY FOR THOSE WITHOUT HOPE THAT HOPE IS GIVEN TO US
adæmon nyxas
N 1
IRYSTONY ADÆMON FRONTY FIDIUÆG
ВЕСТНИК НАРОДНОГО ФРОНТА ОСЕТИИ "НАРОДНОЕ СОБРАНИЕ"

„ადამონ ნიხასის“ პროგრამა

ქართული ეროვნული მოძრაობა, რომელსაც დისიდენტი ინტელიგენცია ედგა სათავეში, საქართველოს საბჭოთა კავშირისგან გამოყოფასა და დამოუკიდებლობას ისახავდა მიზნად. აფხაზური და ოსური მოძრაობები, პირიქით, გამოირჩეოდა პროსაბჭოთა ხასიათით. როგორც ადრე, აფხაზეთის შემთხვევაში, ახლაც ავტონომიურ ერთეულებში აფხაზური და ოსური პროტესტი გაცხადებულად მიმართული იყო თბილისის მმართველობისა და „ქართველების დისკრიმინაციული პოლიტიკის“, და არა კრემლის წინააღმდეგ. ქართულმა ანტისაბჭოთა ეროვნულმა მოძრაობამ კიდევ უფრო გააძლიერა აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებში ერთდროულად სეპარატისტული და გარკვეული გაგებით **ირედენტისტული*** განწყობები. თბილისის მიმართ ოპოზიციურად განწყობილი აფხაზი და ოსი ლიდერები – ადგილობრივი ხელისუფლების, ნომენკლატურისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები – ითხოვდნენ თბილისის გავლენისგან გამოსვლას და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში დარჩენას.

* აფხაზების და ოსების შემთხვევაში, როგორც განხილული მაგალითები მეტყველებს, საქმე გვაქვს არა მხოლოდ სეპარატიზმის შემთხვევასთან, არამედ ირედენტიზმთანაც. ირედენტიზმი გულისხმობს კონკრეტული ქვეყნის ფარგლებში კომპაქტურად დასახლებული ეროვნული უმცირესობის მოთხოვნას – გამოეყოს ამ სახელმწიფოს და შეუერთდეს „ისტორიულ სამშობლოს“. აფხაზებისა და ოსების შემთხვევაში ირედენტიზმის რამდენადმე სახეცვლილი ფორმა გვხვდება, რადგან მათი მოთხოვნა იყო საქართველოს სსრ-ისგან გამოყოფა და საბჭოთა კავშირში თბილისისგან დამოუკიდებლად გაერთიანება.



Факсимиле (подписи) руководителей Абхазской Республики под Лыхненским Обращением от 18 марта 1989 года

ლიხნის თავყრილობის მიმართვაზე ხელმოწერები

ციის წარმომადგენლები. მათ შორის იყვნენ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბორის ადლეიბა და აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ალეკო გვარამია [2, 372].

ლიხნის თავყრილობაზე მწვავე რეაქცია ჰქონდა აფხაზეთის ქართული მოსახლეობისა და ინტელიგენციის დიდ ნაწილს. ამასთან, გააქტიურდა ქართული ეროვნული მოძრაობა აფხაზეთში.

აღსანიშნავია, რომ ამ სიტუაციაში აკადემიური სივრცე კვლავ ხდება ქართული და აფხაზური ეთნო-პოლიტიკური დაპირისპირების ერთ-ერთი მთავარი არენა. კერძოდ, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული სექტორის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა თავიანთ მთავარ ფუნქციად საქართველოს ეროვნული მოძრაობისა და

„სამხრეთ ოსეთში“ სიტუაცია 1988 წლის ნოემბერიდან დაიძაბა, როცა საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ წარადგინა კანონი, რომელიც ქართული ენის პოზიციებს განამტკიცებდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ამ ინიციატივის საპასუხოდ ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში შეიქმნა სტუდენტური გაერთიანება „ადამონ ნიხასი“ (Адæмон Ныхас [„სახალხო კრება“]), რომელიც მაშინვე ოსური სეპარატისტული მოძრობის მთავარი პლატფორმა გახდა.

1989 წლის 18 მარტს აფხაზეთში, გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში აფხაზი მოსახლეობის მრავალათასიანმა შეკრებამ მიიღო კოლექტიური მიმართვა საბჭოთა კავშირის ხელისუფლების ხელმძღვანელი ორგანოებისადმი. აფხაზი ხალხის სახელით მიმართვის ავტორები საბჭოთა კავშირის ხელისუფლებას სთხოვდნენ აფხაზეთის ასსრ-ის საქართველოს სსრ-იდან გამოყოფას და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ცალკე მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსით შესვლას. „ლიხნის დეკლარაციად“ წოდებულ დოკუმენტს ხელს აწერდნენ ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო სტრუქტურებისა და აფხაზი ინტელიგენ-



აქცია სოხუმში 1989 წ.

აფხაზური სეპარატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ავანგარდში ყოფნა გამოაცხადეს და ქართულ-აფხაზური დაპირისპირების ესკალაციის ყველა ეტაპზე აქტიურობდნენ. ქართველმა პროფესორებმა და სტუდენტებმა ერთ-ერთმა პირველებმა გააპროტესტეს ლიხნის წერილი. ისინი განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქვამდნენ იმ ფაქტს, რომ ხელმომწერთა შორის იყო უნივერსიტეტის რექტორი.

1989 წლის აპრილის მიტინგი თბილისში

1989 წლის 25 მარტს სოხუმსა და გალში გაიმართა ქართული მოსახლეობის მრავალათასიანი საპროტესტო მიტინგები. შემდეგ, 1 აპრილს, ჩატარდა მორიგი მიტინგი დაბა ლესელიძეში. ლესელიძის მიტინგის მონაწილეთა ნაწილი აფხაზებმა დაარბიეს ბზიფსა და ახალ ათონთან. 2 აპრილს სოხუმში გაიმართა ქართველების მორიგი მიტინგები და მანიფესტაციები. სიტუაცია უმართავი ხდებოდა. ამასობაში აფხაზეთის სახალხო ფორუმმა „აიდგილარამ“ („Аидгылара“ [„ერთობა“]) გააგზავნა წერილები მოსკოვში, რომელშიც ავტორები ქართველებს ბრალს სდებდნენ სიტუაციის დაძაბვაში და ითხოვდნენ კრემლის ჩარევას.

ამის შემდეგ საპროტესტო მოძრაობა თბილისში განახლდა, რომლის კულმინაცია 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია იყო. მიტინგის მონაწილეები, რომლებიც უკვე საქართველოს პოლიტიკურ დამოუკიდებლობასა და დეოკუპაციას მოითხოვდნენ, საბჭოთა სამხედროებმა სასტიკად დაარბიეს. სისხლიან დარბევას 21 მომიტინგის (უმეტესობა ქალების) სიცოცხლე ემსხვერპლა, ასობით ადამიანი დაიჭრა, 2000-მდე მოქალაქე ქიმიური ნივთიერებით მოიწამლა.

9 აპრილის შემდეგ ვითარება ისევ გართულდა ავტონომიურ რეგიონებში. სეპარატისტული მოძრაობა ძალას იკრებდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. 1989 წლის გაზაფხულზე „ადამონ ნიხასის“ ლიდერმა ალან ჩოჩიევმა ღია წერილით მიმართა აფხაზ ხალხს და მხარი დაუჭირა მათ მოთხოვნას საქართველოს სსრ-იდან გამოყოფის თაობაზე [14, 153].

9 აპრილს საბჭოთა ჯარის მიერ დარბეული მიტინგი თბილისში



ძვირფასო აფხაზო მეგობრებო!

ინფორმაცია აფხაზეთის მოვლენებზე, რომელიც რუსულენოვან მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მრავალ სარკეში ახალი აღწევს ჩვენამდე, ჩვენში—გაორდაწინის მხარდამჭერი მორიგის „ადამონ ნიხასის“ წევრებში—განცვიფრება და იმედის გრძნობებს იწვევს. ჩვენი განცვიფრება იმით შეიძლება ავხსნათ, რომ აფხაზი ხალხის ცალსახა მოთხოვნები, რომლებიც ჭეშმარიტი ეროვნული სულიერებისტვის მიღებას ეხება, რატომღაც ფორმალურად კანონიერება მოპოვებულ ხელისუფლების რესპუბლიკურ ორგანოთა ხელმძღვანელების სულმოწყალებაზე, უკეთ მერამდენედად ავლონირებული ან ხალხის „დამეზობლებული“ „მოძმე“ ქართველი ხალხის შეშფოთით, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ავადების დასაწყობით მოხიბლ რაღნდებით. გამორიცხული არაა პროვოკაციები, რომლებიც მოწოდებულია „კანონიერი“ ხასიათი მიანიჭოს ამის თავისებურ ცენტრისახეთის სათავეებ

ინფორმაციის მიღწოდებლად რუსულენოვანი ინფორმაციის საშუალებათა—„ოფიციალური პრესკონფერენციის“ შექმნაში, რომელიც ახლ წარმატებად ტარდებოდა შიშველის ხალხის კაბაზე 1988 წლის ნოემბერში.

ჩვენ იმედს გვიმრავებ „აფხაზეთის საკითხის“ სამართლიანი და სახალოდ გადაწყვეტის პერსპექტივა, ამან კი რაღაც შეიძლება დღ ფაქტი ქართველებისაგან პირადად პრეზიდენტი ე. წ. მოკავშირე და სხვა ავტორიტეტული წარმომადგენლის შორის. ერთიანი ფედერალური ცენტრისადმი. მათი პოპულისტური დაჭერილების შეშლილი, თანდაქვემდებარების ფაქტორად სახელმწიფოებრივი ტერიტორია, ირონიული, ერთა რანგებად. უფლებებისა და პრივილეგიების მიზედვით დამკვიდრებული სისტემის განორიცხვით, ჩვენს ავტონომიას უფლებ მაშასადამე, ერთიანობა და დარჩენილობა აფხაზი ხალხის, რომ

ელიც არავითარ კომპრომისზე არ მიდის ხალხში, რომელიც მის წინაშე დგას ისტორიის მოცემულ მომენტში—ხალხის ბრძენ, ცნობრობა ერთიანი სუვერენიტეტის აღდგენის, ეს კი უპირველეს მაღალგვითარებული კულტურის მეშვეობის აფხაზი ერის უმეიღრესი სოციალური, კულტურული და ეკონომიკური პოტენციალის ყოველმხრივი განვითარების ერთადერთი წინაპირობაა.

„ადამონ ნიხასის“ წევრები, ისევე, როგორც მთელი ორი ხალხი, დამაშულად და თანაგრძნობით ადევნებს თვალყურს აფხაზეთს მოვლენებს. ამის წყალობ აღგაძავს იმედი და აფხაზეთის სოციალ-ეკონომიკური სტაბილიზაციის საქმიად დიდი მზგავება, რაზე შეგიძლი კიდეც ერთხელ დავუწეზეგიდეკვთ, რაცა წვიტობეთ აფხაზი ხალხის წერილი XIX პარტკონფერენციისადმი, რაზე გაარკვიეთ ჩვენი ხალხების კულტურულ-ისტორიული და მრავალკუნოვანი კონტაქტები, რა

მეზობლე ახალელი ზ. დ. ანდ-ებან და ვ. ი. ივანოვ და სხვანი შრომებში, აგრეთვე ის საყოველ მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ჩვენ ამაყი, დამოუკიდებელ სულის მოიგლი ხალხები ვართ, ამ სულის გამტეხა კი ჩვენს გამორიცხა და გაწვეული აღმავლის ისტორიაში მრავალრიცხოვან „სტეპრთოგან“ ერეცრთიმა ვერ შეძლეს. მით უფრო ღვეს ვერ შეძლებს ამას ვერავინ იმათან, ვინც ფხვეფორტირებულ ნაჭდებით იქვეხება და ეროვნული ზვიადობის გაცვეთილი ფრომით ცდილობს „დამეზობ და ობატიზმ“ პრინციპით ამოქმედოს. მაგრამ ჩვენი ერეცეფობის საწინდარია ჩვენი მეგობრობა და ერთერთობ მხოლოდ მორალური მხარდაჭერა ჩვენი მამაცი აფხაზი მეგობრებისა და ძმებისა! ოსეთის ხალხი თქვენ მხარს გიჭერთ. მხარს გიჭერთ ჩვენი ხელმძღვანელობაც. ოღონდ, მას ჭერ სიმამაცე არ მოყოფნის.

ა. ჯოჩიევი.

„ადეფო ნიხასი“
(სახალხო ტაძარი).
ქ. ცხინვალი, სამხრეთ ოსეთი.

ალან ჩოჩიევის მიმართვა აფხაზებისადმი

1989 წლის 15 აგვისტოს გამოქვეყნდა საქართველოს კპ ცკ-ის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილება ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის შესახებ; 26 სექტემბერს კი ოლქის სახალხო დეპუტატების საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ოსური ენის რეგიონის სახელმწიფო ენად გამოცხადების შესახებ. ამავე პერიოდში გაჩნდა მოწოდებები ჩრდილოეთ ოსეთთან გაერთიანებაზე. ამასთან დაკავშირებით „ადამონ ნიხასმა“ მოსკოვში პეტიცია გააგზავნა. სიტუაცია ყოველდღიურად მწვავდებოდა. 10 ნოემბერს სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატების საბჭომ ოლქის სტატუსის ავტონომიურ რესპუბლიკამდე ამაღლება მოითხოვა. 23 ნოემბერს ქართული ეროვნული მოძრაობის ორგანიზებით ათასობით ადამიანი დაიძრა ცხინვალისკენ. ე.წ. „**ცხინვალის მარშის**“ მონაწილეებს ქალაქის მისადგომებთან შეირაღებულმა ოსებმა და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შეიარაღებულმა ნაწილებმა გზა გადაუღობეს [14, 154]. სიტუაციის ესკალაციას შეტაკებები და მსხვერპლი მოჰყვა. ამ ტრაგიკულმა მოვლენამ სათავე დაუდო ქართულ-ოსურ შეიარაღებულ კონფლიქტს.

აფხაზეთში გააქტიურდა აფხაზეთის სახალხო ფრონტი „აიდგილარა“. ვითარება დაიძაბა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში. საქმე უნივერსიტეტისგან ქართული სექტორის გამოყოფამდე მივიდა. მის ბაზაზე საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 14 მაისის განკარგულების საფუძველზე ჩამოყალიბდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი. მოვლენების ამგვარმა განვითარებამ კონფლიქტის შემდგომი ესკალაცია გამოიწვია, რომლის კულმინაცია იყო აფხაზების გარკვეული ჯგუფების მიერ სოხუმის №1 საშუალო სკოლაში განთავსებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის მიმღები კომისიის დარბევა. ამის შემდეგ დაიწყო უმართავი პროცესები. 15-16 ივლისს ქართველებსა და აფხაზებს შორის, ძირითადად, სოხუმსა და ოჩამჩირის რაიონში, მდინარე ღალიძგასთან, სისხლიანი შეტაკებები მიმდინარეობდა. ორივე მხარეს დაიღუპა ათეულობით და დაიჭრა ასზე მეტი ადამიანი. საბოლოოდ საბჭოთა ხელისუფლებამ მოახერხა სიტუაციის დარეგულირება [2, 371; 14, 151-153]. თუმცა ამ შეიარაღებულმა კონფლიქტმა კიდევ უფრო გაზარდა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობაში გაჩენილი უფსკრული.

მკვიდრი წარმოდგენები

- მე-20 საუკუნის 80-90-იან წლებში გამოხატულ ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ დაპირისპირებებს საფუძველი საბჭოთა ნაციონალურმა პოლიტიკამ, ე.წ. „კორენიზაციამ“ გაუმყარა;
- საბჭოთა პერიოდში თანდათანობით ჩამოყალიბდა ერთმანეთთან დაპირისპირებული, ერთი მხრივ, ქართული და, მეორე მხრივ, აფხაზური და ოსური ისტორიული ნარატივები;
- ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების ესკალაციაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ეთნიკური განსხვავებების პოლიტიზირებამ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბენდიანაშვილი ალექსანდრე, დაუშვილი ალექსანდრე და მაყვალა ნათმელაძე, საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XX საუკუნის ბოლომდე, ოთხ ტომად, ტომი მეოთხე, საქართველო XIX-XX საუკუნეებში, რედაქტორი მაყვალა ნათმელაძე, თბილისი, პალიტრა L, 2012;
2. გამახარია ჯემალ, ბერაძე თამაზ და თეიმურაზ გვანცელაძე (რედ.), ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან: აფხაზეთი უძველესი დროიდან დღემდე, თბილისი, ინტელექტი, 2007;
3. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, საქართველო საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის, ომის შემდგომი აღდგენის, სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვებისა და განვითარებული სოციალისტური საზოგადოების წლებში (1941-1975 წწ.), ტომი VIII, ტომის რედაქტორები: ნიკოლოზ სტურუა და მაყვალა ნათმელაძე, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1980;
4. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, საქართველო XX საუკუნის 20-30-იან წლებში, ტომი VII, ტომის რედაქტორი იური კაჭარავა, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1976;
5. ჰალბახი უვე, „რუსეთი ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიაში „ახლო საზღვარგარეთსა“ და „შიდა საზღვარგარეთს“ შორის“, ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო, 5 თებერვალი, გერმანულიდან თარგმნა მაია რაზმაძემ, 2018; https://ge.boell.org/ka/2018/02/05/ruseti-chrdiloet-da-samxret-kavkasiashi-axlo-sazgvargaretsa-da-shida-sazgvargarets-shoris
6. იუნგე მარკ, ბონვეჩი ბერნარდ და დანიელ მიულერი, საქართველო გზად: სტალინიზმის ჩრდილები, თბილისი, გამომცემლობა „კლიო“, 2018;
7. ინგოროყვა პავლე, გიორგი მერჩულე – ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა: ნარკვევი ძველი საქართველოს ლიტერატურის, კულტურის და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, 1954;
8. პაპასქირი ზურაბ, ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ნაკვეთი II, 1917-1993, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ სოხუმის ფილიალის გამომცემლობა, 2016;
9. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გამომცემლობა, ტფილისი, 1922;
10. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა, ტფილისი, 1927;
11. Blauvelt, Timothy. „“From words to action“: Nationality policy in Soviet Abkhazia (1921–1938), The making of modern Georgia, 1918–2012. The first Georgian republic and its successors, edited by Stephen Jones, pp. 232–262. London and New York: Routladge, 2014a.
12. Blauvelt, Timothy. „The Establishment of Soviet Power in Abkhazia: Ethnicity, Contestation and

Clientelism in the Revolutionary Periphery“, Revolutionary Russia, 27:1, 2014b. 22-46, DOI: 10.1080/09546545.2014.904472

13. Blauvelt, Timothy. „Abkhazia: Patronage and Power in the Stalin Era“, Nationalities Papers, 35:2, 203-232, 2007. DOI: 10.1080/00905990701254318.
14. Cornell, Svante. Small Nations and Great Powers: A Study of Ethnopolitical Conflict in the Caucasus. RoutladgeCurzon: London and New York, 2000;
15. Derluguian, Georgi. „The Tale of Two Resorts: Abkhazia and Ajara Before and Since the Soviet Collapse“ in The Myth of Ethnic Conflict“: Politics, Economics, and „Cultural“ Violence, edited by Beverly Crawford and Ronnie D. Lipschutz, 261-292. Berkeley: University of California at Berkeley, 1998;
16. Hirsch, Francine. Empire of Nations: Ethnographic Knowledge and the Making of the Soviet Union. Ithaca, NY and London: Cornell University Press, 2005;
17. Kemoklidze, Nino. 2016. “Georgian–Abkhaz relations in the post-Stalinist era”, in Georgia after Stalin Nationalism and Soviet power, edited by Timothy K. Blauvelt, and Jeremy Smith, pp. 129-146. London and New York: Routladge, 2016;
18. Martin, Terry.The affirmative action empire. Nations and nationalism in the Soviet Union, 1923–1939. Cambridge, MA, 2001;
19. Smith, Graham. „Post-Colonialism and Borderland Identities“, in Nation-Building in the Post-Soviet Borderlamds, ed. by Graham. Smith et. al., 1-22. Cambridge: Cambridge University Press, 1998;
20. Suny, Ronald Grigor.The making of the Georgian nation. Bloomington: Indiana University Press, 1994;
21. Zürcher, Christoph. „Georgia“s time of troubles, 1989–1993“. Statehood and security. Georgia after the Rose Revolution, edited by Bruno Coppieters and Robert Legvold, Cambridge, MA, 2005;
22. Анчабадзе Зураб, Дзидзария Георгий и Арвелод Куправа, История Абхазии: Учебное пособие, Абхаз. гос. ун-т, Сухуми, Алашара, 1986;
23. Бгажба Олег и Лакоба Станислав, История Абхазии с древнейших времен до наших дней, Сухум, Министерство Образования РА, 2006;
24. Блиев Марк, Южняя осетия в коллизиях россиско-грузинских отношении, Москва, 2006; https://www.kavkaz- uzel.eu/system/uploads/article_attachment/attach/0002/25844/bliev_mark_yuzhnaya_osetiya_v_kolliziyah_rossiysko-gruzinskih_otnosheniy.pdf
25. Гаглоити Юрий, Южная Осетия: (К истори и названия), Цхинвал, Б.и. 1993;
26. Гамахария Джемал и Гогия Бадри, Абхазия – историческая область Грузии, Тбилиси, 1997;
27. Кочиева Инга и Маргиев Алексей, Грузия, Этнические чистки в отношении осетин, Москва, Европа, 2005;
28. Лакоба Станислав, Ответ историкам из Тбилиси, Документы и факты, Сухум, 2001;
29. Лакоба Станислав, Очерки политической истории Абхазии, Сухуми, 1990;
30. Лордкипанидзе Мариам и Георгий Отхмезури, „Шида Картли (исторический экскурс)“, Осетины в Грузии, Сборник, Редактор Мариам Лордкипанидзе, Тбилиси, Издательство „Универсал“, 2015;
31. Тоидзе Леван, „Образование Осетинской автономии в Грузии“, Осетины в Грузии, Сборник, Редактор Мариам Лордкипанидзе, Тбилиси, Издательство „Универсал“, 2015;
32. Сагария Баджгур, Образование и укрепление советской национальной государственности в Абхазии (1921-1938), Сухуми, Алашара, 1981.

თავი 6.

პოსტსაბჭოთა პერიოდში განვითარებული კონფლიქტები

რევაზ ქოიავა, ნოდარ (ნუკრი) შოშიაშვილი

საკვანძო შეკითხვები:

- რატომ ვერ აიცილა დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე თანამედროვე ქართულმა სახელმწიფომ ეთნიკური დაპირისპირებები?
- რატომ აქვს „თავისი სიმართლე“ აფხაზურ-ქართულ და ოსურ-ქართულ კონფლიქტებში დაპირისპირებულ მხარეებს?
- რატომ არის თანამედროვე კონფლიქტები არა მხოლოდ ეთნიკურ ჭრილში განსახილველი მოვლენები?

ეროვნული მოძრაობის დამოკიდებულება საბჭოთა პერიოდში „იატაკქვეშა“ ეთნიკურ საკითხებთან

საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში (ისევე, როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში) ხელს უწყობდა კოსმოპოლიტიზმის ტრადიციების დანერგვასა და სოციალური მშვიდობის შენარჩუნებას; ხშირ შემთხვევაში იყენებდა პოზიტიურ დისკრიმინაციასაც, რათა სოციალური სტაბილურობა და ეთნოსებს შორის სიმშვიდე მეტ-ნაკლებად შენარჩუნებულიყო. ეს იწვევდა სხვადასხვა ეროვნული ჯგუფის სოციალური მობილობის გაძლიერებას, რაც, რამდენადმე, მთელ რიგ უსაფუძვლო ეთნიკურ ანტიპათიებსა და სტერეოტიპებს ქმნიდა ქართველებსა და არაქართველებს შორის. თუმცა, ქართველებსა და ოსებს შორის, ისევე, როგორც ქართველებსა და აფხაზებს შორის ზემოხსენებული სტერეოტიპების არსებობის მიუხედავად, არ არსებობდა სისტემა, სადაც ქართველი მაღლა იქნებოდა იერარქიულად, ხოლო აფხაზი ან ოსი – დაბლა; და ეს არ იყო მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების მიერ უზრუნველყოფილი თანასწორობა, ეს ამ ხალხების კულტურული თავისებურებებისა და ისტორიული თანაცხოვრების დამსახურებაც იყო. სწორედ ამიტომ, იშვიათი არ იყო შერეული ქორწინებები ქართველებსა და აფხაზებს, ქართველებსა და ოსებს შორის. სოციალური აღრევა, რომელსაც მიგრაცია უწყობდა ხელს, ქართულ ქალაქებში უცხო არ იყო.

საბჭოთა ნაციონალიზმი, როგორც წინა თავებში უკვე ითქვა (იხ. თავი 5), აგებული იყო ე.წ. „კორენიზაციის“ პოლიტიკაზე. სწორედ ამიტომ მიმდინარეობდა ბრძოლა ისტორიისთვის, რაც, როგორც ვიცით, საბჭოთა პერიოდში აქტიურად შეინიშნებოდა ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ ურთიერთობებში.

ქართველებისთვის ოსები იყვნენ საქართველოში ჩამოსული „სტუმრები“, რომლებსაც არ უნდა ჰქონოდათ ავტონომიის უფლება, ისტორიულ უსამართლობად მიიჩნევდნენ, რომ ცხინვალის რეგიონს, როგორც ქართული მხარე მოიხსენიებს სამაჩაბლოს, სამხრეთ ოსეთი ეწოდებოდა. ქართული მხარე ამ მოვლენას აღიქვამდა, როგორც რუსების მიერ ჩადებულ ნაღმს. დიამეტრულად განსხვავებული წარმოდგენები ჩამოუყალიბდა ოსურ საზოგადოებას; მათთვის ისტორიულ უსამართლობას წარმოადგენდა რუსებისა და ქართველების მიერ ოსეთის სამხრეთ და ჩრდილოეთ ნაწილებად გაყოფა და ისტორიული სამართლიანობის აღდგენად მიიჩნევდნენ ერთიანი, მთლიანი ოსეთის შექმნას. როგორც ვნახეთ, ე.წ. „სტუმრის“ დისკურსი შედარებით ნაკლებად, თუმცა მაინც აქტუალური იყო აფხაზებთან მიმართებაშიც.

წარსულისა და ტერიტორიული კუთვნილებისადმი ქართველების, ოსებისა და აფხაზების ხედვებში შეუთანხმებლობა, როგორც გამოიკვეთა, საბჭოთა კავშირის პერიოდშივე ქმნიდა დაძაბულობას და ამზადებდა იდეოლოგიურ ბაზას კონფლიქტებისათვის, რომელიც პოსტსაბჭოთა პერიოდში მთელი სიმწვავით წარიმართა. სამწუხაროდ, საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესში ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის საწყის ეტაპზე ვერ გამოინახა ის პოლიტიკური და თეორიული ალტერნატივები, რაც საშუალებას მისცემდა სამივე ხალხს საბჭოთა ნაციონალიზმის პრინციპების გადაბიჯებით ემოქმედა და ისეთი სახელმწიფოს მშენებლობისკენ წასულიყო, რომელიც ე.წ. სამოქალაქო ნაციონალიზმის პრინციპებს წამოსწევდა წინ, სადაც ხაზგასმული იქნებოდა არა ისტორიული ინტერპრეტაციები, არამედ საერთო, საზოგადო ინტერესები და მისაღები იქნებოდა როგორც ქართველი, ისე ოსი და აფხაზი ხალხებისთვის.

როდესაც 1980-იან წლებში ეროვნული მოძრაობა და ზვიად გამსახურდიას აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობა დაიწყო, გარკვეულწილად, საფუძველი ჩაეყარა ნაციონალიზმის ტალღის აზვირთებას. გამსახურდია და ეროვნული მოძრაობის სხვა ლიდერები იმ აზრს ავითარებდნენ, რომ ქართველები საკუთარ ქვეყანაში შევიწროებულნი იყვნენ [6, 303-337]. ქართულ ნაციონალისტურ აღქმებს თუ კარგად გავაანალიზებთ, ვნახავთ, რომ ის არ იყო ეთნიკური სიძულვილით

ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა ახალგაზრდობაში

განპირობებული, – სახელმწიფო კოლაფსითა და სოციალური თუ ეკონომიკური დაუცველობით იყო გამოწვეული*. ამიტომ პოპულარული გახდა პოლიტიკოსების მიერ ქართველების ჩაგრულ ერად წარმოჩენა, რომელიც შევიწროებული იყო სხვადასხვა გარე თუ შიდა ფაქტორით. ამას გარდა, ეროვნული მოძრაობის ლიდერი პოლიტიკოსები (გარდა ილია ჭავჭავაძის საზოგადოებისა), ეროვნული უმცირესობების ინტერესებსა და პოლიტიკურ მოთხოვნებს არ მიიჩნევდნენ ლეგიტიმურად ან საერთოდ უგულებელყოფდნენ მათ არსებობას, ცდილობდნენ, არ მოექციათ ისინი ფოკუსში, ამიტომ ნაკლებად გამოხატავდნენ მათ ინტერესებს და ზოგჯერ ამა თუ იმ მხარეში მათ ჭარბ მოსახლეობას დემოგრაფიულ ექსპანსიადაც კი განიხილავდნენ [6, 321-322].

ამას გარდა, ზვიად გამსახურდიას პოლიტიკა აფხაზებსა და ოსებთან მიმართებაში აბსოლუტურად განსხვავებული იყო და ეყრდნობოდა ოფიციალურ საბჭოთა პარადიგმას, რომლის მიხედვითაც აფხაზები ავტოქტონური ხალხი იყო, ოსები კი არ წარმოადგენდნენ საქართველოს უძველეს მოსახლეობას; ამიტომ აფხაზებთან მიმართებაში გამსახურდია და ეროვნული მოძრაობის დიდი ნაწილი მხარს უჭერდა აფხაზეთის ავტონომიურ უფლებას და გარკვეულწილად პოზიტიურ დისკრიმინაციასაც კი მიმართა, როდესაც 1991 წლის ხელშეკრულებით აფხაზეთის 65-წევრიან პარლამენტში აფხაზებმა, რომლებიც აფხაზეთის მოსახლეობის 17.9%-ს შეადგენდნენ, 28 მანდატი მიიღეს (დაწვრილებით. იხ. ქვემოთ) მაშინ, როცა ოსებთან მიმართებაში ის, საერთოდ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმებას მოითხოვდა [6, 304-306]. ოსური მოსახლეობა ამ ფაქტს განიხილავდა, როგორც ოსური ეთნოსისადმი უკიდურეს აგრესიას და ჩაგვრას [4]. ოსების ნაციონალური მიზანი იყო, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ოსური ენა ყოფილიყო სახელმწიფო ენა და ოსური კულტურა – დაცული, რაც ქართველებისთვის, იმავე საბჭოთა ნაციონალიზმის პარადიგმებიდან გამომდინარე, არ იყო მისაღები.

ერთი მხრივ, მსგავსი სახის პოლიტიკურმა პოპულიზმმა, ხოლო მეორე მხრივ, საბჭოთა ნაციონალიზმიდან მომდინარე დოქტრინებმა, არ მისცა ალტერნატიული გზების ძიების საშუალება არც ქართულ და არც ოსურ მხარეს, საერთო ქართული სახელმწიფოს შექმნის პროცესში ერთმანეთის ინტერესი გაეთვალისწინებინათ, ამან კი ვითარება პოლიტიკურ ჩიხში შეიყვანა, რაც საბოლოოდ კონფლიქტში გადაიზარდა.

ყოველივე ამას ემატებოდა კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი, უპირველეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირის კრიზისი და დაშლა, რამაც ჩამოშალა სახელმწიფოებრივი და ეკონომიკური სტრუქტურები. ამ მოვლენისთვის კი როგორც ქართული, ისე ოსურ-აფხაზური პოლიტიკური ელიტა მოუმზადებელი აღმოჩნდა. ახალი სახელმწიფოებრივი პოლიტიკისა და ახალი პარადიგმების ჩამოყალიბების ნაცვლად, მათ კვლავ ნაციონალიზმის ძველი დოქტრინებით გააგრძელეს ერთმანეთს შორის ურთიერთობები. საბჭოთა კავშირის არსებობის პირობებში ქართველებისა და

* ცნობილი მკვლევრის, სტივენ ჯონსისეული აღქმები [6].

„თბილისის ომი“. რუსთაველის გამზირი, სასტუმრო „თბილისის“ მიმდებარე ტერიტორია. 1992 წ. იანვარი

არაქართველების ურთიერთობაში არბიტრის როლს მოსკოვი ასრულებდა. როდესაც მხარეები ერთმანეთის პირისპირ დარჩნენ, უნდობლობის დონე საკმაოდ მაღალი იყო, პოპულიზმმა და ნაციონალისტურმა აღტკინებამ კი ზენიტს მიაღწია, რაც ართულებდა კონსტრუქციული ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ქართულ-ოსური ურთიერთობების გართულების პარალელურად, როგორც საქართველოში, ისე გლობალურად, რამდენიმე პოლიტიკური მოვლენა მიმდინარეობდა, რაც ჩვენს ქვეყანაში სამოქალაქო ომითა და სახელმწიფო ინსტიტუტების სრული კოლაფსით გამოიხატებოდა, გლობალურად კი – საბჭოთა კავშირის დანგრევით, აღმოსავლეთ ევროპის დიდი ნაწილის ეკონომიკური კოლაფსითა და კავკასიის რეგიონში გაჩაღებული სხვადასხვა სახის ომებით. ყოველივე ეს კი ხელს უწყობდა ისედაც დაძაბული ურთიერთობების უფრო მეტად გაღრმავებას. 1991 წლის მიწურულსა და 1992 წლის დასაწყისში მიმდინარე ე.წ. „თბილისის ომს“, როდესაც ზვიად გამსახურდიას მთავრობა დაამხეს, მოსახლეობაში სამხედრო შეიარაღების მასობრივი გავრცელება მოჰყვა, რამაც კრიმინალის არნახული ზრდა და მრავალი მიმართულებით უკონტროლო სიტუაციის შექმნა გამოიწვია. მსგავსი ქაოსი კი მთელ საქართველოში და, მათ შორის, კონფლიქტურ რეგიონებში არაერთ დანაშაულებრივ ქმედებას იწვევდა, რაც ქართულ-ოსურ და ქართულ-აფხაზურ კონფლიქტს კიდევ უფრო აღრმავებდა.

საქართველოს ახალგაზრდა სახელმწიფომ და პოლიტიკურმა კლასმა საკუთარი გამოუცდელობით არაერთი შეცდომა დაუშვა, რასაც წარმატებით იყენებდნენ როგორც შიდა დესტრუქციული, ისე მტრული გარე ძალები. სწორედ ასეთი შეცდომებია ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტები.

§1. პოსტსაბჭოთა პერიოდში ქართულ-აფხაზური დაპირისპირების მიზეზები

ა) ქართულ-აფხაზური კონფლიქტის წინა პირობები

თანამედროვე ქართულ-აფხაზური დაპირისპირების დასაწყისად შეგვიძლია 1989 წლის 18 მარტი მივიჩნიოთ, როდესაც გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში გამართულ ხალხმრავალ შეკრებაზე მიღებულ იქნა **„აფხაზი ხალხის წარმომადგენლების დადგენილება“** და **„მიმართვა მიხეილ გორბაჩოვისადმი“***. ხსენებულ დოკუმენტებში საუბარია „აფხაზეთისთვის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული სუვერენიტეტის დაბრუნების გზით, ფედერაციის ლენინური იდეის ფარგლებში“ ეროვნებათშორისი ურთიერთობების გაჯანსაღების აუცილებლობაზე [1, 115]. როგორც ვიცით (იხ. თავი 5), ხსენებულმა მოვლენებმა ქართული მოსახლეობის აღშფოთება გამოიწვია. საქართველოს, მათ შორის, აფხაზეთის ქალაქებში მასობრივი მიტინგები და დემონსტრაციები გაიმართა (ქართველების 12-ათასიანი მიტინგი ჩატარდა გალში 1989 წლის 25 მარტს). 4 აპრილს თბილისში საპროტესტო გამოსვლების მონაწილე სტუდენტებმა მთავრობის სახლის კიბე დაიკავეს, ხოლო მოგვიანებით დემონსტრაციას ზვიად გამსახურდია და გია ჭანტურია შეუერთდნენ, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობასა და საქართველოში ნატოს ჯარების შემოყვანასთან ერთად აფხაზეთის ავტონომიის გაუქმებასაც ითხოვდნენ. აფხაზეთის საკითხმა თანდათან უკანა პლანზე გადაინაცვლა, ხოლო აპრილის გამოსვლები, როგორც ვიცით, **9 აპრილის ტრაგედიით** დასრულდა [2, 45-46]. მე-5 თავიდან ჩვენთვის ასევე ცნობილია, 9 აპრილის შემდეგ თუ როგორ მოხდა ვითარების სწრაფი ესკალაცია და ქართულ-აფხაზური დაპირისპირების სისხლიან შეტაკებაში გადაზრდა, რასაც ადგილი ამავე წლის ივლისში ჰქონდა, როდესაც 22 ადამიანი დაიღუპა და 500-ზე მეტი დაიჭრა აფხაზეთის დედაქალაქ სოხუმში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალის გახსნასთან დაკავშირებით გამართული საპროტესტო გამოსვლების დროს [3, 1-3].

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, 1990 წლის აგვისტოში საქართველოს უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონი არჩევნების შესახებ შეიცავდა პუნქტს, რომელიც რესპუბლიკური პარლამენტის არჩევნებში **რეგიონული პარტიების მონაწილეობას კრძალავდა.**

ამის საპასუხოდ, აგვისტოშივე აფხაზეთის ასსრ უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის დაცვის სამართლებრივი გარანტიების შესახებ. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ „...აფხაზეთის შესვლა საქართველოს სსრ-ში მოკლებულია სამართლებრივ საფუძვლებს; მაშასადამე, აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის კანონიერი ფორმაა აფხაზეთის ხალხების მიერ ნების თავისუფალი გამოვლენით შექმნილი და 1921 წლის 31 მარტს გამოცხადებული აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“. ამავე დადგენილებით, აფხაზეთის ასსრ უზენაესმა საბჭომ საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს წინაშე დასვა საკითხი 1921 წლის 31 მარტს გამოცხადებული აფხაზეთის სახელმწიფოებრივი სტატუსის აღდგენის შესახებ.

1990 წლის 25 აგვისტოსვე აფხაზეთის ასსრ უზენაესმა საბჭომ მიიღო დეკლარაცია (XI მოწვევის მე-10 სესიაზე) **აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ.** საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 25 აგვისტოს დეკლარაცია ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ გამოაცხადა.

საქართველოს **პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში (1990 წლის ოქტომბერი)** ზვიად

* მასობრივი ინფორმაციის ცალკეულ საშუალებებში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდა 30 ათასი ადამიანი, მათ შორის, აფხაზეთის პარტიული და სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლები, ასევე ხუთი ათასამდე სომეხი, ბერძენი და რუსი.

გამსახურდიას საარჩევნო ბლოკის („მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“) გამარჯვების შემდეგ, აფხაზეთის ასსრ უზენაესმა საბჭომ კიდევ უფრო აქტიურად დაიწყო თბილისისადმი დაუმორჩილებლობის პოლიტიკის გატარება. ვინაიდან საქართველოს მთავრობამ იმ ხელშეკრულებების მოშლა დაიწყო, რომლებიც ეთნოადმინისტრაციული საზღვრებისა და უმცირესობების უფლებათა გარანტიებს უზრუნველყოფდა, აფხაზები შიშობდნენ, რომ მოსკოვის სამართლებრივი და ფიზიკური არყოფნა ბოლოს მოუღებდა მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან დაცვის მექანიზმებს. თბილისიდან წამოსული ხისტი განცხადებები კი მათთვის ახალი, აგრესიული მონოეთნიკური სახელმწიფოს წარმოქმნას მოასწავებდა [2, 61]. 1990 წლის დეკემბერში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ვლადისლავ არძინბა. იმავე სესიაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, მომზადებულიყო კანონპროექტი აფხაზეთის ახალი საპარლამენტო არჩევნების შესახებ.



ვლადისლავ არძინბა, *1945-2010*
აფხაზი პოლიტიკოსი, აღმოსავლეთმცოდნე-ისტორიკოსი (ხეთოლოგი). დე-ფაქტო აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი 1994-2005 წლებში

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი, რომელიც 1990 წლის ოქტომბრის საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებში გამარჯვებულმა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა – დამოუკიდებელი საქართველო“ აფხაზეთთან მიმართებით დაძაბულობის განსამუხტავად გადადგა, აფხაზეთის სტატუსისა და პოლიტიკური ძალაუფლების გადანაწილებაზე კონსულატაციების დაწყება იყო. მოლაპარაკებები მიმდინარეობდა აფხაზეთის საარჩევნო სისტემისა და საკანონმდებლო ორგანოს რეფორმის შესახებ [4, 13]. აფხაზები 1991 წლის სექტემბრის ადგილობრივი არჩევნებისთვის **ბიკამერული პარლამენტის*** შექმნას მოითხოვდნენ, რომლის პირველი პალატა – „რესპუბლიკური საბჭო“ – ტერიტორიულ, ხოლო მეორე პალატა – „ეროვნული საბჭო“ – ეთნიკურ დაყოფას დაეფუძნებოდა. ეს მოდელი სოხუმს „ეროვნულ საბჭოში“ ვეტოს უფლებას აძლევდა, რაც ზვიად გამსახურდიასთვის მიუღებელი აღმოჩნდა [5]. იგი თვლიდა, რომ ამით საქართველოში მცხოვრები სხვა ეთნოსებისთვის საშიშ პრეცედენტს დაუშვებდა. სანაცვლოდ, გამსახურდიამ მხარი დაუჭირა **28-26-11 კვოტის სისტემას,** რომლის მიხედვით, ახალ საკანონმდებლო ორგანოში ეთნიკურ აფხაზებს (აფხაზეთის მოსახლეობის 18%) 28 ადგილი უნდა მიეღოთ, ქართველებს (აფხაზეთის მოსახლეობის 46%) – 26, ხოლო სხვა დანარჩენი ეთნოსის წარმომადგენლებს ჯამში – 11 [6, 7-8]. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 1991 წლის აგვისტოში მიღებული „აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს მიერ ორგანოებისა და თანამდებობის პირების არჩევისა და დანიშვნის წესის შესახებ დროებითი კანონის“ მიხედვით, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე – ეროვნებით აფხაზი, მისი პირველი მოადგილე კი ქართველი უნდა ყოფილიყო [7]. კვოტირების სისტემაზე მოლაპარაკებები მიმდინარეობდა, ერთი მხრივ, ლევან ალექსიძის ხელმძღვანელობით შეკრებილ ქართველ კონსტიტუციონალისტთა ჯგუფს, ხოლო მეორე მხრივ, აფხაზეთის უზენაესი საბჭოსა და „აიდგილარას“ წარმომადგენლებს შორის [8, 116].

აფხაზურმა და ქართულმა მხარეებმა შეთავაზებული ძალაუფლების გადანაწილების სისტემას

* ორპალატიანი პარლამენტი.

ერთხმად დაუჭირეს მხარი, რადგან იგი ორივე მათგანს აშკარად მომგებიან მდგომარეობაში აყენებდა: ერთი მხრივ, აფხაზები იღებდნენ მათთვის ხელსაყრელ **ეთნიკურ ჯერიმენდერინგს***, მეორე მხრივ კი, გარანტირებულ კვოტას უმაღლეს საბჭოში; ხოლო ქართველებს შეეძლოთ მშვიდად ყოფილიყვნენ, რადგან მათ გარეშე კონსტიტუციური და საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა [4, 14]. ქართველების პოზიციას ზურგს უმაგრებდა ის ფაქტი, რომ 1991 წლის აგვისტოში, აფხაზეთის ასსრ-ის კონსტიტუციაში შესული შესწორების მიხედვით, ავტონომიის სამართლებრივი სტატუსის თაობაზე ნებისმიერი საკანონმდებლო აქტის მისაღებად აფხაზეთის **უმაღლესი საბჭოს დეპუტატების 2/3-ის თანხმობა** იყო საჭირო, რაც რომელიმე მხარის თვითნებურ გადაწყვეტილებას იმთავითვე გამორიცხავდა [9, 10]. გამსახურდიას მხრიდან კვოტის სისტემის მხარდაჭერა საბჭოთა პარადიგმას ეყრდნობოდა (იხ. თავი 5). მისთვის აფხაზები, ოსებისგან განსხვავებით, **ავტოქტონი ხალხი** იყო [2, 314]. ამავდროულად, მას უფრო პრაგმატული მიზეზებიც ჰქონდა. საქართველოს შეიარაღებული ძალები ჩართული იყვნენ სამხედრო კონფლიქტში სამხრეთ ოსეთში და, როგორც ზვიად გამსახურდიამ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, იგი იმედოვნებდა, რომ აფხაზების გარკვეული მოთხოვნების დაკმაყოფილება გორბაჩოვს მისი „აფეთქების“ საშუალებას მოუსპობდა [8, 117]. საბჭოთა კავშირი მაშინ აქტიურად იყენებდა ავტონომიურ რესპუბლიკებს მოკავშირე რესპუბლიკების წინააღმდეგ და ზოგიერთი მათგანის (მათ შორის, აფხაზეთის) მონაწილეობა ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმების პროცესშიც განიხილებოდა [8, 117]. თუმცა კვოტების სისტემის შესახებ მიღწეული შეთანხმების პრაქტიკაში განხორციელება რთულად ხდებოდა, რასაც ხელს დიდწილად ქართული დეპუტაციის უუნარობა უწყობდა. აფხაზეთის ასსრ უზენაესმა საბჭომ მრავალი ანტიქართული გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც მიზნად აფხაზეთის საქართველოს ტერიტორიიდან გამოყოფას ისახავდა [10, 18].

საარჩევნო სისტემაზე მიღწეული შეთანხმების მიუხედავად, თბილისსა და სოხუმს შორის ურთიერთობები არ გაუმჯობესებულა. ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. 1991 წლის აგვისტოს მოსკოვის პუტჩს გამსახურდიას წინააღმდეგ აჯანყება მოჰყვა, თუმცა დაუმორჩილებლობა მანამდე დაიწყო და სულ უფრო ძლიერდებოდა. პრეზიდენტზე არსებობდა ეჭვები, რომ ის მოსკოვის საგანგებო მდგომარეობის რვაკაციანი სახელმწიფო კომიტეტის გავლენის ქვეშ მოექცა. აგვისტოს პუტჩის შემდეგ ეროვნული გვარდიის გაძლიერებით შეშინებულმა გამსახურდიამ გვარდია სპეციალური დანიშნულების მილიციის რაზმის ქვედანაყოფად აქცია და მისი მეთაური თენგიზ კიტოვანი დაითხოვა [11, 84]. კიტოვანი მის გადაწყვეტილებას არ დაემორჩილა და ეროვნულ გვარდიასთან ერთად რკონის ტყეში გამაგრდა, სადაც მას პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა შეუერთდა. 1991 წლის შემოდგომაზე დაწყებული კრიზისი კი **თბილისის სამოქალაქო ომითა** და **გამსახურდიას ხელისუფლების ჩამოგდებით** დასრულდა [2, 97-98]. ამ მოვლენების გამო, აფხაზებთან საარჩევნო სისტემაზე შეთანხმებით დაწყებულ პროცესს განგრძობა და ნდობის ჩამოყალიბება არ მოჰყოლია. ამავდროულად, 1992 წლის თებერვალში გადატრიალების შემდეგ ჩამოყალიბებულმა **სამხედრო საბჭომ** (ჯაბა იოსელიანისა და თენგიზ კიტოვანის ხელმძღვანელობით) 1978 წლის საბჭოთა კონსტიტუცია ძალადაკარგულად გამოაცხადა და მის ნაცვლად **1921 წლის საქართველოს დემოკრატიული**

„თბილისის ომი“ (1991-92 წწ.)
ბრძოლები რუსთაველის პროსპექტზე

* საარჩევნო ოლქების მანიპულაციური დაყოფა ისეთი შედეგების უზრუნველსაყოფად, რომელიც კონკრეტული პარტიის ან საზოგადოების ჯგუფისთვის არის ხელსაყრელი),

რესპუბლიკის კონსტიტუცია აამოქმედა [4, 14]. ეს კონსტიტუცია კი, მოძველებულობისა და იმდროინდელ გამოწვევებთან შეუთავსებლობის გამო, სრულიად ახალ სამართლებრივ ვაკუუმს ქმნიდა აფხაზეთთან მიმართებაში [12]. სამხედრო საბჭოს ამ გადაწყვეტილებით, ფაქტობრივად, ანულირებულ იქნა აფხაზეთის, როგორც ავტონომიური რესპუბლიკის, საქართველოში ყოფნის სამართლებრივი ბაზა*. მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო აგრეთვე აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში არჩეული ქართველი დეპუტატების მზარდი უკმაყოფილება, რომლებსაც ახალი საარჩევნო სისტემა არასამართლიანად და აპარტეიდულად მიაჩნდათ. ამავდროულად, სხვა ეთნოსების წარმომადგენელი დანარჩენი 11 დეპუტატიდან უმრავლესობა პროაფხაზურად იყო განწყობილი [8, 118]. ამ ვითარებაში 1992 წლის მაისში აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ქართველმა დეპუტატებმა დატოვეს საკანონმდებლო ორგანო და დაიწყეს ძალაუფლების პარალელური სტრუქტურების ფორმირება.

1991 წლის 28 თებერვალს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე იკრძალებოდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ **1991 წლის 17 მარტს** დანიშნული საკავშირო რეფერენდუმის ჩატარება. ამავე დადგენილებით, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება **1991 წლის 31 მარტს** საქართველოში საყოველთაო რეფერენდუმის ჩატარების თაობაზე, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხთან დაკავშირებით. რეფერენდუმი ჩატარდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, აფხაზეთშიც. აფხაზეთის ასსრ-ის ტერიტორიაზე რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 61,27%-მა. საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას ხმა მისცა 97,73%-მა, რაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 59,84%-ს შეადგენდა. ამ რეფერენდუმის საფუძველზე, 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი.

სამხედრო საბჭოს წევრები

ჯაბა იოსელიანი
1926-2003

თენგიზ კიტოვანი
1938-



თენგიზ სიგუა
1934-2020

აფხაზეთის ასსრ უზენაესმა საბჭომ საქართველოს უზენაესი საბჭოს 1991 წლის 28 თებერვლის დადგენილება არ გაითვალისწინა და მონაწილეობა მიიღო 17 მარტს გამართულ სრულიად საკავშირო რეფერენდუმში, სსრ კავშირის შენარჩუნების თაობაზე (ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის უმრავლესობას, ქართული მოსახლეობის ჩათვლით, ამ რეფერენდუმში მონაწილეობა არ მიუღია). ამის საპასუხოდ, 22 მარტს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამოსცა დადგენილება, რომლის თანახმადაც აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე, ქალაქ ცხინვალსა და ჯავის რაიონში 1991 წლის 17 მარტს გამართული სსრ კავშირის რეფერენდუმისა და N669 სოხუმის ტერიტორიულ-საარჩევნო ოლქში ჩატარებული სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის არჩევნების შედეგები იურიდიული ძალის არმქონედ ჩაითვალა**.

1991 წლის 2 ივლისს აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა, ვლადისლავ არძინბას

---

* საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციაში აფხაზეთი მოხსენიებულია არა როგორც ავტონომიური რესპუბლიკა, არამედ როგორც „სოხუმის ოლქი“ (თავი XI, მუხლი 107).

** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 22 მარტის დადგენილება.



საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი 1991 წ. 9 აპრილი

მეთაურობით, მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარის – ეროვნული გვარდიის შექმნის შესახებ“ იურიდიული ძალის არმქონედ გამოცხადდა. ამასთან ერთად, 1991 წლის განმავლობაში აფხაზეთის ასსრ უზენაესმა საბჭომ ზედიზედ მიიღო მთელი რიგი დოკუმენტებისა, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის იმდროინდელ კონსტიტუციასთან სერიოზულ წინააღმდეგობაში მოდიოდა.* ყოველივე ეს ოფიციალური თბილისის სამართლიან პროტესტს იწვევდა, რაც კიდევ უფრო ამწვავებდა ურთიერთობას ცენტრსა და რეგიონს შორის. კერძოდ, 1991 წლის ივნისში აფხაზი მმართველები **ორენოვან აფხაზურ რესპუბლიკაზე** შეთანხმდნენ, სადაც წამყვან თანამდებობებს ეთნიკური კვოტების მიხედვით დაიკავებდნენ. როგორც აღვნიშნეთ, ნებისმიერ საკონსტიტუციო ან საკანონმდებლო ცვლილებაზე საჭირო იყო როგორც ქართველი, ისე აფხაზი დეპუტატების თანხმობა. თუმცა მას შემდეგ, რაც საქართველო სამოქალაქო ომში გაეხვია, აღნიშნულმა ხელშეკრულებამ ძალა დაკარგა. აფხაზეთში ოფიციალურად რეგისტრირებული არასამთავრობო ორგანიზაციების, „სლავური სახლისა“ და „სოხუმის ინტერნაციონალისტების საზოგადოების“ მიერ წაქეზებულმა აფხაზმა ლიდერებმა შესაძლებლობა ხელიდან არ გაუშვეს და დამოუკიდებელი სახელმწიფო გამოაცხადეს [2, 113]. 1991 წლის დეკემბერში აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ ადგილობრივ სამხედრო შენაერთებზე კონტროლი დაამყარა, ხოლო 1992 წლის მარტში ვლადისლავ არძინბამ ხელი მოაწერა დეკრეტს, რომლის თანახმად ახალწვეულები სამხედრო სამსახურს თვითაღიარებულ აფხაზეთის რესპუბლიკაში გაივლიდნენ. მაშინვე ახლად შექმნილმა აფხაზურმა გვარდიამ შინაგან საქმეთა სამინისტრო დაიკავა და ქართველის ნაცვლად აფხაზი შინაგან საქმეთა მინისტრი დანიშნა. 1992 წლის 23 ივლისს აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ ყოფილი საბჭოთა აფხაზეთის 1925 წლის კონსტიტუცია მიიღო [2, 113]. კონსტიტუციის ეს პროექტი, რომელიც საბჭოთა პერიოდში არასდროს ყოფილა რატიფიცირებული, აფხაზეთს „სუვერენულ“ საბჭოთა რესპუბლიკად ცნობდა, რომელსაც საქართველოსთან **საგანგებო სახელშეკრულებო ურთიერთობა** ჰქონდა (დაწვრილებით იხ. თავი 5). საქართველოს სახელმწიფო საბჭომ 25 ივლისს აფხაზური გადაწყვეტილება გააუქმა [13, 77-102].

ამ პროცესების პარალელურად, ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის მიმდინარეობდა ინტენსიური მოლაპარაკებები აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის შესახებ. 1992 წლის თებერვალში

* აფხაზეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 27 სექტემბრის დადგენილება „აფხაზეთის სუვერენიტეტის ეკონომიკური საფუძვლების უზრუნველყოფის შესახებ“; აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 27 ნოემბრის დადგენილება „აფხაზეთის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის შექმნის შესახებ“; აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 29 დეკემბრის დადგენილება „აფხაზეთის ტერიტორიაზე სამხედრო ნაწილების, სასაზღვრო და შინაგანი ჯარების, სამხედრო-საზღვაო ძალების დაწესებულებათა დისლოკაციისა და მათი ფუნქციონირების წესებში ცვლილებათა შეტანის შესახებ“.

ქალაქ სოხუმში საქართველოს საკონსულტაციო საბჭოსა და „აიდგილარას“ ეროვნული ფორუმის წევრებს შორის გაიმართა შეხვედრა, სადაც აფხაზური მხარე მზაობას აცხადებდა **ფედერაციული მოწყობის შემთხვევაში** აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში დარჩენაზე [8, 121]. სოხუმი თანახმა იყო ქვეყნის **საგარეო, თავდაცვისა** და **ეკონომიკური საკითხები** თბილისში გადაწყვეტილიყო, ხოლო მისი ექსკლუზიური უფლებების განსაზღვრის თაობაზე სპეციალური კომისია უნდა შექმნილიყო. ამ წინადადების მიღებაზე თბილისმა უარი განაცხადა, ვინაიდან პოლიტიკური ელიტა მხოლოდ **უნიტარული სახელმწიფოს*** იდეას უჭერდა მხარს [4, 14].

1992 წლის ივნისში აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის საკითხი კიდევ ერთხელ დადგა დღის წესრიგში, როდესაც აფხაზმა იურისტმა ტარას ტმ გაზეთ „აფხაზეთში“ „აფხაზეთის რესპუბლიკასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის ურთიერთობების საფუძვლების შესახებ“ ხელშეკრულების მონახაზი გამოაქვეყნა [14, 264-266]. ეს უკანასკნელი თებერვალში განხილული პროექტისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა, ვინაიდან იგი ორ თანასწორუფლებიან, სუვერენულ სახელმწიფოს შორის **კონფედერაციის**** ჩამოყალიბებას ითვალისწინებდა. შეთავაზების ტექსტში ნათქვამი იყო, რომ აფხაზეთი საქართველოსთან საკუთარი სურვილით ერთიანდებოდა და მხარეები ერთმანეთის საგარეო და საშინაო პოლიტიკაში არ უნდა ჩარეულიყვნენ; ასევე, აფხაზეთს უნდა ჰქონოდა საკუთარი მოქალაქეობა და ჰყოლოდა დიპლომატიური წარმომადგენლობა თბილისში. ამავდროულად, ტექსტში აღნიშნული იყო, რომ ტერიტორიასა და სტატუსთან დაკავშირებული საკითხები მხარეებს შეთანხმებულად უნდა გადაეწყვიტათ, აღმასრულებელი ორგანოების დადგენილებებით ან რეფერენდუმის საშუალებით. რაც შეეხება უსაფრთხოებას, აფხაზეთს უნდა ჰქონოდა უფლება, ჰყოლოდა არმია, რომელიც თავდასხმის შემთხვევაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდოდა [4, 14]. თბილისმა ამ შეთავაზებაზეც უარი განაცხადა, ვინაიდან, მისი შეფასებით, ეს იქნებოდა ძალიან მყიფე კონფედერაცია, საიდანაც აფხაზებს გასვლა მარტივად შეეძლებოდათ [15].

პოლიტიკური სტატუსის საკითხის მოუგვარებლობამ და ორივე მხრიდან აგრესიული რიტორიკის ზრდამ თბილისსა და სოხუმს შორის უნდობლობის ნაპრალი კიდევ უფრო გააღრმავა; და, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, 1992 წლის 23 ივლისს ე.წ. აფხაზეთის სსრ უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი, რომლის თანახმადაც აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას „აფხაზეთის რესპუბლიკა“ ეწოდა. იმავე დღეს, ხმათა სავალდებულო 2/3-ის არქონის მიუხედავად, ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მარტივი უმრავლესობით მიიღო დადგენილება **აფხაზეთის ასსრ 1978 წლის კონსტიტუციის** მოქმედების შეწყვეტის შესახებ [8, 118-122], რაც, ფაქტობრივად, აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობიდან გასვლის იურიდიული გაფორმების კიდევ ერთ მცდელობას წარმოადგენდა.

ბ) ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ცხელი ფაზა

1992 წლის 10 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება, რომ აფხაზეთში შესულიყო საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების სამხედრო კონტინგენტი. მიზნად დასახელდა სარკინიგზო მაგისტრალის კონტროლის ქვეშ აყვანა, იქ ყაჩაღობისა და ტვირთების გატაცების ფაქტების აღკვეთა, ასევე უკანონო შეიარაღებული ფორმირებების განიარაღება. მაშინდელი თავდაცვის მინისტრის – თენგიზ კიტოვანის ამოცანას ქართული მთავრობის მძევლად აყვანილი წევრების განთავისუფლებაც წარმოადგენდა. ივლისში გამსახურდიას მომხრეებმა სახელმწიფო საბჭოს თორმეტი წარმომადგენელი

* სახელმწიფო, რომლის ტერიტორია არ არის დაყოფილი ფედერაციულ ერთეულებად (შტატებად, მხარეებად და სხვ.).

** ორი ან რამდენიმე სახელმწიფოს ისეთი კავშირი, როდესაც მასში შემავალი სახელმწიფოები სრული სახით ინარჩუნებენ საკუთარ სუვერენიტეტს და საერთაშორისო სამართლის სუბიექტებად რჩებიან.

გაიტაცეს, მათ შორის, საქართველოს მთავრობის ვიცე-პრემიერი და ადამიანის უფლებათა და ეროვნებათშორის ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ალექსანდრე კავსაძე.

ილია II, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი *(1967-1977 წლებში ცხოვრობდა სოხუმში, იყო ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის წინამძღოლი)*

ამ მოვლენას წინ უძღოდა 4 აგვისტოს, საქართველოს პატრიარქის ძალისხმევით ე.წ. **„დიდი შერიგების მანიფესტის“** გამოცემა. მანიფესტი საომარი მდგომარეობისა და კომენდანტის საათის გაუქმებას, შეიარაღებული ფორმირებების ყაზარმებში დაბრუნებასა და იმ პატიმრების განთავისუფლებას ითვალისწინებდა, რომლებიც 1992 წლის 6 იანვრის შემდეგ დააკავეს (ეს პუნქტი ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერებს ეხებოდა) [16].

„დიდი შერიგების მანიფესტმა“ საზოგადოებაში გააჩინა იმედი, რომ ქვეყანაში მიმდინარე სამოქალაქო დაპირისპირებას ბოლო მოეღებოდა. თუმცა, 1992 წლის 11 აგვისტოს ზუგდიდში ჩასული შინაგან საქმეთა მინისტრი რომან გვენცაძე და მისი თანმხლები პირები მოულოდნელად გაიტაცეს. ზუგდიდში მომხდარმა გატაცებამ თბილისი აღაშფოთა, რასაც დედაქალაქში მრავალათასიანი მიტინგის გამართვა მოჰყვა. ზუგდიდში მოლაპარაკებების შემდეგ გამსახურდიას მომხრეებმა საქართველოს შეიარაღებული ძალები გალის რაიონისკენ გაატარეს. **14 აგვისტოს,** გამთენიისას, სამთავრობო ჯარები გალის რაიონში შევიდნენ. იმავე დღეს გამტაცებლებმა შინაგან საქმეთა მინისტრი და მისი თანმხლები პირები გაათავისუფლეს [16].

თენგიზ კიტოვანის ხელმძღვანელობით 18 აგვისტოს ქართული სამხედრო ნაწილები სოხუმში შევიდნენ. მთავრობის აფხაზი წევრები ჩრდილოეთში, გუდაუთაში, გადავიდნენ. შევარდნაძის განცხადებით, მან გააფრთხილა არძინბა, რომ ქართველთა სამხედრო მოქმედებები მხოლოდ სარკინიგზო სისტემაში წესრიგის დამყარებას ისახავდა მიზნად და სოხუმში შესვლა არ იგეგმებოდა. შესაბამისად, შესაძლოა, ეს კიტოვანის პირადი საომარი ხრიკი იყო, რათა საქართველოში ოქტომბრის არჩევნების ჩატარებისთვის ხელი შეეშალა, რადგან ცხადი იყო, რომ ეს არჩევნები კიტოვანის მსგავსი სამხედრო ლიდერების მარგინალიზებას მოახდენდა [2, 113].

14 აგვისტოს აფხაზურმა გვარდიამ ქართულ ჯარს შეუტია. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აფხაზი ხალხის „უსაზღვრო ტერორი და ფიზიკური განადგურება“ დაგმო და მოსახლეობას რესპუბლიკის დასაცავად **„სამამულო ომისკენ“** მოუწოდა. მან რესპუბლიკის ზრდასრული მამაკაცების დაუყოვნებლივი მობილიზაცია გამოაცხადა [2, 113].

აფხაზები მარტო არ იბრძოდნენ. მათ კაზაკების შენაერთები, თურქეთისა და სირიის მკვიდრი აფხაზური დიასპორის წარმომადგენლები და **კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაცია** შეუერთდა, რომელიც 1989 წელს შეიქმნა და დედაქალაქად სოხუმი გამოაცხადა*. აფხაზები დამოუკიდებლობაზე ოცნებობდნენ, მაგრამ აფხაზ ლიდერებთან მყოფი რუსი პოლიტიკოსებისა და სამხედრო ოფიცრების ქმედებები უფრო საქართველოს დასუსტებაზე იყო ორიენტირებული, ვიდრე აფხაზეთის დამოუკიდებლობაზე.

კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის დროშა

* კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის ასამბლეამ თავის მესამე კონფერენციაზე, 1991 წლის ნოემბერში, რომელზეც 16 სხვადასხვა კავკასიელი ერი იყო წარმოდგენილი, სახელი გადაირქვა და „კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაცია“ დაირქვა. მოგვიანებით ის გახდა „კავკასიის ხალხთა კონფედერაცია“, რათა მასში მთიანი ზონის გარეთ მცხოვრები ხალხებიც შესულიყვნენ. კონფედერაციას მჭიდრო კავშირი ჰქონდა რუსეთის სამთავრობო წრეებთან.

„სლავური სახლისა“ და კონსერვატიული „სოიუზის“ (რომელსაც ფილიალი სოხუმში ჰქონდა) იდეოლოგია რუსული იმპერიული ძლიერების შენარჩუნებისთვის ბრძოლას ითვალისწინებდა. ისინი აფხაზეთში რუსეთის ანტიქართული პოლიტიკის სასიცოცხლო არხებს წარმოადგენდნენ [2, 114]. მათ ხოტბას ასხამდა ვლადიმერ ჟირინოვსკის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია, რუსული პატრიოტული გაზეთი „ძენ“ (დღე), ვიცე-პრეზიდენტი ალექსეი რუცკოი და რუსეთის პარლამენტის სპიკერი რუსლან ხასბულატოვი, რომლებიც „აფხაზთა საქმეს“ ყველაზე გააფთრებით იცავდნენ [17, 265]. რუსეთის მხარდაჭერას პრაქტიკული მიზეზებიც ჰქონდა – მას სამხრეთში უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინტერესები ამოძრავებდა (განსაკუთრებით კი, შავი ზღვის სანაპიროს მნიშვნელოვანი მონაკვეთის დაკარგვა აღელვებდა). გარდა ამისა, კაზაკები და რუსი დაქირავებული მებრძოლები, რომლებიც აფხაზების მხარეს ომობდნენ, იარაღით ვაჭრობდნენ, რაც ძალიან მომგებიანი საქმე იყო [2, 114].

ეს ომი მხოლოდ რუსული პოლიტიკის გამოხატულებას არ წარმოადგენდა, რომელიც საქართველოს სახელმწიფოს დასუსტებისკენ იყო და არის მიმართული. საკუთარი მკვეთრი პოზიცია აფხაზებსაც ჰქონდათ. მათ ეშინოდათ ქართული ჰეგემონიის. ბევრი უბრალო აფხაზი 1990-1992 წლებში სამხრეთ ოსეთის მაგალითმა შეაშინა. ამგვარ საზოგადოებრივ განწყობას ქმნიდნენ მეცნიერებიც; კერძოდ, აფხაზმა ისტორიკოსმა სტანისლავ ლაკობამ თავის წიგნს „საქართველოს ასწლიანი ომი აფხაზეთის წინააღმდეგ“ უწოდა [2, 115]. ბევრი აფხაზისთვის ეს სულაც არ იყო გადაჭარბება. ანტიქართული განწყობების გაღვივება ომის მიმდინარეობის კვალობაზე გაადვილდა. თუმცა ომი პროვოცირებული იყო ორივე მხარის ელიტების მიერ. ეს არ იყო ეთნიკური ომი, რომელიც ქვემოდან დაიწყო. ომის პირველ თვეებში ადგილობრივი სოფლების ქართველი და აფხაზი მკვიდრნი შეთანხმდნენ, რომ რაც არ უნდა გაეკეთებინათ გარეშეებს და რაც არ უნდა ეთქვათ პოლიტიკოსებს, ისინი ერთმანეთს თავს არ დაესხმოდნენ [18].

საომარი მოქმედებების დაწყებიდან მცირე ხნის შემდეგ, **1992 წლის 3 სექტემბერს**, რუსეთის ინიციატივითა და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების ხელმძღვანელთა მონაწილეობით, მოსკოვში ხელი მოეწერა შეთანხმებას „ცეცხლის შეწყვეტისა და კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ“*. დოკუმენტში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობაა აღიარებული; ასევე ნათქვამია, რომ რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალები, რომლებიც დროებით იმყოფებიან საქართველოს რესპუბლიკის, მათ შორის, აფხაზეთის ტერიტორიაზე, მკაცრ ნეიტრალიტეტს იცავენ და შიდა კონფლიქტებში არ მონაწილეობენ. რუსეთის ფედერაციის სახელით დოკუმენტს ხელი მოაწერა პრეზიდენტმა ბორის ელცინმა, ხოლო საქართველოს სახელით

ვლადისლავ არძინბა, ბორის ელცინი და ედუარდ შევარდნაძე მოსკოვში. 1992 წ. 3 სექტემბერი

* მოსკოვის შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტი. 03.09. 1992 წ.

ქართველი მებრძოლები გაგრაში, 1992 წ. 1 ოქტომბერი

– სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ. შეთანხმებას დაეთანხმა აფხაზი სეპარატისტების ლიდერი ვლადისლავ არძინბაც, ხოლო მისი შესრულების გარანტად რუსეთი გამოდიოდა. ქართულმა მხარემ გაგრიდან თავისი საჯარისო ნაწილები გაიყვანა, ქალაქში მხოლოდ მშვიდობიანი მოსახლეობა დარჩა. თუმცა მალე აფხაზურმა მხარემ შეთანხმება დაარღვია, გაგრას მთელი სამხედრო პოტენციალით შეუტია და **1992 წლის 1 ოქტომბერს** კიდეც აიღო ქალაქი.

გაგრის აღების შემდეგ აფხაზებმა მთავარი ყურადღება სოხუმზე გადაიტანეს. უპირველეს ყოვლისა, მათ საორგანიზაციო საკითხები მოაწესრიგეს: 10 ოქტომბერს თავდაცვის სამინისტრო ჩამოაყალიბეს; მათი რიგები კი ყოველდღიურად ივსებოდა დაქირავებული მებრძოლებით. საომარი მოქმედებები აფხაზეთის ტერიტორიაზე გრძელდებოდა. 1993 წლის 16 მარტს ქართულმა ჯარმა გუმისთასთან მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწია, თუმცა მისი განვითარება ვერ შეძლო და მნიშვნელოვანმა სამხედრო წარმატებამ კონფლიქტის მიმდინარეობაზე გავლენა ვერ მოახდინა.

1993 წლის 27 ივლისს, რუსეთის შუამავლობით, ქართულ, აფხაზურ და რუსულ მხარეებს შორის ქალაქ სოჭში ხელი მოეწერა შეთანხმებას „აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მისი დაცვის კონტროლის მექანიზმების შესახებ“. შეთანხმება დაპირისპირებულ მხარეთა განიარაღებასა და კონფლიქტის ზონის ეტაპობრივ დემილიტარიზაციას ითვალისწინებდა. იგი კრძალავდა ავიაციის, არტილერიის, სანაოსნო საშუალებების, ყოველგვარი სამხედრო ტექნიკისა და იარაღის გამოყენებას, ასევე კონფლიქტის ზონაში ჯარებისა და სხვა ფორმირებების შეუთანხმებელ გადაადგილებებს, იარაღისა და ტყვია-წამლის შეტანას, სამხედრო ინფრასტრუქტურის ობიექტების აგებას. უნდა შექმნილიყო ქართულ-აფხაზურ-რუსული დროებითი საკონტროლო ჯგუფები, რომელთაც მეთვალყურეობა უნდა გაეწიათ ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის შესრულებისთვის. საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა მძიმე ტექნიკა ფოთის მიმართულებით გაიყვანა. ამის საპასუხოდ, აფხაზურ მხარეს ანალოგიური პროცესი არ დაუწყია. სიტუაციას ამძიმებდა ის გარემოება, რომ ამ პერიოდში დასავლეთ საქართველოში კვლავაც მიმდინარეობდა შეიარაღებული შეტაკებები ზვიად გამსახურდიას მომხრეებსა და ედუარდ შევარდნაძის სამთავრობო ჯარებს შორის. შექმნილ ვითარებაში, 16 სექტემბერს, სოხუმის მასიური დაბომბვა დაიწყო. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, 17 სექტემბერს ადლერში გაიმართა შეხვედრა

გუმისთასთან ბრძოლა

სოხუმის დაცემა 1993 წ. 27 სექტემბერს

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურ ედუარდ შევარდნაძესა და რუსეთის თავდაცვის მინისტრ პაველ გრაჩოვს შორის, თუმცა მოლაპარაკებამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო.

18 სექტემბერს ედუარდ შევარდნაძემ სხვადასხვა ქვეყნის მეთაურებისა და გაეროს გენერალური მდივნის სახელზე საჯარო მიმართვა გაავრცელა. აღნიშნულ მიმართვაში დაუფარავად არის საუბარი მოსკოვის უუნარობაზე – შეასრულოს მშვიდობის გარანტიის მიმცემი ქვეყნის ფუნქციები [19]. სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლების მცდელობებს საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან რაიმე სერიოზული რეაქცია არ მოჰყოლია. **1993 წლის 27 სექტემბერს,** მასიური შემოტევების შედეგად, ქალაქი სოხუმი დაეცა. აფხაზებმა დახვრიტეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ჟიული შარტავა და მთავარობის სხვა წევრები. სამი დღის შემდგომ აფხაზეთის ტერიტორია ქართული მოსახლეობისგან თითქმის მთლიანად დაიცალა.



ჟიული შარტავა
1944-1993

გურამ გაბესკირია
1947-1993

მამია ალასანია
1943-1993

დევნილები

ომი 13 თვე გაგრძელდა და მას ორივე მხრიდან მრავალრიცხოვანი მსხვერპლი მოჰყვა – რვა ათასი ადამიანი დაიღუპა და 18 000 დაიჭრა. ხელშეკრულებები, რომლებიც რუსეთის, ეუთოსა და გაეროს შუამდგომლობით იდებოდა, სისტემატურად ირღვეოდა. ომის შემდეგ დაახლოებით 250 ათასმა ეთნიკურმა ქართველმა აფხაზეთი დატოვა. ტრაგედია საერთო იყო აფხაზეთის მკვიდრი ყველა ხალხისთვის: დაახლოებით 30-40 ათასი აფხაზი, რუსი, ბერძენი და სომეხი იძულებული გახდა, საომარ ზონაში თავისი სახლი დაეტოვებინა [2, 115].

გ) ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შედეგები

დსთ-ს დროშა

ზვიად გამსახურდია აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების ბოლოს საქართველოში დაბრუნდა და ძალაუფლების რესტავრაციაზე თავისი პრეტენზიები წამოაყენა. მისი მცდელობა 1993 წლის ნოემბერში მარცხით დამთავრდა. შევარდნაძისა და გამსახურდიას დაპირისპირებაში შევარდნაძის მხარდასაჭერად რუსეთი ჩაერია [2, 115]. რუსეთის მიერ „დათრგუნული“ საქართველო, როგორც ეს შევარდნაძემ თქვა, **1993 წლის ოქტომბერში დსთ-ში შესვლას დათანხმდა** და ხელი მოაწერა სამხედრო ხელშეკრულებებს [20, 7-8]. კერძოდ, რუსულ ჯარებს აღარ მოეთხოვებოდა 1995 წლის ბოლოსთვის ქვეყნის დატოვება ან საქართველოსთვის პორტების გადაცემა, როგორც ეს 1993 წლის მაისის შეთანხმებით იყო გათვალისწინებული. რუსეთი ინარჩუნებდა **ოთხ სამხედრო ბაზას** და შეეძლო საქართველოს პორტებისა და პოლიგონების გამოყენება. რუსი მესაზღვრეები საქართველოს 2 ათას კმ-ზე მეტი სახმელეთო და 320 კმ-ზე მეტი საზღვაო საზღვრის პატრულირებაში ეხმარებოდნენ [2, 116]. ქვეყნიდან მათი გასვლის თარიღი დაწესებული არ იყო. თბილისის პოლიციის უფროსმა რუსულ ჯარს კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლაშიც კი სთხოვა დახმარება [21, 3]. 1995 წელს შეიქმნა რუსული ჯარების ჯგუფი ამიერკავკასიაში და ქვეყანაში 20-ათასიანი რუსული შენაერთი განთავსდა (საქართველოს ტერიტორიაზე 25 წლის ვადით უნდა განლაგებულიყო ოთხი რუსული ბაზა – ახალქალაქში, ბათუმში, ვაზიანსა და გუდაუთაში).

„აფხაზეთის ომმა“ საქართველოში პოლიტიკური პროცესების ნორმალურ განვითარებას უმძიმესი დარტყმა მიაყენა. ეროვნული უსაფრთხოების საჭიროება ძალოვანი სამინისტროების გაძლიერებას უწყობდა ხელს. მორიგებები და პოლიტიკური კომპრომისი „პრინციპს“ და ქვეყნის თავდაცვას ემსხვერპლა. პარლამენტის პოპულისტური გადაწყვეტილებები და დემაგოგიური რიტორიკა ხელს უშლიდა საპარლამენტო პროცედურის განვითარებასა და პარტიებს შორის

თანამშრომლობას; ნაკლებად იღებდნენ ეკონომიკურ და სოციალურ კანონებს; იზღუდებოდა სამოქალაქო თავისუფლებები [2, 116]. 1993 წლის სექტემბერში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის დროს გავრცელებული იყო ცენზურა და პოლიციის მხრიდან ჟურნალისტების დაშინება, ხოლო 1993 წლის ოქტომბერში ახალი, უფრო ძლიერი უშიშროების სამინისტრო შეიქმნა*. აფხაზეთში განვითარებული მოვლენების შემდეგ რუსეთთან ნორმალური პოლიტიკური და სავაჭრო ურთიერთობები შეუძლებელი გახდა. რუსეთის მიერ აფხაზეთის ომში სეპარატისტების მხარეზე მონაწილეობის გამო შევარდნაძე ამ დაპირისპირებას ღიად უწოდებდა საქართველოსა და რუსეთს შორის კონფლიქტს [22, 52]. 1992 წლიდან 1995 წლამდე საქართველო და რუსეთი პერმანენტული კრიზისის მდგომარეობაში იყვნენ და აფხაზეთში რუსი მშვიდობისმყოფლების როლსა და ქართველი დევნილების დაბრუნებასთან დაკავშირებით შეთანხმებას ვერ აღწევდნენ [2, 116].

მეზობელ სახელმწიფოსთან დაძაბული ურთიერთობების ფონზე ედუარდ შევარდნაძე ე.წ. **„ორი რუსეთის“ პოლიტიკას** ატარებდა. იგი ამბობდა, რომ შექმნილ ვითარებაზე რუსეთის მხრიდან პასუხისმგებელი არა ელცინი და საპრეზიდენტო აპარატში მყოფი „დემოკრატები“, არამედ უზენაესი საბჭო და, განსაკუთრებით, სამხედროები იყვნენ. ამავე პერიოდში საქართველო რუსეთში შიდა პოლიტიკური დაპირისპირების ერთ-ერთი ფაქტორი იყო და დროთა განმავლობაში აშკარად იკვეთებოდა, რომ საქართველოსთან ურთიერთობების გასაღები რუსი სამხედროების ხელში იყო [22, 53], რაც საქართველოს შიდა საქმეებზე უარყოფითად აისახებოდა.

აღნიშნული პოლიტიკის ცვლილების დასაწყისად შეგვიძლია **1995 წლის 29 აგვისტო** მივიჩნიოთ. თბილისში „იმელის შენობაში“ განთავსებული პარლამენტის შენობიდან გამოსული შევარდნაძის მანქანაში ნაღმი აფეთქდა. ქვებისა და ლითონის ნამსხვრევებში მოყოლილი შევარდნაძე, რომელიც ახალი კონსტიტუციის ხელმოწერის საზეიმო ცერემონიაზე მიდიოდა, მკვლელების ყოყმანის გამო სასწაულებრივად გადარჩა [23, 443-447]. მკვლელობის მცდელობა მოგვიანებით იგორ გიორგაძეს მიაწერეს, პრორუსულ ფიგურას, რომელიც საქართველოს უშიშროების სამსახურის უფროსი იყო. მკვლელობის მცდელობაში დაადანაშაულეს სამხედრო დაჯგუფება „მხედრიონის“ ხელმძღვანელი ჯაბა იოსელიანიც. ამით შევარდნაძეს საკუთარი ძალაუფლების გამყარების შანსი გაუჩნდა. იოსელიანი თავის 200 „მხედრიონელთან“ ერთად დააპატიმრეს. უშიშროების სამინისტროში განხორციელებულმა დაჭერებმა სამინისტრო არალოიალური კადრებისგან ნაწილობრივ გაწმინდა, ხოლო გიორგაძე უახლოესი რუსული სამხედრო ბაზიდან მოსკოვში გაიქცა. შევარდნაძის კამპანიას ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ სათავეში შინაგან საქმეთა მინისტრი შოთა კვირაია ჩაუდგა. ხელმძღვანელობის გარეშე დარჩენილი „მხედრიონი“ ოქტომბერში დაიშალა. ტერაქტის წარუმატებელმა მცდელობამ ხელი შეუწყო შევარდნაძის ძალაუფლების გაძლიერებას, რამაც გავლენა მოახდინა როგორც საგარეო პოლიტიკურ კურსზე, ისე რუსეთთან დამოკიდებულების ცვლილებაზე [2, 145].

* მოგვიანებით პარლამენტმა გადაარქვა სახელი და უწოდა „უშიშროების და ინფორმაციის ბიურო“, მაგრამ მისი უფლებამოსილება იგივე დარჩა.

§2. პოსტსაბჭოთა პერიოდში ქართულ-ოსური დაპირისპირების მიზეზები

ა) პოსტსაბჭოთა ქართულ-ოსური კონფლიქტის სოციო-კულტურული წანამძღვრები

საბჭოთა კავშირში 1989 წელს ჩატარებული მოსახლეობის ბოლო აღწერის მონაცემებით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ცხოვრობდა 98527 ადამიანი, აქედან 65232 (66.2%) იყო ოსი, 28544 (28.9%) – ქართველი, 2128 (2.1%) – რუსი, 985 (1.0%) – სომეხი, 396 (0.4%) – ქართველი ებრაელი და 1242 – სხვა ეროვნების ადამიანი. თუმცა იმავე წლის მონაცემებით, საქართველოში მცხოვრები ოსების 60% ცხოვრობდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გარეთ, მათი უმეტესობა – თბილისში, შიდა და ქვემო ქართლში, ბორჯომ-ბაკურიანსა და კახეთში. ოსები დიდი რაოდენობით კოლექტიურად დასახლებული იყვნენ (75185) თრიალეთის ტერიტორიაზე (ხაშურის, ბორჯომის, გორის რაიონებში) და მათ ხშირად მოიხსენიებდნენ, როგორც „თრიალეთის ოსებს“. ქართველებისა და ოსების ურთიერთობა არ იყო ორ ჩაკეტილ ეთნიკურ ჯგუფს შორის ურთიერთდამოკიდებულება, პირიქით, ეს იყო საკმაოდ ღია ურთიერთობა, ხშირი იყო შერეული ოჯახები, ოსები აქტიურად იყვნენ წარმოდგენილი ქართულ კულტურულ, პოლიტიკურ და სამეცნიერო ცხოვრებაში. თუმცა, ამის პარალელურად არსებობდა სტერეოტიპები და ეთნიკური ხასიათის ანეკდოტები. მაგალითად, ამ სტერეოტიპებში ხშირად შეხვდებოდით ოს საბჭოთა მილიციონერს, რომელიც გამოირჩეოდა მექრთამეობით, უკულტურო და უხეში ქცევით. ხშირი იყო ქართველების მიერ კულტურული აღმატებულების ხაზგასმა, რაც ოსებში საკმაოდ ნეგატიურ დამოკიდებულებას იწვევდა. ამის მიუხედავად, საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში ამგვარი ურთიერთობები არ გამხდარა საფუძველი ეთნოსებს შორის დაპირისპირებისა და არც კონფლიქტში გადაზრდილა.

როგორც წინა თავში აღინიშნა, სამხრეთ ოსეთში, სადაც მიწათმოქმედება და მესაქონლეობა იყო მეურნეობის ძირითადი დარგები, საბჭოთა კავშირის დროს მრეწველობის ერთგვარი

საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში (1921-1991)

წახალისების მიუხედავად, ეკონომიკის განვითარება მაინც ცენტრიდან მიღებული სუბსიდიებით ხდებოდა. შესაბამისად, ამ პერიოდში ეკონომიკურად ჩამორჩენილი რეგიონიდან ხშირი იყო მიგრაცია საქართველოს სხვა ტერიტორიებზე, განსაკუთრებით კი, გორისა და თბილისის მიმართულებით. მიგრაციის ამ პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული ეთნიკური ქართველები, რაც, გარკვეულწილად, განაპირობებდა მათ სიმცირეს ამ რეგიონში. თუმცა ეთნიკური ოსებიც იმავე მეთოდს მიმართავდნენ, ეს კი ქმნიდა შრომით კონკურენციას, რაც გარკვეული დაძაბულობების მიზეზიც ხდებოდა. ხშირად, იმისათვის, რომ ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაცია მოეხდინათ და მარტივად ჰქონოდათ წვდომა ეკონომიკისა და სახელმწიფოს სხვადასხვა მიმართულებაში, ოსები, მსგავსად სომხებისა და სხვა ეროვნების ადამიანებისა, გვარების გაქართულებას ახდენდნენ, რაც, თავის მხრივ, გაღიზიანებას იწვევდა ეთნიკურ ქართველებში. სწორედ აქედან იღებს სათავეს ქართულ ეთნიკურ ნაციონალიზმში ე.წ „წმინდა ქართული სისხლის“ საკითხი, როდესაც იწყებდნენ ადამიანის წინაპრების კვლევას, წინა თაობებში ვინმე სხვა ეროვნების წარმომადგენელი ხომ არ ჰყავდა შერეული. ამგვარი მიდგომა ქართული საზოგადოების ინტეგრაციის პროცესს დამატებითი გამოწვევების წინაშე აყენებდა.

უნდა ითქვას, რომ ქართულ და ოსურ ნაციონალისტურ ნარატივში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ე.წ. ლიტერატურულ-ფოლკლორულ ნაციონალიზმს. მაგალითად, თუკი აშშ-ში მთავარი ნაციონალური პროექტი არის პოლიტიკური პროექტი, რომელიც ასახულია ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციასა და კონსტიტუციაში, ქართული და ოსური ნაციონალიზმი არის არა პოლიტიკური, არამედ ერთგვარი ლიტერატურულ-კულტურული დოქტრინა. ამიტომაცაა, რომ ქართულ ნაციონალიზმში მთავარი ეროვნული გმირი არა რომელიმე პოლიტიკური მოღვაწეა, ვთქვათ, ნოე ჟორდანია ან სხვა, არამედ მწერალი და საზოგადო მოღვაწე – ილია ჭავჭავაძე. რეტროსპექტულად რომ განვიხილოთ, ოსებში ეს ე.წ. ლიტერატურული ნაციონალიზმი, ქართველებისგან განსხვავებით, გვიან, 1890-იანი წლების ბოლოს დაიწყო (იხ. თავი 3), და პირველი ასეთი „ეროვნული გმირი“ ოსებისთვის იყო კოსტა ხეთაგუროვი, რომელმაც 1899 წელს ოსურ ენაზე გამოსცა „ოსური ლირა“ ბავშვებისთვის. სწორედ კოსტა ხეთაგუროვი ითვლება ოსური ლიტერატურის დამფუძნებლად. მეორე ასეთი „გმირი“ ალექსანდრე კუბალოვია, რომელმაც 1897 წელს ოსურ ენაზე გამოსცა პოემა „ნართული ეპოსი ოსურად“. საბჭოთა კავშირის პერიოდში ოსური კულტურული ნაციონალიზმის ეს ხაზი გააგრძელა ენათმეცნიერმა, ფოლკლორისტმა და ეთნოგრაფმა ვასილ აბაევმა,

კოსტა ხეთაგუროვი, *1859-1906*
ოსური ლიტერატურის ფუძემდებელი

ალექსანდრე კუბალოვი, *1871-1944*
ოსი პოეტი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე

ვასილ აბაევი, *1900-2001*
ოსი ენათმეცნიერი-ირანისტი, მხარეთმცოდნე, პედაგოგი, პროფესორი


КОСТА.

ІРОН ФӕНДЫР.

ЗӕРДӕЙ САБӕСТӕ,
ЗАРДЖУТӕ, КАДДЖУТӕ
ӕмӕ
ӔМБИСӔНДТӔ,

СОГПИ

1899.

კოსტა ხეთაგუროვის „ოსური ლირა“ ბავშვებისათვის ოსურ ენაზე, 1899 წ.


В.И.АБАЕВ

ИСТОРИКО-ЭТИМОЛОГИЧЕСКИЙ СЛОВАРЬ ОСЕТИНСКОГО ЯЗЫКА

ოსური ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი. ვასილ აბაევის შედგენილი

რომელიც დუშეთში იყო დაბადებული. 1945 წელს მან ეთნოგრაფიული ექსპედიცია მოაწყო ჩრდილო ოსეთსა და საქართველოში, რის შედეგადაც შექმნა შრომები: „ნართების ეპოსი“, „ოსური ენა და ფოლკლორი“, „ოსური ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი“. ენისა და ფოლკლორის მიმართულებამ ცენტრალური ადგილი დაიკავა ოსურ იდენტობაში, ამიტომ ენის საკითხი ერთ-ერთი ყველაზე მგრძნობიარე საკითხი გახდა ოსებისთვის. შესაბამისად, ენისთვის ბრძოლა ერთ-ერთ საკვანძო პრობლემად იქცა ქართველებსა და ოსებს შორის, რადგან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, როგორც ვიცით, სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაციული ენები იყო რუსული და ქართული, ოსური ენა მხოლოდ საყოფაცხოვრებო ენას წარმოადგენდა. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში აქტიურად ითხოვდნენ, რომ ოსურ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი ჰქონოდა, რაზეც მძლავრი ქართული წინააღმდეგობა ხვდებოდათ. სწორედ ენის საკითხი გახდა 1980-იან წლებში კონფლიქტის დაწყების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი.

დამწერლობის პოლიტიკა ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა იყო. 1844 წლამდე ოსებთან პრაქტიკაში იყო ქართული დამწერლობის გამოყენება, მაგრამ, როგორც უკვე ვიცით წინა თავებიდან, 1844-1923 წლებში რუსმა მეცნიერებმა – **ანდრეი შეგრენმა** და **ვსევოლოდ მილლერმა** – ოსებს შეუქმნეს ანბანი კირილიცაზე დაყრდნობით; 1923-1938 წლებში კი ოსებს ჰქონდათ ლათინური დამწერლობა. იმისათვის, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მცხოვრები ოსები დაახლოებოდნენ ქართულ კულტურას, 1938 წელს შეიქმნა ქართული დამწერლობა ოსური ენისთვის. შესაბამისად, ერთდროულად გაჩნდა ორი დამწერლობა ოსური ენისთვის: ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – კირილიცა, ხოლო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში – ქართული. მას მერე, რაც 1953 წელს, სტალინის გარდაცვალებისა და ბერიას დაპატიმრების შემდეგ, სამხრეთ ოსეთის ცენტრალური კომიტეტის პირველ

ანდრეი შეგრენი, *1794-1855*
რუსი ენათმეცნიერი, ისტორიკოსი, ეთნოგრაფი და მოგზაური

ვსევოლოდ მილლერი, *1848-1913*
რუსი ფოლკლორისტი, ეთნოგრაფი და ენათმეცნიერი

მდივან ი.კ. კოლიევს ბრალი დასდეს ნაციონალური პოლიტიკის დარღვევასა და საქართველოსთან ზედმეტ ინტეგრაციაში და თანამდებობიდან გაათავისუფლეს, ოსური დამწერლობა ძალიან მალე, უკვე 1954 წლიდან, მთლიანად გადავიდა კირილიცაზე. 1944 წელს მიღებული გადაწყვეტილებით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სწავლება მიმდინარეობდა ქართულ და რუსულ ენებზე, ხოლო ოსური ენა არ ისწავლებოდა სკოლებში. საქართველოს ცკ-ის სამდივნოს მიერ 1953 წლის 7 სექტემბერს მიღებული გადაწყვეტილებით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საშუალო სკოლებში I-IV კლასებში სწავლება უნდა წარმართულიყო ოსურ ენაზე, ხოლო V-XI კლასებში – გაგრძელდებოდა რუსულ ენაზე. ეს პროცესი, გარკვეულწილად, აჩერებდა ე.წ. „საქართველოსთან ინტეგრაციას“ და ოსებს აძლევდა დაწყებით კლასებში ოსური ენის შესწავლის საშუალებას, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს იყო რუსიფიკაციის პოლიტიკა; რადგან, მაგალითად, იმ პერიოდის მონაცემებით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სულ 361 სკოლა იყო, აქედან 269 – ქართული, ხოლო 92 – რუსული; ქართულ სკოლებში 7900 მოსწავლე სწავლობდა, ხოლო რუსულში – 5200*. პოლიტიკური აქცენტების მთლიანად ენობრივ-კულტურულ განსხვავებაზე გადატანა და ამ საკითხის ცენტრალურ პრობლემად წარმოჩენა იმ წინააღმდეგობებს იწვევდა, რომელთა გადაჭრა შესაძლებელი იყო სამოქალაქო ნაციონალიზმის პარადიგმებიდან, მაგრამ ეთნიკური ნაციონალიზმისა და საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკით ვერ გადაიჭრებოდა.

ბ) ქართულ-ოსური კონფლიქტის წინა პირობები

როგორც ცნობილია, 1985 წელს საბჭოთა კავშირში დაიწყო პოლიტიკური ლიბერალიზაციის პროცესი, რომლის ერთ-ერთი გამოხატულება იყო გარკვეული ცენზურის მოხსნა. ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, დაბალი სამოქალაქო კულტურის პირობებში, ამ პროცესებს მოჰყვა ეთნიკური ნაციონალიზმის აღზევება. გამონაკლისი არც საქართველო ყოფილა. აქ, ერთი მხრივ, გაჩნდა ძლიერი ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რის პარალელურადაც, მეორე მხრივ, გააქტიურდა ოსური სეპარატისტული მოძრაობა. ქართული ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი მიზანი, საქართველოს დამოუკიდებლობასთან ერთად, გახდა „სამხრეთ ოსეთის“ სახელწოდებისა და ავტონომიის გაუქმება [5].

ოსური სახალხო ფრონტის – **„ადამონ ნიხასის“** შექმნის (იხ. თავი 5) დღესვე მისმა ლიდერმა, ალან ჩოჩიევმა, გამოაქვეყნა წერილი, რომლითაც ის მოითხოვდა სამხრეთ ოსეთის გამოყოფას საქართველოს შემადგენლობიდან, ჩრდილოეთ ოსეთთან გაერთიანებასა და რუსეთის შემადგენლობაში შესვლას. ამას გარდა, 1989 წლის 4 აპრილს ალან ჩოჩიევმა მეორე წერილი გამოაქვეყნა გაზეთ „ბზიფში“, სადაც მან სოლიდარობა გამოუცხადა აფხაზებს და „ლიხნის კრებას“, რომლის გამოც თბილისში საპროტესტო აქციები დაიწყო და დრამატული მოვლენით – 9 აპრილის საშინელი დარბევით დამთავრდა. ამ მოვლენამ ქართულ ეროვნულ მოძრაობაში კიდევ უფრო გააძლიერა ანტიოსური განწყობები.

იმ პერიოდის მოთხოვნებში ერთ-ერთი უმთავრესი იყო ენასთან დაკავშირებული საკითხი. ქართული ეროვნული მოძრაობა ქართული ენის სახელმწიფო სტატუსს ძალიან მგრძნობიარედ აღიქვამდა, მისთვის ამ საკითხში ყოველგვარი დათმობა განიხილებოდა, როგორც მარცხი; ოსური მხარისთვის კი ასევე მნიშვნელოვანი იყო ოსური ენის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოეთ ოსეთისგან განსხვავებით, სადაც ენობრივი პოლიტიკა ძირითადად რუსიფიკატორული იყო, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ოსური ენა მაინც ვითარდებოდა – მიმდინარეობდა ოსური ენის კვლევები, იქმნებოდა სახელმძღვანელოები და ა.შ., ოსები ენის საკითხს მაინც ცენტრალურად მიიჩნევდნენ. ამ მიღწევის კიდევ უფრო განვითარება ჰქონდათ მიზნად დასახული და, როგორც

* ქართული სკოლების რაოდენობა უფრო მეტი იყო, მაგრამ რუსული სკოლები უფრო მრავალრიცხოვანი იყო – 92 რუსულ სკოლაში 5200 მოსწავლე იყო, იმ დროს როდესაც 269 ქართულ სკოლაში - 7900 მოსწავლე სწავლობდა

ზემოთ უკვე ითქვა, ოსური ენისთვის სახელმწიფო ენის სტატუსის მინიჭებას მოითხოვდნენ. შესაბამისად, ენის საკითხი ორივე მხარისთვის ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა და არც ერთი არ აპირებდა დათმობას.

კონფლიქტი მას შემდეგ გააქტიურდა, რაც **1989 წლის 15 აგვისტოს** თბილისში გამოიცა დადგენილება **„ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის შესახებ“**. პროგრამით განსაზღვრული იყო ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსი. დადგენილების ძალით, ქართული ენა გამოყენებული უნდა ყოფილიყო საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპარეზზე, მათ შორის, დღის წესრიგში დგებოდა რესპუბლიკის არაქართულ სკოლებში ქართული ენის სავალდებულო სწავლების შემოღება. ამ მოვლენამ დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია „ადამონ ნიხასსა“ და, ზოგადად, ოსურ საზოგადოებაში, რომლებმაც ეს დადგენილება აღიქვეს დისკრიმინაციულად და ანტიდემოკრატიულად, რადგან ოსური მოსახლეობის უმრავლესობამ არ იცოდა ქართული ენა. ამ დადგენილებას ცხინვალში სახალხო დემონსტრაციები და გაფიცვები მოჰყვა. ოსური მხარე კვლავ მოითხოვდა, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ოსური ენა სახელმწიფო ენად გამოცხადებულიყო. 1989 წლის 26 სექტემბერს სამხრეთ ოსეთის მე-20 მოწვევის დეპუტატთა საოლქო საბჭომ მიმართა საქართველოს უმაღლეს საბჭოს, რომ საქართველოს სსრ კონსტიტუციის 75-ე მუხლს დამატებოდა შემდეგი პუნქტი: „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სახელმწიფო ენაა ოსური ენა“. საქართველოს ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა ოსების მოთხოვნა, რასაც კონფლიქტის გაღრმავება მოჰყვა.

მას შემდეგ, რაც ვერ მოხდა შეთანხმება ოსური ენის თაობაზე კონსტიტუციურ ცვლილებებთან დაკავშირებით, 1989 წლის 10 ნოემბერს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მე-20 მოწვევის სახალხო დეპუტატთა საბჭოს XII საგანგებო სესიამ მიიღო დადგენილება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ. ამავე დადგენილებით სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე სახელმწიფო ენად გამოცხადდა ოსური ენა. სესიამ მოუწოდა საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს და სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს, განეხილათ სამხრეთ ოსეთის სტატუსის ამაღლებისა და ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის

„ცხინვალის მარში“, როდესაც ქართველებს 1989 წლის 23 ნოემბერს საბჭოთა მე-8 პოლკმა გზა გადაუკეტა ცხინვალის მისადგომებთან

მინიჭების საკითხი; საპასუხოდ, 1989 წლის 16 ნოემბერს საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ გააუქმა ეს დადგენილება, რადგან: „უხეშად იქნა დარღვეული სესიის მოწვევისა და ჩატარების წესი და მასზე განხილულ იქნა საკითხები, რომლებიც აღემატებოდა საოლქო საბჭოს უფლებამოსილებას“ [8].

„კანონთა ომის“ პარალელურად, ქართულ საზოგადოებაში იზრდებოდა ნაციონალისტური განწყობები; სხვადასხვა წრეებში დაიწყეს ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ოსები არ არიან მკვიდრი მოსახლეობა და მათ არ უნდა გააჩნდეთ ის პოლიტიკური ავტონომია, რაც აქვთ. ხშირად ორივე მხარის წარმომადგენელთა მხრიდან გაისმოდა საკმაოდ პროვოკაციული და ნაციონალისტური განცხადებები, რაც სიტუაციას აშკარად კიდევ უფრო ართულებდა.

ამ ვითარებაში პერიოდულად იმართებოდა სახალხო ფორუმები, რომელსაც ესწრებოდნენ როგორც ქართული, ისე ოსური მხარეები, რომლებსაც, თითქოსდა, ქართულ-ოსური პრობლემების მოგვარება ჰქონდათ მიზნად დასახული, მაგრამ, ამის ნაცვლად, მათ შორის ხშირი იყო ურთიერთბრალდებები და მუქარებიც კი. **1989 წლის 23 ნოემბერს** ქართული ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა, ზვიად გამსახურდიას თაოსნობით, 15 000 ქართველი დაძრეს ცხინვალისკენ, რათა იქ საპროტესტო აქცია ჩაეტარებინათ. ოსური მხარის მიერ ეს აღქმული იყო, როგორც ქართველების მიერ ძალის დემონსტრირება. სწორედ ამიტომ, ქართველ მომიტინგეებს მეორე მხარეს დახვდა ოსური საპროტესტო ძალები, ხოლო საბჭოთა არმიის მე-8 პოლკის ჯარისკაცებმა და პოლიციელებმა ქალაქის შესასვლელი გზები გადაკეტეს და ქართველი მომიტინგეები ცხინვალში არ შეუშვეს. ამ მოვლენას მოჰყვა პირველი მსხვერპლი, რამაც როგორც ქართულ, ისე ოსურ საზოგადოებაში კიდევ უფრო გაამძაფრა რადიკალური განწყობები.

ამ პროცესებს მოჰყვა პროპაგანდისტული ომი – ორივე მხარე ერთმანეთს ადანაშაულებდა შევიწროებასა და უკანონო საქციელში. დაპირისპირების ერთ-ერთი განსაკუთრებული გამხმოვანებელი იყო გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, რომელშიც, მაგალითად, ჯერ კიდევ 1989 წლის 2 ივნისს გამოქვეყნდა დიანა მაჩაბლის წერილი, რომელშიც ის ოსებს ქართველების ჩაგვრაში ადანაშაულებდა; უფრო ადრე კი, 11 მარტს, იმავე გაზეთში დაიბეჭდა ნიკოლოზ ოთიაშვილის წერილი, რომელშიც ავტორი ოსებს ისტორიის ფალსიფიკაციასა და ქართველების შევიწროებაში სდებდა ბრალს [4]. პარალელურად, ცხინვალშიც, ოსურ გაზეთ „არიაგ მუდიმში“ გამოქვეყნებული სტატიები სისტემატურად ადანაშაულებდნენ ქართველებს ოსების შევიწროებაში: „სტუმარი აღმოჩნდა ასი ათასობით ოსი, რომლებიც იმყოფებიან სოციალურ-პოლიტიკური პროცესების ფსკერზე და სავსებით მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, გაიკეთონ პოლიტიკური კარიერა რესპუბლიკაში და ძირითადად ასრულებენ მძიმე, დაბალანაზღაურებად სამუშაოს“, – ეწერა ერთ-ერთ ასეთ სტატიაში [5; 1].

თუმცა ქართველებსა და ოსებს შორის ისეთი პოლიტიკური ძალებიც არსებობდა, რომლებიც ცდილობდნენ, ეს პრობლემები მშვიდობიანად გადაელახათ. 1990 წლის ივნისში „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ“ და „ადამონ ნიხასის“ იმ წევრებმა, რომლებიც საქართველოსთან თანამშრომლობასა და ურთიერთობის დათმობაზე იყვნენ ორიენტირებულნი, გაავრცელეს მიმართვა ოსი და ქართველი ხალხებისადმი.

„დღეს, როცა შიშის დათესვის მეშვეობით ცდილობენ ჩვენს ურთიერთიზოლაციას, კი არ უნდა გავუცხოვდეთ, კი არ უნდა გვეშინოდეს ერთმანეთის, არამედ, პირიქით, უნდა დავამყაროთ ერთმანეთთან უშუალო კონტაქტები და ვეძებოთ ის, რაც გვაერთიანებს და არა ის, რაც განგვასხვავებს ერთმანეთისგან... ჩვენი ურთიერთობის გაუარესებით დაინტერესებულია ორივე ჩვენი ხალხის მტერი“, – ეწერა მიმართვაში [1].

ორმხრივი დაძაბულობის ფონზე იყო შემთხვევები, როდესაც ოსების ნაწილი გაემიჯნა „ადამონ ნიხასის“ პოლიტიკას, შექმნეს რა „სამართლიან ოსთა კავშირი“ და ხელისუფლებას დაუჭირეს მხარი. ეს ორგანიზაცია ძირითადად თბილისში მცხოვრები ოსებისგან შედგებოდა და

მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს საარჩევნო პლაკატი

მოუწოდებდა „ადამონ ნიხასის“ წარმომადგენლებს, შეეცვალათ პოლიტიკა და დათმობებზე წასულიყვნენ [1].

ამ ყველაფრის მიუხედავად, კონფლიქტი მაინც გარდაუვალი აღმოჩნდა. **1990 წლის აგვისტოში** საქართველოს უმაღლესმა საბჭომ მიიღო კანონი, რომლითაც რეგიონულ პარტიებს უკრძალავდა რესპუბლიკურ პარლამენტში მონაწილეობის უფლებას. ეს ოსების მიერ აღქმული იყო, როგორც „ადამონ ნიხასის“ წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი [5]. საპასუხოდ, **1990 წლის 20 სექტემბერს** სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სახალხო დეპუტატთა საბჭოს მე-20 მოწვევის მე-15 სესიამ მიიღო დეკლარაცია **„სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტის შესახებ“**, რომლითაც სამხრეთ ოსეთი მოითხოვდა საქართველოს შემადგენლობიდან გასვლასა და საბჭოთა კავშირში დამოუკიდებელი რესპუბლიკის სახით შესვლას. ამის საპასუხოდ, 21 სექტემბერსვე, საქართველოს უზენაესმა საბჭომ გააუქმა „სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტის შესახებ“ მიღებული დადგენილება. უკვე ჩანდა, რომ დაპირისპირება ახალ ფაზაში შედიოდა, დიალოგის რეჟიმის ნაცვლად დაწყებული საკანონმდებლო დაპირისპირება კიდევ უფრო ამწვავებდა არსებულ ისედაც სერიოზულ კრიზისს.

1990 წლის ოქტომბერში სამხრეთ ოსეთში ოსმა მოსახლეობამ საქართველოს უმაღლესი საბჭოს არჩევნების ბოიკოტირება მოახდინა. ამ არჩევნებში გაიმარჯვა პარტიამ **„მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“**, რომელმაც ხმების 56% მიიღო. 16 ოქტომბერს ცხინვალში მოწვეულ იქნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის უმაღლესი საბჭოს მე-15 სესია, რომელმაც კვლავ დაადასტურა „სამხრეთ ოსეთს სუვერენიტეტის შესახებ“ დადგენილება და მიიღო დებულება სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ. ამის საპასუხოდ, **7 დეკემბერს** ცხინვალში შევიდა შინაგანი ჯარი; ხოლო როდესაც **9 დეკემბერს** სამხრეთ ოსეთში უმაღლესი საბჭოს არჩევნები ჩატარდა, ქართულმა მოსახლეობამ გამოუცხადა ბოიკოტი არჩევნებს. 10 დეკემბერს სამხრეთ ოსეთის **უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ტორეზ კულუმბეგოვი**, მის მოადგილეებად – ა. ჩოჩიევი („ადამონ ნიხასის“ ხელმძღვანელი) და ე.ძაგოევი. ეს აბსოლუტურად მიუღებელი აღმოჩნდა ქართული მხარისთვის და **1990 წლის 11 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი,** სამხრეთ ოსეთის ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო და ოლქის სხვა სახელმწიფო ორგანოები, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე კი საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. ოსურმა მხარემ საქართველოს უზენაესი საბჭოს ეს გადაწყვეტილება მიიღო, როგორც ქართველების აგრესია ოსების წინააღმდეგ.

ტორეზ კულუმბეგოვი, *1938-2006*
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე

გ) ქართულ-ოსური კონფლიქტის ცხელი ფაზა (1991-1992 წლების საომარი მოქმედებები)

1990 წლის 20 დეკემბერს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული კანონის შესაბამისად, **შეიქმნა შინაგანი ჯარები – საქართველოს ეროვნული გვარდია.** საბჭოეთიდან გამოყოფის გზაზე მდგარ საქართველოში ეროვნული გვარდიის შენება ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი იყო დამოუკიდებელი ქვეყნის შენების გზაზე. ქართული გვარდია ძირითადად შედგებოდა მოხალისეებისა და ყოფილი საბჭოთა ჯარის ოფიცრებისგან, რომელთა შორის ყველაზე გამოცდილი იყვნენ ე.წ. „ავღანელები“ ანუ საბჭოთა კავშირისა და ავღანეთის ომის ვეტერანები. გვარდია ახლად ჩამოყალიბებული სამხედრო ძალა იყო და ჯერ კიდევ მისი შენების პროცესი მიმდინარეობდა, როდესაც ქართულ-ოსური დაპირისპირება შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზარდა. **1991 წლის 6 იანვრის** დილას ზვიად გამსახურდიას ბრძანებით, ქართული პოლიცია და ეროვნული გვარდია გაემართა ცხინვალის მიმართულებით, რათა კონტროლი დაემყარებინა ქალაქ ცხინვალზე. საბჭოთა კავშირის შინაგანმა ჯარმა წინააღმდეგობა არ გაუწია ქართულ მხარეს და შეუშვა ცხინვალის სამხედრო ქალაქში (ცხინვალის ერთ-ერთი გარეუბანი), სადაც ქართული მხარე დაბანაკდა. 7 იანვარს საბჭოთა კავშირის პრეზიდენტმა მიხეილ გორბაჩოვმა გამოსცა ბრძანება, რომლითაც დაგმო სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტის დეკლარაცია, ასევე, საქართველოს უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებები და მოითხოვა სამხრეთ ოსეთიდან ყველა შეიარაღებული ძალების გაყვანა, საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო ძალების გარდა. ეს განცხადება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ აღქმული იყო, როგორც უხეში ჩარევა რესპუბლიკის შიდა საქმეებში, ამიტომ ქართულმა მხარემ გორბაჩოვის ბრძანება არ შეასრულა.

ამ მოვლენას დაემატა კიდევ ერთი არასასიამოვნო ფაქტი – 1991 წლის 29 იანვარს ტორეზ კულუმბეგოვი ჩამოვიდა თბილისში მოსალაპარაკებლად, მაგრამ ქართულმა ხელისუფლებამ ის დააპატიმრა; ეს იყო დიდი პოლიტიკური შეცდომა, რადგან ამ მოვლენამ კიდევ უფრო დაარწმუნა ოსური მხარე, რომ ქართველებთან მოლაპარაკება არ შეიძლებოდა და გააძლიერა ანტიქართული განწყობები ოსურ საზოგადოებაში. კულუმბეგოვის ადგილი მისი არყოფნის დროს დაიკავა ზნაურ გასიევმა, რომელმაც ხელი შეუწყო კონფრონტაციის კიდევ უფრო გაღრმავებას.

1991 წლის 31 იანვარს მოხდა შეტაკება ქართულ და ოსურ სამხედრო ძალებს შორის, რომლის დროსაც ქართულმა მხარემ გარკვეული უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ ცხინვალში შესვლა ვერ შეძლო, საკმარისი სამხედრო რესურსის არარსებობის გამო. ქართულმა ჯარმა პრაქტიკულად ალყა შემოარტყა ქალაქს, დაიკავა რა ყველა სტრატეგიული სიმაღლე და დაიწყო ოსური სამხედრო ძალების ეტაპობრივი შევიწროება. 1 თებერვალს ქართულმა მხარემ ცხინვალს შეუწყვიტა ენერგომომარაგება, რათა დაესუსტებინათ ქალაქის მცველები.

ბორის ელცინისა და ზვიად გამსახურდიას შეხვედრა ყაზბეგში 1991 წლის 23 მარტს

ამის პარალელურად იყო მცდელობები, რუსეთის დახმარებით მოგვარებულიყო კონფლიქტი და შეწყვეტილიყო საომარი მოქმედებები. **1991 წლის 23 მარტს** დაბა ყაზბეგში გაიმართა შეხვედრა რსფსრ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, **ბორის ელცინსა** და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს, **ზვიად გამსახურდიას** შორის, რომლის დროსაც ხელი მოეწერა ოქმს სამხრეთ ოსეთში სიტუაციის რეგულირებისთვის

ერთობლივი მოქმედებების შეთანხმების შესახებ. დოკუმენტში ხაზგასმით იყო ნათქვამი, რომ სამხრეთ ოსეთი საქართველოს ტერიტორიაა; ამავდროულად, მხარეებმა დათქვეს, რომ შექმნიდნენ მილიციის ერთიან, ქართულ-რუსულ 400-კაციან რაზმს, ცხინვალის რეგიონში სიტუაციის დეესკალაციისთვის. ბორის ელცინის საწინააღმდეგოდ ცხინვალში გაიმართა მიტინგი, ოსები მას ადანაშაულებდნენ ქართველებთან გარიგებაში [8, 31-33]. შედეგად, რსფსრ-ის უმაღლესმა საბჭომ დაბლოკა დაბა ყაზბეგის შეთანხმება. 4 მაისს თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა კრებამ გააუქმა „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის გაუქმების დადგენილება“ და არა მხოლოდ აღადგინა ავტონომიის სტატუსი, არამედ გააფართოვა კიდეც რესპუბლიკის სტატუსამდე. 1991 წლის 21 დეკემბერს კი სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ მიიღო სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის დეკლარაცია.

დ) ქართულ-ოსური კონფლიქტის შედეგები

1991 წლის დეკემბერში საქართველოში დაიწყო სამოქალაქო ომი, რომელიც 1992 წლის 6 იანვარს ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობით დასრულდა. ძალაუფლება ხელში აიღო **სამხედრო საბჭომ** თენგიზ სიგუას, ჯაბა იოსელიანისა და თენგიზ კიტოვანის მეთაურობით. 1991 წლის 29 დეკემბერს, როდესაც თბილისში ჯერ კიდევ მიმდინარეობდა შეტაკებები, ჯაბა იოსელიანის ინიციატივით ციხიდან იქნა განთავისუფლებული ტორეზ კულუმბეგოვი, რომელიც ვერტმფრენით დააბრუნეს ცხინვალში. კულუმბეგოვი სათავეში ჩაუდგა სამხრეთ ოსეთის უმაღლეს საბჭოს.

სამხედრო საბჭო იმედოვნებდა, რომ გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგ შესაძლებელი გახდებოდა ოსებთან კონფლიქტის მოგვარება, მაგრამ ეს მოლოდინი არ გამართლდა. 1992 წლის 19 იანვარს სამხრეთ ოსეთში ჩატარდა რეფერენდუმი სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობისა და რუსეთთან შეერთების შესახებ, რომელშიც ქართული მოსახლეობა დემონსტრაციულად არ იღებდა მონაწილეობას. ოსური მხარე იმედოვნებდა, რომ რუსეთში შესვლის შემთხვევაში ოსური მოსახლეობა დაცული იქნებოდა ქართველებისგან და ოსები მიიღებდნენ ფართო ავტონომიას. ამ მოვლენებმა გამოიწვია კიდე უფრო დიდი დაძაბულობა და ორივე მხრიდან სამხედრო ძალების კონცენტრირება რეგიონში. 25 აპრილს სამხრეთ ოსეთის ტერიტორია დატოვა რუსეთის შინაგანმა ჯარებმა, რომელიც სამშვიდობო ფუნქციებს ასრულებდა და შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ოსებს აღარავინ იცავს „ქართველი ფაშისტებისგან“ [1]. ამის საპასუხოდ, „კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციამ“ მხარდაჭერა გამოუცხადა ოს ხალხს და სამხედრო დახმარების აღმოსაჩენად ცხინვალის რეგიონში გამოგზავნა ე.წ. მოხალისეები და დაქირავებული მეომრები. რუსულმა მხარემ ეს, რა თქმა უნდა, სპეციალურად მოაწყო [2], რომ უფრო დიდი კონფლიქტი დაწყებულიყო სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე. 28 აპრილს საქართველოს მთავრობის ვიცე-პრემიერმა ალექსანდრე (სანდრო) კავსაძემ ტელევიზიით გამოსვლისას ცხინვალის რეგიონში მომხდარ ყველა მოვლენაზე პასუხისმგებლობა კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციას დააკისრა [1]. 12 მაისს ქართულმა მხარემ 250 საპოლიციო კონტინგენტი გაგზავნა ცხინვალის მიმართულებით, ოსურმა მხარემ ამ ქმედებაზე უპასუხა თამარაშენსა და ერედვზე შეტევითა და ამ ქართული სოფლების დაბომბვით, რაც ქართული მხრიდან წარმატებით იქნა მოგერიებული, თუმცა ოსებმა დაიკავეს სოფელი ფრისი, რამაც ქართული მხარისთვის ცხინვალზე შეტევა გაართულა.

1992 წლის 29 მაისს სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ მიიღო აქტი **სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის შესახებ.** ამის საპასუხოდ ქართულმა მხარემ გააძლიერა შეტევები და წინ წაიწია რამდენიმე კილომეტრით. ამ ბრძოლების დროს ნათელი გახდა ქართული მხარის უპირატესობა ოსურ სამხედრო ფორმირებებზე. იმისათვის, რომ ქართული მხარის წინსვლა შეეჩერებინათ, რუსეთის ვიცე-პრეზიდენტის, ალექსანდრე რუცკოის ბრძანებით, ივნისის დასაწყისში რუსულმა ავიაციამ მიიტანა მასობრივი შეტევები ქართულ საჯარისო დანაყოფებზე.

ავიადაბომბვების შემდეგ რუცკოიმ დაურეკა **საქართველოს სახელმწიფო საბჭოს მაშინდელ ხელმძღვანელს, ედუარდ შევარდნაძეს,** და დაემუქრა თბილისის დაბომბვით, თუ ქართული მხარე არ შეწყვეტდა სამხედრო მოქმედებებს სამხრეთ ოსეთში. ქართული მხარე იძულებული იყო დათმობებზე წასულიყო. **1992 წლის 24 ივნისს** ბორის ელცინსა და ედუარდ შევარდნაძეს შორის **სოჭში** დაიდო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც შეწყდა საომარი მოქმედებები სამხრეთ ოსეთში, ხოლო 14 ივლისს კონფლიქტურ ტერიტორიაზე შევიდა სამშვიდობო ძალები, რომლის შემადგენლობაში იყო სამი ბატალიონი: ქართული, რუსული და ოსური.

ომმა დიდი ნგრევა გამოიწვია რეგიონში, განადგურდა საცხოვრებელი სახლები, ინფრასტრუქტურა, ათიათასობით ეთნიკური ქართველი და ოსი გახდა იძულებით გადაადგილებული პირი; გავრცელებული ინფორმაციით, საბრძოლო მოქმედებების შედეგად ორივე მხარეს, ერთად აღებული, დაეღუპა 2000-დან 4000-მდე ადამიანი. რეგიონში სრულად მოიშალა ეკონომიკა, იქცა რა კონტრაბანდისა და შავ ბაზრად, სადაც კრიმინალური ელემენტები სჭარბობდა. ხშირი იყო საქართველოდან ნაქურდალი ნივთების გადატანა ცხინვალში, რაც ხელს უწყობდა კრიმინალის დონის სერიოზულ ზრდას. თავად კონფლიქტის დროს ხდებოდა ორივე ეთნიკური წარმომავლობის მშვიდობიან მოსახლეობაზე თავდასხმებიც, რადგან ორივე მხარეს უამრავი იყო მოხალისე და არაპროფესიონალი მეომარი; ამას ემატებოდა სახელმწიფოს მხრიდან ყოველგვარ კონტროლს მოკლებული ბანდ-ფორმირებების არსებობა, რომლებიც სხვადასხვა სახის დანაშაულებს სჩადიოდნენ. იყო შემთხვევები ქართველი მშვიდობიანი მოქალაქეების დახოცვისა, თუმცა პირიქითაც ხდებოდა; ასეთი იყო, მაგალითად, 1992 წლის 20 მაისის ძარის ტრაგედია, როდესაც სატვირთო ავტომობილში დაუდგენელმა შეიარაღებულმა დაჯგუფებამ ჩაცხრილა ჩრდილო ოსეთში მიმავალი ოსი მშვიდობიანი მოსახლეობა, 33 ადამიანი, მათ შორის იყვნენ ქალები და ბავშვებიც [1]. იმავე დღეს, 20 მაისს, საქართველოს სახელმწიფო საბჭომ მოიწვია საგანგებო სხდომა, რომელზეც სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ოსი მოსახლეობის მიმართ ჩადენილი დანაშაული საქართველოს სიმშვიდისა და სტაბილურობის წინააღმდეგ მიმართული წინასწარ გააზრებული ბოროტება იყო. ამ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება დღემდე მიმდინარეობს.

ყოველივე ამის მიუხედავად, ამ კონფლიქტს არ მიეცა ის სახე, რაც, მაგალითად, ბოსნიაში ან ჩეჩნეთში, სადაც მასობრივ გენოციდს ჰქონდა ადგილი. ეს იყო დრო, როდესაც საქართველოში სახელმწიფო აპარატი ჩამოშლილი იყო, არაფორმალური შეიარაღებული ფორმირებები თავისუფლად დათარეშობდნენ და სხვადასხვა სახის დანაშაულს სჩადიოდნენ, მათ შორის, არც ქართულ მოსახლეობას ინდობდნენ, მაგრამ ეს დაპირისპირება არ იყო არც ზოგადად ქართველი ერისა და არც ქართული სახელმწიფოს განწყობის გამომხატველი; სწორედ ამიტომ არ მიეცა ქართულ-ოსურ კონფლიქტს ისტორიული მტრობის სახე, ამაზე მეტყველებს კონფლიქტის დარეგულირების შემდგომი მცდელობები.

საბოლოო ჯამში, ამ კონფლიქტმა რეგიონს უდიდესი ზარალი მიაყენა, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით კი – საგრძნობლად გაახანგრძლივა რუსული იმპერიალისტური ინტერესები რეგიონში.

მკვიდრი წარმოდგენები:

- თანამედროვე კონფლიქტები კომპლექსურია და ეთნიკურთან ერთად სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ასპექტებსაც მოიცავს;
- თანამედროვე კონფლიქტებში რუსეთის ფაქტორის გარდაუვალობის მიუხედავად, არსებობს წინააღმდეგობები საკუთრივ ქართველ და აფხაზ და ქართველ და ოს ხალხებს შორის;
- აფხაზეთის ომმა უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა ქართული პოლიტიკის შინაარსის ფორმირებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

აფხაზები

1. Абхазский узел. Документы и материалы. М., 1995;
2. ჯონსი ს., საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, თბილისი, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2013;
3. გაზეთი „კომუნისტი“, 18 ივლისი, 1989;
4. აბრამაშვილი ი., ქოიავა რ., საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკის 25 წელი, კავკასიური სახლი, 2018;
5. Hewitt George B. Abkhazia: a problem of identity and ownership, Central Asia Survey, 12(3), 1993;
6. Anchabadze George, Georgia and Abkhazia: Lost opportunities up until 2008. In EU-Caucasus Dialogue on Georgian-Abkhaz Relations, International Alert, 2010;
7. აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭო, დროებითი კანონი აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს მიერ ორგანოებისა და თანამდებობის პირების არჩევისა და დანიშვნის წესის შესახებ, 27.08.1991;
8. Francis Celine. Conflict Resolution and Status: The Case of Georgia and Abkhazia (1989-2008). VUBPRESS. Brussels. 2011;
9. Haindrava I., Conflict resolution policies before August 2008, In Transformation of the Georgian-Abkhaz conflict: rethinking the paradigm. 2010;
10. ქოიავა რ., ბაღათურია ე., ნიკიტინა ი., საქართველო და რუსეთი: ორმხრივი ხედვა მეოთხედი საუკუნის ურთიერთობებზე, კავკასიური სახლი, 2017;
11. FBIS-SOV, 91-163, August 22nd, 1991;
12. Gamakharia J. & Beradze T. & Gventsade T. (Eds). Assays from the History of Georgia: Abkhazia from ancient times till the present days. Ministry of Education and Culture of Abkhazia & Iv. Javakhishvili Institute of History and Ethnology. Tbilisi, 2011;
13. ჩერვონნაია ს., საქართველო, აფხაზეთი და რუსული ჩრდილი (თარგმანი არიანე ჭანტურიასი), Glastonbury: Gothic Image Publications, 1994;
14. Hewitt George, The Abkhazians: A Handbook. Routledge. Abingdon, UK, 2013;
15. ბენდელიანი კ., ინტერვიუ ლევან ალექსიძესთან; Timer.ge. 14.08.2015.
16. მძევლები, გაზეთი „კვირის პალიტრა“, 5 მარტი, 2012;
17. McGiffert Ekedahl Carolyn and Goodman A. Melvin, The Wars of Eduard Shevardnadze, University Park: The Pennsylvania State University Press, 1997;
18. ნოდია გ., კონფლიქტი აფხაზეთში: ეროვნული პროექტები და პოლიტიკური გარემოებები;

19. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 21 სექტემბერი, 1993 წ;
20. „ქართული ქრონიკა“, 1993 წლის სექტემბერი;
21. Russian military presence in Georgia, Central Asia reaffirmed, Moscow News, September 10th, 1993;
22. გვალია გ., როგორ ირჩევენ პატარა ქვეყნები სტრატეგიულ მოკავშირეებს? დაბალანსების და მიტმასნების სტრატეგიები სამხრეთ კავკასიის რეგიონში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2013;
23. შევარდნაძე ე., ფიქრი წარსულსა და მომავალზე: მემუარები, თბილისი, პალიტრა L, 2006.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

ოსები

1. ქართულ-ოსური კონფლიქტის დროითი წრფივი (1977-2008); https://www.sutori.com/story/k-art-ul-osuri-konp-lik-tis-droit-i-crp-ivi-1977-2008--746R3FMiftYruKBSnkEUAodd
2. ინფორმაციული ცნობა „ქართულ-ოსურ კონფლიქტის შესახებ“; http://www.parliament.ge/uploads/other/18/18511.pdf
3. საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტომი IV, ზვიად გამსახურდია, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე (1990 წლის ნოემბერი - 1991 წლის აპრილი) ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები, ინტერვიუები; http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/159231/1/Zviad_Gamsaxurdia_Tomi_IV.pdf
4. ჭანკვეტაძე ნ,. ქართულ-ოსური კონფლიქტი: ფაქტი, ნარატივი და რისიც გვჯერა; http://isnc.ge/index.php/site/edition_detail/1/27
5. დ. ჯიშკარიანი დ., თბილისი და ცხინვალი, სუვერენული საქართველოს ფოლკლორული ხედვები; http://isnc.ge/index.php/site/edition_detail/1/28?fbclid=IwAR2p4dORC34xY65YSTP2jKsA7Da37iLLAdlWhHHK1Xc4QPP0lGvrcag3qso
6. სტივენ ჯონსი, საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, თბილისი, 2013;
7. Библиотека нормативно-правовых актов союза советских социалистических республик; http://www.libussr.ru/
8. Электронный музей конституционной истории России; http://www.rusconstitution.ru/timestream/1990/04/
9. М.А. Волхонский, В.А. Захаров, Н.Ю. Силаев, Конфликты в Абхазии и Южной Осетии: документы 1989-2006 гг. https://runivers.ru/bookreader/book10420/#page/31/mode/1up

თავი 7.

მშვიდობის მშენებლობა ქართული კონფლიქტების ჭრილში

ივანე აბრამაშვილი

საკვანძო შეკითხვები:

- რატომ გაჭიანურდა ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტების დარეგულირება?
- რატომ არის მშვიდობიანი მიდგომები უალტერნატივო ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების მოსაგვარებლად?
- რამ განაპირობა რუსეთის ინტერესების ზრდა ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების გარშემო?
- რატომ არ არის მართებული აფხაზურ-ქართული და ოსურ-ქართული კონფლიქტები მოექცეს ერთი საფუძველმდებარე კონფლიქტის – ქართულ-რუსული დაპირისპირების კონტექსტში?

სამხრეთ ოსეთსა (1992) და აფხაზეთში (1993) შეიარაღებული კონფლიქტების დასრულების შემდეგ საქართველოს ისტორიაში მნიშვნელოვანი პერიოდი დაიწყო. თბილისი უდიდესი გამოწვევების წინაშე დადგა: მას უნდა ებრძოლა მშვიდობის დამყარებისა და ქვეყნის გაერთიანებისთვის, მაშინ, როდესაც პოლიტიკურ ნიადაგზე სამოქალაქო დაპირისპირება ჯერ კიდევ ძლიერი იყო და ქვეყანას უამრავ სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემასთან უწევდა გამკლავება. ამას ემატებოდა რუსეთის ფედერაციის გეოპოლიტიკური მიზნები, რასაც ხელს უწყობდა საერთაშორისო თანამეგობრობის იმდროინდელი დაბალი ინტერესი სამხრეთ კავკასიის მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომ სამშვიდობო მოლაპარაკებებისა და კონფლიქტის დარეგულირების პროცესი სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში თითქმის პარალელურად დაიწყო, ისინი თვისობრივად სხვადასხვა გამოდგა და ცალ-ცალკე განხილვას მოითხოვს.

ა) სამშვიდობო პროცესები სამხრეთ ოსეთში 1992-2003 წლებში

ქართულ-ოსური სამშვიდობო პროცესის ოფიციალურ საწყის წერტილად 1992 წლის 24 ივნისი ითვლება, როდესაც ედუარდ შევარდნაძისა და ბორის ელცინის მიერ ქალაქ სოჭში ხელი მოეწერა შეთანხმებას „ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების პრინციპების შესახებ“ [1]. ხელშეკრულების მიხედვით, დაპირისპირებული მხარეები ვალდებულებას იღებდნენ ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე და იწყებდნენ მოლაპარაკებებს კონფლიქტის ზონაში ეკონომიკის აღორძინებისა და ლტოლვილების დაბრუნების შესახებ. გარდა ამისა, რუსეთის, საქართველოსა და სამხრეთ ოსური მხარის მონაწილეობით იქმნებოდა „შერეული საკონტროლო კომისია“, რომლის დაქვემდებარებაში მყოფ „შერეულ სამშვიდობო ძალებს“ უნდა განეხორციელებინათ კონფლიქტის ზონაში ცეცხლის შეწყვეტის მონიტორინგი და დაემყარებინათ წესრიგი.

ედუარდ შევარდნაძისა და ბორის ელცინის სოჭის შეხვედრა
1992 წლის 24 ივნისი

შერეულმა საკონტროლო კომისიამ სოჭის შეთანხმების ხელმოწერიდან რამდენიმე დღეში ენერგიულად დაიწყო მუშაობა, თუმცა 1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთის კონფლიქტის დაწყებამ ქართულ-ოსური სამშვიდობო პროცესი ერთი წლით გააჩერა [2, 2-3].

მოლაპარაკებები 1993 წლის სექტემბერში განახლდა, როდესაც რუსეთსა და საქართველოს შორის ხელი მოეწერა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის დაზარალებულ რაიონებში ეკონომიკის აღდგენის შეთანხმებას [3, 8]. ამავე პერიოდში განსაკუთრებით გააქტიურდა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (**ეუთო**), რომლის ეგიდით, 1994 წელს განახლდა შერეული საკონტროლო კომისიის შეხვედრები.

ეუთოს ემბლემა

ეუთოს აქტიურობამ, ადგილზე მშვიდობის ეტაპობრივმა დამყარებამ და რუსეთის ყურადღების შიდა პრობლემებზე გადატანამ (ჩეჩნეთში დაწყებული ომის სახით), ქართულ და ოსურ მხარეებს კონფლიქტის დარეგულირების თაობაზე

ედუარდ შევარდნაძე და ლუდვიგ ჩიბიროვი

უფრო აქტიური დიალოგის დაწყების საშუალება მისცა. ამის ნათელი დასტური იყო 1996 წლის 16 მაისს ქართულ და ოსურ მხარეებს შორის „უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ურთიერთნდობის განმტკიცებისთვის საჭირო ზომების შესახებ“ მემორანდუმის ხელმოწერა. ამ დოკუმენტით მხარეები კიდევ ერთხელ უარს ამბობდნენ ძალისა და ზეწოლის გამოყენებაზე და მზაობას აცხადებდნენ კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაციაზე, სამოქალაქო საზოგადოებებს შორის კავშირების გაძლიერებასა და კონფლიქტის სრულმასშტაბიანი პოლიტიკური დარეგულირების შესახებ მოლაპარაკებების გაგრძელებაზე [4, 118]. ამ მემორანდუმმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პოლიტიკური ნდობის განმტკიცებაში; კერძოდ, მომდევნო ორი წლის განმავლობაში სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ლიდერ ლუდვიგ ჩიბიროვსა და საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს შორის გამართული შეხვედრების შედეგად, სოციალური და ეკონომიკური რეაბილიტაციის პროექტებთან ერთად, დაიწყო სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოგვარების პროცესი. 1998 წლის 20 ივნისს, ბორჯომში გამართულ შეხვედრაზე, საქართველოს ფარგლებში სამხრეთ ოსეთის ავტონომიის აღდგენის შესახებ სიტყვიერი შეთანხმებაც კი იქნა მიღწეული [5].

მოლაპარაკებებმა კულმინაციას მიაღწია 2000 წლის ივლისში, როდესაც ავსტრიის ქალაქ ბადენში ცხინვალმა და თბილისმა „ქართულ-ოსური კონფლიქტის მხარეებს შორის პოლიტიკური და სამართლებრივი ურთიერთობების საფუძვლების შესახებ“ შუალედურ შეთანხმებას მოაწერეს ხელი. შეთანხმება მიღწეული იყო შემდეგ საკითხებზე: საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე, სამხრეთ ოსეთის ავტონომიასა და თვითგამორკვევის უფლებაზე და კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაციის უსაფრთხოების გარანტიებზე [6, 41]. სადავო საკითხებად რჩებოდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიის კონკრეტული ფორმა საქართველოს შემადგენლობაში და რუსეთის, როგორც ხელშეკრულების გარანტიის მიმცემი მხარის როლი [6, 41]. თუმცა **„ბადენის დოკუმენტს“** მოსალოდნელი პოლიტიკური წინსვლა არ მოჰყოლია, ცხინვალსა და თბილისში მიმდინარე შიდაპოლიტიკური პროცესებისა და ოპოზიციური მოძრაობების გაძლიერების გამო [7, 145].

პოლიტიკური მოლაპარაკებების პარალელურად პოზიტიური ძვრები დაიწყო კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ ადამიანებს შორის ნდობის აღდგენაშიც. ამ პერიოდში განსაკუთრებით გაძლიერდა სატრანსპორტო და სავაჭრო კავშირები ქართველ და ოს მოსახლეობას შორის. განსაკუთრებით საინტერესო იყო ერგნეთის ბაზრის როლი, რომელიც ქართულ-ოსური ნდობის აღდგენის ცენტრად იყო ქცეული, თუმცა აღსანიშნავია ის ეკონომიკური ზიანიც, რასაც ამ კონტრაბანდული ბაზრის არსებობა აყენებდა ქართულ სახელმწიფოს [4, 128-129].

ერგნეთის ბაზრობა

ხალხთა შორის კავშირის გაძლიერების მიუხედავად, 2000-2003 წლებში

ედუარდ კოკოითი

ქართულ-ოსური პოლიტიკური ურთიერთობები მინელდა. ვითარებამ უკუსვლა მას შემდეგ დაიწყო, რაც ცხინვალის რეგიონში მოუგვარებელი სოციალური და ეკონომიკური პრობლემების ფონზე ლუდვიგ ჩიბიროვის პოპულარობა დაეცა და 2001 წლის ბოლოს გამართულ არჩევნებში მის ნაცვლად ედუარდ კოკოითი აირჩიეს, რომლის პოლიტიკური ხედვები მისი წინამორბედისგან საგრძნობლად განსხვავდებოდა [4, 127]. ამას ემატებოდა რუსეთის ხელისუფლებაში ვლადიმერ პუტინის მოსვლა, რომელიც უფრო ხისტ სამეზობლო პოლიტიკას ემხრობოდა, ვიდრე ბორის ელცინი. პარალელურად ამისა, 2000-2003 წლებში ვითარება იცვლებოდა თვითონ შიდა ქართულ პოლიტიკურ არენაზეც, სადაც მოსახლეობის უკმაყოფილება იზრდებოდა და ოპოზიციური ძალები სულ უფრო ძლიერდებოდა.

ბ) სამშვიდობო პროცესები აფხაზეთში 1992-2003 წლებში

1993 წლის მიწურულს გაეროს ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა ქართულ-აფხაზურ სამშვიდობო პროცესს. კერძოდ, **1993 წლის 1 დეკემბერს ჟენევაში** გამართულ შეხვედრაზე ქართულმა და აფხაზურმა მხარეებმა ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმს, რომელიც მათ შორის მომავალი თანამშრომლობის საძირკველი უნდა გამხდარიყო [8, 4]. მხარეები ვალდებულებას იღებდნენ, მოლაპარაკებების მიმდინარეობისას თავი შეეკავებინათ ძალისა და მუქარის გამოყენებისგან. გარდა ამისა, უნდა მომხდარიყო ტყვეთა გაცვლა და შექმნილიყო ყველა პირობა დევნილების უსაფრთხოდ და მოკლე ვადაში დასაბრუნებლად [9, 18].

გაეროს ეგიდით 1994 წლის 4 აპრილს სოხუმსა და თბილისს შორის ორ მნიშვნელოვან დოკუმენტს მოეწერა ხელი: პირველი – ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების ზომებს, ხოლო მეორე – ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ნებაყოფლობითი დაბრუნების შესახებ ოთხმხრივ შეთანხმებას ეხებოდა [10, 66-69]. ამ შეთანხმებების მიხედვით, მხარეები კიდევ ერთხელ იღებდნენ ვალდებულებას ძალის არგამოყენებასა და დევნილების ღირსეულ დაბრუნებაზე. გარდა ამისა, თბილისი და სოხუმი გაეროს სამშვიდობო ოპერაციის დაწყებისა და ჯერ კიდევ საომარი მოქმედებების დროს ჩამოყალიბებული **სადამკვირვებლო მისიის** (UNOMIG) მანდატის გაფართოებას ითხოვდნენ. მხარეები ასევე შეთანხმდნენ, რომ აფხაზეთს ექნებოდა საკუთარი კონსტიტუცია, კანონმდებლობა და შესაბამისი სახელმწიფო სიმბოლიკა, ხოლო ძალაუფლების საბოლოო გამიჯვნასა და სტატუსზე ინტენსიური მოლაპარაკებები დაიწყებოდა [9, 18].

მოსკოვის 1994 წლის 14 მაისის შეთანხმება. ვლადისლავ არძინბა, ბორის ელცინი და ედუარდ შევარდნაძე

მიუხედავად იმისა, რომ ქართველებსა და აფხაზებს ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე არაერთი ვალდებულება ჰქონდათ აღებული, ადგილზე არსებული მშვიდობა საკმაოდ მყიფე

იყო, ვინაიდან ორმხრივი პარტიზანული შეტაკებები კვლავ გრძელდებოდა. **1994 წლის 14 მაისს მოსკოვში** ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ შეთანხმებას მოეწერა ხელი; აღნიშნული შეთანხმება პოლიტიკურად მნიშვნელოვანი იყო იმიტომაც, რომ კონფლიქტის ზონაში დსთ-ის სამშვიდობო ძალების შეყვანას ითვალისწინებდა. [10, 69-70]. შეთანხმებიდან ორ თვეში გაერომ UNOMIG-ის მანდატიც გააფართოვა, რომელსაც დსთ-ის სამშვიდობო ძალების მუშაობისა და მოსკოვის შეთანხმების შესრულების მონიტორინგი უნდა განეხორციელებინა [11].

ერთი შეხედვით, სამშვიდობო ძალების შეყვანით ადგილზე სტაბილურობისა და პოლიტიკური ნდობის აღსადგენად მნიშვნელოვანი წინაპირობა გაჩნდა, მაგრამ რამდენიმე გარემოება საპირისპიროსკენ მიუთითებდა. კავკასიის პრობლემებისადმი დსთ-ის წევრი ქვეყნების დაბალი ინტერესისა და მათი საკუთარი შიდა პრობლემების გამო, რუსეთი აღმოჩნდა ის ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც სამშვიდობო კონტინგენტისთვის ჯარის გამოყოფის სურვილი გამოთქვა [12, 10]. შესაბამისად, ადგილზე სტაბილურობა უნდა დაეცვა იმ სახელმწიფოს, რომელიც თბილისში კონფლიქტის მხარედ აღიქმებოდა. ეს კი ოპერაციის ლეგიტიმურობის პრობლემას აყენებდა. დამატებით უნდობლობას ასევე იწვევდა იმ საჯარისო შენაერთების ჩართვა ოპერაციაში, რომლებიც აფხაზეთის კონფლიქტში უშუალოდ იბრძოდნენ. მაგალითად, მარშალ ბაგრამიანის სახელობის სომხური ბატალიონი სამშვიდობო ძალების ნაწილად გადაკეთდა [9, 19]. მეორე მხრივ, პრობლემას წარმოადგენდა თავად ქართული არაფორმალური შეიარაღებული დაჯგუფებების – „თეთრი ლეგიონისა“ და „ტყის ძმების“ – აგრესიული ქმედებები, რომლებიც ცენტრალურ ხელისუფლებას არ ემორჩილებოდნენ [9, 19].

რუსეთის სამშვიდობო ძალები

1995 წლიდან გაერო განსაკუთრებით გააქტიურდა აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების პროცესში. გაეროს გენერალურმა მდივანმა ბუტროს ბუტროს-გალიმ საქართველოში თავისი პირადი რეზიდენტი, სპეციალური წარმომადგენელი – ლივიუ ბუტა დანიშნა [9, 19]. გარდა ამისა, მედიაციის პროცესში 1993 წელს საფრანგეთის ინიციატივით შექმნილი **„საქართველოს მეგობართა ჯგუფი“** ჩაერთო, რომელშიც აშშ, რუსეთი, საფრანგეთი, გერმანია და გაერთიანებული სამეფო შედიოდნენ [13, 142-143]. აღნიშნული ჯგუფის მიზანი გაეროს გენერალური მდივნისთვის რჩევების მიცემა იყო, რაც მანამდე მსოფლიოს სხვადასხვა კონფლიქტის დროს დანერგილი პრაქტიკის გაგრძელებას წარმოადგენდა.

1995 წელი საინტერესო იყო იმითაც, რომ 22 ივლისს სოხუმმა და თბილისმა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ ოქმის **პარაფირება*** მოახდინეს. ოქმის მიხედვით, მხარეები ყოფილი საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ფარგლებში ერთიანი ფედერაციული სახელმწიფოს შექმნასა და ძალაუფლების გადანაწილებაზე აცხადებდნენ თანხმობას. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დოკუმენტით აფხაზებმა მათთვის სასურველი გარანტია მიიღეს, რომ იმაზე დაბალი სტატუსი არ ექნებოდათ, ვიდრე საბჭოთა კავშირის დროს, მოგვიანებით საკუთარი ხელმოწერა მაინც უკან წაიღეს [9, 19]. სოხუმს ეს ნაბიჯი მომდევნო წელს ძვირად დაუჯდა, როდესაც „დესტრუქციული პოზიციების“ გამო დსთ-ის მეთაურთა საბჭომ (ბელორუსიის გამოკლებით) მას ეკონომიკური და სამხედრო სანქციები დაუწესა [14].

ქართულ-აფხაზური სამშვიდობო პროცესის მორიგი საკვანძო პერიოდი **1997 წელი** იყო. ივნისში თბილისმა და სოხუმმა რუსეთის შუამავლობითა და გაეროს ეგიდით შეიმუშავეს

* ხელშეკრულების ოფიციალურ ხელმოწერამდე ტექსტის სიზუსტის დამოწმება.

„ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების ღონისძიებათა“ ახალი ოქმის პროექტი [15]. აღსანიშნავია, რომ ამჯერად დოკუმენტში „ერთიანი“ სახელმწიფოს იდეასთან ერთად გაჩნდა „საერთო“ სახელმწიფოს კონცეფციაც, რაც, მისი ბუნდოვანებისა და პრაქტიკული მაგალითის არარსებობის გამო, იმთავითვე არაპოპულარული გახდა თბილისში [9, 19]. ამას ემატებოდა ისიც, რომ ქართველებს არ მოსწონდათ დებულება, რომლის მიხედვით აფხაზეთი ინარჩუნებდა საკუთარ კონსტიტუციას. თანაც დოკუმენტში აღნიშნული არ იყო, რომელი წლის კონსტიტუცია იგულისხმებოდა, რაც დამატებით გაურკვევლობას ქმნიდა [9, 20]. გარდა ამისა, მიუღებელი იყო დოკუმენტის ის მუხლიც, სადაც ეწერა, რომ ერთ-ერთი მხარის მიერ შეთანხმების დარღვევა ავტომატურად იწვევდა მის შეწყვეტას. თბილისი ენთუზიაზმით არ უყურებდა არც შეთანხმების შესრულების გარანტად რუსეთის ყოფნას. საბოლოოდ, ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით, დოკუმენტს ხელი არ მოეწერა [12, 12].

არძინბა და შევარდნაძე თბილისში, 1997 წლის 14 აგვისტო

ამავე წლის 14 აგვისტოს, აფხაზეთში კონფლიქტის დაწყების მეხუთე წლისთავზე, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, ევგენი პრიმაკოვის, ინიციატივით თბილისში გაიმართა **ვლადისლავ არძინბასა და ედუარდ შევარდნაძის შეხვედრა** [16, 9]. აფხაზეთის დე ფაქტო ლიდერის ვიზიტი თბილისში თავისთავად მნიშვნელოვანი ფაქტი იყო, თუმცა შეხვედრის შედეგად მიღებული იყო მხოლოდ და მხოლოდ ერთობლივი განცხადება, რომელიც ხელახლა იმეორებდა მხარეების მზადყოფნას – დაეცვათ მშვიდობა და გაეგრძელებინათ დიალოგი [10, 71].

1997 წელი გამორჩეული იყო ასევე იმით, რომ არძინბა-შევარდნაძის შეხვედრის შემდეგ გაეროს ხელშეწყობით ჩამოყალიბდა ორმხრივი საკოორდინაციო კომისია, რომელიც თბილისსა და სოხუმს მცირე ჰუმანიტარული საკითხების მოგვარებაში ეხმარებოდა [17, 16]. გარდა ამისა, გადაწყდა, რომ სისტემური ხასიათი მიეცემოდა ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის მაღალი დონის შეხვედრებს ჟენევაში, გაეროს ეგიდით, რომელსაც ასევე დაესწრებოდნენ რუსეთი, ეუთო და მეგობართა ჯგუფის ქვეყნები.

საინტერესოა, რომ ყველა ამ ძალისხმევის მიუხედავად, 1995-1997 წლები ძირეული ცვლილებების მომტანი მაინც არ აღმოჩნდა. თანამედროვე გადმოსახედიდან თუ შევაფასებთ, ეს რამდენიმე მიზეზით შეიძლებოდა ყოფილიყო განპირობებული: 1. ამ პერიოდში საქართველოში ფეხი მოიკიდა მოსაზრებამ, რომ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარება მხოლოდ საერთაშორისო ძალისხმევით იყო შესაძლებელი, რაც თბილისს მუდმივად გარე ინიციატივებისა და დახმარების მოლოდინში ამყოფებდა. დასავლეთის ქვეყნების დაბალი დაინტერესებისა და გავლენის ბერკეტების არქონიდან გამომდინარე კი, ეს „გარე დამხმარე“ უმეტესად რუსეთის ფედერაცია იყო; 2. რუსეთსა და საქართველოში სახელმწიფო ინსტიტუტების სისუსტისა და კონტროლის მექანიზმების არარსებობის ფონზე ხშირად მიღწეული წარმატებები ცალკეული ადამიანებისა და შეიარაღებული დაჯგუფებების აგრესიული ქმედებების მსხვერპლი ხდებოდა; 3. ქართული და აფხაზური პოლიტიკური ელიტის უკომპრომისობა და სიხისტე სულ უფრო აუცხოებდა მათ ერთმანეთისგან, რასაც ხელს უწყობდა არასწორად შერჩეული მოლაპარაკებების ტაქტიკაც, ვინაიდან ყველაზე რთული საკითხი – ტერიტორიული მოწყობის განსაზღვრა – კონფლიქტის დარეგულირების არა ფინალურ, არამედ პირველ ეტაპად განიხილებოდა.

სამშვიდობო პროცესის პირველ ფაზაში მიღწეული წარმატებები მთლიანად დაიჩრდილა 1998 წლის გაზაფხულზე, როდესაც გალის რაიონში ქართველ პარტიზანებსა და აფხაზებს შორის

ფართომასშტაბიანი შეიარაღებული შეტაკება მოხდა. ასეულობით გარდაცვლილის გარდა, დამატებით 30 000 ადამიანი იქცა დევნილად. როგორც ქართული, ისე აფხაზური პერსპექტივით ამ მოვლენამ უდიდესი დარტყმა მიაყენა ეთნიკურად აფხაზ და ქართველ მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენას; ამასთან, 1999 წლის ოქტომბერში აფხაზეთმა დე ფაქტო მიიღო „დამოუკიდებლობის აქტი“, რამაც კიდევ უფრო გაართულა მოლაპარაკებების პროცესი [18, 11-14].

შექმნილი მძიმე ვითარების ფონზე გაერომ კიდევ ერთხელ სცადა სამშვიდობო პროცესის გამოცოცხლება, თუმცა უშედეგოდ. აფხაზეთში გახშირებულმა სამხედრო ინციდენტებმა მნიშვნელოვნად შეაფერხა მოლაპარაკებების პროცესი. ამგვარი პროვოკაციებიდან განსაკუთრებით საზიანო აღმოჩნდა 2001 წლის სექტემბერში ჩეჩენი საველე მეთაურის რუსლან გელაევის ქართულ ძალოვან უწყებებთან შეთანხმებული შესვლა კოდორის ხეობაში, 400-მდე მეომრის თანხლებით [19]. **„გელაევის რეიდმა“** და განახლებულმა შეტაკებებმა არაერთი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, მათ შორის, UNOMIG-ის ცხრა დამკვირვებლისაც, როდესაც პატრულირებისას მათი ვერტმფრენი ჩამოაგდეს [20].

დიტერ ბოდენი. ეუთოს მისიის ხელმძღვანელი საქართველოში 1995-96 წწ.

აღსანიშნავია, რომ დაძაბულობის ბოლომდე განმუხტვა ვერც მომდევნო წლებში მოხერხდა. ამას ხელს უწყობდა 2001 წლის 11 სექტემბრის შედეგად დაწყებული გლობალური პროცესები, რის ფონზეც საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება ტერორიზმსა და სხვა აქტუალურ საკითხებზე იყო გადატანილი. გამომდინარე აქედან, 2000-2002 წლები ქართულ-აფხაზური სამშვიდობო პროცესისთვის კრიზისული პერიოდია, რომლის ერთადერთი პოზიტიური ნაწილი ე.წ. **„ბოდენის დოკუმენტის“** გამოქვეყნებაა. აღნიშნული დოკუმენტი საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის საგანგებო წარმომადგენლის – დიტერ ბოდენის ხელმძღვანელობით შეიქმნა, ქართული და აფხაზური მხარეების მონაწილეობის გარეშე, და 2001 წლის დეკემბერში გამოქვეყნდა „თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის ძირითადი პრინციპების“ სახელწოდებით [21]. ეს დოკუმენტი იყო ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების ერთგვარი ჩარჩო, რომელიც შემდეგ დებულებებს მოიცავდა:

- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი;
- აფხაზეთი უნდა გამხდარიყო სუვერენული წარმონაქმნი საქართველოს სახელმწიფოს შიგნით, რაც დაეყრდნობოდა ორმხრივ ფედერაციულ შეთანხმებას, რომლის შეცვლაც მხოლოდ კონსენსუსით იქნებოდა შესაძლებელი;
- აფხაზური და ქართული კონსტიტუცია უნდა შეცვლილიყო ფედერაციული შეთანხმებით განსაზღვრული კომპეტენციების გამიჯვნის შესაბამისად;
- ეროვნული უმცირესობებისა და დევნილების უფლებები უნდა ყოფილიყო დაცული.

სამწუხაროდ, მხარეებს არც ამჯერად აღმოაჩნდათ პოლიტიკური ნება კომპრომისისთვის; შედეგად სოხუმმა და თბილისმა მათთვის შეთავაზებული „ბოდენის დოკუმენტი“ განსახილველად არ მიიღეს შემდეგი მიზეზის გამო 1. დოკუმენტი რამდენიმე ისეთ ბუნდოვან დებულებას შეიცავდა, რომელიც თბილისისთვის მიუღებელი იყო, მაგალითად, „აფხაზეთის სუვერენულობა“ და „საქართველოს კონსტიტუციის შეცვლა“ [12, 15]; 2. რუსეთმა უარი განაცხადა, ზეწოლა მოეხდინა მხარეებზე, აეღოთ გეგმის შესრულების ვალდებულება, რაც საკმარისი აღმოჩნდა აფხაზეთისთვის, რომ მოლაპარაკებებიდან განზე გამდგარიყო და უარი ეთქვა ქართველებთან ფედერაციულ კავშირზე [22]; 3. დოკუმენტში არაფერი იყო ნათქვამი საერთაშორისო უსაფრთხოების გარანტიებზე, რაც ორივე მხარისთვის იყო აქტუალური [23].

საბოლოო ჯამში, „ბოდენის დოკუმენტი“ აღმოჩნდა ის უკანასკნელი შეთავაზება, რომელიც იმ დროს მოქმედი ხელისუფლების პირობებში ქართულ-აფხაზური კონფლიქტის სრულმასშტაბიან მოგვარებას ისახავდა მიზნად და თბილისში ხელისუფლების ცვლილებამდე აღარც არაფერი შეცვლილა.

გ) სამშვიდობო პროცესები სამხრეთ ოსეთში 2004-2008 წლებში

2004 წლისთვის ქართულ-ოსური კონფლიქტი საზოგადოებრივ დონეზე თითქმის მოგვარებულად ითვლებოდა – დევნილების დიდი ნაწილი დაბრუნებული იყო, კონფლიქტის ზონაში ადამიანებს შეეძლოთ დაუბრკოლებლად გადაადგილება და ვაჭრობა. „ვარდების რევოლუციის“ შედეგად მოსულმა ხელისუფლებამ კონფლიქტების პოლიტიკური დარეგულირება ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად აქცია. ამ მიზნის მიღწევაში ხელისუფლებას ხელს უშლიდა ქვეყანაში ე.წ. „ეკონომიკური შავი ხვრელების“ არსებობა, რომელთაგან ერთ-ერთი სწორედ ერგნეთის ბაზარი იყო [24]. მიუხედავად იმისა, რომ ეს ადგილი უდიდეს როლს ასრულებდა ქართველებსა და ოსებს შორის კავშირების გამყარებაში, იგი სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ლიდერების შემოსავლის მთავარ წყაროდაც იყო ქცეული. საბოლოო ჯამში, 2004 წლის 31 მაისს, ახლად დანიშნულმა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა, ირაკლი ოქრუაშვილმა, ერგნეთში ანტიკონტრაბანდული ოპერაცია ჩაატარა [25, 18-19].

აღნიშნულმა ოპერაციამ და ერგნეთის ბაზრის დახურვამ კონფლიქტის ზონაში მოსახლეობისა და პოლიტიკური ელიტის მრისხანება და ვითარების დაძაბვა გამოიწვია. მომდევნო სამი თვის განმავლობაში კონფლიქტის ზონაში ქართველ და ოს სამხედროებს შორის ბრძოლა მიმდინარეობდა. ვითარების განმუხტვა მხოლოდ აგვისტოს ბოლოს მოხერხდა. ორივე მხარის შეფასებით, ამ დაპირისპირებამ სერიოზული ზიანი მიაყენა ქართულ-ოსური ნდობის აღდგენის პროცესს. ამასთან, კონფლიქტის ზონაში ცეცხლის განახლება საბაბად გამოიყენა რუსეთმაც, რომელმაც 2004 წლის დეკემბერში მხარი არ დაუჭირა სამხრეთ ოსეთში ეუთოს სასაზღვრო მონიტორინგის მანდატის გახანგრძლივებას, რითაც მნიშვნელოვნად შეზღუდა ეუთოს გავლენა რეგიონში [26, 87].

2004 წლის ზაფხულის დაპირისპირების შემდეგ საქართველოს ხელისუფლებისთვის კიდევ უფრო გამოიკვეთა კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირების საჭიროება. ამის მაგალითი 2004 წლის 21 სექტემბერს, გაეროს გენერალური ასამბლეის 59-ე გამოსვლაზე საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ კონფლიქტების დარეგულირების **სამეტაპიანი გეგმის** წარდგენა იყო [27]. გეგმის პირველი ეტაპი მოიცავდა ნდობის აღდგენას, რომელიც პროფესიული და ადამიანური კავშირების გაძლიერებით უნდა მომხდარიყო; მეორე ეტაპი, რომელიც პირველის პარალელური უნდა ყოფილიყო, ითვალისწინებდა კონფლიქტის ზონების დემილიტარიზაციასა და უსაფრთხოების გამყარებას; ბოლო, მესამე ეტაპზე კი უნდა მომხდარიყო კონფლიქტური რეგიონებისთვის ფართო ავტონომიის მინიჭება, რომელიც მოიცავდა კულტურისა და ენის დაცვას, თვითმმართველობის უზრუნველყოფას, საგადასახადო კონტროლსა და ცენტრალურ ხელისუფლებაში წარმომადგენლობას.

მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე

გაეროში მიხეილ სააკაშვილის გამოსვლიდან მაშინვე, 5 ნოემბერს, სოჭში გაიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიასა და სამხრეთ ოსეთის ლიდერის ედუარდ კოკოითის შეხვედრა. გარდა იმისა, რომ მხარეებს შორის ამ დონის შეხვედრა 1998 წლის შემდეგ აღარ

გამართულა, მოლაპარაკების დროს გადაწყდა კონფლიქტის ზონის ეტაპობრივი განიარაღების დაწყება, ორმხრივი კონტაქტების გაღრმავება და ეუთოსა და ევროკავშირთან ერთად ერთობლივი ეკონომიკური პროექტების განხორციელება [2, 15]. ამით თბილისსა და ცხინვალში ახალი სამშვიდობო პროცესის დაწყების იმედი ჩაისახა.

ზურაბ ჟვანია და ედუარდ კოკოითი

მომდევნო, 2005 წელი ქართულ-ოსური ურთიერთობებისთვის საკმაოდ დინამიკური გამოდგა. წლის დასაწყისშივე სტრასბურგში გამართულ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე მიხეილ სააკაშვილმა ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების საკუთარი სამეტაპიანი ინიციატივის განახლებულ ვარიანტზე ისაუბრა [28]. სააკაშვილის თქმით, იგი ცხინვალს იმაზე ფართო ავტონომიას სთავაზობდა, ვიდრე ეს ჩრდილოეთ ოსეთს ჰქონდა რუსეთის ფედერაციაში. ამასთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომია საქართველოს შიგნით კონსტიტუციურად იქნებოდა გარანტირებული; რეგიონს ექნებოდა თვითმმართველობა; ეყოლებოდა წარმომადგენლები ეროვნულ სასამართლოსა და საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებში; ოსური ენა და კულტურული მემკვიდრეობა იქნებოდა დაცული; რეგიონში განხორციელდებოდა სოციალური პროექტები და შეიქმნებოდა თავისუფალი ეკონომიკური ზონები; ცენტრალური ხელისუფლების მიერ წარსულში დაშვებული შეცდომების გამო, მიღებული იქნებოდა **რესტიტუციის კანონი,** რომლის მიხედვით 1990-1992 წლის ომით დაზარალებულებს მიეცემოდათ კომპენსაცია; შეიქმნებოდა სპეციალური კომისიები ქონებრივი დავების მოსაგვარებლად და მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებების გამოსაძიებლად; მოხდებოდა დევნილების დაბრუნების ხელშეწყობა. გამომდინარე იქიდან, რომ „მშვიდობისკენ მიმავალი გზა არ იქნებოდა მარტივი“, ეს ინიციატივები უნდა შესრულებულიყო სამწლიან გარდამავალ ვადაში, სანამ სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალები არ დაასრულებდნენ თბილისის დაქვემდებარებაში გადასვლას. რაც შეეხება საერთაშორისო ჩართულობას, მშვიდობის გარანტიის მიმცემი უნდა გამხდარიყო ევროკავშირი, მონიტორი კი – ეუთო.

საქართველოს პრეზიდენტის იდეებს მნიშვნელოვანი მხარდაჭერა მოჰყვა საერთაშორისო არენაზე. მომდევნო თვეებში ეს ინიციატივები დაიხვეწა და წერილობითი სახე მიიღო, ოფიციალურად კი 2005 წლის 24 მარტს გამოქვეყნდა [29]. მოგვიანებით, საქართველოს მთავრობამ ამ დოკუმენტზე დაყრდნობით სახელმწიფო სტრატეგია, იგივე „საგზაო რუკა“, წარადგინა [3, 16]. დოკუმენტში გაწერილი იყო კონკრეტული სამოქმედო ვადები, რომლის მიხედვითაც კონფლიქტის მოგვარების სამივე ფაზა – კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაცია, სოციალურ-ეკონომიკური რეაბილიტაცია და სამხრეთ ოსეთის სტატუსზე შეთანხმება – სამი წლის ნაცვლად თითქმის ერთ წელში, 2006 წლის სექტემბრის ბოლოს უნდა დასრულებულიყო [30].

მრავალწლიანი კონფლიქტის დასასრულებლად ესოდენ ხანმოკლე პერიოდის აღება იმთავითვე მიუთითებდა, რომ მთავრობას არ ჰქონდა გააზრებული კონფლიქტის სიღრმე და სერიოზულობა. შესაბამისად, ოსურმა მხარემ, მიუხედავად იმისა, რომ ინიციატივებში გაწერილი პირობები მათთვისაც მისაღები იყო, შემოთავაზებულ ვადებზე უარი განაცხადა.

მიუხედავად სამშვიდობო ინიციატივებით დახუნძლული 2005 წლისა, კონფლიქტის ზონასა და მის სიახლოვეს სამხედრო ვითარება კვლავ არასტაბილური იყო. მაგალითად, 2005 წლის 1 თებერვალს ოსმა ტერორისტებმა გორში განახორციელეს ტერაქტი, რომლის შედეგად 3 ადამიანი დაიღუპა, 30-მდე კი დაიჭრა [31]. გარდა ამისა, 20 სექტემბერს, როცა სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო მთავრობა „დამოუკიდებლობის“ 15 წლისთავს ზეიმობდა, ნაღმტყორცნებით დაიცხრილა ცხინვალი, რაშიც, სავარაუდოდ, ქართული მხარე მონაწილეობდა [32]. სიტუაცია დაიძაბა დეკემბერშიც, როცა

ქართულმა მხარემ ოსი პოლიციელი დააკავა, რის გამოც ოსმა სამხედროებმა კონფლიქტის ზონაში 20-მდე ქართველი პოლიციელი და სამოქალაქო პირი მძევლად აიყვანეს [33]. ბუნებრივია, ამგვარი ინცინდენტები დიდ გავლენას ახდენდა უნდობლობის შემდგომ გაღრმავებაზე.

2006 წლისთვის, საქართველოს ნატო-სთან დაახლოების ფონზე, მოსკოვსა და თბილისს შორის პოლიტიკური კრიზისის მომწიფება დაიწყო, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ ურთიერთობებზე. მზარდი პოლიტიკური უთანხმოებისა და შერეული საკონტროლო კომისიის უნაყოფო შეხვედრების გამო, თბილისისა და ცხინვალის თანამშრომლობა მხოლოდ ეკონომიკური მიმართულებით გრძელდებოდა. 14 ივნისს ბრიუსელში გამართულ ეუთოს კონფერენციაზე ევროკავშირმა, აშშ-მა და ევროპის სხვა ქვეყნებმა სამხრეთ ოსეთის რეაბილიტაციისთვის 10 მილიონი ევრო გამოყვეს, რასაც ოქტომბერში ცხინვალში ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის ცენტრის გახსნა მოჰყვა [26, 88]. ეს პროცესი შესაძლოა, იმედის მომცემი შედეგებით დასრულებულიყო, რომ არა ის გაუთავებელი შეიარაღებული თავდასხმები და პროვოკაციები [34; 35], რომელიც კონფლიქტის ზონაში არა და არ წყდებოდა და, რომელიც მშვიდობის მშენებლობის საქმეში დაპირისპირებული მხარეებისა და რუსეთის, როგორც გარანტიის მიმცემის, არასათანადო პოლიტიკურ ნებას უსვამდა ხაზს.

დიმიტრი სანაკოევი

2006 წლის შემოდგომაზე, „ჯაშუშების სკანდალის“ გამო საკუთრივ რუსეთთან ჩიხში შესული ურთიერთობების ფონზე, საქართველოს კონფლიქტები თანდათან ქართულ-რუსულ დაპირისპირებად გადაიქცა, ვინაიდან მოსკოვი სულ უფრო ხისტ პოზიციებზე გადავიდა. თავის მხრივ, საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა, ცხინვალის რეგიონში უკვე არაპოპულარული ედუარდ კოკოითის რეჟიმი დაესუსტებინა და 2007 წლის მაისში სოფელ ქურთაში, ცხინვალიდან 5 კმ-ის მოშორებით, სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაცია დააარსა, რომლის ლიდერად დიმიტრი სანაკოევი დანიშნა [4, 142]. ამ ნაბიჯით ქართული მხარე მიზნად ისახავდა, ოსებისთვის პოლიტიკური ალტერნატივა შეეთავაზებინა, თუმცა ამან საპირისპირო შედეგი გამოიღო და კიდევ უფრო გააღრმავა ქართულ-ოსური დაპირისპირება [36, 8].

ქართულ-ოსურ სამშვიდობო პროცესს საგრძნობი ზიანი მიადგა 2007 წელს რამდენიმე საერთაშორისო და ადგილობრივი ფაქტორის გამო. კერძოდ, საქართველოსა და უკრაინაში გაჩნდა იმედი, რომ ნატო განაახლებდა აღმოსავლეთით გაფართოებას და ისინი სამოქმედო გეგმას უახლოეს მომავალში მიიღებდნენ. ამასთან, სერბეთთან მოლაპარაკებების უშედეგოდ დასრულების შემდეგ კოსოვომ დაიწყო დამოუკიდებლობის გამოცხადებაზე მუშაობა, რასაც მხარს უჭერდა დასავლეთის ქვეყნების უმეტესობა [7, 206]. ეს ორი მოვლენა უსაფრთხოებისა და პოლიტიკური პრესტიჟის გამო, რუსეთისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. გამომდინარე აქედან, 2007 წლის

სოფელი ქურთა, სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის შენობა

ზაფხულში მოსკოვმა დაიწყო სამხედრო პროვოკაციების ახალი სერია, რომელმაც მნიშვნელოვნად იმოქმედა კონფლიქტის გაღვივებაზე.

2007 წლის 6 აგვისტოს რუსეთის ორმა სამხედრო თვითმფრინავმა საქართველოს საჰაერო სივრცე დაარღვია და ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონასთან მდებარე სოფელ წითელუბანში ჭურვი ჩამოაგდო. ბომბი არ აფეთქდა, თუმცა ეს ქართველებისთვის განგაშის სიგნალად იქცა. ნათელი გახდა, რომ კავკასიაში საკუთარი გავლენის შესანარჩუნებლად რუსეთი აღარაფერზე დაიხევდა უკან [37]. ეს ფაქტი წყალგამყოფი აღმოჩნდა ქართულ-ოსური სამშვიდობო პროცესისთვისაც, რადგან საფრთხის წინაშე დამდგარმა საქართველომ საკუთარი სამხედრო შესაძლებლობების გაძლიერება დაიწყო, რაც, თავის მხრივ, განგაშის ზარი იყო ცხინვალისთვის.

უკვე წლის ბოლოსთვის, გამწვავებული შიდა პოლიტიკური კრიზისის ფონზე, მილიტარისტული და აგრესიული რიტორიკის გაძლიერება იგრძნობოდა თბილისშიც [38]. 4 დეკემბერს, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეხვედრისას, მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ცხინვალის დე ფაქტო მთავრობა იყო „მოყანყალებული, როგორც ამოსაღები კბილი“ და საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, რამდენიმე თვეში ამ პრობლემას მოაგვარებდა.

2008 წლის იანვარში მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტად მეორე ვადით აირჩიეს, ამასთან, თებერვალში კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და აპრილში საქართველოსთვის წარუმატებელი ნატო-ს ბუქარესტის სამიტის შემდეგ, რომელზეც ის გაწევრიანების სამოქმედო გეგმის მიღებას ელოდა, რუსეთმა დაიწყო მორიგი დიპლომატიური და სამხედრო წნეხი საქართველოზე. კერძოდ, 16 აპრილს, ვლადიმერ პუტინმა გამოსცა ბრძანება, რომლითაც იგი რუსეთის მთავრობას უფლებას აძლევდა პირდაპირი კავშირები დაემყარებინა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებებთან [4, 20]. ამის შემდეგ მაშინვე დაიწყო რუსული სამხედრო შეიარაღების შეტანა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, რაც სულ უფრო აძლიერებდა ადგილობრივი ლიდერების პოზიციებს [4, 20].

მიუხედავად იმისა, რომ მომდევნო თვეებში პოლიტიკური დაძაბულობა აფხაზეთში უფრო მეტად იგრძნობოდა, ცხინვალში სამხედრო ვითარება დღითიდღე უარესდებოდა. ივლისის დასაწყისში ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სიტუაცია სრულიად უკონტროლო გახდა. 3 ივლისს სოფელ ერედვთან ოსმა არაფორმალურმა შეირაღებულმა პირებმა დიმიტრი სანაკოევის მანქანა ააფეთქეს, შემდეგ კი მის კორტეჟს ცეცხლი გაუხსნეს, რა დროსაც ხუთი ადამიანი დაიჭრა [4, 22]. ამ ინციდენტის შემდეგ რეგიონში გაძლიერდა ორმხრივი სროლები, რამაც ყოველდღიური სახე მიიღო. ამის პარალელურად, 15 ივლისს, თბილისთან ახლოს, ვაზიანის სამხედრო ბაზაზე დაიწყო რამდენიმე თვით ადრე დაგეგმილი საერთაშორისო სამხედრო წვრთნა „მყისიერი პასუხი 2008“, რომელშიც აშშ, საქართველო, უკრაინა, სომხეთი და აზერბაიჯანი მონაწილეობდნენ [39]. ამის საპასუხოდ, იმავე დღეს, რუსეთის 58-ე არმიის 8 000 ჯარისკაცის მონაწილეობით, საქართველოს ჩრდილოეთ საზღვართან, სტარტი აიღო ფართომასშტაბიანმა სამხედრო წვრთნამ „კავკასია 2008“. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი 2 აგვისტოს დასრულდა, საჯარისო დანაყოფების დიდი ნაწილი ადგილზე დარჩა [4, 23-24], რაც თბილისისთვის განგაშის ზარი იყო. ამასთან, დამატებით ეჭვს იწვევდა 3-5 აგვისტოს ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ კონფლიქტის ზონის მცხოვრებთა ნაწილის ჩრდილოეთ ოსეთში ევაკუაციის დაწყება [40, 149].

ადგილზე უსაფრთხოების მექანიზმების სრული მოშლისა და ორმხრივი ცეცხლის ფონზე, 5 აგვისტოს თბილისი და ცხინვალი საგანგებო მოლაპარაკების გამართვაზე შეთანხმდნენ, თუმცა 7 აგვისტოს ოსური მხარის წარმომადგენელმა ბორის ჩოჩიევმა შეხვედრაზე უარი განაცხადა [40, 150]. ეს ვითარების გამოსწორების უკანასკნელი მცდელობა აღმოჩნდა, ვინაიდან 8 აგვისტოს გამთენიისას შეტაკებები სრულმასშტაბიან ქართულ-რუსულ ომში გადაიზარდა.

დ) სამშვიდობო პროცესები აფხაზეთში 2004-2008 წლებში

2004 წლის იანვარში საქართველოში ხელისუფლების ცვლილებას სოხუმში ოპტიმისტურად შეხვდნენ. ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტის პოსტიდან გადაყენება – ადამიანისა, რომელიც პირდაპირ ასოცირდებოდა ომის დაწყებასთან, – თავისთავად მისასალმებელი იყო აფხაზებისთვის. მიუხედავად ამისა, მთელი 2004 წლის განმავლობაში აფხაზური პოლიტიკური ელიტა შიდა პრობლემებით იყო დაკავებული ოქტომბერში დაგეგმილი დე ფაქტო საპრეზიდენტო არჩევნების გამო და თბილისთან დიალოგს არ ჩქარობდა.

გიორგი (გოგა) ხაინდრავა

თავის მხრივ, 2004 წლის პირველ ნახევარში საქართველოს ხელისუფლებამ რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა, რომელიც აფხაზებისთვის პოზიტიური გზავნილი იყო. კერძოდ, კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრად დაინიშნა გიორგი (გოგა) ხაინდრავა, რომელსაც გარკვეული ნდობა უკვე გააჩნდა აფხაზეთში; დაიწყო აფხაზეთის აღმოსავლეთ ნაწილში მყოფი ქართული პარტიზანული დაჯგუფებების დაშლა და დაპატიმრება; ლეგიტიმური აფხაზეთის უზენაესი საბჭოს მმართველობაში ხისტი პოზიციებით გამორჩეული ადამიანები დიალოგის მომხრე პოლიტიკოსებით ჩანაცვლდნენ; 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, მიხეილ სააკაშვილმა აფხაზებსა და ოსებს მშობლიურ ენაზე მიმართა და მშვიდობიანი მოლაპარაკებებისკენ მოუწოდა [18, 15]. ამასთან, თებერვალსა და აპრილში გაეროს ეგიდით მხარეებმა ოფიციალური შეხვედრები გამართეს თბილისსა და ჟენევაშიც, სადაც დაიწყო უსაფრთხოებისა და პირველ ეტაპზე გალის რაიონში დევნილების დაბრუნების საკითხებზე მსჯელობა [18, 15].

სერგეი ბაღაფში, აფხაზეთის დე-ფაქტო პრეზიდენტი 2005-2011 წლებში

2005 წლის 12 თებერვალს აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის პოსტზე ვლადისლავ არძინბა სერგეი ბაღაფშმა ჩაანაცვლა, რომლის ე.წ. ინაუგურაციიდან ოთხი დღის შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ალასანია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების საკითხებში პირად წარმომადგენლად დანიშნა [41]. ამით საბოლოოდ შეიკრა ხაინდრავა-ალასანიას გუნდი, რომლებიც ერთად ჩაუდგნენ სათავეში ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებს და, რომელთა მიმართ მნიშვნელოვანი ნდობა არსებობდა აფხაზურ პოლიტიკურ ელიტაში.

ორივე მხარეს ახალი პოლიტიკური ძალების მოსვლის შემდეგ მოლაპარაკებების საკითხებს შორის დაწინაურდა უსაფრთხოების გარანტიების პრობლემა. 2005 წლის 12 მაისს გალში გამართულ შეხვედრაზე ხაინდრავამ და აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ ხელი მოაწერეს პროტოკოლს, რომლის მიხედვით მხარეები ერთგულნი რჩებოდნენ 1994 წლის მოსკოვის ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებებისა და ივლისში დამატებითი შეხვედრის გამართვაზე შეთანხმდნენ [42]. მიუხედავად ამისა, ქართულმა მხარემ 3 ივლისს კვლავ დააკავა სოხუმისკენ მცურავი თურქული სატვირთო გემი, რის გამოც დაგეგმილი შეხვედრა არ შედგა [43]. ეს ინციდენტი აშკარად მიუთითებდა ქართული ხელისუფლების შიგნით არსებულ კოორდინაციის პრობლემაზე. მართლაც, ამ პერიოდში თვალში საცემი გახდა საქართველოს მთავრობის ორ ბანაკად გაყოფა, რომლის ერთ მხარეს იმყოფებოდნენ თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი და შინაგან

საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი, მეორე მხარეს კი – ირაკლი ალასანია და გოგა ხაინდრავა. პირველნი ღიად ემხრობოდნენ ცენტრალური ხელისუფლების ხისტ პოლიტიკას, მეორენი კი კონფლიქტების დარეგულირების მხოლოდ მშვიდობიანი გზით მოგვარებას უჭერდნენ მხარს [9, 31].

ირაკლი ალასანია

სერგეი შამბა

აღსანიშნავია, რომ ოფიციალური შეკრებების პარალელურად ამ პერიოდში საკმაოდ დიდ როლს თამაშობდა სამოქალაქო დიალოგის ფორმატები. კერძოდ, ე.წ. **შლაინინგის პროცესის*** ფარგლებში, 2005 წლის 31 ივლისს ვენაში საკმაოდ მაღალი დონის ქართულ-აფხაზური შეხვედრა გაიმართა [44]. შეხვედრაზე ორივე მხარე შეთანხმდა, რომ დაიწყებოდა მოლაპარაკებები კონფედერაციის შექმნაზე, თუმცა საქართველოს პრეზიდენტმა ამაზე საბოლოოდ უარი განაცხადა [9, 31]. ეს მომენტი კიდევ ერთხელ აჩვენებდა, რომ საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკა არათანმიმდევრული იყო და უნდობლობას იწვევდა აფხაზურ პოლიტიკურ ელიტაში.

მერყევი ურთიერთობების ფონზე ურთიერთნდობის გაღრმავებისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო 2006 წლის 29 მარტს ირაკლი ალასანიასა და სერგეი ბაღაფშის შეხვედრა სოხუმში, სადაც სამომავლოდ ძალის არგამოყენებასა და იძულებით გადაადგილებული პირების დაბრუნების შესახებ ხელშეკრულებების დადებასთან ერთად, მხარეები შეთანხმდნენ გაეროს ეგიდით საკოორდინაციო საბჭოს აღდგენაზე, რომელიც 2001 წლის შემდეგ აღარ შეკრებილიყო [45].

2006 წლის 15 მაისს თბილისში ახლად აღდგენილი საკოორდინაციო საბჭოს პირველი სხდომა გაიმართა, სადაც აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ აფხაზური სამშვიდობო გეგმა – **„მომავლის გასაღები“** – წარადგინა [46]. გეგმის მიხედვით, მისი მიზანი იყო „ქართულ–აფხაზური კონფლიქტის საბოლოო პოლიტიკური, ყოვლისმომცველი მოგვარება და ერთ დროს დაპირისპირებულ სახელმწიფოებს შორის კარდინალურად ახალი, კეთილმეზობლური ურთიერთობების განვითარება“. გარდა ამისა, იგი ითვალისწინებდა რამდენიმე ყურადსაღებ საკითხს: საქართველოს მიერ აფხაზეთისთვის ბოდიშის მოხდას „ასიმილაციის, ომისა და იზოლაციის სახელმწიფო პოლიტიკის გამო“; ეკონომიკური ბლოკადის მოხსნას; სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმებასა და უსაფრთხოების გარანტიის მიმცემად გაეროს უშიშროების საბჭოს დანიშვნას; აფხაზეთის ვრცელ რეგიონულ ინტეგრაციას, კერძოდ კი, შავი ზღვის რეგიონის ეკონომიკურ პროექტებსა და ევროკავშირის სამეზობლო პროგრამაში ჩართვას.

მიუხედავად იმისა, რომ თავად „მომავლის გასაღების“ წარდგენა უმნიშვნელოვანეს ფაქტს წარმოადგენდა, თბილისში ამ ნაბიჯს არაერთგვაროვანი რეაქციები მოჰყვა. კერძოდ, ერთი მხრივ, ის აჩვენებდა, რომ აფხაზები მზად იყვნენ თანამშრომლობისთვის, ცდილობდნენ ევროპასთან დაახლოებას და ირიბად აღიარებდნენ, რომ 1999 წლის ე.წ. დამოუკიდებლობის რეფერენდუმში ქართველ დევნილებს არ მიეცათ ხმის მიცემის უფლება, თუმცა, მეორე მხრივ, კვლავ მოითხოვდნენ აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობას და თანასწორუფლებიან დიალოგს. საინტერესოა, რომ, აფხაზური სამშვიდობო ინიციატივის განხილვის პარალელურად, როცა არსებობდა მოლოდინი, რომ სერგეი შამბას ასევე შეხვდებოდა მიხეილ სააკაშვილი, ეს უკანასკნელი დემონსტრაციულად გაემგზავრა სენაკში სამხედრო ბაზის დასათვალიერებლად [47, 7]. აფხაზურმა მხარემ საქართველოს პრეზიდენტის ეს ქმედება არაკეთილსაიმედო ჟესტად აღიქვა.

* შლაინინგის პროცესი – ქართულ-აფხაზური არაფორმალური სამშვიდობო დიალოგის სამუშაო სახელწოდება.

შამბას ვიზიტიდან რამდენიმე კვირის შემდეგ, 9 ივნისს, თბილისმა საპასუხო ქართულ-აფხაზური „საგზაო რუკა“ წარადგინა, რომელიც ძველ და ტიპურ შეცდომას იმეორებდა – კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოგვარება კვლავ სტატუსის საკითხის გადაჭრით უნდა დაწყებულიყო [48]. პრეზიდენტის მხარდაჭერის არარსებობისა და ქართულ-რუსული ურთიერთობების გაუარესების ფონზე, სტრატეგიის წარდგენიდან რამდენიმე დღეში მიზანმიმართულად დაიშალა ხაინდრავა-ალასანიას გუნდი და პრეზიდენტმა კონფლიქტების დარეგულირების პროცესი პირად კონტროლზე აიყვანა. 12 ივნისს ირაკლი ალასანია გაეროში საქართველოს ელჩად დაინიშნა, 21 ივლისს კი გოგა ხაინდრავა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ – მერაბ ანთაძემ ჩაანაცვლა [49].

კოდორის ხეობა

აჟარის (ზემო აფხაზეთის) ადმინისტრაციული შენობა

შიდა დამაბრკოლებელი ფაქტორების მოხსნის შემდეგ აფხაზეთის მიმართ მიდგომები თბილისში ფუნდამენტურად შეიცვალა. ივლისის ბოლოს, ქართული შეიარაღებული დაჯგუფება „მონადირის“ განეიტრალების მიზეზით, საქართველოს სამხედრო ძალებმა კოდორის ხეობაში ანტიკრიმინალური ოპერაცია ჩაატარეს. რეალურად, ეს ნაბიჯი მთელ ხეობაზე სრული კონტროლის დამყარებას ისახავდა მიზნად, რისი დამატებითი ლეგიტიმაციისთვისაც კოდორის ხეობას სახელი გადაერქვა – „ზემო აფხაზეთი“ ეწოდა და იქ ფიზიკურად განთავსდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილი მთავრობა [7, 205]. თბილისის ეს ნაბიჯი წყალგამყოფი აღმოჩნდა აფხაზებისთვის, ვინაიდან კოდორში ქართველი სამხედროების შეყვანა სოხუმმა აგრესიად და 1994 წლის მოსკოვის ხელშეკრულების დარღვევად შეაფასა [50].

ამრიგად, 2006 წლის ივლისის მოვლენებმა მანამდე მიღწეული პროგრესი დაჩრდილა. ორმხრივი მოლაპარაკებები დასუსტდა, სოხუმი კი უარს ამბობდა გაეროს ეგიდით შეხვედრების გაგრძელებაზე [8, 8-13] მანამ, სანამ აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობა კოდორში იქნებოდა. თავის მხრივ, პოლიტიკური კავშირების შესუსტება პირდაპირ აისახა კონფლიქტის ზონაში უსაფრთხოების გაუარესებაზე. კერძოდ, გაეროს სადამკვირვებლო მისიის მონაცემებით, 2006 წლის ბოლოს გალის რაიონში საგრძნობლად იყო მომატებული სროლები და ადამიანთა დაკავებები [51].

2007 წელს ახლად დანიშნულმა გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა ჟან არნომ კიდევ ერთხელ სცადა აფხაზებსა და ქართველებს შორის მაღალი დონის შეხვედრების განახლება. ივნისსა და აგვისტოში მეგობართა ჯგუფის ორი შეხვედრა გაიმართა ბონსა და ბერლინში, თუმცა არც ერთ მათგანს ხელშესახები შედეგი არ მოჰყოლია [52]. მნიშვნელოვანი შედეგებით არ დამთავრებულა არც 25 ოქტომბერს სოხუმში ახალი სახელმწიფო მინისტრის დავით ბაქრაძის ვიზიტი, რომელიც, ძირითადად, გაცნობითი ხასიათის გამოდგა [53].

ზოგად სურათს კიდევ უფრო ამძიმებდა 2007 წლის აგვისტოში მომხდარი წითელუბნის ინციდენტი (იხ. წინა ქვეთავი) და 7 ნოემბერს ქვეყანაში დაწყებული შიდა პოლიტიკური არეულობა,

დავით ბაქრაძე

რომლის ფონზეც კონფლიქტების გარშემო პოპულისტური რიტორიკა გაძლიერდა. კერძოდ, ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნის შემდეგ დაწყებული წინასაარჩევნო კამპანიის დროს მიხეილ სააკაშვილმა აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობასთან განაცხადა, რომ მისი ხელახლა არჩევის შემთხვევაში ისინი „შემდეგ ზამთარს უფრო თბილი კლიმატის პირობებში“ გაატარებდნენ და უახლოეს თვეებში, საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებით, შეიქმნებოდა პირობები აფხაზეთში მათი ღირსეული და უსაფრთხო დაბრუნებისთვის [54]. როგორც ცნობილია, 2008 წლის 5 იანვარს სააკაშვილი ხელახლა აირჩიეს პრეზიდენტის პოსტზე, თუმცა ცვალებადი გლობალური კონტექსტი და კონფლიქტების ზონაში ინციდენტების გახშირება მხოლოდ ახალ საფრთხეებს მოასწავებდა.

17 თებერვალს კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ დასავლეთისა და რუსეთის ურთიერთობები მნიშვნელოვნად გაამწვავა. მოსკოვმა, ერთი მხრივ, შურისძიებისა და, მეორე მხრივ, აპრილში დაგეგმილი ნატო-ს ბუქარესტის სამიტის გამო, სადაც საქართველო და უკრაინა „გაწევრიანების სამოქმედო გეგმის“ მიღებას ელოდნენ, ღიად დაიწყო აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონთან სამხედრო და პოლიტიკური კავშირების ლეგალიზება. 6 მარტს, „შეცვლილი გარემოებების“ საბაბით, რუსეთი ფორმალურად გამოვიდა აფხაზეთის წინააღმდეგ დაწესებული 1996 წლის დსთ-ის სანქციების პაქტიდან [55, 2]. ამასთან, 21 მარტს რუსეთის დუმამ მიიღო არასავალდებულო დოკუმენტი, რომლის მიხედვით პარლამენტი მოუწოდებდა მთავრობას, დაეცვა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები საკუთარი მოქალაქეები და გაეზარდა სამშვიდობო ძალების რაოდენობა. გარდა ამისა, საქართველოს ნატო-ში შესვლის შემთხვევაში რუსეთის მთავრობას ეძლეოდა უფლება, გაეხსნა წარმომადგენლობები ცხინვალსა და სოხუმში და განეხილა მათი დამოუკიდებლობის აღიარების საკითხი [55, 2].

კრემლის აგრესიული პოლიტიკის შედეგად აფხაზეთში დაიწყო ორმხრივი სამხედრო დაზვერვისა და პროვოკაციების მატება. 2008 წლის მარტსა და აპრილში გალის რაიონში ქართული უპილოტო საფრენი აპარატების ჩამოგდების შემდეგ და კოდორის ხეობაში ქართული ჯარების საბარაუდო შეყვანის (რაც არ დადასტურდა UNOMIG-ის მიერ) საბაბით, რუსეთმა აპრილის ბოლოს 550 ჯარისკაცით გაზარდა სამშვიდობო კონტინგენტი [40, 145]. ერთი თვის მოგვიანებით, სოხუმიდან ოჩამჩირემდე რკინიგზის ხაზის აღდგენის მიზეზით, მათ რიცხვს დამატებით 400 სამხედრო შეუერთდა [55, 5]. ამასთან, მაისისთვის რუსეთის მიერ კონფლიქტის ზონაში უკვე შეყვანილი იყო მძიმე არტილერია, რის საპასუხოდაც სენაკის სამხედრო ბაზა ყაზარმულ რეჟიმზე გადავიდა [55, 5]. გარდა ამისა, აფხაზეთის სხვადასხვა წერტილში გამუდმებული სისხლიანი ინციდენტების ფონზე საზოგადოებასა და პოლიტიკურ წრეებში იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ აფხაზეთში საომარი მოქმედებების განახლება მხოლოდ დროის საკითხი უნდა ყოფილიყო.

ქართულ-აფხაზური სამშვიდობო მექანიზმების მოშლისა და დაძაბულობის ესკალაციის პარალელურად, არაერთი მცდელობა იყო ადგილზე სიტუაციის განსამუხტავად. 2008 წლის 28 მარტს მიხეილ სააკაშვილმა წარმოადგინა აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების განახლებული წინადადება, სადაც ის აფხაზებს სთავაზობდა: შეუზღუდავ ავტონომიას საქართველოს შიგნით; გალსა და ოჩამჩირეში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნას; ცენტრალურ ხელისუფლებაში ეთნიკურად აფხაზი წარმომადგენლების ყოლას, მათ შორის, ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე; ვეტოს უფლებას აფხაზეთის კონსტიტუციურ სტატუსზე და ყველა იმ გადაწყვეტილებაზე, რომელიც შეეხება აფხაზურ კულტურას, ენასა და სხვა ეთნიკურ საკითხებს [56]. როგორც მოსალოდნელი იყო, აღნიშნული შეთავაზება სოხუმმა უკუაგდო, ვინაიდან, ერთი მხრივ, ეს წინადადება მართლაც იყო გათვლილი

საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების მისაპყრობად, მეორე მხრივ კი, ადგილზე უკიდურესად დაძაბული ვითარებისა და დიპლომატიური არხის არარსებობის ფონზე, კონფლიქტის სრულმასშტაბიან მოგვარებაზე საუბრის დაწყება უდროო და არაადეკვატური ჩანდა.

მეთიუ ბრაიზა. ამერიკელი პოლიტიკოსი

2008 წლის 12 მაისს, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილის – მეთიუ ბრაიზას ხელშეწყობით, სოხუმში ბაღაფშისა და ალასანიას შეხვედრა გაიმართა [55, 20]. ამ უკანასკნელის თქმით, აფხაზურ მხარეს განსაკუთრებით აწუხებდა კოდორის ხეობაში შექმნილი დაძაბულობა, ვინაიდან რუსეთი მათზე ზეწოლას ახდენდა, რომ „გარკვეული ნაბიჯები გადაედგათ ქართული სამართალდამცავი სტრუქტურების წინააღმდეგ“ [57]. შეხვედრის დროს შემუშავდა დოკუმენტი, რომელიც ადგილზე უსაფრთხოების გარანტიებს შეეხებოდა, თუმცა მას მიხეილ სააკაშვილმა ხელი არ მოაწერა, ვინაიდან მასში არ შედიოდა უსაფრთხოების გარანტიებისა და დევნილების დაბრუნების საკითხი. აღსანიშნავია, რომ სოხუმში ალასანიას ვიზიტიდან ერთი თვის შემდეგ, 15-17 ივნისს, სტოკჰოლმში კვლავ გაიმართა მაღალი დონის ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებები, თუმცა მხარეებმა აქაც ვერ შეძლეს ხელშესახები შედეგის მიღწევა [58].

2008 წლის 23 ივნისს მიხეილ სააკაშვილმა რუსეთის ახლად არჩეულ პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევთან მიწერილ წერილში კიდევ ერთი ინიციატივა წარადგინა აფხაზეთში დაძაბულობის განსამუხტავად [4, 114]. წერილი შემდეგ შეთავაზებებს მოიცავდა:

- დსთ-ის სამშვიდობო ძალების გადაყვანას მდინარე კოდორის გასწვრივ;
- თავისუფალი ეკონომიკური ზონების დაარსებას გალისა და ოჩამჩირეს რაიონებში;
- ერთობლივ ქართულ-აფხაზურ ადმინისტრირებასა და ერთობლივი სამართალდამცავი უწყებების მოქმედებას, აგრეთვე, ლტოლვილების /იძულებით გადაადგილებული პირების დაბრუნებას ამ ორ რეგიონში;
- აფხაზეთის გავლით მოსკოვი-თბილისი-ერევნის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას;
- საზღვაო მიმოსვლის დაწესებას სოხუმსა და ტრაპიზონს შორის;
- დადებული ხელშეკრულების/ხელშეკრულებების დაცვას საერთაშორისო გარანტიებით, რუსეთის ფედერაციის მონაწილეობით;
- ძალის გამოუყენებლობისა და აფხაზეთის სხვა ნაწილებში ლტოლვილების/იძულებით გადაადგილებული პირების დაბრუნების შესახებ შეთანხმების დადებას, რომელიც შეიძლება გაფორმებულიყო შემდგომ სტადიაზე, სხვა შეთანხმებებთან ერთად.

სააკაშვილის ამ წინადადებას მოსკოვში უარით შეხვდნენ. დიმიტრი მედვედევის საპასუხო წერილში აღნიშნული იყო, რომ ეს საკითხები რუსეთს არ ეხებოდა და თბილისს მოლაპარაკებები სოხუმთან უნდა გაეგრძელებინა [4, 114].

ფრანკ ვალტერ შტაინმაიერი. გერმანელი პოლიტიკოსი

აფხაზეთში სიტუაციის განმუხტვისა და მოლაპარაკებების განახლების ბოლო მცდელობა აღმოჩნდა გერმანიის ინიციატივით 30 ივნისს ბერლინში გამართულ მეგობართა ჯგუფის შეხვედრაზე (შეხვედრას არ ესწრებოდნენ რუსეთის წარმომადგენლები) შემუშავებული სამეტაპიანი გეგმა, რომელიც **„შტაინმაიერის გეგმის“** სახელითაა ცნობილი. ივლისში, საქართველოში

ვიზიტისას, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა მხარეებს ოფიციალურად გააცნო თავისი ინიციატივა, რომლის პირველი ფაზა ითვალისწინებდა ნდობის აღდგენისკენ მიმართული ღონისძიებების გატარებას, ძალის არგამოყენების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერასა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების პროცესის დაწყებას; მეორე ფაზაზე განსაზღვრული იყო კონფლიქტის ზონის ეკონომიკური რეაბილიტაცია საერთაშორისო დონორების დახმარებით; მესამე ფაზაზე კი უნდა გადაწყვეტილიყო აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი [59]. სოხუმსა და თბილისს გეგმა განსახილველად არ მიუღიათ, ვინაიდან ის არ ასახავდა იმ მომენტისთვის ყველაზე „ცხელ“ პოლიტიკურ პრობლემებს: ერთი მხრივ, ზემო კოდორის ხეობიდან ქართული სამხედრო შენაერთების გაყვანას, მეორე მხრივ კი, მოლაპარაკებების ფორმატის შეცვლასა და დსთ-ის სამშვიდობო კონტინგენტის საერთაშორისო საპოლიციო ძალებით ჩანაცვლებას [60].

„შტაინმაიერის გეგმის“ წარდგენიდან მაშინვე სრულიად მსოფლიოს ყურადღება ცხინვალის რეგიონზე გადავიდა. ომი, რომლის დაწყებასაც ბევრი აფხაზეთში უფრო ელოდებოდა, 8 აგვისტოს, მისგან აღმოსავლეთით, სამხრეთ ოსეთში დაიწყო.

ე) კონფლიქტიდან ოკუპაციამდე

2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომი (რომელმაც ასახვა როგორც სამხრეთ ოსეთის, ისე აფხაზებით მიმართულებით ჰპოვა), საფრანგეთის პრეზიდენტის – ნიკოლა სარკოზის შუამავლობით, 12 აგვისტოს მიხეილ სააკაშვილისა და დიმიტრი მედვედევის მიერ ცეცხლის შეწყვეტის ექვსპუნქტიან გეგმაზე შეთახმებით დასრულდა. მხარეები შემდეგ ვალდებულებებს იღებდნენ საკუთარ თავზე:

ნიკოლა სარკოზისა და დიმიტრი მედვედევის შეხვედრა, 2008 წლის 12 აგვისტო

1. ძალის გამოყენებაზე უარის თქმა;
2. საბრძოლო მოქმედებებზე საბოლოო უარის თქმა;
3. ჰუმანიტარული დახმარებისთვის თავისუფალი მიმოსვლის უზრუნველყოფა;
4. საქართველოს შეიარაღებული ძალების დაბრუნება მათ ჩვეულ დისლოკაციის ადგილებზე;
5. რუსეთის შეიარაღებული ძალების დაბრუნება სამხედრო მოქმედებების დაწყებამდე არსებულ ხაზზე; საერთაშორისო მექანიზმის შექმნამდე რუსეთის სამშვიდობო ძალებს უნდა განეხორციელებინათ უსაფრთხოების დამატებითი ზომები;
6. საერთაშორისო დისკუსიების დაწყება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის პირობების შესახებ [61].

ომის დასრულება საქართველოსთვის მძიმე რეალობის დასაწყისი აღმოჩნდა. გარდა იმისა, რომ ომმა ქვეყანას უზარმაზარი ადამიანური და ეკონომიკური ზარალი მიაყენა, საოკუპაციო

ოკუპირებული აფხაზეთი

საოკუპაციო ხაზი შიდა ქართლში

ხაზს მიღმა მოხვდა ახალგორის რაიონი და კოდორის ხეობა. ასევე განუსაზღვრელი ვადით შეჩერდა ორმხრივი ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ოფიციალური სამშვიდობო პროცესებიც.

ექვსპუნქტიანი შეთანხმების მიღებიდან რამდენიმე დღეში საქართველო ოფიციალურად გამოვიდა დსთ-დან, 26 აგვისტოს კი რუსეთმა დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი [62], რომლებიც საქართველოს პარლამენტმა რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებად გამოაცხადა, რის საფუძველზეც თბილისმა მოსკოვთან დიპლომატიური ურთიერთობები შეაჩერა [62]. მომდევნო დღეს საქართველომ აამოქმედა რუსული სამშვიდობო ოპერაციების შეწყვეტის მექანიზმებიც და ცალმხრივად გამოვიდა 1992 წლის სოჭისა და 1994 წლის მოსკოვის ხელშეკრულებებიდან, რომლებიც ექვსპუნქტიანმა შეთანხმებამ ჩაანაცვლა [63]. ამასთან, ოქტომბერში საქართველოს პარლამენტმა ოფიციალურად მიიღო **„ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონი“**, ხოლო რუსეთმა 2008 წლის დეკემბერში ჯერ ეუთოს, შემდეგ კი, 2009 წლის ივნისში, გაეროს საერთაშორისო მისიები დაბლოკა [64; 65].

ამრიგად, ამ მოვლენებმა საბოლოოდ წარსულს ჩააბარა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში კონფლიქტების დარეგულირების 16-წლიანი პოლიტიკური და სამართლებრივი ბაზა და საქართველო აღმოჩნდა კიდევ უფრო რთულ ვითარებაში, სადაც ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ მოუგვარებელ კონფლიქტებს რუსული სამხედრო ოკუპაციაც დაემატა.

მკვიდრი წარმოდგენები:

- თანამედროვე კონფლიქტები კომპლექსურია და ეთნიკურთან ერთად სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ასპექტებსაც მოიცავს;
- თანამედროვე კონფლიქტებში რუსეთის ფაქტორის გარდაუვალობის მიუხედავად, არსებობს წინააღმდეგობები საკუთრივ ქართველ და აფხაზ და ქართველ და ოს ხალხებს შორის;
- აფხაზურ-ქართულ და ოსურ-ქართულ ურთიერთობებში კონფლიქტების მოუგვარებლობა, სხვა ობიექტურ მიზეზებთან ერთად, განპირობებულია კონფლიქტური მხარეების არათანმიმდევრული ნაბიჯებით, რამაც გააღრმავა მათ შორის უნდობლობა, შეამცირა შეთანხმების შანსები.

ბიბლიოგრაფია

1. ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების პრინციპების შესახებ 1992 წლის 24 ივნისის შეთანხმება, Civil. ge, იხ. https://civil.ge/ka/archives/144612
2. თურმანიძე თ., „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტის დარეგულირების მექანიზმის მოკლე ისტორია: 1992-2008 წწ., ბთკკ - პოლიტიკის კვლევის ჯგუფი, 2009;
3. საქართველოს პარლამენტი, ინფორმაციული ცნობა „ქართულ-ოსური კონფლიქტის“ შესახებ, 2006, იხ. http://www.parliament.ge/uploads/other/18/18511.pdf
4. საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის ანგარიში (ქართულ ენაზე), ტომი II;
5. Вечерний Тбилиси, Эдуард Шеварднадзе: Я думаю, что все могло сложиться по-другому, 07.08.2010, იხ. http://novost.ge/2010/08/10/eduard-shevardnadze-ya-dumayu-chto-vse-moglo-slozhitsya-po-drugomu/
6. Eiff Hansjörg, The OSCE Mission to Georgia and the Status of South Ossetia, OSCE Yearbook, 2008;
7. De Waal Thomas, The Caucasus: An Introduction, Oxford University Press, 2010;
8. ბთკკ – პოლიტიკის კვლევის ჯგუფი, აფხაზეთში კონფლიქტის მოგვარების ჩარჩოს ანალიზი, 2008;
9. აბრამაშვილი ი., ქოიავა რ., საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკის 25 წელი, კავკასიური სახლი, 2018;
10. Cohen Jonathan (ed.), A question of sovereignty: The Georgia-Abkhazia peace process, Accord, Vol. 7, Conciliation Resources, 1999;
11. United Nations Peacekeeping, United Nations Observer Mission in Georgia, იხ. https://peacekeeping.un.org/mission/past/unomig/background.html
12. ყოლბაია ვ., სამხედრო მოქმედებათა განუახლებლობის გარანტიები: საფრთხის მოლოდინი ქართულ-აფხაზური ურთიერთობების კონტექსტში, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, თბილისი, 2009;
13. Whitfield T., Friends Indeed?: The United Nations, Groups of Friends and the Resolution of Conflict. US Institute of Peace Press, 2007;
14. Gegeshidze A., The isolation of Abkhazia: A failed policy or an opportunity? Accord, Vol. 19, Conciliation Resources, 2008;
15. „ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების ღონისძიებათა“ ოქმის პროექტი. 18.06.1997, იხ. http://rrc.ge/law/MorigAfxProt_18_06_1997_Q.htm?lawid=2074&lng_3=ge
16. Anchabadze George, Georgia and Abkhazia: Lost opportunities up until 2008. In EU-Caucasus Dialogue on Georgian-Abkhaz Relations, International Alert, 2010;
17. Stewart Susan, *The Role of the United Nations in the Georgian-Abkhazian Conflict*, Journal on ethnopolitics and minority issues in Europe (2003);
18. Haindrava Ivlian, Conflict resolution policies before August 2008. In Transformation of the Georgian-Abkhaz conflict: rethinking the paradigm, 2011;
19. ლიკლიკაძე კობა, *ემზარ კვიციანის მითის დასასრული,* რადიო თავისუფლება, 30.07.2006, იხ. https://www.radiotavisupleba.ge/a/1548096.html
20. Georgia Helicopter Shooting Still Shrouded in Mystery, EURASIANET, 07.12.2001, იხ. https://eurasianet.org/eorgia-helicopter-shooting-still-shrouded-in-mystery
21. ბოდენის დოკუმენტის სრული ტექსტი ქართულ ენაზე, იხ. http://www.parliament.ge/files/1329_22127_566879_Danarti_8.doc
22. Boden Dieter, *10 years after the peace plan*, Democracy&Freedom Watch, 20.10.2011, იხ. http://dfwatch.net/10-years-after-the-peace-plan-95247-894
23. Coppieters Bruno, Europeanization and Conflict Resolution: Case Studies from the European Periphery, Chapter 5, Academia Press, Brussels, 2004;
24. კვინიკაძე გვანცა, *კონტრაბანდასთან ბრძოლაში მთავრობას მხოლოდ ამინდი ეხმარება,* 24 საათი, 07.10.2002;
25. Human Rights Watch, Up in Flames: Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia, 2009, იხ. https://www.hrw.org/sites/default/files/reports/georgia0109web.pdf

26. König Marietta S, *Not Frozen but Red Hot: Conflict Resolution in Georgia Following the Change of Government,* Institute for Peace Research and Security Policy at the University of Hamburg/IFSH (ed.), OSCE Yearbook 2006, Baden-Baden, 2007;
27. მიხეილ სააკაშვილის სიტყვა გაეროს გენერალური ასამბლეის 59-ე სესიაზე, 21.09.2004, იხ. http://www.un.org/webcast/ga/59/statements/geoeng040921.pdf
28. მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე, 26.01.2005, იხ. http://www.assembly.coe.int/nw/xml/Speeches/Speech-XML2HTML-EN.asp?SpeechID=190&a1=6&p2=1&lang=EN
29. საქართველოს მთავრობის ინიციატივა სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებასთან დაკავშირებით, Civil.ge, 24.03.2005, იხ. https://civil.ge/ka/archives/134716
30. South Ossetia Roadmap Presented by Georgian Prime Minister Zurab Nogaideli to the OSCE Permanent Council in Vienna on October 27, 2005, იხ. https://www.gfsis.org/media/download/GSAC/resources/South_Ossetia_Road_Map.pdf
31. წამალაშვილი ეკა, გორის ტერაქტი გახსნილია, გამოძიებამ ამ დანაშაულში რუსეთის აგენტურის კვალს მიაგნო, რადიო თავისუფლება, 26.07.2005, იხ. https://www.radiotavisupleba.ge/a/1542418.html
32. ცხინვალში ცეცხლის გახსნამ სამშვიდობო პროცესს საფრთხე შეუქმნა, Civil.ge, 21.09.2005, იხ. https://civil.ge/ka/archives/136114
33. ცხინვალის რეგიონში გაათავისუფლეს 6 დეკემბერს მძევლად აყვანილი ყველა ქართველი, რადიო თავისუფლება, 07.12.2005, იხ. https://www.radiotavisupleba.ge/a/1544542.html
34. ცხინვალში აფეთქების შედეგად უშიშროების საბჭოს მდივანი გარდაიცვალა, Civil.ge, 09.07.2006, იხ. https://civil.ge/ka/archives/138464
35. ქართული მხარე პოლიციელების დაჭრის ფაქტს პროვოკაციად აფასებს, Civil.ge, 07.08.2006, იხ. https://civil.ge/ka/archives/138754
36. International Crisis Group, *Georgia's South Ossetia Conflict: Make Haste Slowly*;
37. Cornell Svante E., Starr Frederick S. and Smith David J. *The August 6 Bombing Incident in Georgia: Implications for the Euro-Atlantic Region*, Central Asia-Caucasus Institute & Silk Road Studies Program, 2007, იხ. http://isdp.eu/content/uploads/publications/2007_cornell-smith-starr_the-august-6-bombing-incident-in-georgia.pdf
38. სააკაშვილი რიგგარეშე არჩევნების და პლებისციტის ჩატარების ინიციატივით გამოდის, 08.11.2007, იხ. https://civil.ge/ka/archives/141912
39. U.S. troops start training exercise in Georgia, Reuters, 15.07.2008, იხ. https://www.reuters.com/article/us-georgia-usa-exercises/u-s-troops-start-training-exercise-in-georgia-idUSL1556589920080715
40. Cornell Svante & Starr Frederick , *The Guns of August 2008: Russia's War in Georgia*, Routledge, 2009;
41. 2005 წლის ქრონოლოგია, Civil.ge, იხ. https://civil.ge/ka/archives/136836
42. UN Security Council, Report of the Secretary-General on the situation in Abkhazia, Georgia, 13.07.2005;
43. თბილისი სეპარატისტთა თანამშრომლობას აკნინებს, Civil.ge, 27.07.2005, იხ. https://civil.ge/ka/archives/135760
44. ზაქარეიშვილი პაატა, *როგორ სპობდა ნაბიჯ-ნაბიჯ „ვარდების" ხელისუფლება ქართულ-აფხაზური არაფორმალური შეხვედრების პროცესს,* რეზონანსი, 19-20-22 სექტემბერი, 2008;
45. UN Security Concil, Report of the Secretary-General on the situation in Abkhazia, Georgia, 26.06.2006;
46. იხ. აფხაზური სამშვიდობო გეგმის სრული ტექსტი ინგლისურ ენაზე: http://www.kapba.de/KeyToTheFuture.html
47. Zakaerishvili Paata, Georgia's relationship with Abkhazia, Caucasus Analytical Digest, No.7, 2009;
48. თბილისი აფხაზეთის სამშვიდობო გეგმის ძირითად პრინციპებს აქვეყნებს, Civil.ge, 09.06.2006, იხ. https://civil.ge/ka/archives/138241
49. 2006 წლის ქრონოლოგია, Civil.ge, იხ. https://civil.ge/ka/archives/139915

50. UN Security Concil, Report of the Secretary-General on the situation in Abkhazia, Georgia, 28.09.2006;
51. UN Security Concil, Report of the Secretary-General on the situation in Abkhazia, Georgia, 11.01.2007;
52. UN Security Concil, Report of the Secretary-General on the situation in Abkhazia, Georgia, 03.10.2007;
53. თბილისმა და სოხუმმა ურთიერთობები განაახლეს, Civil.ge, 25.10.2007, იხ. https://civil.ge/ka/archives/141732
54. სააკაშვილი დევნილებს აფხაზეთში დაბრუნებას „უახლოეს თვეებში“ ჰპირდება, Civil.ge, 28.11.2007, იხ. https://civil.ge/ka/archives/142112
55. International Crisis Group, *Georgia and Russia: Clashing over Abkhazia*, Europe Report N°193 – 05.06. 2008;
56. სააკაშვილის სამშვიდობო შეთავაზება აფხაზეთს, Civil. ge, 28.03.2008, იხ. https://civil.ge/ka/archives/143175
57. გამომძიებელი რეპორტიორი, სააკაშვილის მარცხის უხილავი ქრონიკა – უკუსვლა ენგურიდან (დოკუმენტური ფილმი), საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, 03.12.2014;
58. აფხაზურმა და ქართულმა მხარეებმა შვედეთში ფარული შეხვედრა გამართეს, Civil.ge, 20.06.2008, იხ. https://civil.ge/ka/archives/143885
59. აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების პროცესში გერმანია ლიდერის როლს კისრულობს, Civil.ge, 17.07.2008, იხ. https://civil.ge/ka/archives/144097
60. UN Security Concil, Report of the Secretary-General on the situation in Abkhazia, Georgia, 23.07.2008;
61. ევროკავშირის შუამავლობის საფუძველზე მომზადებული ექვსპუნქტიანი გეგმა, Civil.ge, 17.08.2008, იხ. https://civil.ge/ka/archives/144430
62. UN Security Concil, Report of the Secretary-General on the situation in Abkhazia, Georgia, 03.10.2008;
63. საქართველომ რუსული სამშვიდობო ოპერაციების შეწყვეტის მექანიზმები აამოქმედა, Civil.ge, 29.08.2008, იხ. https://civil.ge/ka/archives/144611
64. Russia Blocks Georgia OSCE Mission Extension, Civil.ge, 22.12.2008, იხ. https://civil.ge/archives/118117
65. Russia vetoes extension of UN mission in Georgia, UN News Centre, 15.06.2009, იხ. http://www.un.org/apps/news/story.asp?NewsID=31151

სარჩევი

პროექტის კოორდინატორისგან 4
სამეცნიერო რედაქტორისა და მეთოდისტისგან 8

თავი 1.
ნაციონალიზმი, როგორც პოლიტიკური დოქტრინა და იდეოლოგია
ნუკრი (ნოდარ) შოშიაშვილი..... 13

თავი 2.
აფხაზური და ოსური ეთნიკური ჯგუფების ეთნოგრაფიული ექსკურსი
სალომე ბახია-ოქრუაშვილი 30

თავი 3.
ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობები
უძველესი დროიდან 1918 წლამდე
გიორგი ანჩაბაძე..... 62

თავი 4.
აფხაზები და ოსები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში
(1918-1921 წწ.)
ოთარ ჯანელიძე..... 108

თავი 5.
აფხაზეთი და
„სამხრეთ ოსეთი“ საბჭოთა პერიოდში, 1990-იან წლებამდე
მალხაზ თორია..... 132

თავი 6.
პოსტსაბჭოთა პერიოდში განვითარებული კონფლიქტები
რევაზ ქოიავა, ნუკრი (ნოდარ) შოშიაშვილი 156

თავი 7.
მშვიდობის მშენებლობა ქართული კონფლიქტების ჭრილში
ივანე აბრამაშვილი 184

აფხაზურ-ქართული და ოსურ-ქართული ურთიერთობები წარსულსა და თანამედროვეობაში

გიორგი ანჩაბაძე
ივანე აბრამაშვილი
მალხაზ თორია
ნუკრი (ნოდარ) შოშიაშვილი
ოთარ ჯანელიძე
რევაზ ქოიავა
სალომე ბახია-ოქრუაშვილი

თბილისი

2021



კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი
კავკასიური სახლი
THE CENTRE FOR CULTURAL RELATIONS
CAUCASIAN HOUSE